მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული

რუსეთის ისტორია
უძველესი დროიდან 1801 წლამდე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

უაკ (UDC) 947.0
3263

წინამდებარე სახელმძღვანელო მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი. მასში განხილულია რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე. სახელმძღვანელო ეყრდნობა უახლეს გამოკვლევებსა და დოკუმენტური მასალების პუბლიკაციებს. მასში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ის მეთოდური სიახლენი, რაც რუსეთის ისტორიის სწავლებაში დამკვიდრდა ბოლო ხანებში.

განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და რუსეთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფ. **დიმიტრი შველიძე**

რეცენზენტები: პროფ. **ნინო ჩიქოვანი**

დოც. **გიორგი ჟუჟუნაშვილი**

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდსაბჭოს მიერ

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

3 $\frac{0503020901}{608(06)-03}$

ISBN 99940-13-59-9

ავტორებისაგან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსეთის ისტორიის სწავლებას დიდი ტრადიცია აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ მიხეილ პოლიევექტოვის ღვაწლი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში. რუსეთის ისტორიის როგორც სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბებასა და ამ პროფილით სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მიხეილ პოლიევექტოვმა, ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა, გიორგი ხაჭაპურიძემ, იასონ ხუციშვილმა, იასე ციცაძემ, აკაკი სურგულაძემ, ვალერიან მაჭარაძემ, ავთანდილ მენთეშაშვილმა და სხვებმა. ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების კვალობაზე შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს საფუძველი ჩაუყარეს პროფესორმა იასე ციცაძემ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკაკი სურგულაძემ. მათ მიერ რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილი სახელმძღვანელოებით დღესაც სარგებლობს სტუდენტობა.

კომუნისტური (საბჭოთა) იდეოლოგიის კრახმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლამ აუცილებელი გახადა რუსეთის ისტორიაში ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნა. რუსეთის ისტორიის კათედრას განზრახული აქვს რუსეთის ისტორიის დისციპლინაში სახელმძღვანელო გამოსცეს სამ ტომად. პირველი ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1801 წლამდე, მეორე – XIX საუკუნეს, მესამე – XX საუკუნეს.

* * *

ზესახელმწიფოს ნგრევა ყოველთვის ყველა ეპოქაში ურთულესი, მტკივნეული პროცესი იყო. არც საბჭოთა კავშირის დაშლა წარმოადგენდა გამონაკლისს. ძალზე რთული გამოდგა ერთ დროს საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. უმტკივნეულოდ არც რუსეთის ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობა დაწყებულა. დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები შეეხო ეროვნულ ურთიერთობებსაც, მათ შორის რუსი და ქართველი ერის ურთიერთობას. ძველი ურთიერთობის შეცვლას მტკივნეულად განიცდიდნენ რუსეთში მცხოვრები ქართველები და საქართველოში მცხოვრები რუსები, რუსებისა და ქართველების ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახები. ეს სულაც არ იყო უმნიშვნელო საკითხი, მის მოგვარებას დრო სჭირდებოდა.

როგორც არ უნდა განვითარდეს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ უმთავარესი – ორ ერს შორის არსებული ტრადიციული ურთიერთობა. ქართული მეცნიერება და კულტურა წარმოუდგენელია რუს მეცნიერებთან და კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობის გარეშე და პირიქით. დღეს რუსეთში მცხოვრები ბევრი ქართული ოჯახი, ისევე როგორც ქართველთა და რუსთა ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახები, ორივე ქვეყნისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ. სწორედ მათ ეძღვნებათ წინამდებარე სამტომეული.

От авторов

В тбилисском государственном университете им. Иване Джавахишвили преподование истории России имеет давнюю традицию. В этом смысле особо следует подчеркнуть деятельность и заслуги профессора **Михаила Полиевктова**, специально приглашенного Иване Джавахишвили в ТГУ именно с этой целью. В плане формирования истории России как учебной дисциплины и в деле подготовки специалистов данного профиля большую роль сыграли **Михаил Полиевктов, Александр Пирцхалаишвили, Георгий Хачапуридзе, Ясон Хуцишвили, Ясе Цинцадзе, Акакий Сургуладзе, Валериан Мачарадзе, Автандил Ментешашвили** и другие. Многолетний исследовательский опыт получил практическое воплощение в виде первых вышедших в свет учебников. Зачинателями этого важного дела следует считать профессоров **Ясе Цинцадзе** и члена-корреспондента АН Грузии, профессора **Акакия Сургуладзе**. Их работа выдержала испытанием временем, и ныне студенты пользуются учебниками, которые ученые составили несколько десятков лет тому назад.

Крушение коммунистической идеологии и распад Советского Союза выявили потребность в создании нового университетского курса по истории России. Кафедра истории России предпологает издать учебник по истории России в трех томах. Первый том охватывает период с древнейших времен до 1801 года, второй – XIX век, третий – XX век.

* * *

Разрушение сверхгосударства во все времена являлось наисложнейшим и болезненым историческим процессом. И в данном контексте, естественно, Советский Союз не представлял собой исключения. Довольно затруднительным оказалось для бывших советских народов строительство новых независимых государств. Тернистым оказался путь к независимости и самой Российской Федерации. Сложности первых лет независимости выразились и в обострении национальных отношении, в том числе взаимоотношений русского и грузинского народов. Изменение духа взаимосвязей и некоторую обоюдную тенденциозность глубоко переживали как грузины, проживавшие в России, так и русские проживавшие в Грузии, а также смешанные семьи в обеих странах. Это был серьезный вопрос, для разрешения которого требовалось время.

Каким бы образом не развивались отношения между двумя странами, нам следует сохранить главное – добрые, традиционные взаимосвязи между двумя православными народами. Значительная часть грузинских семей, ныне проживающих в России, а также смешанные семьи делают много полезного для развития и укрепления обеих стран. Именно им посвящяется вышеупомянутый трехтомник.

თავი I. ძველი სლავები და მათი მეზობლები

1. უძველესი მოსახლეობა რუსეთის ტერიტორიაზე. სანამ სლავები ისტორიის ასპარეზზე გამოვიდოდნენ და ძველი რუსეთის სახელმწიფო შეიქმნებოდა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ანუ მომავალი კიევის რუსეთის სამხრეთ პროვინციებსა და მის მოსაზღვრედ (ყირიმის ნახევარკუნძულზე, აზოვის ზღვის ჩრდილოეთით, ჩრდილო კავკასიის ბარში, მდინარე დონის ქვემოწელზე) სხვადასხვა ხალხების მოძრაობა შეინიშნებოდა. **ჰეროდოტეს** (ძვ.წ.აღ. V საუკუნე) ცნობით, შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ სკვითები, ირანულენოვანი ხალხი. როგორც ჩანს, სკვითები მდინარე დნეპრის შუაწელამდეც აღწევდნენ. ძვ.წ.აღ. VI-IV საუკუნეებში სკვითებში ყალიბდება ტომთა ძლიერი კავშირი, ხოლო ძვ.წ.აღ. III საუკუნეში — სახელმწიფო. სკვითების სახელმწიფოს ცენტრი იყო ქალაქი **ნეაპოლი** (სკვითური ნეაპოლი), რომელიც ქალაქ სიმფეროპოლის ახლოს მდებარეობდა.

ძვ.წ.აღ. VII-VI საუკუნეებში, ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე აღმოცენდა ბერძნული კოლონიები (ქალაქ-სახელმწიფოები): **ოლვია** (ქალაქ ნიკოლაევთან), **ხერსონესი** (ქალაქ სევასტოპოლის ტერიტორიაზე), **პანტიკაპეონი** (ქალაქი ქერჩი), **გორგიპია** (ქალაქი ანაპა), **ტანაისი** (ქალაქ დონის როსტოვთან) და სხვ. ძვ.წ.აღ. V საუკუნეში ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები გაერთიანდნენ პანტიკაპეის გარშემო. ასე შეიქმნა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ბოსფორის სამეფო, რომელიც ძვ.წ.აღ. V-IV საუკუნეებში არსებობდა.

ძვ.წ.აღ. IV-V საუკუნეებში ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ბერძნულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა გოთებისა და ჰუნების შემოსევების შედეგად არსებობა შეწყვიტეს.

2. პირველი ცნობები სლავების შესახებ. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სლავების შორეული წინაპრები ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის შუა ხანებში უნდა გამოჰყოფოდნენ ინდოევროპულ ხალხთა ოჯახს. იმხანად სლავები მდინარე ოდერსა და კარპატების მთებს შორის უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული. ვარაუდობენ, რომ ძველი სლავური ენა ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის შუა ხანებში უნდა წარმოქმნილიყო.

სლავების შესახებ პირველი ცნობები წერილობით წყაროებში მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან გვხვდება. მანამდე ცივილიზებული სამყაროსათვის (ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი) სლავების არსებობა უცნობი იყო. პირველი ცნობები სლავების შესახებ დაცულია ბერძენ, რომაელ, არაბ და ბიზანტიელ ავტორებთან. ახ.წ.აღ. I საუკუნის რომაელი მემატიანეები **პლინიუს** უფროსი და **ტაციტუსი**, ასევე ახ.წ.აღ. II საუკუნის გეოგრაფი **პტოლემაიოსი** სლავებს იხსენიებს **ვენედების** სახელით.

ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში (ახ.წ.აღ. III-IV სს.) სლავებმა აითვისეს ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ტერიტორია.

სლავების პოლიტიკური ისტორია ახ.წ.აღ. IV საუკუნიდან იწყება. IV საუკუნეში გოთების ტომები ბალტიისპირეთიდან ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში შეიჭრნენ. გოთების ბელადი **ჰერმანარიხი** სლავებთან ბრძოლაში დამარცხდა. მალე გოთების ბელადმა **ვინიტარმა** სლავების ბელადი **ბოჟი** (ბუსი) და კიდევ 70 სლავი უხუცესი მოტყუებით შეიპყრო და დახოცა.

სლავებს შეეკახება მოუხდათ ცენტრალური აზიიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში შეჭრილ მომთაბარე ხალხებთან. IV საუკუნეში ცენტრალური აზიიდან მოსულმა **ჰუნებმა** გაანადგურეს გოთების ტომთა კავშირი და 375 წლისათვის დაიკავეს ვრცელი ტერიტორია მდინარე **ვოლგიდან** მდინარე **დუნაიმდე**. შემდეგ ჰუნები ევროპაში შეიჭრნენ და თანამედროვე საფრანგეთის საზღვრებს მიაღწიეს. დასავლეთ ევროპაში შეჭრილ ჰუნებს, როგორც ჩანს, სლავების გარკვეული რაოდენობაც ახლდა. ჰუნების მეფის **ატილას** სიკვდილის შემდეგ (453 წ.) ჰუნების სახელმწიფო დაიშალა. ჰუნებმა დასავლეთ ევროპის ტერიტორია დატოვეს.

VI საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის ბარში სახელმწიფო შექმნა აღმოსავლეთიდან მოსულმა თურქულენოვანმა ხალხმა **ავარებმა**. ავართა **ხაკანატი** ბიზანტიამ გაანადგურა 625 წელს.

VI-VIII საუკუნეებში სლავების განსახლების სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებობდა ორი სახელმწიფო — **ბულგართა სამეფო** და **ხაზართა ხაკანატი**. ბულგარებიც და ხაზარებიც აღმოსავლეთიდან მოვიდნენ. ბულგართა სამეფოს დასუსტების შემდეგ ბულგარების ნაწილი **ასპარუხის** წინამძღოლობით მდინარე დუნაის ნაპირებისაკენ დაიძრა და იქ ბალკანეთზე მცხოვრებ სლავებს შეერია. მეორე ნაწილმა, **ბატბაის** წინამძღოლობით, მდი-

ნარე ვოლგის შუაწელი დაიკავა და ახალი სახელმწიფო — **ვოლგის ბულგარეთი** — შექმნა. VII საუკუნის შუა ხანებიდან ვოლგის ბულგარეთის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით (მდინარე ვოლგის ქვემოწელი, ჩრდილო კავკასიის ბარი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი და ყირიმის ნახევარკუნძულის ნაწილი) არსებობდა **ხაზართა ხაკანატი**. ხაზართა ხაკანატს IX საუკუნის ბოლომდე ხარკს უხდიდნენ დნეპრისპირეთში მცხოვრები სლავები.

3. **აღმოსავლეთ სლავები VI-IX საუკუნეებში**. სლავების იმ ნაწილს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, **აღმოსავლეთ სლავებს** უწოდებდნენ. VI-IX საუკუნეებში აღმოსავლეთ სლავებს ეკავა უზარმაზარი ტერიტორია: **კარპატების** მთებიდან (დასავლეთ საზღვარი) მდინარე **ოკის** შუაწელამდე (აღმოსავლეთ საზღვარი), მდინარე **ნევიდან** და **ლადოგის** ტბიდან (ჩრდილოეთ საზღვარი) მდინარე **დნეპრის** შუაწელამდე (სამხრეთ საზღვარი). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ჩრდილოეთ კავკასიის ბარი, ვოლგისპირეთი და ურალისპირეთი აღმოსავლეთ სლავთა განსახლების რაიონი არ ყოფილა.

აღმოსავლეთ სლავები **ტომებად** ცხოვრობდნენ. ყოველი ტომი **თემებად** იყოფოდა. თემი წარმოადგენდა ძირითად **სახოგადოებრივ** და სამეურნეო უჯრედს. ყოველი ტომი ფლობდა გარკვეულ ტერიტორიას. რუსული მატიანე — **„გარდასულ წელთა ამბავი“** — სლავთა შემდეგ ტომებს მოიხსენიებს: **პოლიანები** (მდინარე დნეპრის შუაწელი), **სევერიანები** (მდინარეების დესნასა და როსის აუზი), **დრევლიანები** (მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირი), **დრეგოვიჩები** (მდინარეების პრიპიატისა და დასავლეთ დვინას შორის), **პოლოჩანები** (მდინარე დასავლეთ დვინას ნაპირები), **დულებები** (მდინარე ბუგის სამხრეთით), **ულიჩები** (მდინარეების დნეპრსა და პრუტს შორის), **ტივერელები** (მდინარეების დნეპრსა და სამხრეთ ბუგს შორის), **ვიატიჩები** (მდინარეების ოკასა და მოსკოვას შორის), **კრივიჩები** (მდინარე ოკას დასავლეთით), **რადიმიჩები** (მდინარე სოჟის ნაპირები), **სლოვენები** (ილმენის ტბის გარშემო).

VI-IX საუკუნეებში აღმოსავლეთ სლავებში პირველყოფილი თემური წყობილება არსებობდა მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ნიშნებით. აღმოსავლეთ სლავების ცალკეული ტომების სათავეში იდგნენ **ბელადები** (მთავრები) და **ტომის წარჩინებულები** (უხუცესთა საბჭო). უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა **სახალხო კრებაზე** (ვეჩეზე). სლავების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა **ლაშქარი**. ლაშქარს **„პოლკი“** ან **„ათასეული“** ეწოდებოდა, რომელიც „ასეულებად“ იყოფოდა. პოლკის (ათასეულის) სათავეში „ტისიაცკი“ („ათასისთავი“) იდგა. სლავებს ჰქონდათ საგანგებო სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც **„დრუჟინა“** (რაზმი) ეწოდებოდა. დრუჟინა პოლკთან შედარებით გაცილებით მცირე იყო, იგი უფრო გვარდიის როლს ასრულებდა.

მეურნეობის ძირითადი დარგები იყო **მიწათმოქმედება** და **მესაქონლეობა**. აღმოსავლეთ სლავები მისდევდნენ **მონადირეობასა** და **მეთევზეობას**. სლავებში საკმაოდ მძლავრად იყო განვითარებული **ხელოსნობა**.

აღმოსავლეთ სლავებში **წარმართული** რელიგია იყო გავრცელებული. სლავთა **წარმართული** პანთეონი მრავალღმერთიანი იყო. მთავარი ღმერთები იყვნენ: **პერუნი**, **სვაროგი**, **ველესი**, **მოკოში**, **სიმარგლი**, **დაჟდბოგი**, **იარილო**, **ხოროსი** და სხვ.

თავი II. ძველი რუსეთის სახელმწიფო (კიევის რუსეთი) (IX საუკუნის მეორე ნახევარი – XII საუკუნის დამდეგი)

1. ძველი რუსეთის სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) წარმოქმნა. აღმოსავლეთ სლავებს მრავალ ხალხთან უხდებოდათ ურთიერთობა. ისინი ძირითადად სლავთა მეზობლად ცხოვრობდნენ. მათ შორის ხშირი იყო ომები. აღმოსავლეთ სლავების ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სკანდინავიიდან მოსულმა მეომარმა ხალხებმა – ნორმანებმა, რომელთაც რუსული მატიანე „ვარიაგებს" უწოდებს. ნორმანები მთელ ევროპაში მეკობრეობდნენ. IX საუკუნეში მათ მეკობრეობა დაიწყეს ბალტიის ზღვიდან, აღმოსავლეთ სლავებით დასახლებული ტერიტორიის გავლით, შავი ზღვით – ბიზანტიისაკენ. უფრო კონკრეტულად, ნორმანები ბალტიის ზღვიდან შეცურდებოდნენ მდინარე ნევაში, ნევიდან გადადიოდნენ ლადოგის ტბაზე, ხოლო შემდეგ – მდინარე ვოლხოვიდან ილმენის ტბაზე. ილმენის ტბიდან მდინარე ლოვატით ისინი აღწევდნენ მდინარე დნეპრის ზემოწელამდე, ხოლო მდინარე დნეპრით შავ ზღვამდე და ბიზანტიის საზღვრებამდე. ცხადია, ნორმანებს გზის გარკვეულ მონაკვეთებზე თავიანთი ნავები ხმელეთზე ხელით გადაჰქონდათ. ამ გზას რუსული მატიანე უწოდებს გზას ვარიაგებიდან (ნორმანებიდან) საბერძნეთამდე (ბიზანტიამდე). ჩრდილო ევროპიდან სამხრეთ ევროპისაკენ ანუ ბალტიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ ამ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო არტერიას კონტროლს უწევდნენ აღმოსავლეთ სლავები. სწორედ ამიტომ ვარიაგებს IX საუკუნეში შეჯახებები უხდებოდათ აღმოსავლეთ სლავებთან. სამხრეთისაკენ სამეკობრეოდ დაძრული ვარიაგები ძარცვავდნენ სლავებს, ხოლო ხშირ შემთხვევაში დიდი ხნით რჩებოდნენ მათ ტერიტორიაზე.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ვარიაგების აღმოსავლეთ სლავების ტერიტორიაზე შემოჭრა და მათი განუწყვეტელი გადაადგილება ბალტიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ მიმავალ სატრანსპორტო მაგისტრალზე დაემთხვა აღმოსავლეთ სლავებში ტომთა კავშირების წარმოქმნასა და მათ შორის პირველობისათვის დაწყებულ ბრძოლას. ცხადია, ვარიაგებმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და ვითარება თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს.

რუსული მატიანის – „გარდასულ წელთა ამბის" მიხედვით, 859 წლისათვის ვარიაგებს ხარკს უხდიდნენ სლავური ტომები სლოვენები და კრივიჩები, ასევე არასლავური ტომები ჩუდელები (ესტები) და ვესები. ცხადია, ხარკის გადახდას სლავები ნებით არ იკისრებდნენ, ისინი ვარიაგებს ძალით უნდა დაემორჩილებინათ. 862 წელს სლავები აჯანყდნენ და ვარიაგები განდევნეს. ვარიაგების წასვლის შემდეგ მათი ბატონობისაგან გათავისუფლებულ სლავურ ტომებში, ასევე ჩუდებსა და ვესებში დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა, რასაც მოჰყვა გაუთავებელი ომები. შინაარსლილობის პროცესისათვის დამახასიათებელი უსამართლობითა და სისხლისღვრით თავმობეზრებულმა სლავებმა გადაწყვიტეს, ნორმანთა (ვარიაგთა) შორის მოეძებნათ ისეთი მთავარი, რომელიც ქვეყანაში წესრიგს დაამყარებდა. სლოვენებმა, კრივიჩებმა, ჩუდელებმა და ვესებმა თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს ვარიაგებთან. ვარიაგების ის ტომი, რომელთანაც სლავთა წარგზავნილები მივიდნენ, რუსის სახელს ატარებდა. რუსის ვარიაგულ ტომში სლავებმა შეარჩიეს სამი ძმა: რიურიკი, სინეუსი და ტრუვორი. 862 წელს ძმები, რუსის ვარიაგულ ტომთან ერთად სლავთა წარგზავნილებს თან გაჰყვნენ. უფროსი ძმა რიურიკი ლადოგაში დასახლდა, შუათანა ძმა სინეუსი – ბელოოზეროში, ხოლო უმცროსი ტრუვორი – იზბორსკში. რიურიკისა და მისი ძმების წინამძღოლობით მოსული რუსის ვარიაგული ტომის სახელი შემდეგში მთელ ქვეყანაზე გავრცელდა და ნორმანული (ვარიაგული) დინასტიით სათავეში აღმოსავლეთ სლავების მიერ შექმნილ სახელმწიფოსაც რუსეთი ეწოდა. 862 წელი, ანუ სლავთა ტომების მიერ რიურიკის მთავრად მოწვევა რუსეთში სახელმწიფოებრიობის დასაწყისად ითვლება. დინასტიას, რომელსაც სათავე რიურიკმა დაუდო, რიურიკოვიჩების დინასტია ეწოდა. ეს დინასტია რუსეთს 862 წლიდან 1584 წლამდე მართავდა.

864 წელს, სინეუსისა და ტრუვორის სიკვდილის შემდეგ, რიურიკმა მდინარე ვოლხოვზე ქალაქი ნოვგოროდი დააარსა და თავადაც იქ დამკვიდრდა. ამრიგად, სლავური ტომებით: სლოვენებითა და კრივიჩებით, ასევე არასლავური ტომებით (ჩუდელებით, ვესებით) დასახლებულ ტერიტორიაზე (ჩუდისა და ილმენის ტბების გარშემო ტერიტორიაზე, მდინარე ვოლხოვის აუზში) ჩამოყალიბდა სლავების ტომთა კავშირი, რომლის ცენტრი ქალაქი ნოვგოროდი

რიურიკოვიჩების დინასტია
(IX საუკუნე – XIII საუკუნის შუა ხანები)



იყო და სათავეში ედგა ვარიაგი (ნორმანი) მთავარი რიურიკი.

მთავარმა რიურიკმა თავისი მოხელეები (ნაცვლები) დასვა სხვადასხვა ქალაქში: პოლოცკში, როსტოვსა და ბელოოზეროში. რიურიკმა ბიზანტიაზე სალაშქროდ გაგზავნა ორი სარდალი (ვოევოდა) — ასკოლდი და დირი. საბოლოოდ ასკოლდი და დირი მდინარე დნეპრზე მდებარე ქალაქ კიევში დამკვიდრდნენ.

879 წელს რიურიკი გარდაიცვალა. მთავარი გახდა მისი ნათესავი ოლეგი. რიურიკმა ოლეგს ჩააბარა თავისი მცირეწლოვანი შვილი იგორი.

882 წელს ოლეგმა სამხრეთისაკენ დაიწყო ლაშქრობა. მან ვარიაგებთან და ჩუდელებთან (ესტებთან) ერთად სალაშქროდ წაიყვანა სლავებიც: სლოვენები, კრივიჩები და სხვები. ოლეგის ლაშქარი მდინარე დნეპრზე მოძრაობდა. ოლეგმა პირველად ქალაქი სმოლენსკი დაიკავა და იქ თავისი მოხელე დასვა მმართველად. სმოლენსკის შემდეგ ოლეგმა ქალაქი ლიუბეჩი აიღო და იქაც თავისი მოხელე დატოვა. იმავე 882 წელს ოლეგმა ვერაგულად დაახოცინა ასკოლდი და დირი და კიევი დაიკავა. ოლეგი ნოვგოროდში აღარ დაბრუნებულა, დედაქალაქად მან კიევი აქცია. 882 წელს ორი დიდი სლავური ცენტრის — ნოვგოროდისა და კიევის — გაერთიანებით დამთავრდა ძველი რუსეთის სახელმწიფოს წარმოქმნა. ამ სახელმწიფოს, დედაქალაქის მიხედვით, კიევის რუსეთს უწოდებდნენ. კიევის რუსეთს სათავეში დიდი მთავარი ედგა.

კიევის რუსეთის (IX საუკუნე — XII საუკუნის დამდეგი) ისტორია შეიძლება სამ პერიოდად გაიყოს: პირველი პერიოდი (IX საუკუნე — X საუკუნის შუა ხანები) ესაა კიევის რუსეთის პირველი მთავრების ხანა, როცა მიმდინარეობდა აღმოსავლეთ სლავების ცალკეული ტომების გაერთიანება კიევის გარშემო; მეორე პერიოდი (X საუკუნის მეორე ნახევარი — XI საუკუნის პირველი ნახევარი) კიევის რუსეთის აყვავების ხანაა; მესამე პერიოდი კი (XI საუკუნის მეორე ნახევარი — XII საუკუნის დამდეგი) კიევის რუსეთის ცალკეულ სამთავროებად დაშლის პერიოდია.

2. კიევის რუსეთის პირველი დიდი მთავრები. კიევის რუსეთის პირველი დიდი მთავრების დროს წარმატებით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ სლავების ტერიტორიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება.

ა) ოლეგი (882-912). ოლეგმა განაგრძო აღმოსავლეთ სლავების ცალკეული ტომების დამორჩილება. მან დაიმორჩილა და ხარკი დაადო კრივიჩებსა და დრევლიანებს. 884 წელს ოლეგმა დაამარცხა სევერიანები და მათ ხაზართა ხაკანატისათვის ხარკის გადახდა აუკრძალა. ამიერიდან სევერიანებს ხარკი ოლეგისათვის უნდა ეძლიათ. 885 წელს ოლეგმა რადიმიჩები დაიმორჩილა და მათაც შეაწყვეტინა ხაზართა ხაკანატისათვის ხარკის გადახდა. რადიმიჩებს, სევერიანების მსგავსად, ხარკი ოლეგისათვის უნდა ეძლიათ. პოლიანები, დრევლიანები, სევერიანები და რადიმიჩები ოლეგს მორჩილებდნენ, ხოლო ულიჩებისა და ტივერელების დასამორჩილებლად ბრძოლა გრძელდებოდა.

ამრიგად, უკვე ოლეგის მთავრობის პერიოდში აღმოსავლური სლავური ტომების უმრავლესობა კიევის გარშემო გაერთიანდა. სლავების ქალაქებში: ნოვგოროდში, ჩერნიგოვში, პერეიასლავში, პოლოცკში, როსტოვში, ლიუბეჩში და სხვ. ოლეგის დანიშნული ვარიაგი მთავრები ისხდნენ და ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს განაგებდნენ. მათ დასაყრდენს ნორმანების (ვარიაგების) სამხედრო ძალა წარმოადგენდა. თავად კიევის რუსეთის დიდ მთავარ ოლეგს დედაქალაქში ვარიაგთა ძლიერი დრუჟინა (რაზმი) ჰყავდა, რომელიც მისი ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა.

კიევის დიდი მთავრის დრუჟინას (რაზმს) „უფროსი დრუჟინა“ ეწოდებოდა. უფროსი დრუჟინა და სხვა წარჩინებულები, რომელთაც ბოიარები ეწოდებოდათ, იყო ის ზედაფენა, რომელიც დიდ მთავართან ერთად ქვეყანას განაგებდა. კიევის რუსეთის პირველი დიდი მთავრების დროს ეს ზედაფენა მთლიანად ვარიაგებისაგან შედგებოდა. კიევის დიდ მთავარს ასევე ჰყავდა „უმცროსი დრუჟინა“, რომელიც მხოლოდ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და ქვეყნის მართვაში არ მონაწილეობდა. ქვეყნის ცალკეულ ქალაქებში დიდი მთავრის მიერ დასმულ ადგილობრივ მთავრებსაც ჰყავდათ თავიანთი დრუჟინა (რაზმი), ასევე სამოხელეო აპარატი (მოურავები და სხვ.).

907 წელს ოლეგმა დიდი ლაშქარი შეკრიბა და ბიზანტიის წინააღმდეგ დაიძრა. ოლეგის ლაშქარში, ვარიაგებისა (ნორმანებისა) და ჩუდელების გარდა, სლავებიც (სლოვენები, კრივიჩები, დრევლიანები, რადიმიჩები, პოლიანები, სევერიანები, ვიატიჩები, დულებები, ტივერელები და სხვ.) იბრძოდნენ. ოლეგის ლაშქარი ცხენებითა და ნავებით გადაადგილდებოდა. მატიანის ცნობით, ოლეგმა ბიზანტიის დედაქალაქ

კონსტანტინეპოლზე (რუსი მემატიანე მას „ცარგრადს“ უწოდებს) სალაშქროდ 2000 ნავს მოუყარა თავი. ოლეგის ლაშქარმა ბიზანტიის ქალაქები და სოფლები გაძარცვა და კონსტანტინეპოლს მიადგა. შეშინებულმა ბიზანტიელებმა ხარკი იკისრეს და ამ გზით გადაარჩინეს დედაქალაქი. 907 წელსვე ოლეგმა ბიზანტიასთან რუსეთისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება დადო. 911 წელს ოლეგმა ბიზანტიასთან მეორე ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებაც გააფორმა.

ოლეგი 912 წელს გარდაიცვალა კიევში. ოლეგის გარდაცვალების შემდეგ კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა რიურიკის შვილი იგორი.

ბ) იგორი (912-945). კიევის რუსეთის დიდი მთავარი იგორი აგრძელებდა თავისი ძალაუფლების განმტკიცებასა და ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი სლავური ტომების დამორჩილებას. გახდა თუ არა იგორი კიევის რუსეთის დიდი მთავარი, დრევლიანები განუდგნენ და ხარკის გადახდა შეუწყვიტეს. 914 წელს იგორმა დრევლიანები დაამარცხა და კიდევ უფრო დიდი ხარკი დაადო მათ. დრევლიანების დამარცხების შემდეგ იგორმა თავისი ვოევოდა (სარდალი) სვენელდი ულიჩების დასამორჩილებლად გაგზავნა. სამწლიანი ალყის შემდეგ სვენელდმა ულიჩების მთავარი ქალაქი პერესეჩენი აიღო და ულიჩებს ხარკი დააკისრა.

941 წელს იგორმა ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ რუსებმა მარცხი იწვნიეს და კიევში დაბრუნდნენ. 944 წელს იგორმა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი შეკრიბა და კვლავ გაილაშქრა ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიის იმპერატორმა რუსებთან ომს თავი აარიდა და იმაზე მეტი ხარკი იკისრა, ვიდრე ბიზანტიელები ოლეგს უხდიდნენ. იგორი გამარჯვებული დაბრუნდა კიევში. 945 წელს კიევის რუსეთსა და ბიზანტიას შორის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო.

945 წელს იგორი დრევლიანებში ხარკის აკრეფის დროს მოკლეს.

იგორის დაღუპვის დროისათვის მისი ვაჟი სვიატოსლავი მცირეწლოვანი იყო. ამის გამო კიევის რუსეთს შვილის სრულწლოვანებამდე იგორის ქვრივი ოლგა განაგებდა.

946 წელს ოლგამ დიდი ლაშქარი შეკრიბა და სასტიკად იძია შური დრევლიანებზე. ლაშქრობაში მას თან ახლდა ტახტის მემკვიდრე სვიატოსლავიც. ოლგამ დრევლიანების მთავარი ქალაქი ისკოროსტენი გადაწვა, ხოლო უხუცესები სიკვდილით დასაჯა. დრევლიანებს უმძიმესი ხარკი დააკისრეს.

სვიატოსლავ იგორის ძე

957 წელს ოლგა კონსტანტინეპოლში ჩავიდა და ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე პორფიროგენეტს შეხვდა. ბიზანტიაში წარმართი ოლგა ქრისტიანული წესით მოინათლა და ისე დაბრუნდა კიევში. ოლგა 969 წელს გარდაიცვალა. სვიატოსლავი რომ წამოიზარდა, დამოუკიდებლად შეუდგა ქვეყნის მართვას.

გ) სვიატოსლავი (945-972). დედის ოლგას რჩევის მიუხედავად, სვიატოსლავმა ქრისტიანობა არ მიიღო, თუმცა, თავის მხრივ, გაქრისტიანებას არავის უშლიდა.

სვიატოსლავი ძალზე აქტიურად შეუდგა თავისი ძალაუფლების განმტკიცებასა და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლას. 965 წელს მან ხაზართა ხაკანატი დაამარცხა და დაიკავა ხაზართა ქალაქები სარკელი და ბელაია ვეჟა. 966 წელს მან ვიატიჩების სლავური ტომი დაიმორჩილა და ხარკი დააკისრა მათ.

967 წელს სვიატოსლავი დიდი ლაშქრით შეიჭრა დუნაისპირეთში და დაამარცხა ბულგარები. მემატიანის ცნობით, რუსთა ლაშქარმა 80 ქალაქი დაიკავა. ბიზანტიის იმპერატორმა სვიატოსლავს ხარკი გადაუხადა და ამით აიცილა ქვეყნის სიღრმეში რუსების შეჭრა. სვია-

ტოსლავი დუნაისპირეთის ქალაქ პერეიასლავეცში დამკვიდრდა და აქედან აწყობდა ლაშქრობებს სხვადასხვა მიმართულებით.

968 წელს, როდესაც სვიატოსლავი დუნაისპირეთში იმყოფებოდა, კიევის რუსეთს პაჭანიკები შემოესივნენ. პაჭანიკები თურქული მოდგმის მომთაბარე ხალხი იყო. ისინი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ. ოლგა შვილიშვილებთან იაროპოლკთან, ოლეგთან და ვლადიმირთან ერთად კიევში ჩაიკეტა. პაჭანიკების ურრცხვმა ლაშქარმა კიევს ალყა შემოარტყა. ქალაქში გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა. ოლგამ ყოველივე მომხდარი სვიატოსლავს შეატყობინა, რომელიც დაუყოვნებლივ დაბრუნდა და პაჭანიკები განდევნა რუსეთის საზღვრებიდან.

969 წელს სვიატოსლავმა თავისი ძე იაროპოლკი კიევში დასვა მთავრად, ოლეგი — დრეველიანების ქვეყანაში, ხოლო ვლადიმირი — ნოვგოროდში. თავად სვიატოსლავი კვლავ დუნაისპირეთისაკენ გაემართა. ამჯერად ბულგარებმა დიდი ლაშქარი შეკრიბეს. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. სვიატოსლავმა ბულგარები დაამარცხა და ქალაქი პერეიასლავეცი კვლავ დაიკავა.

ბულგარების დამარცხების შემდეგ სვიატოსლავი ბიზანტიისაკენ დაიძრა. რუსთა ლაშქარში სულ 10 ათასი მეომარი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა იოანე ციმისხემ 30-ათასიანი ლაშქარი შეაგება რუსებს. 970 წელს რუსები თრაკიაში შეიჭრნენ. პირველ ბრძოლაში სვიატოსლავმა დაამარცხა ბიზანტიის ლაშქარი და კონსტანტინეპოლისაკენ დაიძრა. ქალაქ ფილიპოპოლში (პლოვდივში) სვიატოსლავმა 20 ათასი ტყვე დასაჯა სიკვდილით და ამით აიძულა ბულგარები მორჩილება გამოეცხადებინათ. ქალაქ ადრიანოპოლთან ბიზანტიელთა ლაშქარმა რუსები დაამარცხა. ბიზანტიამ ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა, რადგან მცირე აზიაში ერთ-ერთმა სარდალმა იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ბიზანტიის იმპერატორმა სვიატოსლავს დიდი ხარკი მისცა და ამ გზით მოახერხა მასთან ზავის დადება.

ზავი მალე დაირღვა. ბიზანტიის იმპერატორმა აჯანყებული სარდალი დაამარცხა, 971 წელს ბალკანეთის მთები გადალახა და ბულგარეთში მყოფ სვიატოსლავის ლაშქარს შეუტია. სვიატოსლავს ბულგარელებიც აუჯანყდნენ. ბიზანტიელებთან ბრძოლაში სვიატოსლაეის ვოევოდა სვენელდი დამარცხდა. რუსებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა ქალაქ დოროსტოლთან. სვიატოსლავმა უკან დაიხია და თავისი ლაშქრით ქალაქში ჩაიკეტა. რამდენიმე დღის შემდეგ დიდმა მთავარმა თავისი შეთხელებული ლაშქარი ქალაქიდან გამოიყვანა და ბიზანტიელებს შეუტია. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გამარჯვება კვლავ ბიზანტიელებს დარჩათ. სვიატოსლავმა დიდი ზარალი ნახა და კვლავ ქალაქ დოროსტოლს შეაფარა თავი. მეორე დღეს სვიატოსლავმა ბიზანტიის იმპერატორს ელჩები გაუგზავნა და დაზავება შესთავაზა. რუსების პირობები ასეთი იყო: რუსები დატოვებდნენ ქალაქ დოროსტოლს და, საერთოდ, მთელ ბულგარეთს, გათავისუფლებდნენ ტყვეებს; სამშობლოში მიმავალ სვიატოსლავის ლაშქარს ბიზანტიელები თავს არ უნდა დასხმოდნენ; ბიზანტიელებს რუსებისათვის უნდა მიეცათ საკვები; ბიზანტიაში რუსი ვაჭრები უნდა მიელოთ ისეთივე პირობებით, რა პირობებსაც ითვალისწინებდა ადრე დადებული ხელშეკრულებები. ბიზანტიის იმპერატორმა სიხარულით მიიღო სვიატოსლავის წინადადება. 971 წელს ზავი დაიდო და რუსთა ლაშქარი სამშობლოში გაბრუნდა. 60 ათასი მეომრიდან, რომელიც სვიატოსლავმა დუნაისპირეთში სალაშქროდ წაიყვანა, სამშობლოში მხოლოდ 22 ათასი დაბრუნდა.

972 წელს კიევისაკენ მომავალი სვიატოსლავის ლაშქარი მდინარე დნეპრის ჭორომებთან ჩასაფრებულ პაჭანიკებს წააწყდა. პაჭანიკებმა რუსთა ლაშქარი გაულიტეს. ბრძოლაში დაიღუპა თვით სვიატოსლავიც.

3. **კიევის რუსეთის გაძლიერება.** X საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება კიევის რუსეთის მძლავრი აღმავლება. ეს პროცესი დაიწყო სვიატოსლავის შვილის ვლადიმირის დიდი მთავრობის დროს.

ა) **ვლადიმირი (980-1015).** (969 წელს, როგორც აღვნიშნეთ, (სვიატოსლავმა უფროსი შვილი იაროპოლკი კიევში დასვა მთავრად, ოლეგი — დრეველიანების ქვეყანაში, ხოლო ვლადიმირი — ნოვგოროდში. 972 წელს სვიატოსლავი დაიღუპა და დიდი მთავარი გახდა მისი უფროსი ძე **იაროპოლკი (972-980).**

ნოვგოროდში მყოფმა ვლადიმირმა თავისი სამფლობელოს გაფართოება დაიწყო. ვლადიმირი სვიატოსლავის კანონიერი შვილი არ იყო. დედამისი ოლგას მსახური (მონა) იყო. ვლადიმირს ნოვგოროდში თან გაჰყვა დედის ძმა დობრინია, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა

სახელმწიფო საქმეებს. დობრინიას რჩევით ილაშქრა ვლადიმირმა **პოლოცკზე**, დაამარცხა პოლოცკის ვარიაგი მთავარი **როგვოლდი** და ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი **როგნედა**.

975 წელს დიდ მთავარ იაროპოლკს უთანხმოება მოუვიდა თავის ძმასთან — ოლეგთან. 977 წელს იაროპოლკმა ოლეგის წინააღმდეგ ილაშქრა. ოლეგი ბრძოლაში დაიღუპა. დრევლიანების ტერიტორია იაროპოლკმა შეიერთა. ოლეგის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, ვლადიმირი ნორმანებთან (ვარიაგებთან) გაიქცა და იქ შეაფარა თავი. იაროპოლკმა ნოვგოროდი დაიკავა და იქ თავისი პოსადნიკები (მოურავები) დასვა მმართველებად.

980 წელს ვლადიმირი ვარიაგების ლაშქრის თანხლებით ნოვგოროდში დაბრუნდა და იმავე წელს კიევზე გაილაშქრა. იაროპოლკს უღალატა მისმა ვოევოდამ ბლუდმა. შეშინებული იაროპოლკი კიევიდან გაიქცა, ვლადიმირი კიევში შევიდა. ბლუდის დახმარებით ვლადიმირმა ერთ-ერთ ქალაქში გამაგრებული იაროპოლკი მოსალაპარაკებლად მიიწვია და ვარიაგებს მოაკვლევინა. კიევის რუსეთის დიდი მთავარი **ვლადიმირი** გახდა.

ვლადიმირმა კიევში ბორცვზე ააღმართვინა წარმართი ღმერთების **პერუნის, ხორსის, დაჟდბოგის, სტრიბოგის, სიმარგლისა** და **მოკოშის** კერპები. მაგრამ ვლადიმირის გატაცება წარმართული რელიგიით დიდხანს არ გაგრძელებულა. 986 წლიდან მთავარი ცდილობდა გარკვეულიყო, რომელი რელიგია მიეღო: **ისლამი, კათოლიკობა, იუდაიზმი** თუ **მართლმადიდებლობა**. 987 წელს ვლადიმირმა რელიგიის არჩევის საკითხი თავისი ბოიარების წინაშეც კი დასვა. რელიგიის არჩევისას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ვლადიმირის დიდედა ოლგა კონსტანტინეპოლში ჩავიდა და გაქრისტიანდა. ვლადიმირს ქრისტიანობის მიღება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა 988 წელს კიევის რუსეთსა და ბიზანტიას შორის ომი დაიწყო. ომის მიზეზი შემდეგი იყო: ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ აჯანყებული სარდლის ბარდა ფოკას წინააღმდეგ დახმარება კიევის დიდ მთავარს ვლადიმირს სთხოვა (ბარდა ფოკას მხარს უჭერდა დავით III კურაპალატი). დახმარების სანაცვლოდ ვლადიმირმა იმპერატორს მისი და **ანა** სთხოვა ცოლად. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ქორწინების აუცილებელ პირობად ვლადიმირს გაქრისტიანება წაუყენა. ვლადიმირი დათანხმდა და რუსთა ლაშქარი ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა. დახმარების მიუხედავად ბასილ II-მ ვლადიმირს დის მითხოვებაზე უარი უთხრა. განრისხებულმა ვლადიმირმა 988 წელს ქალაქ **კორსუნს** (ხერსონესს), ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოების მთავარ ქალაქს ალყა შემოარტყა და მალე აიღო კიდეც. ბიზანტიამ კიევის რუსეთთან ომს ვლადიმირისათვის ანას მითხოვება არჩია, ოღონდ იმ პირობით, თუ ვლადიმირი გაქრისტიანდებოდა. 988 წელს ვლადიმირმა **მართლმადიდებლობა** მიიღო. ვლადიმირი ქალაქ კორსუნში (ხერსონესში) მოინათლა. ქრისტიანობა კიევის რუსეთის **სახელმწიფო** რელიგიად გამოცხადდა.

ბიზანტიის იმპერატორმა პირობა ამჯერადაც დაარღვია და ანას კიევში გაგზავნისაგან თავი შეიკავა. ამის საპასუხოდ 989 წელს ვლადიმირმა კვლავ ილაშქრა **კორსუნზე** (ხერსონესზე) და ხანგრძლივი ალყის შემდეგ 990 წელს ქალაქი აიღო. იმავე წელს ბიზანტიის იმპერატორი იძულებული გახდა ანა რუსეთში გაეგზავნა. 990 წელს, ვლადიმირისა და ანას ქორწილის შემდეგ, კიეველები მდინარე დნეპრში მონათლეს.

ვლადიმირს ექვსი ცოლისაგან თორმეტი ვაჟი ჰყავდა. ყოველ მათგანს მამამ საუფლისწულო მამული გამოუყო და სხვადასხვა ქალაქში დასვა მთავრებად.

ვლადიმირის დროს კიევის რუსეთში ბევრი ქალაქი დაარსდა. ქალაქები შენდებოდა ქვეყნის ყველა მხარეში.

დიდი მშენებლობა მიმდინარეობდა კიევში. აქ ვლადიმირმა ააგო **ღვთისმშობლის ეკლესია**, რომელსაც დიდი ქონება შესწირა. ვლადიმირის დროს დაწესდა საეკლესიო გადასახადი — **მეათედი** (მთელი შემოსავლის მეათედი მოსახლეობას ეკლესიისათვის უნდა გადაეხადა). ვლადიმირმა კიევში დააარსა **რუსეთის მიტროპოლიტის კათედრა**. მალე რამდენიმე ქალაქში დაარსდა **საეპისკოპოსო კათედრები**. მოგვიანებით, XI საუკუნის პირველ ნახევარში, აღმოცენდა **კიევ-პეჩორის** სამონასტრო კომპლექსი.

ვლადიმირის დროს გრძელდებოდა **პაჭანიკების** თავდასხმები კიევის რუსეთზე. ვლადიმირმა პაჭანიკების წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ისე დამარცხდა, რომ ტყვედ ჩავარდნას შემთხვევით გადაურჩა. ვლადიმირს ომი ჰქონდა **პოლონეთთანაც**.

პაჭანიკების შემოსევები სულ უფრო გახშირდა. 1015 წელს უკვე ავადმყოფმა ვლადიმირმა პაჭანიკების წინააღმდეგ თავისი შვილი

ბორისი გაგზავნა. იმავე 1015 წელს ვლადიმირი გარდაიცვალა. ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ კიევის დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლა გამწვავდა.

ბ) სვიატოპოლკ I იაროპოლკის ძე (1015-1016, 1018-1019). მას შემდეგ, რაც ვლადიმირმა თავისი ძმა იაროპოლკი მოკლა, ცოლად შეირთო მისი ქვრივი. იაროპოლკის ქვრივი ბერძენი იყო. ქმრის სიკვდილის დროისათვის იგი ფეხმძიმედ იყო და მალე შეეძინა კიდეც ვაჟი, რომელსაც **სვიატოპოლკი** დაარქვეს. ვლადიმირს თავისი გერი არ უყვარდა. 988 წელს მან სვიატოპოლკი ქალაქ **ტუროვში** დასვა უფლისწულ მთავრად. პოლონეთის მეფემ **ბოლესლავ მამაცმა** გადაწყვიტა სვიატოპოლკი თავისი მიზნებისათვის გამოიყენებინა. მან სვიატოპოლკს ცოლად შერთო თავისი ასული. ქალაქ ტუროვში, სვიატოპოლკის კარზე, პოლონელთა გავლენა თანდათან იზრდებოდა. ბოლესლავ მამაცი ცდილობდა სვიატოპოლკი კიევის დიდი მთავრის ვლადიმირის წინააღმდეგ აეჯანყებინა. ვლადიმირმა პოლონელთა გეგმები შეიტყო და სვიატოპოლკი ცოლთან ერთად ციხეში ჩასვა. 1013 წელს ბოლესლავ მამაცმა მიაღწია იმას, რომ ვლადიმირს სვიატოპოლკი ცოლთან ერთად ციხიდან გაათავისუფლებინა. ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ სვიატოპოლკმა ყველას დასწრო, კიევი დაიკავა და თავი დიდ მთავრად გამოაცხადა.

იაროსლავ ბრძენი

სვიატოპოლკი კარგად ხედავდა, რომ მას დიდი მთავრის ტახტზე ბევრი მეტოქე ჰყავდა და გადაწყვიტა მათი თავიდან მოცილება. 1016 წელს მან ვერაგულად დაახოცვინა ვლადიმირის შვილები **ბორისი** და **გლები**. იმავე 1016 წელს სვიატოპოლკი პაჭანიკების დახმარებით ნოვგოროდიდან მის წინააღმდეგ დაძრულ ვლადიმირის კიდევ ერთ შვილს — **იაროსლავს** შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და პოლონეთში გაიქცა. 1016 წელს იაროსლავი კიევში შევიდა და თავი დიდ მთავრად გამოაცხადა. 1018 წელს ბოლესლავ მამაცმა და სვიატოპოლკმა შეძლეს იაროსლავის დამარცხება. სვიატოპოლკმა კიევი დაიკავა და თავი ისევ დიდ მთავრად გამოაცხადა. ფაქტობრივად, 1018 წლიდან, კიევის რუსეთს **ბოლესლავ მამაცი** განაგებდა. დამარცხებულმა იაროსლავმა ვარიაგების (ნორმანების) ლაშქარი დაიხმარა და 1019 წელს სვიატოპოლკი სასტიკად დაამარცხა. სვიატოპოლკი პოლონეთში გაიქცა და მალე გარდაიცვალა. კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა ვლადიმირის ვაჟი ვარიაგი მთავრის როგვოლდის ქალიშვილის როგნედასაგან — **იაროსლავი**, რომელიც ისტორიაში **ბრძენის** სახელითაა ცნობილი.

გ) იაროსლავ ბრძენი (1016-1018, 1019-1054). იაროსლავ ბრძენის დროს კიევის რუსეთმა ძლიერების ზენიტს მიაღწია.

იაროსლავ ბრძენმა ილაშქრა ბალტიისპირეთში და 1030 წელს ჩუდის ტბის ახლოს დაარსა ქალაქი **იურიევი** (ტარტუ). ამ ლაშქრობის შედეგად რუსების პოზიციები ბალტიისპირეთში საგრძნობლად განმტკიცდა.

1036 წელს იაროსლავ ბრძენმა კიევთან სასტიკად დაამარცხა **პაჭანიკები**. ამ მარცხის შემდეგ პაჭანიკებმა უკან დაიხიეს და კიევზე ლაშქრობას ველარ ბედავდნენ.

იაროსლავ ბრძენის დროს კიევი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად იქცა. ერთი ცნობის მიხედვით, კიევში 400 ეკლესია და 8 ბაზარი იყო. პაჭანიკების დამარცხების ადგილზე 1037 წელს იაროსლავ ბრძენმა დაიწყო **წმინდა სოფიის ტაძრის** მშენებლობა. მანვე ააგებინა კიევის ოქროს კარიბჭე — დედაქალაქის მთავარი შესასვლელი. იაროსლავ ბრძენის დროს დაიწყო დიდი მთარგმნელობითი საქმი-

ანობა. ბევრი წიგნი ითარგმნა ბერძნულიდან რუსულ ენაზე.

იაროსლავ ბრძენმა მიაღწია იმას, რომ კიევის რუსეთის მიტროპოლიტად რუსი **ილარიონი** დანიშნა. ცხადია, ეს რუსეთის ეკლესიაზე ბიზანტიის გავლენის შესუსტებად აღიქმებოდა.

იაროსლავ ბრძენის დროს ამაღლდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. თავად იაროსლავი **შვეციის** მეფის ასულზე იყო დაქორწინებული, ხოლო იაროსლავის ქალიშვილები ცოლად ჰყავდათ **საფრანგეთის, უნგრეთისა** და **ნორვეგიის** მეფეებს. **პოლონეთის** მეფეს იაროსლავის და ჰყავდა ცოლად, ხოლო იაროსლავის შვილიშვილი **გერმანიის** იმპერატორს მისთხოვდა. იაროსლავის ვაჟი ვსევოლოდი დაქორწინებული იყო ბიზანტიის იმპერატორის **კონსტანტინე მონომახის** ასულზე.

4. კიევის რუსეთის სოციალური და ეკონომიკური წყობა. კიევის რუსეთში მეურნეობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას **„ვოტჩინა“** (მამისეული მამული) წარმოადგენდა. ვოტჩინა მამიდან შვილზე გადადიოდა. ვოტჩინას ფლობდნენ **მთავრები** და ბოიარები. მთავრებთან ერთად ბოიარები შეადგენდნენ პრივილეგირებულ ზედაფენას. მთავრები მთლიანად ვარიაგული (ნორმანული) წარმოშობისა იყვნენ. ბოიარების აბსოლუტური უმრავლესობა ასევე ვარიაგული წარმოშობის იყო. მიწების უდიდესი ნაწილი მთავრებსა და ბოიარებს ეკუთვნოდათ. მიწების ნაწილი ჯერ კიდევ თავისუფალი **მეთემე სმერდების** (გლეხების) კუთვნილებას შეადგენდა. სმერდები ცხოვრობდნენ როგორც მთავრებისა და ბოიარების მამულებში (ვოტჩინებში), ისე თემებში. ვოტჩინებში მცხოვრები სმერდები გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე თემებში მცხოვრებნი. თავისუფალი სმერდის დაკაბალების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ვალის („კუპას“) გადაუხდელობის შემთხვევაში სმერდის გადაქცევა დამოკიდებულ (დაკაბალებულ) ადამიანად – **„ზაკუპად“**. მთავრებისა და ბოიარების ვოტჩინებში **სმერდებისა** და **ზაკუპების** გარდა მონებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც **„ხოლოპებსა“** და **„ჩელიადებს“** უწოდებდნენ. მონები ძირითადად ომების დროს ტყვედ წაყვანილი ადამიანები იყვნენ. მონად შეიძლება გაღატაკებული სმერდიც ქცეულიყო. მონის არსებობა კიევის რუსეთში იმას არ ნიშნავდა, რომ ქვეყანაში მონათმფლობელური წყობილება არსებობდა. კიევის რუსეთში უმთავრეს მწარმოებელ ძალას სმერდები (გლეხები) შეადგენდნენ და არა ხოლოპები (მონები). IX-XI საუკუნეებში კიევის რუსეთში მიმდინარეობდა **პირველყოფილი თემური წყობილების** რღვევა და **ფეოდალური ურთიერთობის** ჩასახვა.

კიევის რუსეთში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვასა და დამკვიდრებაზე ცხადად მიუთითებს უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ძეგლი **„რუსკაია პრავდა“** („რუსული სამართალი“), რომელიც XI საუკუნეში, იაროსლავ ბრძენის მთავრობის დროს იქნა შემუშავებული. მოგვიანებით „რუსკაია პრავდა“ შეავსეს იაროსლავ ბრძენის მემკვიდრეებმა. მას **„იაროსლავიჩების პრავდა“** („იაროსლავის ძეების სამართალი“) ეწოდება. „რუსკაია პრავდას“ შინაარსი გვარწმუნებს, რომ რუსეთის მოსახლეობა რამდენიმე სოციალურ ფენადაა დაშლილი და ქონებრივი დიფერენციაც უკვე აშკარაა.

5. კიევის რუსეთის დაშლა სამთავროებად. იაროსლავ ბრძენს ოთხი ვაჟი ჰყავდა: **ვლადიმირი** (გარდაიცვალა 1032 წელს), იზიასლავი (დიდი მთავარი 1054-1068, 1069-1073, 1076-1078 წლებში), **სვიატოსლავი** (დიდი მთავარი 1073-1076 წლებში) და **ვსევოლოდი** (დიდი მთავარი 1077, 1078-1093 წლებში). იაროსლავ ბრძენის გარდაცვალების შემდეგ, 1054 წელს კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა **იზიასლავ I იაროსლავის ძე**. მამის ანდერძის მიხედვით, ძმებს თანხმობით უნდა ემართათ ქვეყანა და დამორჩილებოდნენ უფროს ძმას იზიასლავს. რაც შეეხება დიდი მთავრის ტახტს, იგი უფროსი ძმიდან მომდევნო ძმაზე უნდა გადასულიყო. მემკვიდრეობის ასეთმა წესმა იაროსლავ ბრძენის შვილები კი არ შეაკავშირა, არამედ ერთმანეთთან დააპირისპირა. თავდაპირველად ძმები თანხმობით მოქმედებდნენ. 1067 წელს მათ ერთად დაამარცხეს პოლოცკის ურჩი მთავარი **ვსესლავი**. ვსესლავი იზიასლავმა შეიპყრო და ციხეში გამოკეტა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის ბარსა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ **ყივჩაღები**. ყივჩაღები მომთაბარეები იყვნენ. მათმა განუწყვეტელმა შემოსევებმა დიდი ზიანი მოუტანა კიევის რუსეთს.

1068 წელს კიევის რუსეთს ყივჩაღები შეესივნენ. **იზიასლავ** I და მისი ძმები **სვიატოსლავი** და **ვსევოლოდი** ერთობლივი ძალებით შეეგებნენ მტერს, მაგრამ დამარცხდნენ. იზიასლავმა და ვსევოლოდმა კიევს შეაფარეს თავი, სვიატოსლავმა – ჩერნიგოვს. ყივჩაღებმა ქვეყნის აწიოკება დაიწყეს.

კიევში ხალხის მღელვარება დაიწყო. ვეჩეზე შეკრებილი კიეველები დიდ მთავარს ყივჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღსა და ცხენებს სთხოვდნენ. იზიასლავმა იარაღისა და ცხენების მიცემაზე უარი განაცხადა. კიევში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ციხეში მყოფი პოლოცკის მთავარი **ვსესლავი** გაათავისუფლეს და იგი დიდ მთავრად გამოაცხადეს. იზიასლავ I და მისი ძმა ვსევოლოდი კიევიდან გაიქცნენ. 1069 წელს პოლონეთის მეფის **ბოლესლავ II-ის** დახმარებით იზიასლავ I-მა ვსესლავი დაამარცხა, კიევში შევიდა და მეორედ გახდა დიდი მთავარი.

1073 წელს იაროსლავის ძეთა შორის ბრძოლა დაიწყო. ძმებმა იზიასლავ I ტახტიდან ჩამოაგდეს. კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა **სვიატოსლავ II იაროსლავის ძე**. 1076 წელს სვიატოსლავ II გარდაიცვალა და კიევის რუსეთის დიდი მთავარი გახდა **ვსევოლოდ I იაროსლავის ძე**. იმავე წელს იზიასლავ I პოლონეთის ჯარით ვსევოლოდის წინააღმდეგ დაიძრა. ვსევოლოდ I-მა ბრძოლას თავი აარიდა და დიდი მთავრის ტახტი იზიასლავ I-ს დაუთმო. 1078 წელს იზიასლავ I ქვეყანაში დაწყებულ შინააშლილობას შეეწირა. 1078 წელს კიევის რუსეთის დიდი მთავარი მეორედ გახდა **ვსევოლოდ I**, რომელიც დიდი მთავარი იყო გარდაცვალებამდე (1093 წლამდე).

1093 წელს, ვსევოლოდის გარდაცვალების შემდეგ, კიევის რუსეთის დიდი მთავრის ტახტზე ავიდა რიურიკოვიჩების დინასტიის უფროსი წარმომადგენელი — იაროსლავ ბრძენის შვილიშვილი, იზიასლავ I-ის შვილი **სვიატოპოლკ II (1093-1113)**. სვიატოპოლკ II ვერც ყივჩაღებს გაუმკლავდა და ვერც მთავართა შორის ბრძოლას მოუღო ბოლო.

6. ვლადიმირ მონომახი (1113-1125). კიევის რუსეთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იაროსლავ ბრძენის შვილიშვილი, ვსევოლოდ I-ის შვილი **ვლადიმირ მონომახი**. იგი 1094-1113 წლებში **პერეიასლავის** მთავარი იყო. ვლადიმირ მონომახის ინიციატივით, 1097 წელს რუსი მთავრები ქალაქ **ლიუბეჩში** შეიკრიბნენ. ლიუბეჩის ყრილობის მიზანი შინაომების აღკვეთა იყო. ლიუბეჩში მთავრები შეთანხმდნენ, რომ ყველა თავისი მამულით დაკმაყოფილებულიყო. მიუხედავად ამისა, შინაომები მაინც გრძელდებოდა.

1113 წელს კიევის რუსეთის დიდი მთავარი სვიატოპოლკ II გარდაიცვალა. კიევში მაშინვე აჯანყება დაიწყო. კიეველმა ბოიარებმა დიდი მთავრის ტახტზე **ვლადიმირ მონომახი** მოიწვიეს. კიევში ვლადიმირ მონომახი ძლიერი რაზმით შევიდა. იგი იძულებული გახდა აჯანყებული კიეველებისთვის ზოგიერთი შეღავათი მიეცა.

ვლადიმირ მონომახმა ჯერ კიდევ დიდი მთავრის ტახტზე ასვლამდე გამოიჩინა თავი ყივჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1093 და 1111 წელს ვლადიმირ მონომახის ინიციატივით რუსი მთავრების გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ყივჩაღები. ვლადიმირ მონომახი ცდილობდა აღეკვეთა თავგასული მთავრების პარპაში, რაც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას.

კიევის რუსეთის დიდი მთავრის ტახტზე ასვლის შემდეგ ვლადიმირ მონომახმა შეძლო ურჩი მთავრების დასჯა და ქვეყნის გაერთიანება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყივჩაღების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

ვლადიმირ მონომახმა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა კიევის რუსეთის დაშლის თავიდან აცილება. ქვეყნის ერთიანობა შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ ვლადიმირ მონომახის შვილის, კიევის რუსეთის დიდი მთავრის **მსტისლავ I-ის (1125-1132)** დროს. 1127 წელს მსტისლავ I-მა, სხვა რუს მთავრებთან ერთად, კიდევ ერთხელ შეძლო ყივჩაღების დამარცხება.

მსტისლავ I-ის სიკვდილის შემდეგ, კიევის რუსეთი ცალკეულ სამთავროებად დაიშალა.

თავი III. რუსული სამთავროები XII-XIII საუკუნეებში

1. კიევის რუსეთის დაშლის მიზეზები. როგორც უკვე ითქვა, ძველი რუსეთის (კიევის რუსეთის) სახელმწიფო სამთავროების გაერთიანებას წარმოადგენდა. ქვეყნის სათავეში იდგა **დიდი მთავარი** რიურიკოვიჩების დინასტიიდან, ხოლო ცალკეულ სამთავროებს განაგებდნენ **უფლისწული მთავრები**, ანუ დიდი მთავრის ოჯახის წევრები, ძირითადად შვილები და შვილიშვილები (უფლისწულები). დიდი მთავრის ხელისუფლების დასუსტებასა და კიევის რუსეთის დაშლასთან ერთად მიმდინარეობდა ცალკეული სამთავროების დაშლა გაცილებით წვრილ სამთავროებად. XII საუკუნის შუა ხანებისათვის კიევის რუსეთის ტერიტორიაზე უკვე 15 სამთავრო არსებობდა, XIII საუკუნის დამდეგისათვის – 50, ხოლო XIV საუკუნეში – 250.

ძველი რუსეთის (კიევის რუსეთის) სახელმწიფოს დაშლა ერთმა უმთავრესმა მიზეზმა განაპირობა. კიევის რუსეთის სახელმწიფო წარმოიქმნა ორი ცენტრის – ნოვგოროდისა და კიევის – გაერთიანების შედეგად. **ამ გაერთიანებას დაპყრობითი ხასიათი ჰქონდა.** კიევის რუსეთის პირველი მთავრები (ოლეგი, იგორი, სვიატოსლავი) იარაღის ძალით იმორჩილებდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე გაფანტულ სლავურ ტომებს. დამორჩილებული სლავური ტომები სახელმწიფოს ცენტრს, კიევს ხარკს (გადასახადს) უხდიდნენ და თუ დროს იხელთებდნენ, ხარკზეც უარს ამბობდნენ, რასაც ცენტრიდან ისევ ძალის გამოყენება მოსდევდა. ასე რომ, **სლავური ტომები არც კიევს და არც ერთმანეთს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობით არ დაკავშირებიან.** კიევის რუსეთის ყველა რეგიონი (სამხრეთი, ჩრდილოეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი) თავისი ეკონომიკური ცხოვრებით ცხოვრობდა და კიევთან კავშირი არ სჭირდებოდა. ყოველი ცალკეული რეგიონი თავისთავად წარმოადგენდა მდიდარი რესურსების მქონე უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც ყოველმხრივ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს. რეგიონს მეზობელ რეგიონთანაც კი არ ჭირდებოდა კავშირი, მით უმეტეს, არ სჭირდებოდა კავშირი შორეულ კიევთან. უფრო მეტიც, ერთი დიდი რეგიონი თავისთავად იყოფოდა რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან თითოეული თითქმის დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. კიევის რუსეთში აღმოცენებული ქალაქები ცალკეული სამთავროების ეკონომიკურ ცენტრებად იქცნენ. ამ ქალაქებმა მალე **პოლიტიკური ცენტრის** მნიშვნელობაც შეიძინეს. სამთავროების ეკონომიკური წინსვლის ფონზე, სულ უფრო ძლიერდებოდა ცალკეული სამთავროების მისწრაფება პოლიტიკური განკერძოებისაკენ, რასაც კიევი ვეღარ უწევდა წინააღმდეგობას. ეს გასაგებიცაა, რადგან კიევის რუსეთის დიდ მთავარს ერთ ან რამდენიმე პროვინციულ ქალაქთან კი არ უხდებოდა დაპირისპირება, არამედ რამდენიმე ათეულ სამთავროსა და მაღალგანვითარებულ ქალაქთან. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ძველი რუსეთის სამხრეთი (კიევი და მისი შემოგარენი) გააჩანაგა ჯერ პაჭანიკების, ხოლო შემდეგ ყიჩაღების შემოსევებმა. მომთაბარეთა შემოსევების შედეგად მთელი რიგი რაიონები გაუკაცრიელდა, დაეცა საქალაქო ცხოვრება. სამხრეთი რეგიონის დაქვეითების ფონზე სულ უფრო ძლიერდებოდა და აღმავლობას განიცდიდა ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონები, რომლებიც დაცული იყო მომთაბარეებისაგან.

ამრიგად, ძველი რუსეთის (კიევის რუსეთის) სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლა განაპირობა, **პირველი:** კიევის რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა ცალკეული სლავური ტომების

სუზდალი. ამაღლების ეკლესია

იური დოლგორუკი

ზედაპირულ გაერთიანებას; **მეორე**: კიევის რუსეთი ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს არ წარმოადგენდა; **მესამე**: მომთაბარეთა (პაჭანიკების, ყივჩაღების) შემოსევებმა გააჩანაგა კიევის რუსეთის სამხრეთი (კიევის შემოგარენი) და ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგა კიევს; **მეოთხე**: კიევის რუსეთის ცალკეული რეგიონებისა (ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და ა.შ.) და სამთავროების დამოუკიდებელ ეკონომიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბებასა და წინსვლას, გარკვეულ ეტაპზე, პოლიტიკური განკერძოებისაკენ მისწრაფებაც მოჰყვა.

2. **ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო**. ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში ჩამოყალიბდა **როსტოვ-სუზდალის სამთავრო**, რომელსაც მოგვიანებით **ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო** ეწოდა. ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო მდებარეობდა მდინარე **ვოლგასა** და **ოკას** შორის. XII საუკუნის დამდეგისათვის აქ მძლავრად განვითარებული სამეწათმოქმედო ცენტრი არსებობდა. ჩრდილო-დასავლეთ რუსეთი არ განიცდიდა მომთაბარეების (პაჭანიკების, ყივჩაღების) თავდასხმას, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის აღმავლობას. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ტერიტორიაზე იზრდებოდა და ვითარდებოდა ადრე დაარსებული ქალაქები: **როსტოვი, სუზდალი, ვლადიმირი, იაროსლავლი**. ამ ქალაქების ზრდასთან ერთად აღმოცენდა ახალი ქალაქები: **დმიტროვი, იურიევ-პოლსკი, ზვენიგოროდი, პერეიასლავ-ზალესკი, კოსტრომა, მოსკოვი** და სხვ. 1121 წელს იქ, სადაც მდინარე ოკა მდინარე ვოლგაში ჩაედინება, დაარსდა ქალაქი **ნიჟნი-ნოვგოროდი**, რომელიც მალე აღმოსავლეთში რუსეთის საყრდენად და დიდ სავაჭრო ცენტრად იქცა. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს დაწინაურებასა და კიევიდან ჩამოშორებას დიდად შეუწყო ხელი სამთავროს ტერიტორიაზე გამავალმა მნიშვნელოვანმა **სავაჭრო გზებმა**. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე ვოლგაზე გამავალ სავაჭრო გზას, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. გარდა ამისა, ვოლგის ზემოწელითა და სხვა დიდი და პატარა მდინარეებით შეიძლებოდა ნოვგოროდამდე მიღწევა და შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობა.

ა) **იური დოლგორუკი (1125-1157)**. ვლადიმირ-სუზდალის (როსტოვ-სუზდალის) სამთავროს ცენტრი იყო ქალაქი **სუზდალი**. აქ მთავრობდა ვლადიმირ მონომახის მეექვსე შვილი **იური**. იური ყოველნაირად ცდილობდა სამთავროს საზღვრების გაფართოებასა და კიევის დამორჩილებას. ამის გამო იურიმ მიიღო ზედწოდება „**დოლგორუკი**" (გრძელხელება).

იური დოლგორუკმა მოახერხა კიევის ხელში ჩაგდება და **დიდი მთავრის** ტიტულს დაეუფლა.

ანდრეი ბოგოლიუბსკი

იური დოლგორუკი აქტიურ პოლიტიკას ატარებდა ქვეყნის ჩრდილოეთშიც. მისი გავლენის სფეროში მოექცა **დიდი ნოვგოროდი**. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს გავლენას დაექვემდებარა ქალაქები **რიაზანი** და **მურომი**.

იური დოლგორუკი ეწეოდა დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მისი მთავრობის დროს, 1147 წელს, მატიანეში პირველად იხსენიება **მოსკოვი**. მოსკოვი იური დოლგორუკმა ბოიარ კუჩკას წაართვა. 1147 წლის 4 აპრილს მოსკოვში იური დოლგორუკმა მოლაპარაკება გამართა ჩერნიგოვის მთავარ სვიატოსლავთან.

ბ) **ანდრეი ბოგოლიუბსკი (1157-1174)**. მამისაგან განსხვავებით, იური დოლგორუკის შვილმა **ანდრეიმ** ცხადად გააცნობიერა, რომ კიევი სამუდამოდ კარგავდა რუსეთის ცენტრის მნიშვნელობას. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, 1155 წელს, ანდრეი კიევიდან გაიქცა. მან თან წაიღო ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი და **ვლადიმირ-სუზდალის (როსტოვ-სუზდალის) სამთავროში** დამკვიდრდა. კიევიდან გაქცეულ ანდრეის აქტიურად დაუჭირეს მხარი ადგილობრივმა ბოიარებმა. იური დოლგორუკი შეეცადა ანდრეის კიევში დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. არც მამის სიკვდილამდე (1157 წლამდე) და არც შემდეგ ანდრეი კიევში აღარ დაბრუნებულა.

ანდრეი იურის ძემ სამთავროს დედაქალაქი როსტოვიდან მდინარე **კლიაზმაზე** მდებარე პატარა ქალაქ **ვლადიმირში** გადაიტანა. ვლადიმირის ახლოს მან ააგო თავისი რეზიდენცია **ბოგოლიუბოვო**. ანდრეიმ თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი სწორედ აქ გაატარა. მთავრის რეზიდენციის სახელწოდებიდან მომდინარეობს ანდრეის ზედწოდება „**ბოგოლიუბსკი**".

ანდრეი ბოგოლიუბსკი მკაცრი და თვითნება მმართველი იყო. მან ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში მამულები არ მისცა თავის ძმებს. 1162 წელს კი დედინაცვალი, იური დოლგორუკის მეორე ცოლი, ბიზანტიელი პრინცესა, თავის შვილებთან, **მსტისლავთან, ვასილკოსთან** და **ვსევოლოდთან** ერთად, საერთოდ გააძევა სამთავროდან. შემდეგ კი ანდრეიმ სამთავროდან გააძევა ბიძაშვილებიც. ტრადიციულად, კიევის რუსეთში დიდი მთავარი სახელმწიფო საქმეებზე ბოიარებს ეთათბირებოდა. ანდრეი ბოგოლიუბსკი ბოიარებს ანგარიშს არ უწევდა. ურჩი ბოიარების ნაწილი მან სამთავროდან გააძევა, ნაწილი ციხეში ჩასვა.

ანდრეი ბოგოლიუბსკი იყო პირველი დიდი რუსი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში საფუძველი ჩაუყარა **ახალ რუსულ სახელმწიფოს**. იურიდიულად ერთი პოლიტიკური ცენტრის არარსებობის პირობებში, ანდრეი ბოგოლიუბსკი ცდილობდა საერთო-რუსული პოლიტიკის გატარებას, რუსული მიწების გაერთიანებას. 1169 წლიდან ანდრეი ბოგოლიუბსკი ატარებდა **ვლადიმირის დიდი მთავრის** ტიტულს. ამ ტიტულს შემდეგში ვლადიმირ-სუზდალის მთავრები ფლობდნენ.

1164 წელს ანდრეი ბოგოლიუბსკიმ მურომის მთავართან ერთად სასტიკად დაამარცხა მდინარე კამის ნაპირზე მცხოვრები **ბულგარები**/ და გადაწვა მათი ქალაქები.

ანდრეი ბოგოლიუბსკი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა დაეკნინებინა **კიევის**, როგორც პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა და მის ნაცვლად ცენტრად **ვლადიმირი** ექცია. 1169 წელს ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილმა **მსტისლავმა**, მამის დავალებით, კიევი აიღო და სასტიკად გაძარცვა. ამავე დროს ანდრეი ბოგოლიუბსკი ცდილობდა ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს გავლენის ქვეშ მოექცია **დიდი ნოვგოროდი**. ნოვგოროდელები არ ცნობდნენ ანდრეი ბოგოლიუბსკის უზენაესობას. 1169 წელს ანდრეი ბოგოლიუბსკიმ ნოვგოროდის დასამორჩილებლად თავისი შვილის **მსტისლავის** სარდლობით დიდი ჯარი გაგზავნა. მართალია, მსტისლავმა ქალაქი ვერ აიღო, მაგრამ შეშინებულმა ნოვგოროდელებმა თანხმობა განაცხადეს მთავრად დაესვათ ანდრეი ბოგოლიუბსკისათვის სასურველი კანდიდატი. 1171 წელს ანდრეი ბოგოლიუბსკის ინიციატივით **პოლოცკის, ტუროვის, პინსკის, გროდნოს, რიაზანის, ჩერნიგოვის, სევერსკის, სმოლენსკისა** და **პერეიასლავლის** მთავრების გაერთიანებულმა ლაშქარმა კიევის დაკავება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ანდრეი ბოგოლიუბსკიმ კიევში მისთვის სასურველი მთავრის დასმა ვერ შეძლო.

ანდრეი ბოგოლიუბსკის სისასტიკეს ბოლო არ უჩანდა. მთავარმა სიკვდილით დასაჯა ცოლის ნათესავები **კუჩკას გვარიდან**. ცოცხლად გადარჩენილმა **იაკიმ კუჩკამ** ანდრეი ბოგოლიუბსკის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მთავრის შინამოსამსახურეები, მათ შორის იყო ერთი ოსი, სახელად **ანბალი** და კიდევ ერთი უცხოელი, ვინმე **ეფრემ მოიზიჩი**. 1174 წელს შეთქმულებმა ბოგოლიუბოვოში მოკლეს ანდრეი იურის ძე. ანდრეი ბოგოლიუბსკის მკვლელობის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილი **იური ყივჩაღებთან** გახიზნეს, სადაც იგი კარგა ხანს ცხოვრობდა. შემდგომში იური თამარ მეფის ქმარი გახდა.



ნოვგოროდის თანამედროვე ხედი

გ) ვსევოლოდ დიდბუდე (1176-1212). ანდრეი ბოგოლიუბსკის მკვლელობის შემდეგ ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის ტახტისათვის დაწყებულ ბრძოლაში გაიმარჯვა ანდრეის ნახევარძმამ — იური დოლგორუკის ვაჟმა ბიზანტიელი პრინცესასაგან **ვსევოლოდმა**. ვსევოლოდს ძრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა, რის გამოც მან მიიღო ზედწოდება **„დიდბუდე“**.

ვსევოლოდ დიდბუდემ სასტიკად დასაჯა თავისი ძმის — ანდრეი ბოგოლიუბსკის მკვლელები. მან დაამარცხა მთავრის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ბოიარებიც.

ვსევოლოდ დიდბუდე, რომელმაც ვლადიმირის დიდი მთავრის ტიტული მიიღო, განუხრელად აგრძელებდა ანდრეი ბოგოლიუბსკის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს გარშემო რუსული მიწების გაერთიანება. ეს განსაკუთრებით ცხადად გამომჟღავნდა **კიევთან** და **ნოვგოროდთან** დამოკიდებულებაში. ვსევოლოდ დიდბუდე ცდილობდა კიევისა და ნოვგოროდის დამორჩილებას, რაც ფაქტობრივად ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს გარშემო რუსეთის მიწების გაერთიანების დაწყებას ნიშნავდა.

ვსევოლოდ დიდბუდემ შეძლო ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ტერიტორიის გაფართოება. მან ნოვგოროდს წაართვა მდინარე **ჩრდილოეთ დვინას სანაპირები**, ხოლო ვოლგის ბულგარებს მდინარე **ვოლგის მარჯვენა ნაპირი** მთლიანად დაატოვებინა.

ვსევოლოდ დიდბუდის დროს ქალაქ ვლადიმირში დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობდა. ქალაქმა თითქმის მთლიანად იცვალა იერსახე. ვლადიმირს არ ჩამორჩებოდნენ სამთავროს სხვა ქალაქები (როსტოვი, სუზდალი და სხვ.).

ვსევოლოდ დიდბუდის სიკვდილის შემდეგ ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა მისმა შვილმა **იურიმ** (1212-1216, 1218-1238). ვსევოლოდ დიდბუდეს ჰყავდა უფროსი შვილი **კონსტანტინე**, მაგრამ მამა უპირატესობას მომდევნო ვაჟს იურის ანიჭებდა. მართალია, ვსევოლოდ დიდბუდის სიკვდილის შემდეგ ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში იურიმ გაიმარჯვა, მაგრამ **კონსტანტინემ** შეძლო 1216 წელს დიდი მთავრის ტახტის ხელში ჩაგდება და იგი 1218 წლამდე (სიკვდილამდე) შეინარჩუნა. 1218 წელს დიდი მთავარი კვლავ **იური** გახდა.

იური ვსევოლოდის ძემ 1221 წელს დააარსა ქალაქი **ნიჟნი ნოვგოროდი** — რუსეთის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი აღმოსავლეთში.



ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს აღმავლობა მონღოლების შემოსევის გამო შეწყდა.

3. **გალიჩ-ვოლინის სამთავრო.** გალიჩ-ვოლინის სამთავრო კიევის რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. კონკრეტულად, მისი ტერიტორია მდინარეებს **დნესტრსა** და **პრუტს** შორის იყო გადაჭიმული და **კარპატების** მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებამდე აღწევდა. აქ, შავიზღვანიადაგიან ზოლში, მიწათმოქმედება კარგად იყო განვითარებული. მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენდა ტყის დიდი მასივები და წყალუხვი მდინარეები. გალიჩ-ვოლინის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარეობდა დიდი ქალაქები: **გალიჩი, ვოლინის ვლადიმირი, ხოლმი, ლვოვი, პერემიშლი** და სხვ. ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდა. როგორც ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში, გალიჩ-ვოლინის სამთავროშიც შეინიშნებოდა ეკონომიკური აღმავლობა.

კიევიდან ჩამოცილების შემდეგ (XII საუკუნის დამდეგი) **გალიჩისა** და **ვოლინის** სამთავროები ცალ-ცალკე არსებობდა და იქ, როგორც ყველა სამთავროში, რიურიკების დინასტიის წარმომადგენლები მთავრობდნენ.

გალიჩის მთავრების დინასტიას სათავე დაუდო კიევის დიდი მთავრის **ვლადიმირ სვიატოსლავის ძის** (980-1015) შვილიშვილმა **როსტისლავ ვლადიმირის ძემ** (გარდაიცვალა 1066).

გალიჩის სამთავროს დაწინაურება იწყება როსტისლავ ვლადიმირის ძის შვილიშვილის მთავარ **იაროსლავ ოსმომისლის** (1153-1187) დროს (მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ზედწოდება „ოსმომისლი“ იაროსლავმა მიიღო იმის გამო, რომ მან რვა უცხო ენა იცოდა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ „ოსმომისლი“ უბრალოდ „ბრძენს“ უნდა ნიშნავდეს). იაროსლავ ოსმომისლი დაქორწინებული იყო ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის იური დოლგორუკის ქალიშვილზე. **იაროსლავ ოსმომისლი** და **იური** დოლგორუკი მოკავშირეები იყვნენ კიევის დამორჩილებისათვის ბრძოლაში. 1157 წლამდე, სანამ კიევის დიდი მთავრის ტახტზე იური დოლგორუკი იმყოფებოდა, კიევსა და გალიჩს შორის კარგი დამოკიდებულება არსებობდა. იური დოლგორუკის სიკვდილის შემდეგ, კიევის დიდმა მთავარმა **იზიასლავ** III-მ 1158 წელს გალიჩზე ილაშქრა, მაგრამ მარცხი იწვნია. ამის შემდეგ, გალიჩისა და ვოლინის ლაშქარმა დროებით კიევიც კი დაიკავა. შემდგომ წლებში კიევის დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში გალიჩის მთავარი იაროსლავ ოსმომისლი აქტიურად აღარ ჩარეულა. აღარც დაუძლურებულ კიევს უცდია გალიჩის სამთავროს დამორჩილება.

გალიჩის სამთავროში XII საუკუნის 70-იან წლებში შინაშლილობა დაიწყო. იაროსლავ ოსმომისლს უკანონო ცოლისაგან ჰყავდა ვაჟი **ოლეგი**, რომელსაც მამა ტახტის კანონიერ მემკვიდრეზე — **ვლადიმირზე** წინ აყენებდა. 1173 წელს იაროსლავ ოსმომისლის მეუღლე ოლგა შვილთან, ვლადიმირთან, ერთად პოლონეთში გადავიდა. გალიჩში დარჩენილმა ოლგას თანამოაზრეებმა იაროსლავ ოსმომისლი და მისი უკანონო ცოლი შეიპყრეს (ეს უკანასკნელი შემდეგ კოცონზე დაწვეს), ხოლო მთავრის მომხრეები დახოცეს. ციხიდან იაროსლავ ოსმომისლი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ კანონიერ მეუღლესთან და ტახტის მემკვიდრე

ვლადიმირთან ერთად წარმართავდა სამთავროს საქმეებს. ოლგა და ვლადიმირი პოლონეთიდან გალიჩში დაბრუნდნენ, მაგრამ იაროსლავ ოსმომისლმა პირობა დაარღვია და 1187 წელს, სიკვდილის წინ, ტახტის მემკვიდრედ უკანონო შვილი ოლეგი გამოაცხადა.

ა) ოლეგ იაროსლავის ძე (1187-1188). გარდაიცვალა თუ არა იაროსლავ ოსმომისლი, **ოლეგის** წინააღმდეგ გალიჩში დიდი აჯანყება დაიწყო. იაროსლავ ოსმომისლის კანონიერმა მემკვიდრემ, **ვლადიმირმა** და მისმა მომხრე ბოიარებმა ოლეგი გალიჩიდან გააძევეს. ოლეგი პოლონეთის ჯარით დაბრუნდა და ვლადიმირი დაამარცხა. დამარცხებული ვლადიმირი უნგრეთში გაიქცა. გალიჩის მთავარი **ოლეგი** გახდა, მაგრამ მალე, 1188 წელს, იგი მოწამლეს. ბოიარებმა გალიჩის სამთავროს ტახტზე ვოლინის მთავარი **რომან მსტისლავის ძე** მოიწვიეს.

ვლადიმირ-ვოლინის მთავრების დინასტიას სათავე დაუდო ვლადიმირ მონომახის შვილიშვილმა **იზიასლავ II მსტისლავის ძემ** (გარდაიცვალა 1154 წელს). 1157-1170 წლებში ვლადიმირ-ვოლინის მთავარი იყო იზიასლავ II-ის შვილი **მსტისლავ II**, ხოლო 1170 წლიდან — **რომან მსტისლავის ძე**.

რომან მსტისლავის ძე (1170-1205). ბოიარების მიერ 1188 წელს გალიჩის მთავრად მიწვეული **რომან მსტისლავის ძე** გალიჩიდან იმავე წელს გააძევა უნგრეთის ჯარით დაბრუნებულმა, იაროსლავ ოსმომისლის მემკვიდრემ **ვლადიმირმა**. 1198 წელს ვლადიმირი გარდაიცვალა. ამით ისარგებლა რომან მსტისლავის ძემ და 1199 წელს საბოლოოდ დამკვიდრდა გალიჩში. ასე გაერთიანდა გალიჩისა და ვოლინის სამთავროები.

რომან მსტისლავის ძე აქტიურად მონაწილეობდა კიევის დიდი მთავრის ტახტისათვის ბრძოლაში. 1203 წელს მან კიევი დიაკავა და დიდი მთავრის ტიტული მიიღო. კიევის დაკავების შემდეგ რომან მსტისლავის ძის ძალაუფლების ქვეშ უზარმაზარი ტერიტორია გაერთიანდა. რომის პაპი რომან მსტისლავის ძეს **მეფის ტიტულის** მიღებას სთავაზობდა. //

რომან მსტისლავის ძემ მოახერხა ბოიარების ოპოზიციის დათრგუნვა. იგი წარმატებით ებრძოდა პოლონელებსა და ყიჩაღებს.

ბ) დანილა რომანის ძე (1221-1264). რომან მსტისლავის ძე რომ გარდაიცვალა (1205 წ.), მისი მემკვიდრე **დანილა** მხოლოდ ოთხი წლის იყო. მთავრის გარდაცვალებას გალიჩისა და ვოლინის სამთავროებში შინაშლილობა მოჰყვა, რომელშიც აქტიურად ერეოდნენ **უნგრელები** და **პოლონელები**. 1238 წელს **დანილა რომანის ძემ** შეძლო თავისი ძალაუფლება მთელს გალიჩ-ვოლინის სამთავროზე გაავრცელებინა. 1240 წელს დანილა რომანის ძემ კიევი დაიკავა და ამით მისი საძფლობელო კიდევ უფრო გაიზარდა.

4. **დიდი ნოვგოროდი**. ნოვგოროდის ქვეყანა მდებარეობდა კიევის რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მის ცენტრს წარმოადგენდა ვარიაგი მთავრის რიურიკის მიერ მდინარე ვოლხოვზე დაარსებული ქალაქი **დიდი ნოვგოროდი**. ნოვგოროდის ქვეყანას უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. ჩრდილოეთით მისი საზღვრები აღწევდა



ნოვგოროდის კრემლი



ნოვგოროდის ზარები

ყინულოვან ოკეანემდე, სამხრეთით — მდინარე **ვოლგის ზემოწელამდე**, დასავლეთით — **ბალტიისპირეთამდე**, აღმოსავლეთით — **ურალის მთებამდე**. ნოვგოროდის სიმდიდრეს შეადგენდა დიდი რაოდენობით სუნნავ-სათესი, უსიერი ტყეები და წყალუხვი მდიდარეები. საკუთარი ხორბალი ნოვგოროდს არ ჰყოფნიდა. მოსახლეობა მისდევდა მეურნეობის სხვადასხვა დარგს — მეთევზეობას, მონადირეობას, მარილის მოპოვებას. ნოვგოროდში კარგად იყო განვითარებული მეტალურგია და მეთუნეობა.

დიდი ნოვგოროდის ეკონომიკურ წინსვლას ხელი შეუწყო საუკეთესო გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ქალაქ ნოვგოროდზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი **სავაჭრო გზა**, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთს. ნოვგოროდის გავლით დასავლეთ ევროპელი ვაჭრები მიემგზავრებოდნენ როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ბიზანტიაში. სწორედ ამიტომ, ნოვგოროდის ნავმისადგომებში მდინარე ვოლხოვზე მუდამ ნახავდით უცხოურ გემებს.

კიევის რუსეთის წარმოქმნის დროიდან ნოვგოროდს განაგებდა **კიევის დიდი მთავრის შვილი**. რუსეთში რიურიკოვიჩების დინასტიის დამკვიდრებაში ნოვგოროდმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. სწორედ ამიტომ, კიევის დიდი მთავრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნოვგოროდს. კიევის დიდმა მთავრებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში იბატონებდა ის, ვინც ჩაკეტავდა ვარიაგეთიდან (ნორმანებიდან) საბერძნეთში (ბიზანტიაში) მიმავალ საგზაო მაგისტრალს.

ნოვგოროდის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ **ბოიარები**, რომლებმაც ჯერ კიევ რიურიკის დროიდან დაწყებული, უზარმაზარი მიწები ჩაიგდეს ხელში, მოსახლეობის ზედაფენა (ბოიარები) თითქმის მთლიანად ვარიაგული (ნორმანული) წარმოშობისა იყო. ნოვგოროდელ ბოიარებსა და ნოვგოროდში კიევის დიდი მთავრის მიერ დასმულ მთავარს შორის მუდმივი დაპირისპირება იყო. ბოიარები მთავარს საშუალებას არ აძლევდნენ ნოვგოროდის ქვეყანა ისე ემართა, როგორც კიევის რუსეთის ცალკეულ ნაწილებს (სამთავროებს) განაგებდნენ დიდი მთავრის მიერ დასმული უფლისწულები მთავრები. ბოიარებმა კარგად ისარგებლეს 1136 წელს ნოვგოროდში მომხდარი აჯანყებით და ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საბოლოოდ დაამარცხეს ნოვგოროდის მთავარი. ნოვგოროდი იქცა **ბოიართა რესპუბლიკად**.

ქალაქი დიდი ნოვგოროდი იყოფოდა **ხუთ რაიონად**, ხოლო მთელი ნოვგოროდის ქვეყანა — **ხუთ ოლქად**.

ნოვგოროდის ბოიართა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ვეჩე (კრება). ვეჩე ირჩევდა ნოვგოროდის მმართველობას, განიხილავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სა-

ქალაქო ვეჩესთან ერთად დიდ ნოვგოროდში არსებობდა ქალაქის **რაიონების ვეჩე** და ქალაქის **ქუჩების ვეჩე**. დიდი ნოვგოროდის საქალაქო ვეჩეში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ბოიარები, რომელთა რაოდენობა სამასს აღწევდა.

დიდი ნოვგოროდის ვეჩე ირჩევდა ქალაქის **„პოსადნიკს"** (მოურავს), რომელიც იყო პირველი მოხელე — მთავრობის თავმჯდომარე. პოსადნიკის ხელში იყო ქალაქის მმართველობა და სასამართლო. პოსადნიკს ირჩევდნენ მხოლოდ ბოიართა წრიდან, ფაქტობრივად, ბოიართა ოთხი ძირძველი ვარიაგული (ნორმანული) საგვარეულოდან.

ნოვგოროდში ხელისუფლების მეორე პირი იყო **ეპისკოპოსი** (მოგვიანებით არქიეპისკოპოსი), რომელსაც ასევე ვეჩე ირჩევდა. არქიეპისკოპოსი განაგებდა ნოვგოროდის ხაზინას, მასვე ევალებოდა ზომა-წონის ერთეულების კონტროლი. არქიეპისკოპოსი წარმართავდა საგარეო ურთიერთობებს. მას ჰყავდა საკუთარი პოლკი.

ხელისუფლების მესამე პირს ნოვგოროდში წარმოადგენდა **„ტისიაცკი"** (ათასისთავი), რომელსაც ასევე ვეჩე ირჩევდა. ტისიაცკი, ფაქტობრივად, პოსადნიკის თანაშემწე იყო. იგი სათავეში ედგა ნოვგოროდის სახალხო ლაშქარს. მასვე ევალებოდა წესრიგის დაცვა ვაჭრობაში და გადასახადების აკრეფა.

ნოვგოროდის ვეჩე თავისი შეხედულებისამებრ იწვევდა **მთავარს** — კიევის დიდი მთავრის რომელიმე შტოს წარმომადგენელს. მთავრის ხელისუფლება მემკვიდრეობითი არ იყო. ნოვგოროდის მთავარი, ომების დროს, **მთავარსარდლის** ფუნქციას ასრულებდა, მშვიდობიანობის დროს კი მისი დრუჟინა (რაზმი) წესრიგს იცავდა ქალაქში. მთავარი ვერ ჩაერეოდა ვეჩეს, პოსადნიკის, არქიეპისკოპოსისა და სასამართლოს საქმიანობაში. მას არც წყალობის უფლება ჰქონდა. თავდაპირველად მთავრის რეზიდენცია ნოვგოროდის კრემლის გარეთ იყო, ხოლო შემდეგ — ნოვგოროდიდან რამდენიმე კილომეტრზე — გოროდიშჩეში. მთავარი სიმბოლურად გამოხატავდა ნოვგოროდის კავშირს დანარჩენ რუსეთთან.

5. კიევის სამთავრო. ქალაქ კიევის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ერთიანი ძველი რუსეთის სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) არსებობის ბოლო ხანებში დასცა ვარიაგეთიდან (ნორმანდიიდან) საბერძნეთში (ბიზანტიაში) მიმავალი **გზის პირვანდელი დანიშნულების დაკნინებამ. კიევის გარშემო მდებარე ტერიტორია (მდინარე დნეპრის შუაწელი) გაავერანა მომთაბარეების (პაჭანიკების, ყივჩაღების) გამუდმებულმა თავდასხმებმა.** ქალაქი კიევი ნელ-ნელა კარგავდა თავის მნიშვნელობას. რუსეთის ცალკეული ნაწილების (ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს, გალიჩ-ვოლინის სამთავროს, დიდი ნოვგოროდის) დაწინაურებასთან ერთად, სუსტდებოდა კიევის დიდი მთავრის ძალაუფლება. თუმცა კიევის დიდი მთავარი ძველი რუსეთის სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლად ითვლებოდა, ფაქტობრივად იგი კიევის გარშემო მდებარე ტერიტორიას (კიევის სამთავროს) განაგებდა. უფრო მეტიც, XII-XIII საუკუნეებში ვლადიმირ-სუზდალისა და გალიჩ-ვოლინის მთავრები კიევის დამორჩილებასაც კი ცდილობდნენ და ხშირად წარმატებასაც აღწევდნენ. ქალაქ კიევის მნიშვნელობა დასცა იმანაც, რომ 1299 წელს **რუსეთის მიტროპოლიტმა** თავისი რეზიდენცია კიევიდან ვლადიმირში გადაიტანა. კიევის მნიშვნელობა დაკნინა აღმოსავლეთიდან მონღოლთა შემოსევამ, ხოლო დასავლეთიდან კათოლიკური სამყაროს (რომის პაპის, პოლონეთის, ლიტვის) აგრესიამ. აშკარა გახდა, რომ **შექმნილ ვითარებაში კიევი საერთო-რუსული პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ვეღარ დაიბრუნებდა.**

ძველი რუსეთის სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) პოლიტიკური დაშლის პერიოდში უკვე ნათლად გამოიკვეთა ახალი რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივები. პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთმა (ვლადიმირ-სუზდალის სამთავრომ) იკისრა.

განვითარების ბუნებრივი პროცესი მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა.

ნოვგოროდი.
წმინდა გიორგის ტაძარი (XII ს.)

თავი IV. რუსული კულტურა (IX-XII საუკუნეები)

ძველი რუსეთის (კიევის რუსეთის) სახელმწიფოს არსებობის პერიოდში რუსულმა კულტურამ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. კულტურის განვითარების აღმავალი ხაზი არ შეწყვეტილა ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შემდგომაც. ცალკეული სამთავროების კულტურა კიევის რუსეთის კულტურის განშტოებასა და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა.

სოფიის ტაძარი კიევში

დამწერლობა. განათლება. ქრისტიანობის მიღების დროისათვის (988 წ.) რუსებს უკვე ჰქონდათ თავისი **ანბანი.** ბიზანტიიდან IX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში ჩამოსულმა მისიონერებმა **კირილემ** და **მეთოდემ** იხილეს სლავური ასოებით დაწერილი სახარება. IX საუკუნის მეორე ნახევარში კირილემ და მეთოდემ შექმნეს რუსული ანბანი — **გლაგოლიცა,** რომელიც შემდგომ გადამუშავდა ბერძნული ანბანის საფუძველზე. ასე შეიქმნა რუსული ანბანი — **კირილიცა,** რომელსაც რუსები დღემდე იყენებენ (კირილიცა გამარტივდა პეტრე I-ის დროს, ხოლო შემდეგ — 1918 წელს).

განათლების კერას კიევის რუსეთში წარმოადგენდა **სკოლები.** სკოლები **ეკლესიებსა** და **მონასტრებთან** არსებობდა. აქ ასწავლიდნენ **წერა-კითხვას,** ასევე **გრამატიკას, ღვთისმეტყველებას, რიტორიკას** და სხვ. წერა-კითხვა კიევის რუსეთში დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებმაც იცოდნენ. ამაზე მეტყველ-

სუზდალი. ქრისტეშობის ტაძარი

ლებს ნოვგოროდში, სმოლენსკში, მოსკოვში, პოლოცკსა და სხვა ქალაქებში აღმოჩენილი შვიდასზე მეტი **არყის ხის ქერქის სიგელი**. არყის ხის ქერქზე წერდნენ მაგარი საგნით, ფაქტობრივად ხდებოდა ამოკაწვრა. არყის ხის ქერქმა შემოინახა ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო ხასიათის მიმოწერა უბრალო ადამიანებს შორის. ერთ-ერთი გვაუწყებს, რომ იაროსლავის დროს კიევში გახსნილ სკოლებში სამასზე მეტი ბავშვი სწავლობდა.

ლიტერატურა. ზეპირსიტყვიერება. მატიანეები. კიევის რუსეთისა და ცალკეული სამთავროების არსებობის პერიოდიდან (IX საუკუნის მეორე ნახევარი – XIII საუკუნის დამდეგი) ჩვენამდე 150 ხელნაწერმა წიგნმა მოაღწია. მათ შორის ყველაზე ძველია **„ოსტრომირის სახარება“**, რომელიც 1056-1057 წლებში გადაიწერა ნოვგოროდის პოსადნიკის ოსტრომირის შემწეობით.

რუსეთში დიდი ყურადღება ეთმობოდა სასულიერო ლიტერატურისა და ძველი მსოფლიოს ცნობილი მემატიანეების თხზულებების თარგმნას. საკუთრივ რუსეთში შეიქმნა რუსი წმინდანების ცხოვრების ამსახველი თხზულებები.

რუსული ლიტერატურის შედევრადაა მიჩნეული XII საუკუნის ბოლოს უცნობი ავტორის მიერ დაწერილი **„ამბავი იგორის ლაშქრობისა“**, რომელშიც ასახულია ნოვგოროდ-სევერსკის მთავარ იგორის ლაშქრობა ყივჩაღების წინააღმდეგ (არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ დაწერილია გაცილებით გვიან – XVIII საუკუნეში).

რუსეთის ისტორიის ბევრმა მნიშვნელოვანმა ამბავმა ასახვა პოვა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

XII საუკუნის დამდეგს კიევ-პეჩორის მონასტრის ბერმა **ნესტორმა** დაასრულა ძველი რუსული მატიანის – **„გარდასულ წელთა ამბის“**



ქალაქი სმოლენსკი



ვლადიმირი. დიმიტრის ტაძარი

— შედგენა. ესაა რუსეთის ისტორია IX საუკუნიდან XII საუკუნის დამდეგამდე. შემდგომში მატიანეების წერა გაგრძელდა ცალკეულ სამთავროებში (გალიჩ-ვოლინში, ვლადიმირ-სუზდალში, დიდ ნოვგოროდსა და სხვ.).

არქიტექტურა. ჩვენამდე მოღწეულია X-XIII საუკუნეებში აგებული ასორმოცდაათამდე არქიტექტურული ძეგლი. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: ღვთისმშობლის ეკლესია კიევში, კიევის წმინდა სოფიის ტაძარი, წმინდა სოფიის ტაძრები ნოვგოროდსა და პოლოცკში, მიძინების ტაძარი ჩერნიგოვში. მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები აიგო **სუზდალის, ვლადიმირში, სმოლენსკში, როსტოვში, სუზდალში, რიაზანში, გალიჩში, ვოლინის ვლადიმირში.**

ფერწერა. კიევის რუსეთში კარგად იყო განვითარებული ფერწერა. ამაზე მეტყველებს ხატები, ფრესკები და მოზაიკები. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე უცნობმა ბერძენმა მხატვარმა შექმნა **ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი.** საყოველთაოდაა ცნობილი **კიევის წმინდა სოფიის ტაძრის** მოზაიკა ღვთისმშობლის გამოსახულებით.

IX-XII საუკუნეების კულტურას დაეფუძნა შემდგომი ეპოქის **რუსული კულტურა.**

თავი V. რუსეთის დაპყრობა მონღოლების მიერ. ბრძოლა შვედებისა და ჯვაროსანთა ორდენების წინააღმდეგ

1. მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა. მონღოლთა დაპყრობების დასაწყისი. მონღოლთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა XIII საუკუნის დასაწყისში. იმხანად მონღოლთა სახელმწიფო მოიცავდა დიდ ტერიტორიას **ცენტრალურ აზიაში.** ამ სახელმწიფოს საზღვრები ჩრდილოეთით აღწევდა **ბაიკალის ტბამდე,** მდინარე **ენისეის ზემოწელამდე** და მდინარე **ირტიშამდე,** სოლო სამხრეთით — **გობის უდაბნომდე** და **ჩინეთის დიდ კედლამდე.**

მონღოლთა ძირითად საქმიანობას შეადგენდა კარგად განვითარებული მეცხოველეობა. ჩრდილოეთ რაინონებში მისდევდნენ **მონადირეობას.** XII საუკუნეში მონღოლებში მიმდინარეობდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა. მონღოლთა შორის დაიწყო ქონებრივი დიფერენციაცია. ჯოგისა და საძოვრების დიდი ნაწილი ხელთ იგდო გამდიდრებულმა ფენამ — **ნოინებმა.** გარდა ჯოგისა და საძოვრებისა, ისინი ფლობდნენ მონებსაც. ნოინებს ჰყავდათ მეომართა რაზმი — **ნუკერები.** ნოყნების ფენა გადამწყვეტ როლს ასრულებდა მონღოლთა სახელმწიფოში.

1206 წელს გაიმართა მონღოლთა ყრილობა — **ყურულთაი** (ჰურალი), რომელმაც ერთ-ერთი ნოინი, **თემუჩინი,** მონღოლთა ბელადად აირჩია. თემუჩინმა მიიღო **ჩინგიზ-ხანის** სახელი, რაც **„დიდ ხანს“,** ასევე **„ღმერთის წარმოგზავნილს“** ნიშნავდა. ჩინგიზ-ხანმა (1206-1227) დაამარცხა მისი მოწინააღმდეგე ნოინები და მონღოლთა ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა.

მონღოლებს კარგად ორგანიზებული დიდი ლაშქარი ჰყავდათ. ლაშქარი გვაროვნული პრინციპით იყო დაკომპლექტებული (ერთი გვარის მეომრები ერთად იბრძოდნენ). მონღოლთა ლაშქარი იყოფოდა **ათასეულებად, ასეულებად** და **ათეულებად.** ათიათასაკაციან ლაშქარს **დუმანი** ეწოდებოდა, რომლის სათავეში **დუმან-ნოინი** (დუმანის ნოინი, დუმანის თავი) იდგა. დუმანი მარტო ლაშქრის ორგანიზაციის ფორმა არ იყო, იგი მონღოლთა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულსაც წარმოადგენდა.

მონღოლთა ლაშქრის ძირითადი ძალა ძლიერი ცხენოსანი ჯარი იყო. ყოველ მონღოლ მებრძოლს ჰქონდა ორი-სამი მშვილდი მრავალი ისრით, ნაჯახი და ხმალი. საბრძოლო ცხენს საგანგებოდ დამზადებული მაგარი ტყავი იცავდა მოწინააღმდეგის ისრებისა და ხმლისაგან. მეომრის თავი, ყელი და მკერდი დაცული იყო რკინის მუზარადითა და ჯაჭვის პერანგით. მონღოლი მეომარი იყო ძალზე ამტანი. ცხენით დღე-ღამეში მას 80 კილომეტრამდე მანძილის გავლა შეეძლო. მონღოლთა ლაშქრის აღალი დღე-ღამეში 10 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა.

დაპყრობითი ომები მონღოლებმა დაიწყეს მეზობელი ხალხების — **ბურიატების, ევენკების, იაკუტების, უიღურების, ენისეის ყირგიზების** დამორჩილებით (1207-1211 წწ.). შემდეგ მონღოლები **ჩინეთში** შეიჭრნენ და 1215 წელს **პეკინი** აიღეს. 1217 წელს მონღოლებმა **კორეაც** დაიპყრეს. ჩინეთის დაპყრობას, რაც საბოლოოდ 1279 წლამდე გაგრძელდა, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლებისათვის. ჩინელებისაგან მონღოლებმა ბევრი რამ ისწავლეს. მონღოლები ჩინეთში დაეუფლნენ ლოდსატყორცნი, ცეცხლსატყორცნი, კედლისსანგრევი და სხვა ტექნიკის დამზადებასა და გამოყენებას.

1219 წელს მონღოლთა 200-ათასიანი არმია **ჩინგიზ-ხანის** სარდლობით შუა აზიაში შეიჭრა და **ხორეზმის** ძლიერი სახელმწიფო გაანადგურა. ხორეზმის შაჰმა **მუჰამედმა** მონღოლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ამის შემდეგ, 1220 წელს, მონღოლთა ლაშქარი სახელგანთქმული ნოინების ჯებესა და სუბუდაის სარდლობით **ირანსა** და **ამიერკავკასიაში** შეიჭრა. აქ აფარებდა თავს ხორეზმის შაჰის მემკვიდრე **ჯალალ-ად-დინი.** ამ ლაშქრობას მიზნად დაპყრობა არ ჰქონია, იგი დაზვერვითი ხასიათისა იყო. მონღოლებმა დაამარცხეს ჯალალ-ად-დინი, მისი ლაშქარი გაფანტეს. მათ ასევე დაამარცხეს საქართველოს მეფე **გიორგი IV ლაშა.** ამის შემდეგ მონღოლები კასპიის ზღვის ნაპირს გაჰყვნენ და დერბენტის გვერდის ავლით **ჩრდილო კავკასიაში** გავიდნენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლებმა სასტიკი მარცხი აგებეს **ალანებსა** (ოსებსა) და **ყიფჩაღებს,** ყირიმში შეიჭრნენ და ქალაქი **სუდაკი** (სუროჟი) აიღეს.

2. ბრძოლა კალკაზე. დამარცხებულმა ყიფჩაღთა ხანმა **კოტიანმა** დახმარებისათვის მიმართა თავის სიძეს, გალიჩის მთავარს **მსტისლავ მსტისლავის ძე მამაცს.** გალიჩის მთავრის მოწოდებას გამოეხმაურნენ და მონღოლთა წინააღმდეგ ლაშქრობაზე თანხმობა განაცხადეს კიევის მთავარმა **მსტისლავ რომანის ძემ,** ჩერნიგოვის მთავარმა **მსტისლავ ვსევოლოდის ძემ**

და სრულიად ახალაზრდა **დანილა რომანის ძემ**. მონღოლთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა ასევე რამდენიმე რუსი მთავარი, რომელთა სამხედრო ძალა შედარებით უმნიშვნელო იყო. რაც შეეხება იმხანად რუსეთში ყველაზე ძლიერსა და გავლენიან ვლადიმირ-სუზდალის მთავარს **იური ვსევოლოდის ძეს,** მან ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო.

რუსთა და ყივჩაღთა ლაშქარი მონღოლების წინააღმდეგ დაიძრა. ბრძოლა მოხდა აზოვის ზღვისპირა სტეპებში, მდინარე **კალკას** ნაპირას, 1223 წლის 31 მაისს. ბრძოლის წინ გალიჩის მთავარი წაეჩხუბა კიევისა და ჩერნიგოვის მთავრებს და მათთან შეუთანხმებლად, ყივჩაღებთან ერთად, გადავიდა მდინარე კალკას მარცხენა ნაპირზე. კიევის მთავარი თავისი ჯარით მდინარე კალკას მარჯვენა ნაპირზე დარჩა და ერთ-ერთ მაღლობზე გამაგრდა. ყივჩაღებმა მონღოლთა შეტევას ვერ გაუძლეს, ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და გადათელეს რუსთა პოლკები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ბრძოლისათვის. გალიჩის მთავარმა მსტისლავ მამაცმა ბრძოლის ველიდან გაქცევა მოახერხა. მაღლობზე გამაგრებული კიევის მთავარი მსტისლავ რომანის ძე ორი დღე იგერიებდა მონღოლთა შეტევებს. მესამე დღეს იგი ენდო მონღოლთა დაპირებას, რომ იარაღის დაყრის შემთხვევაში რუსთა პოლკებს სამშობლოში მშვიდობიანად გაუშვებდნენ და ბრძოლა შეწყვიტა. მონღოლებმა პირობა დაარღვიეს და რუსთა პოლკებს სასტიკად გაუსწორდნენ. მონღოლთა ვერაგობას შეეწირნენ კიევის მთავარი **მსტისლავ რომანის ძე** და ჩერნიგოვის მთავარი **მსტისლავ ვსევოლოდის ძე**. ბრძოლაში მათ გარდა კიდევ რამდენიმე რუსი მთავარი დაიღუპა. მდინარე კალკას ნაპირას დაიღუპა რუსთა ლაშქრის უდიდესი ნაწილი. მონღოლებმა დაჭრილ რუს მთავრებს ზემოდან ფიცრები დააწყვეს და ზედ ნადიმი გამართეს.

მდინარე კალკაზე გამარჯვების შემდეგ მონღოლები მდინარე **დნეპრამდე** მივიდნენ, მაგრამ მისი გადალახვა აღარ უცდიათ.

აზოვისპირეთის სტეპებიდან უკან გამობრუნებულმა მონღოლებმა **ვოლგის ბულგართა** სამეფოს დაპყრობა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ვოლგისპირეთიდან მონღოლთა ლაშქარი შუა აზიაში დაბრუნდა.

3. რუსეთის დაპყრობა მონღოლთა მიერ. 1235 წელს მონღოლთა დედაქალაქ **ყარაყორუმში** **გაიმართა ყურულთაი** (ჰურალი). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ლაშქრობის დაწყების შესახებ. უზარმაზარ ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი **ბათო** (1227-1255). ბათოს თან ახლდა ცნობილი სარდალი **სუბუდაი**. ბათოს ჩინგიზ-ხანმა წინასწარ უბოძა მთელი ტერიტორია ურალის მთებიდან დასავლეთით იქამდე, სადამდეც მონღოლები მიაღწევდნენ. ბათოს მრჩეველი გახდა ნოინი **სუბუდაი**, რომელიც კარგად იცნობდა დასაპყრობ ტერიტორიას.

1236 წელს მონღოლები 300-ათასიანი ლაშქრით **ვოლგის ბულგარეთის** ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მონღოლებმა დაიპყრეს ვოლგის ბულგარები, აიღეს მათი დედაქალაქი. 1237 წელს მონღოლთა ძირითადმა ძალებმა მდინარე **ვოლგა** გადალახეს და მდინარე **ვორონეჟის** ნაპირას დაბანაკდნენ. რუსეთს უდიდესი საფრთხე დაემუქრა.

რუსმა მთავრებმა ეს კარგად იცოდნენ, მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან დაპირისპირებული მთავრების გაერთიანება არ მოხერხდა — ყველა მთავარმა თავისი სამფლობელოს დაცვა გადაწყვიტა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსი მთავრების ცხენოსანი დრუჟინები საბრძოლო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდებოდა მონღოლების ცხენოსან ჯარს, მაგრამ სოფლებსა და ქალაქებში შეკრებილი ლაშქარი ვერ უტოლდებოდა მონღოლთა სამხედრო ძალას.

1237 წელს მონღოლები **რიაზანის** **სამთავროში** შეიჭრნენ. რიაზანის მთავარს **რომან ინგვარის ძეს** არ დაეხმარნენ ვლადიმირ-სუზდალისა და ჩერნიგოვის მთავრები. ვლადიმირ-სუზდალის მთავრის **იური ვსევოლოდის ძის** პოზიცია ნაწილობრივ განსაზღვრა მონღოლთა ელჩობამ, რომელიც მთავარს მონღოლთა ლაშქრის რიაზანის სამთავროში შეჭრის წინა ხანებში შეხვდა. ექვსდღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ მონღოლებმა ქალაქი რიაზანი აიღეს, ქალაქის მცხოვრებნი ამოჟლიტეს. რიაზანი მთლიანად დაინგრა და გადაიწვა. იმ ადგილზე ქალაქი შემდეგში ვეღარ აღორძინდა (დღევანდელი რიაზანი ძველი რიაზანიდან 60 კილომეტრის მოშორებითაა).

1238 წელს მონღოლები მდინარე **ოკას** ნაპირებს აჰყვნენ და **ვლადიმირ-სუზდალის** **სამთავროში** შეიჭრნენ. რუსები და მონღოლები ერთმანეთს ქალაქ **კოლომნასთან** შეხვდნენ. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ლაშქარს მთავრის იური ვსევოლოდის ძის შვილი **ვსევოლოდ იურის ძე** სარდლობდა. აქვე იყო მონღოლებისაგან დევნილი რიაზანის მთავრის **რომან**

ინგვარის ძე რიაზანელთა ლაშქრით. კოლომნასთან გამართულ ბრძოლაში ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ლაშქარი თითქმის მთლიანად განადგურდა. ვსევოლოდ იურის ძემ გაქცევით უშველა თავს და მამამისს უამბო, თუ რა საშინელ ძალასთან მოუხდა შებრძოლება.

კოლომნასთან მარცხმა გადაწყვიტა ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ბედი. მონღოლებმა ოთხდღიანი ალყის შემდეგ აიღეს ქალაქი **ვლადიმირი**. მთავრის ოჯახის წევრები და ცოცხლად დარჩენილი მეომრები მიძინების ტაძარში ჩაიკეტნენ. მონღოლებმა ტაძარს ხის მორები შემოუწყვეს გარშემო და ცეცხლი წაუკიდეს. ვლადიმირის აღების შემდეგ ბათომ თავისი ლაშქარი დაყო და სამთავროს სხვადასხვა ქალაქის ასაღებად გაგზავნა. მონღოლებმა ბევრი ქალაქი, მათ შორის მოსკოვი, დაანგრიეს და გადაწვეს.

ვლადიმირ-სუზდალის მთავარი **იური ვსევოლოდის ძე** ქალაქ ვლადიმირის ალყამდე სამთავროს ჩრდილოეთ რაიონებში გაემგზავრა და ახალი ლაშქარი შეკრიბა. ეს ლაშქარი 1238 წელს მონღოლებმა მდინარე **სიტის** ნაპირას დაამარცხეს. ბრძოლაში დაიღუპა იური ვსევოლოდის ძეც.

ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს დაპყრობის შემდეგ მონღოლები **ნოვგოროდისაკენ** დაიძრნენ, მაგრამ ნოვგოროდიდან 100 კილომეტრის დაშორებით ლაშქრობა შეწყვიტეს და სამხრეთისაკენ გაემართნენ. ბათომ გადაწყვიტა ლაშქარი დაესვენებინა და შემდეგ სამხრეთ რუსეთის დაპყრობას შესდგომოდა. უკან დაბრუნებისას მონღოლებმა კიდევ ერთხელ გაძარცვეს რუსეთის ქალაქები. მხოლოდ **სმოლენსკის** ლაშქარმა შეძლო ქალაქის დაცვა. პატარა რუსული ქალაქის **კოზელსკის** აღებას მონღოლებმა შვიდი კვირა მოანდომეს. მონღოლთა თარეშს უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1239 წელს მონღოლებმა სამხრეთ რუსეთი დაიპყრეს, აიღეს ქალაქები **პერეიასლავლი** და **ჩერნიგოვი**.

1240 წელს ბათომ **კიევზე** გაილაშქრა. მონღოლთა ლაშქარმა მდინარე დნეპრი გადალახა და კიევს ალყა შემოარტყა. როგორც აღვნიშნეთ, 1240 წელს მონღოლთა ლაშქრობამდე, კიევი გალიჩ-ვოლინის მთავარმა **დანილა რომანის ძემ** დაიკავა. დანილა რომანის ძემ კიევის დაცვა ვოევოდა **დიმიტრის** ჩაბარა, ხოლო თვითონ გალიჩში გაემგზავრა. დიდი ბრძოლების შემდეგ, 1240 წელს, ბათომ კიევი აიღო და საშინლად ააოხრა.

1241 წელს მონღოლები გალიჩ-ვოლინის სამთავროს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, აიღეს და დაანგრიეს ქალაქები: **კამენეცკი**, **ვლადიმირი**, **გალიჩი**. მთავარი დანილა რომანის ძე ჯერ კიდევ მონღოლების მიერ კიევის აღებამდე უნგრეთში გაემგზავრა. უნგრეთის მეფემ მას დახმარება აღუთქვა. დანილა რომანის ძე სამშობლოსაკენ გაემგზავრა, მაგრამ გზაში მონღოლებისაგან დევნილი მოსახლეობა შეხვდა და მთავარმა ყოველივე შეიტყო. მთავარმა ისევ უნგრეთს მიაშურა, საიდანაც პოლონეთში გადაიარა. დანილა რომანის ძე გალიჩში მხოლოდ მონღოლების წასვლის შემდეგ დაბრუნდა. 1246 და 1247 წელს **დანილა რომანის ძემ** სასტიკად დაამარცხა **ლიტველები**, რომლებიც მონღოლთა წასვლის შემდეგ ძარცვავდნენ რუსეთს, განსაკუთრებით ვოლინის ტერიტორიას.

რუსეთის დაპყრობის შემდეგ ბათომ ევროპის ქვეყნების (პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის) დაპყრობა განიზრახა. 1242 წელს მონღოლებმა **ადრიატიკის ზღვის** სანაპიროსაც კი მიაღწიეს, მაგრამ 1242 წელსვე რამდენჯერმე დამარცხდნენ **ჩეხეთსა** და **უნგრეთში**. ამავე დროს ბათომ **ყარაყორუმიდან** მიიღო ცნობა, რომ გარდაიცვალა ჩინგიზ-ხანის შვილი **უგედეი** (1229-1241). ბათომ ლაშქრობა შეწყვიტა და აღმოსავლეთისაკენ გაბრუნდა. ევროპის ქვეყნები მონღოლთა გამანადგურებელ ლაშქრობებს გადაურჩნენ. ამაში დიდი წვლილი რუსეთს მიუძღვის, რომლის დაპყრობასაც მონღოლებმა უზარმაზარი რესურსები შესწირეს.

4. **ბრძოლა შვედებისა და ჯვაროსანთა ორდენების წინააღმდეგ.** XII საუკუნეში **გერმანელმა ჯვაროსნებმა** დაიწყეს ბალტიისპირეთისა და ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის ტერიტორიის დაპყრობა. გერმანელი ჯვაროსნების მოქმედება სანქცირებული იყო გერმანიის იმპერატორისა და რომის პაპის მიერ. დაპყრობილ ტერიტორიაზე ჯვაროსნები ძალით ავრცელებდნენ კათოლიკობას. გერმანელ ჯვაროსნებთან ერთად **„აღმოსავლეთზე შეტევაში“** აქტიურად მონაწილეობდნენ **დანიელი**, **ნორვეგიელი** და სხვა ჯვაროსნები.

ლიტველებით, ლატვიელებით, ესტონელებითა და რუსებით დასახლებული ტერიტორიების დაპყრობას გერმანელი ჯვაროსნები განსაკუთრებული მონდომებით შეუდგნენ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დამდეგს. 1202 წელს მცირე აზიაში დამარცხებულმა გერმანელმა ჯვაროსანმა რაინდებმა შექმნეს **მახვილოსანთა ორდენი**. ისინი ესტონელებისა და

ლატვიელების ტერიტორიას ვითომდა წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანების მიზნით იპყრობდნენ. ჯერ კიდევ 1201 წელს გერმანელმა რაინდებმა მდინარე დასავლეთ დვინას შესართავთან დააარსეს ქალაქი **რიგა**, რომელიც ბალტიისპირეთში შემდგომი აგრესიის დასაყრდენ პუნქტად იქცა. 1219 წელს დანიელმა ჯვაროსანმა რაინდებმა ესტონეთის ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს და აქ ზღვის სანაპიროზე დააარსეს ქალაქი **ტალინი** (რეველი). 1224 წელს ჯვაროსნებმა ქალაქი **ტარტუ** (იურიევი) აიღეს.

1226 წლიდან ლიტვის ტერიტორიის დაპყრობა დაიწყო **ტევტონთა ორდენმა** (ტევტონთა ორდენი 1198 წელს შეიქმნა სირიაში). 1234-1236 წლებში ჯვაროსანმა რაინდებმა რუსებთან და ლიტველებთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს. 1237 წელს მახვილოსანთა და ტევტონთა ორდენები გაერთიანდნენ. გაერთიანების შემდეგ ორდენის იმ ნაწილმა, რომელიც ლიცების (ლიტველების) ტერიტორიაზე მოქმედებდა, **ლივონიის ორდენის** სახელწოდება მიიღო.

ჯვაროსანთა რაინდების შეტევა რუსეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც რუსეთის სამთავროები მონღოლებთან უმძიმეს ომს აწარმოებდნენ.

ალექსანდრე ნეველი

1240 წელს შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს და რუსეთს თავს დაესხნენ **შვედები**. შვედების ფლოტი **ბირგერის** სარდლობით ბალტიის ზღვიდან მდინარე **ნევაში** შეცურდა და იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც მდინარე ნევას მდინარე **იჟორა** უერთდება. აქ შვედები ნაპირზე გადმოსხდნენ და ემზადებოდნენ ქალაქების **ლადოგისა** და **ნოვგოროდის** ასაღებად. ამ დროს ნოვგოროდის მთავარი იყო ოცი წლის **ალექსანდრე იაროსლავის ძე** (ალექსანდრე იაროსლავის ძე ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის ვსევოლოდ დიდბუდეს შთამომავალი იყო. იგი ნოვგოროდის მთავარი იყო 1236-1240, 1241-1252 და 1257-1259 წლებში). ალექსანდრე იაროსლავის ძის დრუჟინა არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ნოვგოროდის მთავარი არ დაელოდა ლაშქრის შეკრებას და შვედების ბანაკისაკენ გაემართა. ალექსანდრეს უნდოდა მოულოდნელად დასხმოდა მტერს თავს. ამ ტაქტიკამ გაამართლა. მოულოდნელი თავდასხმისაგან დაბნეულმა შვედებმა ხელში იარაღის აღებაც კი ვერ მოასწრეს. რუსებმა მრავალი შვედი გამოასალმეს სიცოცხლეს. ალექსანდრემ ბირგერი შუბით სახეში დაჭრა. გადარჩენილი შვედები გემებში ჩასხდნენ და სასწრაფოდ გაეცალნენ ბრძოლის ადგილს. ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ალექსანდრე იაროსლავის ძეს **ნეველი** უწოდეს.

გამარჯვებული ალექსანდრე ნეველი ნოვგოროდში დაბრუნდა, მაგრამ ბოიარებთან უთანხმოება მოუვიდა და იმავე 1240 წელს ნოვგოროდიდან წავიდა. ნოვგოროდელები მთავრის გარეშე დარჩნენ.

1240 წელს ლივონიის ორდენმა, ასევე დანიელმა და გერმანელმა რაინდებმა, განაახლეს რუსეთზე შეტევა. მათ აიღეს ქალაქი **იზბორსკი**. საფრთხე დაემუქრა ქალაქ **ფსკოვს**. ფსკოვის ლაშქარი ვოევოდა **გავრილა ბორისლავიჩის** სარდლობით შეებრძოლა ჯვაროსან რაინდებს, მაგრამ ფსკოველები დამარცხდნენ. ვოევოდა გავრილა ბრძოლაში დაიღუპა. რაინდებმა დაარბიეს ფსკოვის გარშემო სოფლები, გადაწვეს ფსკოვის ის ნაწილიც, რომელიც ქალაქის კედლის გარეთ მდებარეობდა. ფსკოველები მედგრად იცავდნენ ქალაქს, მაგრამ 1241 წელს, ფსკოვის პოსადნიკის **ტვერდილას** ღალატის წყალობით, რაინდებმა ფსკოვი აიღეს. ნოვგოროდში მთავარსა და ბოიარებს შორის არსებული დაპირისპირების გამო, როგორც აღვნიშ-

ნეთ, ალექსანდრე ნეველმა ნოვგოროდი დატოვა. სწორედ ამიტომ ნოვგოროდელებმა ვერ შეძლეს დახმარება აღმოეჩინათ ფსკოვისათვის. ფსკოვის დაკავების შემდეგ ჯვაროსანი რაინდები ნოვგოროდს მიუახლოვდნენ. ქალაქამდე სულ 30 კილომეტრიღა რჩებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში ნოვგოროდის ვეჩემ მთავრად ისევ **ალექსანდრე ნეველი** მიიწვია.

1241 წელს ნოვგოროდში დაბრუნებული ალექსანდრე ნეველი თავისი დრუჟინით დაუყოვნებლივ ჯვაროსანი რაინდების წინააღმდეგ დაიძრა. ქალაქ კოპორიეში რაინდების გარნიზონი იდგა. ალექსანდრე ნეველმა **კოპორიე** აიღო და დატყვევებული რაინდები ნოვგოროდში წაიყვანა, რომელთა ნაწილი შემდგომ გაათავისუფლა, რაინდების მხარეზე გადასული **ჩუდელები** (ესტები) კი ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა. კოპორიეს შემდეგ, 1242 წელს, ალექსანდრე ნეველმა **ფსკოვი** გაათავისუფლა. ნოვგოროდის მთავრის გაბედულმა მოქმედებამ ჯვაროსანი რაინდები შეაშფოთა.

1242 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე ნეველმა **ჩუდის ტბის** მიმართულებით გაილაშქრა. ჩუდის ტბის მიმდებარე ტერიტორია ლივონიის ორდენს ეკუთვნოდა. ამჯერად, ლივონიის ორდენი საბრძოლველად მზად აღმოჩნდა და რაინდებმა რუსთა მოწინაეე რაზმი სასტიკად დაამარცხეს. მოწინავე რაზმის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ნეველმა უკან დაიხია და მტერს ჩუდის ტბის ყინულზე დაელოდა. სწორედ აქ, **ჩუდის ტბის ყინულზე**, 1242 წლის 5 აპრილს გაიმართა ბრძოლა რუსებსა და ლივონიის ორდენის ჯვაროსან რაინდებს შორის, რომელთა უმრავლესობას გერმანელები შეადგენდნენ. გერმანელები და ჩუდელები (ესტები) საბრძოლველად **სოლისებურად** დაეწყვნენ, რათა პირველი შეტევისთანავე გაერღვიათ რუსთა რიგები. სწორედ ამიტომ სოლისებურად დაწყობილ მებრძოლთა წინა რიგებში მძიმე ჯავშნით აღჭურვილი ცხენოსნები იდგნენ, ხოლო ფლანგებზე ასევე მძიმე ჯავშნით აღჭურვილი, ქვეითად მებრძოლი რაინდები იყვნენ განლაგებული. ალექსანდრე ნეველმა თავისი ლაშქარი **სამკუთხედის** ფორმით განალაგა, რომლის უკანა (მახვილი) კუთხე ტბის ნაპირამდე აღწევდა. რუსთა ლაშქრის წინა რიგებში მსუბუქი შეიარაღების მქონე მებრძოლები იდგნენ, მძიმედ შეჯავშნულები კი — უკან. ასე რომ, გერმანელები და რუსები სრულიად საწინააღმდეგო სქემით განლაგდნენ. რაინდებმა მართლაც გაარღვიეს რუსთა რიგები, ყინული გადაიარეს და ჩუდის ტბის ნაპირს მიაღწიეს. ალექსანდრე ნეველმა რუსთა პოლკებით მტერს ფლანგებსა და ზურგში დაარტყა. რაინდებმა შეტევას ვერ გაუძლეს და უწესრიგოდ დაიწყეს ბრძოლის ველიდან გაქცევა. რუსებმა გაქცეულ რაინდებს შვიდი კილომეტრის მანძილზე სდიეს. უშუალოდ ჩუდის ტბაზე ბრძოლისას და შემდეგ დევნისას რუსებმა 500 რაინდი დახოცეს, ხოლო 50 ტყვედ ჩაიგდეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩუდის ტბის ყინულზე ბრძოლაში ალექსანდრე ნეველმა გამოიყენა მონღოლთა მსუბუქი კავალერია. საქმე ის იყო, რომ აპრილში ჩუდის ტბაზე ყინული ლღობას იწყებს და სიმაგრეს კარგავს. ამ შემთხვევაში ყინული განსაკუთრებით საშიში იქნებოდა მძიმედ შეჯავშნული ცხენოსანი რაინდებისათვის, ასევე რუსი მხედრებისათვის, რომელთა ჯავშანი, მართალია, სიმძიმით ჩამოუვარდებოდა რაინდთა ჯავშანს, მაგრამ თავისთავად მაინც მძიმე იყო. სწორედ ამიტომ ალექსანდრე ნეველმა თავისი ლაშქრის წინა რიგებში, რომელიც ღრმად იყო შეჭრილი ტბის ყინულზე, მსუბუქი შეიარაღების მქონე მებრძოლები განალაგა, მძიმე შეჯავშნულები უკანა რიგებში იმყოფებოდნენ. რუსთა რიგებში შეჭრილ რაინდებს ალექსანდრე ნეველმა ფლანგებიდან და ზურგიდან სწორედ მონღოლთა მსუბუქი კავალერიით დაარტყა. ყინულის ჩატეხისა და წყალში ჩაძირვის საშიშროება გერმანელი რაინდებისათვის გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მონღოლი ცხენოსნებისათვის. უკან დახეულ რაინდებს ასევე მონღოლთა კავალერია დაედევნა და დიდი ზიანიც მიაყენა.

ალექსანდრე ნეველი ჩუდის ტბაზე გამართული ბრძოლის შემდეგ ფსკოვში შევიდა, სადაც მას ზეიმით შეხვდნენ. დიდი ზეიმით შეხვდნენ ალექსანდრე ნეველს ნოვგოროდშიც.

ჩუდის ტბაზე განცდილი მარცხის შემდეგ **ლივონიის ორდენის** საბრძოლო შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. თუმცა რომის კათოლიკური ეკლესიის აქტიური მხარდაჭერით ჯვაროსანმა რაინდებმა მაინც შეძლეს ბალტიისპირეთის დიდი ნაწილის დაპყრობა.

5. **ოქროს ურდო.** XIII საუკუნის შუა ხანებში ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა **ბუდონიმ** თავისი რეზიდენცია **პეკინში** გადაიტანა და სათავე დაუდო **იუანის** დინასტიას. მონღოლთა იმპერიის დანარჩენი ნაწილი ნომინალურად ემორჩილებოდა **ყარაყორუმში** მყოფ **დიდ ხანს**. ჩინგიზ-ხანის ერთ-ერთმა შვილმა **ჩაღათაიმ** სა-

გამგებლოდ მიიღო შუა აზიის უდიდესი ნაწილი, ხოლო ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა **ჰულაგუმ** — ირანი, შუა აზიისა და წინა აზიის ნაწილი და ამიერკავკასია. ჰულაგუს საგამგებლო ტერიტორია 1265 წელს ცალკე **ულუსად** გამოიყო და მის მმართველ დინასტიას **ჰულაგუდების** დინასტია ეწოდა. ჩინგიზ-ხანის კიდევ ერთი შვილიშვილი (ჯუჩის ვაჟი) **ბათო** ითვლება მონღოლთა იმპერიის დასავლეთ ნაწილში მონღოლური სახელმწიფოს — **ოქროს ურდოს** დამაარსებლად.

ოქროს ურდო მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას მდინარე **დუნაიდან** მდინარე **ირტიშამდე** (კიევის რუსეთის უდიდესი ნაწილი, ყირიმი, შავიზღვისპირა და აზოვის ზღვისპირა სტეპები, ჩრდილო კავკასია, ვოლგის ბულგარეთი, დასავლეთ ციმბირი და შუა აზიის ნაწილი). ოქროს ურდოს დედაქალაქი იყო **სარაი**, რომელიც მდინარე ვოლგის ქვემოწელზე მდებარეობდა. ოქროს ურდო რამდენიმე ნახევრადდამოუკიდებელი ულუსისაგან შედგებოდა, რომელთა უზენაეს ხელისუფლად **ხანი** ითვლებოდა. ოქროს ურდოს პირველი ხანი **ბათო** იყო.

ოქროს ურდო ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. XIV საუკუნის დამდეგისათვის ოქროს ურდოს შეეძლო 300-ათასიანი ლაშქრის გამოყვანა. ურდოს აყვავების ხანად ითვლება ის პერიოდი, როცა მისი ხანი იყო **უზბეკი** (1312-1342). თავდაპირველად ოქროს ურდოში გაბატონებული იყო წარმართული რელიგია. 1312 წლიდან ოქროს ურდოს სახელმწიფო რელიგია **ისლამი** გახდა. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ოქროს ურდოს დასუსტება. პირველად მას გამოეყო **შუა აზიის** ტერიტორია. XV საუკუნეში დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. 1433 წელს ოქროს ურდოს გამოეყო **ყაზანის სახანო**, 1443 წელს — **ყირიმის სახანო**, XV საუკუნის შუა ხანებში — **ასტრახანის სახანო**, XV საუკუნის ბოლოს — **ციმბირის სახანო**.

6. ოქროს ურდო და რუსეთი. რუსეთის ტერიტორიაზე მონღოლური ადმინისტრაციული მმართველობა არ შემოღებულა. მონღოლებმა რუსეთში არსებული საერო და სასულიერო ხელისუფლება ისევე დატოვეს, როგორც მანამდე იყო. ფაქტობრივად, რუსეთი **ვასალურ** ქვეყნად იქცა. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ რუსეთის ტერიტორია, შუა აზიის, კასპიისპირეთისა და შავი ზღვისპირეთისაგან განსხვავებით, გამოუსადეგარი იყო მომთაბარე მეცხოველეობისათვის.

1243 წელს მდინარე სიტზე გამართულ ბრძოლაში დაღუპული ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის იური ვსევოლოდის ძის ძმა **იაროსლავ ვსევოლოდის ძე** (1238-1246) ოქროს ურდოს ხანთან გამოიძახეს. ბათომ იაროსლავ ვსევოლოდის ძე კარგად მიიღო და არა მარტო ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრობა დაუმტკიცა, არამედ მთელი რუსეთის მთავრებზე წინ დააყენა და, ფაქტობრივად, რუსეთში უმაღლეს ხელისუფლად ცნო. ბათომ იაროსლავ ვსევოლოდის ძეს ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის დამადასტურებელი **სიგელი** (იარლიყი) უბოძა. მალე თავიანთი სამთავროს ფლობის დამადასტურებელი სიგელი მიიღეს სხვა მთავრებმაც. ოქროს ურდოდან დაბრუნების შემდეგ იაროსლავ ვსევოლოდის ძემ თავისი უფროსი შვილი **კონსტანტინე** ყარაყორუმში მონღოლთა დიდ ხანთან გაგზავნა. 1245 წელს კონსტანტინე რუსეთში დაბრუნდა და მამას აცნობა, რომ დიდი ხანი **უგედეი** თავად იაროსლავს იბარებდა თავისთან. იაროსლავი ყარაყორუმში 1246 წელს ჩავიდა და იმავე წელს საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ იგი ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მოწამლეს. რუსეთში მუდმივად იმყოფებოდნენ მონღოლი მოხელეები — **ბასკაკები**. ისინი მონღოლთა სამხედრო რაზმებს ედგნენ სათავეში და, გადასახადის აკრეფის გარდა, თვალყურს ადევნებდნენ რუსი მთავრების მოღვაწეობას. თუკი რაიმე საეჭვოს შენიშნავდნენ, ბასკაკები მაშინვე ოქროს ურდოს ხანს შეატყობინებდნენ და ეჭვმიტანილი მთავარიც დაუყოვნებლივ დაისჯებოდა. უკეთეს შემთხვევაში მთავარი იარლიყს კარგავდა, უარეს შემთხვევაში — სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა. ბასკაკების მოთხოვნით ოქროს ურდოდან რუსეთში ჯარიც იგზავნებოდა. XIII საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსეთში მონღოლებმა თოთხმეტი ლაშქრობა მოაწყვეს.

ზოგიერთი რუსი მთავარი არ შეურიგდა მონღოლთა ვასალობას. 1252 წელს ვლადიმირ-სუზდალისა და გალიჩ-ვოლინის ურჩი მთავრების ლაშქარი მონღოლებმა გაანადგურეს. 1252 წლიდან 1263 წლამდე ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავარი იყო **ალექსანდრე ნეველი**. მან მონღოლებთან უპირსპექტივო ბრძოლას თავი ანება და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას მიჰყო ხელი. ალექსანდრე ნეველის პოლიტიკას მხარი დაუჭირა რუსეთის ეკლესიამ. რუსეთის **მიტროპოლიტი** კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფლების დასუს-

ტებას, ეკონომიკურ ნგრევას დამღუპველი შედეგები მოჰქონდა. რომის კათოლიკური ეკლესია შექმნილ ვითარებას თავის სასარგებლოდ იყენებდა და რუსეთში კათოლიკობას ავრცელებდა. აქედან გამომდინარე, რჯულშემწყნარებელ ოქროს ურდოს ხანთან კარგი ურთიერთობით რომის პაპის კათოლიკური აგრესიის მოგერიება რუსეთის მიტროპოლიტს გონივრულ ნაბიჯად მიაჩნდა.

1257 წელს მონღოლებმა, გადასახადების დაწესების მიზნით, რუსეთის აღწერა დაიწყეს. მონღოლური გადასახადები ძალზე ძვიმე იყო. მარტო ე.წ. „**მეფის ხარკი**", ანუ რუსეთიდან დიდი ხანისათვის მისართმევი ხარკი წელიწადში 1300 კილოგრამ ვერცხლს უდრიდა. სულ მონღოლებმა რუსეთში 14 სახის გადასახადი დააწესეს. XIII საუკუნის 50-60-იან წლებში მონღოლ ხარკის ამკრეფებს მოსახლეობამ ბევრგან გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა. 1262 წელს მონღოლ ხარკის ამკრეფებს გაუსწორდნენ **როსტოვში, ვლადიმირში, იაროსლავლში, სუზდალსა** და სხვა ქალაქებში. ამ გამოსვლებით იყო განპირობებული ის, რომ XIII საუკუნის ბოლოდან მონღოლებმა ხარკის აკრეფა რუს მთავრებს დაავალეს.

მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობამ ქვეყანას უდიდესი ზიანი მოუტანა — დაიხოცა უამრავი ადამიანი, დაინგრა და გადაიწვა სოფლები და ქალაქები, ჩაკვდა ეკონომიკა. ამასთან ერთად, რუსეთში მონღოლთა ბატონობის დამყარებამ კარგა ხნით შეაფერხა ქვეყნის გაერთიანების პროცესი.

თავი VI. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა (XIII საუკუნის მეორე ნახევარი – XVI საუკუნის დამდეგი)

1. რუსული სამთავროები მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ. XIII საუკუნის შუა ხანისათვის რუსული სამთავროები ოქროს ურდოსა და ლიტვის დიდ სამთავროს შორის აღმოჩნდნენ მომწყვდეულნი. ლიტვის დიდი სამთავროს ფუძემდებელი იყო **მინდოვგი**. იგი გერმანელ რაინდებთან ბრძოლებში განცდილი მარცხის შემდეგ იძულებული გახდა კათოლიკობა მიეღო, თუმცა ამის შემდეგაც გალიჩ-ვოლინის **მთავარ დანილა რომანის ძესთან** და **ალექსანდრე ნეველთან** კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. 1260 წელს მინდოვგმა ლივონიისა და ტევტონთა ორდენის ჯარები დაამარცხა და კათოლიკობაც უარყო.

ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში იმთავითვე შედიოდა სლავური ქალაქები **ნოვოგრუდოკი**, **გროდნო** და სხვა, ე.წ. **„ჩორნაია რუსი“** („შავი რუსეთი“). ამ რეგიონში ძველი რუსეთის ხალხისაგან ჩამოყალიბდა **ბელორუსი** ერი.

სამხრეთ-დასავლეთი რუსეთი (გალიჩის სამთავრო) პოლონეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. სამხრეთ რუსეთი (კიევი, ვოლინი, პოდოლი) კი მონღოლების მოხარკე გახდა. 1363 წელს მდინარე **ლურჯი წყლის** ნაპირას (მდინარე სამხრეთ ბუგის შენაკადი) ლიტვის დიდი სამთავროს ჯარებმა ოქროს ურდოს ჯარები დაამარცხეს. სამხრეთ რუსეთის ნაწილი (კიევი, ვოლინი, პოდოლი) ლიტვის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ცოტა მოგვიანებით სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ტერიტორიაზე ძველი რუსეთის ხალხისაგან ჩამოყალიბებას იწყებს **უკრაინელი** ერი.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ლიტვისა და პოლონეთის სახელმწიფოებში შესვლის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურმა ცენტრმა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვლადიმირ-სუზდალის სამთავროსაკენ გადაინაცვლა. ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში (ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, დიდი ნოვგოროდი) ძველი რუსეთის ხალხისაგან ჩამოყალიბებას იწყებს **რუსი** ერი.

მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს დაშლა წვრილ სამთავროებად. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში 14 საუფლისწულო სამთავრო შედიოდა. საუფლისწულო სამთავროები იყო: **სუზდალის**, **როსტოვის**, **იაროსლავლის**, **ტვერის**, **მოსკოვის**, **პერეიასლავლის** და სხვ. ეს სამთავროები კიდევ უფრო პატარა სამფლობელოებად იყოფოდა. ყველა ამ სამთავროში რიურიკოვიჩების დინასტიის ვლადიმირ-სუზდალის შტოს რომელიმე განშტოება მთავრობდა. ოქროს ურდოს ხანი ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის უზენაეს ხელისუფლად **ვლადიმირ-სუზდალის დიდ მთავარს** თვლიდა. დიდი მთავარი კი უნდა გამხდარიყო ვსეოლოდ დიდბუდეს შთამომავლობიდან უფროსი. მაგრამ რუსმა მთავრებმა ეს წესი ძალე დაარღვიეს და ყველამ დაიწყო ბრძოლა დიდი მთავრის ტიტულისათვის. ამ საპატიო ტიტულისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ **ტვერისა** და **მოსკოვის** მთავრები.

2. ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. მონღოლთა გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთმა ყველაზე ადრე დაიწყო აღორძინება. განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობდა მოსახლეობის ზრდა მდინარეებს **ვოლგასა** და **ოკას** შორის. ეს ტერიტორია შედარებით კარგად იყო დაცული ოქროს ურდოს აგრესიისაგან. აქ, ბუნებრივ მატებასთან ერთად, შეინიშნებოდა რუსეთის სხვა რეგიონებიდან (სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის) მოსახლეობის მიგრაცია. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს თავს აფარებდა მონღოლთა, გერმანელთა, ლიტველთა და პოლონელთა აგრესიას გამოქცეული ხალხი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მიწათმოქმედების განვითარება, კარგი სახნავ-სათესი მიწები და ჭარბი მოსახლეობა მეურნეობის ამ დარგის აღმავლობას უწყობდა ხელს.

ცვლილებები შეინიშნებოდა **სოციალურ** ურთიერთობებში. კიევის რუსეთში არსებული სმერდის რამდენიმე კატეგორიის ნაცვლად, ამჯერად დაბალ სოციალურ ფენას **„გლეხი“** ეწოდებოდა. გლეხთან ერთად მცირე რაოდენობით, მაგრამ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი **„ხოლოპები“** (მონები).

გაბატონებული სოციალური ფენა წარმოდგენილი იყო მთავრებითა და ბოიარებით, მიწის ძირითადი მესაკუთრეები სწორედ მთავრები და ბოიარები იყვნენ. მიწის მსხვილ მესაკუთრეს წარმოადგენდა აგრეთვე **ეკლესია** (მონასტრები). მთავრები, ბოიარები და ეკლესია (მონასტრები)

ძიწებს გლეხებიახად ფლობდხეხ. ძთავრებისა და ბოიარების მიწა ორი კატეგორიისა იყო — **„ვოტჩინა“** და **„პომესტიე“**. ვოტჩინა ეწოდებოდა იმ მიწას, რომელსაც მთავარი ან ბოიარი მემკვიდრეობით (მამისაგან) იღებდა. ეს იყო **საგვარეულო მამული**. პომესტიე იმ მიწას ეწოდებოდა, რომელიც მთავარს ან ბოიარს მისი სენიორისაგან **სამსახურისათვის** ჰქონდა მიღებული.

მიწათმოქმედების ძძლავრმა ჯლმავლობამ საფუძველი მოუმზადა საქალაქო ცხოვრების, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. მონღოლების მიერ ვლადიმირ-სუზდალის ძველი ქალაქების (ვლადიმირის, სუზდალის, როსტოვის და სხვ.) განადგურების შემდეგ შეინიშნება ახალი ქალაქების დაწინაურება. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: **ტვერი, ნიჟნი-ნოვგოროდი, მოსკოვი, კოლომნა, კოსტრომა** და სხვ. ახალი ქალაქების მოსახლეობა ძალზე სწრაფად იზრდებოდა, იზრდებოდა ქალაქების ტერიტორიაც. ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდა.

3. რუსული მიწების გაერთიანების დასაწყისი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელი ცენტრის გარშემო მოხდებოდა რუსული მიწების გაერთიანება.

ა) მოსკოვის დაწინაურება. რუსეთის გამაერთიანებელი ცენტრის პრეტენზია ჰქონდათ ქალაქებს **ტვერსა** და **მოსკოვს**. ტვერის სამთავრო ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში ცალკე საუფლისწულო სამთავროდ ჩამოყალიბდა 1247 წელს, როცა ტვერი მიიღო ალექსანდრე ნეველის ძმამ **იაროსლავ იაროსლავის ძემ**. ალექსანდრე ნეველის სიკვდილის შემდეგ დიდი მთავრის ტიტული მიიღო იაროსლავ იაროსლავის ძემ. ტვერის სამთავრო იმხანად მთელ რუსეთში უძლიერესი სამთავრო იყო. მაგრამ რუსული მიწების გაერთიანების მისია ტვერის სამთავროს მაინც არ დაეკისრა. XII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე სწრაფად დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო, რომელიც თავდაპირველად ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში შემავალ საუფლისწულო სამთავროს წარმოადგენდა.

მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობამდე მოსკოვი ვლადიმირ-სუზდალის სასაზღვრო ქალაქს წარმოადგენდა და არაფრით გამოირჩეოდა სხვა რუსული ქალაქებისაგან. მოსკოვის დაწინაურება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. **პირველი** — მოსკოვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ოქროს ურდოს შემოსევებისაგან მას იცავდა სუზდალ-ნიჟეგოროდისა და რიაზანის სამთავროები. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მოსკოვს იფარავდა ტვერის სამთავრო და დიდი ნოვგოროდი. მოსკოვის გარშემო არსებული უსიერი ტყის მასივები დიდ სიძნელეს უქმნიდა მონღოლთა ცხენოსან ჯარს. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა რუსეთის სხვა სამთავროებიდან მოსკოვის სამთავროში მოსახლეობის მიგრაცია, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის აღმავლობას — მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარებას. **მეორე** — მოსკოვს სამდინარო გზებით შეეძლო საჟაჭრო კავშირი დაემყარებინა რუსეთის სხვა რეგიონებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან. მდინარეებით მოსკოვითა და ოკით შეიძლებოდა ვოლგაში მოხვედრა, ხოლო ვოლგიდან პატარა მდინარეებით შეიძლებოდა ნოვგოროდამდე მიღწევა. მდინარე ვოლგით ასევე შეიძლებოდა ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდამდე და კიდევ უფრო სამხრეთით მგზავრობა და ტვირთის გადატანა. **მესამე** — მოსკოვის დაწინაურებას ხელი შეუწყო მისი მთავრების წინდახედულმა პოლიტიკამ, რომელთაც შეძლეს ცალკეული რუსი მთავრებისა და რუსეთის მიტროპოლიტის მიმხრობა.

დანიელ ალექსანდრეს ძე

მოსკოვის მთავრების დინასტიის ფუძემდებელი იყო ალექსანდრე ნეველის უმცროსი შვილი

დანიელ ალექსანდრეს ძე (1276-1303). მის დროს მოსკოვის სამთავროს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1301 წელს დანიელ ალექსანდრეს ძემ რიაზანის მთავარს წაართვა ქალაქი **კოლომნა**. 1302 წელს უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა **პერეიასლავლ-ზალესკის მთავარი**. მისი სამთავრო, ანდერძის თანახმად, მოსკოვის მთავარმა მიიღო. პერეიასლავლ-ზალესკი ცნობილი იყო თავისი ნაყოფიერი მიწებით. ეს კი ხელს უწყობდა მიწათმოქმედების აღმავლობას მოსკოვის სამთავროში. 1303 წელს სმოლენსკის სამთავროდან ქალაქი **მოჟაისკი** მოსკოვის სამთავროს შემადგენლობაში გადავიდა. მოჟაისკი მდინარე მოსკოვის სათავეებთან მდებარეობს, ხოლო კოლომნა — შესართავში. ასე რომ, მდინარე მოსკოვი მთლიანად მოსკოვის სამთავროს ტერიტორიაზე მიედინებოდა. დანიელ ალექსანდრეს ძის მთავრობის წლებში მოსკოვის სამთავროს ტერიტორია ორჯერ გაიზარდა. მალე მოსკოვის მთავრებმა დიდი მთავრის ტიტულისათვის დაიწყეს ბრძოლა.

ბ) მოსკოვისა და ტვერის ბრძოლა დიდი მთავრის ტიტულისათვის. ტვერის მთავარი **მიხეილ იაროსლავის ძე** (1304-1317) ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის ვსევოლოდ დიდბუდის შთამომავლობაში უფროსი შტოს წარმომადგენელი იყო და ამის გამო დიდი მთავრის იარლიყიც მან მიიღო. ამ დროს მოსკოვის მთავარი იყო **იური დანიელის ძე** (1303-1325). იგი დაქორწინებული იყო ოქროს ურდოს ხანის უზბეკის დაზე. იური დანიელის ძე ოქროს ურდოს ხანს ხარკის გაზრდას დაპპირდა და უზბეკმაც დიდი მთავრის იარლიყი მას უბოძა. 1315 წელს **მიხეილ იაროსლავის ძემ** ომი დაიწყო მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ, დაამარცხა **იური დანიელის ძის** დრუჟინა და მისი ცოლი ტყვედ ჩაიგდო. იური დანიელის ძის ცოლი ტვერში გარდაიცვალა. მოსკოვის მთავარმა მის სიკვდილში ბრალი ტვერის მთავარს დასდო. მიხეილ იაროსლავის ძე ოქროს ურდოში გამოიძახეს და სიკვდილით დასაჯეს. 1319 წელს დიდი მთავრის იარლიყი მოსკოვის მთავარმა იური დანიელის ძემ მიიღო. 1325 წელს იური დანიელის ძე მოკლა სიკვდილით დასჯილი ტვერის მთავრის **მიხეილ იაროსლავის ძის** შვილმა **დიმიტრიმ**. მართალია, დიმიტრი მიხეილის ძე ოქროს ურდოს ხანმა სიკვდილით დასაჯა, მაგრამ დიდი მთავრის იარლიყი მის ძმას — **ალექსანდრე მიხეილის ძეს** (1326-1327) გადასცა. 1327 წელს აჯანყებულმა ტვერელებმა მოკლეს მონღოლი ხარკის ამკრეფი — ბასკაკი **ჩოლხანი** (ჩოლხანი ოქროს ურდოს ხანის უზბეკის ნათესავი იყო). მონღოლური გადასახადებისა და ხარკის ამკრეფთა თვითნებობით შეწუხებულმა ტვერელებმა შველა მთავარ ალექსანდრე მიხეილის ძეს სთხოვეს. მთავარმა დალოდება არჩია — თავისი პოზიცია არ გამოხატა. ამასობაში ტვერელებმა ჩოლხანის თანმხლები მონღოლთა რაზმიც გაანადგურეს. ტვერში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა მოსკოვის მთავარმა **ივანე დანიელის ძემ**. იგი ოქროს ურდოში გაემგზავრა. ხანმა უზბეკმა მას დიდი მთავრის იარლიყი უბოძა და თან ტვერელების დასასჯელად 50-ათასიანი ლაშქარი გამოაყოლა. ივანე დანიელის ძე ტვერში შეიჭრა და აჯანყებულები სასტიკად დასაჯა. ტვერის მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ თავი ჯერ **ნოვგორდს**, ხოლო შემდეგ ფსკოვს შეაფარა, საიდანაც ლიტვაში გაიქცა. მოსკოვის მთავრის ასეთმა მოქმედებამ რუსეთი მონღოლთა ახალი ამაოხრებელი ლაშქრობისაგან იხსნა.

გ) ივანე დანიელის ძე კალიტა (1325-1340). 1327 წლიდან რუსეთის დიდი მთავრის ტიტულს **ივანე კალიტა** ატარებდა. ამ დროდან მოყოლებული, დიდი მთავრის ტიტული თით-



ქალაქი კოლომნა

ივანე კალიტა

ქმის მუდმივად მოსკოვის მთავრებს ჰქონდათ. ივანე კალიტას დროს მოსკოვი **რუსეთის საეკ-ლესიო ცენტრადაც** იქცა. რუსეთის მიტროპოლიტი **პეტრე** ხშირად სტუმრობდა მოსკოვს და იქ დიდხანს რჩებოდა. შემდგომში მიტროპოლიტი **თეოგნოსტი** ვლადიმირიდან მოსკოვში გადასახლდა.

იმის შესახებ, თუ საიდან მიიღო ზედწოდება „**კალიტა**" ივანე დანიელის ძემ, ერთი აზრი არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „კალიტა" („ქისა") ივანე დანიელის ძეს დიდი სიმდიდრის გამო უწოდეს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ივანე დანიელის ძე მუდამ თან დაატარებდა ფულით სავსე ქისას („კალიტას"), რათა წყალობა გაეღო და ამიტომაც უწოდეს „კალიტა".

ივანე კალიტა იყო ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი და თანამიმდევრული პოლიტიკოსი. ამავე დროს, იგი იყო მკაცრი და დაუნდობელი. ივანე კალიტამ დიპლომატიური ნიჭის წყალობით შეძლო თავიდან აეცილებინა ოქროს ურდოს გამანადგურებელი ლაშქრობები რუსეთში, რამაც რუსეთის ეკონომიკის აღმავლობა განაპირობა. ოქროს ურდოს ხანმა ივანე კალიტას უფლება მისცა, ხარკი ურდოში თავად ჩაეტანა. რუსეთმა დაისვენა მონღოლი ხარკის ამკრეფთა თვითნებობისა და მათი თანმხლები რაზმების თარეშისაგან.

ოქროს ურდოს ხანთან კარგი ურთიერთობა ივანე კალიტამ მოსკოვის სამთავროს ძლიერების ზრდისათვის გამოიყენა. ივანე კალიტას დროს მოსკოვის სამთავრომ შეიერთა **კოსტრომისა** და **ვოლოგდის** რაიონებში მდებარე მიწები. **როსტოვისა** და **სუზდალის** მთავრები ივანე კალიტას ნების აღმსრულებლად იქცნენ. **რიაზანის სამთავრო** უშუალოდ ესაზღვრებოდა ოქროს ურდოს. ოქროს ურდოს ხანისა და ივანე კალიტას კარგი ურთიერთობით შეშინებული რიაზანის მთავარიც ივანე კალიტას ნების მორჩილად იქცა. რაც შეეხება **უგლიჩის სამთავროს**, იგი ივანე კალიტამ პირდაპირ იყიდა. გარდა ამისა, ივანე კალიტამ მრავალი სოფელი შეიძინა მეზობელი სამთავროების ტერიტორიაზე. **დიდ ნოვგოროდში** მთავარს მიწის ყიდვა ეკრძალებოდა, მაგრამ ივანე კალიტამ აქაც იპოვა გამოსავალი. იგი ნოვგოროდის ტერიტორიაზე დასახლებებს ქმნიდა და იქ თავის ხალხს ასახლებდა. ასე რომ, მოსკოვის დიდმა მთავარმა ნოვგოროდშიც გაიმაგრა პოზიციები.

1337 წელს ტვერის დევნილი მთავარი **ალექსანდრე მიხეილის ძე** ოქროს ურდოში ჩავიდა და დიდი მთავრის იარლიყის მიღება მოახერხა. 1339 წელს ოქროს ურდოს ხანთან **ივანე კალიტა** გამოცხადდა და ტვერის მთავარი დაასამინა. იმავე წელს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მისი შვილი ოქროს ურდოში

ივანე ლამაზი

გამოიძახეს და სიკვდილით დასაჯეს. დიდი მთავრის ტიტული 1339 წელს ისევ ივანე კალიტამ მიიღო.

ივანე კალიტას შვილების **სიმონ ამაყისა** (1340-1353) და **ივანე II ლამაზის** (1353-1359) დროს მოსკოვის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა **დმიტროვი, კოსტრომა** და **სტაროდუბი**, ასევე **კალუგის რაიონი**.

ივანე II ლამაზის სიკვდილის შემდეგ მოსკოვის სამთავროს ტახტზე ავიდა მისი შვილი დიმიტრი.

დ) დიმიტრი ივანეს ძე დონელი (1359-1389). დიმიტრი ივანეს ძემ დიდი მთავრის ტახტი ცხრა წლის ასაკში მიიღო. რუსეთის სხვა მთავრებმა დიმიტრის მცირეწლოვნობის გამოყენება სცადეს და დიდი მთავრის ტიტულისათვის დაიწყეს ბრძოლა. 1359 წელს ოქროს ურდოს ხანმა **ნევრუსმა** რუსეთის დიდი მთავრის იარლიყი სუზდალის მთავარს **დიმიტრი კონსტანტინეს ძეს** უბოძა.

დიდი მთავრის ტიტულის დაკარგვის მიუხედავად, მოსკოვის სამთავროს პირველობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. მცირეწლოვანი მთავრის დიმიტრი ივანეს ძის გარშემო შეიქმნა ბოიართა ბრძოლისუნარიანი დაჯგუფება, რომელიც მხარში ამოუდგა მთავარს. ბოიართა წინდახედული და საზრიანი მოქმედებით მოსკოვის სამთავრომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

დიმიტრი დონელი

ბოიარებმა მცირეწლოვანი დიმიტრი ივანეს ძე **ოქროს ურდოში** წაიყვანეს, რათა დიდი მთავრის იარლიყი დაებრუნებინათ. დიმიტრის ურდოში ჩასვლას დაემთხვა ოქროს ურდოს ხანის ტახტისათვის გაცხარებული ბრძოლა, რის გამოც დიმიტრიმ მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს ოქროს ურდო ორად გაიყო. ურდოს ერთი ნაწილი ერგო **აბდულას**, მეორე — **მიურიდს**. აბდულა ხანის ტახტს კი დაეუფლა, მაგრამ მის ნაცვლად საქვეყნო საქმეებს **მამაი** განაგებდა. ბოიარებმა მოახერხეს და მიურიდმა 1363 წელს **დიდი მთავრის იარლიყი** დიმიტრი ივანეს ძეს მისცა. იმავე წელს ბოიარებმა ლაშქარი შეკრიბეს და სუზდალის მთავრის დიმიტრი კონსტანტინეს ძის წინააღმდეგ გაილაშქრეს. სუზდალის მთავარმა მოსკოვის სამთავროს ლაშქარს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. იმავე 1363 წელს მოსკოვის მთავარს დიმიტრი ივანეს ძეს **აბდულასა** და **მამაისაგან** გამოგზავნილმა ელჩებმა დიდი მთავრის იარლიყი გადასცეს. დიმიტრი ივანეს ძემ ეს იარლიყიც მიიღო. ამრიგად, დიმიტრი ივანეს ძეს დიდი მთავრის იარლიყი მიღებული ჰქონდა როგორც მიურიდისაგან, ისე აბდულასაგან. დიმიტრი ივანეს ძის მიერ აბდულასაგან გამოგზავნილი დიდი მთავრის იარლიყის მიღებამ გაანაწყენა მიურიდი და მან მოსკოვის მთავრის დამცირების მიზნით დიდი მთავრის იარლიყი სუზდალის მთავარს **დიმიტრი კონსტანტინეს ძეს** უბოძა. დიმიტრი ივანეს ძემ დაუყოვნებლივ გაილაშქრა დიმიტრი კონსტანტინეს ძის წინააღმდეგ და დაიმორჩილა იგი. იმავე წელს დიმიტრი ივანეს ძემ დაიმორჩილა როსტოვის მთავარი **კონსტანტინე**, ხოლო **სტაროდუბის** მთავარი ივანისი სამფლობელოდან გააძევა. 1365 წელს სუზდალის მთავარს ოქროს ურდოდან კვლავ გამოუგზავნეს დიდი მთავრის იარლიყი, მაგრამ მან მოსკოვის მთავრის სასარგებლოდ სამუდამოდ უარი თქვა დიდი მთავრის წოდებაზე. 1365 წელს სუზდალის მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს ძემ თავისი და ცოლად მიათხოვა მოსკოვის მთავარს დიმიტრი ივანეს ძეს და მათ შორის მეტოქეობასაც ბოლო მოეღო.

ამრიგად, მოსკოვის სამთავრომ 1359-1365 წლებში დიმიტრი ივანეს ძის მცირეწლოვნების პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვა. ცხადია, ეს **ბოიართა იმ დაჯგუფების დამსახურება იყო, რომელიც ყრმა მთავარს გვერდით ედგა და ერთგულად ემსახურებოდა ქვეყანას.** დიმიტრი ივანეს ძე მომდევნო ხანებშიც სახელმწიფო საქმეებს მხოლოდ ბოიარებთან ერთად განაგებ-

და და სიკვდილის წინ შვილებსაც იგივე უანდერძა. სწორედ ამიტომ **ძნელი** დასადგენია, მოსკოვის სამთავროს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას ვინ ასრულებდა გადამწყვეტ როლს — მთავარი თუ ბოიარები. არ არის გამორიცხული, რომ დიმიტრი ივანეს ძის სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფო საქმეებს ძირითადად ბოიარები წყვეტდნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ დიმიტრის მტკიცე ხასიათი არ ჩამოუყალიბდა. იგი იყო **გაბედულიც** და **თავშეკავებულიც, მამაციცა** და **მშიშარაც, გულღიაც** და **ვერაგიც**.

მოსკოვის სამთავროსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ტვერის დევნილი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის შვილი **მიხეილი**. მიხეილ ალექსანდრეს ძე იყო მტკიცე ხასიათის, გაბედული და ამავე დროს ვერაგი ადამიანი. როგორც კი ტვერის მთავარი გახდა, **მიხეილ ალექსანდრეს ძემ** თავისი ძალაუფლების განმტკიცებას მიჰყო ხელი. პირველ რიგში, მან თავისი ნათესავების დევნა დაიწყო. ტვერის მთავრის მიერ დევნილმა ნათესავებმა მოსკოვის მთავარს დიმიტრი ივანეს ძეს მიმართეს დახმარებისათვის. სამაგიეროდ, ტვერის მთავარმა მოსკოვის მთავრის წინააღმდეგ დახმარება თავის სიძეს, ლიტვის დიდ მთავარ **ოლგერდს** სთხოვა. ასე დაიწყო ომი **მოსკოვის სამთავროსა** და **ლიტვის დიდ სამთავროს** შორის. 1367 წელს მოსკოვის მთავრის ჯარებმა **ტვერი** აიღეს და დაარბიეს. ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ლიტვაში გაიქცა და ლიტველთა ჯარი მოიშველია. ამჯერად ომი თავიდან იქნა აცილებული — მთავრებს შორის ზავი დაიდო. 1368 წელს მოსკოვის მთავარმა **დიმიტრი ივანეს ძემ** და მიტროპოლიტმა **ალექსიმ** ტვერის მთავარი და მისი ბოიარები მოსკოვში მიიწვიეს მოლაპარაკებაზე და ყველანი შეიპყრეს. მალე მოსკოვში ოქროს ურდოდან ელჩები ჩამოვიდნენ. დიმიტრი ივანეს ძე შეშინდა და ტვერის მთავარი თავისი ბოიარებითურთ ციხიდან გაათავისუფლა. ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე კვლავ ლიტვაში გაიქცა და ლიტვის დიდი მთავარი ოლგერდი დაითანხმა ომი დაეწყო მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ.

1368 წელს ლიტვის დიდი მთავარი ოლგერდი ლიტველთა ჯარით, ტვერისა და სმოლენსკის ლაშქრის თანხლებით სწრაფად მიუახლოვდა მოსკოვის სამთავროს საზღვრებს. მოსკოვის მთავარმა დიმიტრი ივანეს ძემ ლაშქრის შეკრება ვერ მოასწრო და მტერს მხოლოდ სამი პოლკი შეაგება ვოევოდა **დიმიტრი მინინის** სარდლობით. ლიტვის დიდმა მთავარმა მოსკოვის სამთავროს ლაშქარი გაანადგურა. ვოევოდა დიმიტრი მინინი კი სხვა ბოიარებთან ერთად ბრძოლაში დაიღუპა. ამის შემდეგ ოლგერდი მოსკოვისაკენ დაიძრა. მოსკოვის მთავარმა **დიმიტრი ივანეს ძემ** მოსკოვის გალავნის გარეთ არსებული ქალაქის ნაწილი გადაწვა, ხოლო თვითონ ოჯახთან, მიტროპოლიტ **ალექსისთან** და ბიძაშვილ **ვლადიმირ ანდრეის ძესთან** ერთად მოსკოვის კრემლში ჩაიკეტა. მართალია, ოლგერდმა მოსკოვი ვერ აიღო, მაგრამ ქალაქის შემოგარენი მთლიანად გაანადგურა და უამრავი ტყვე ჩაიგდო ხელთ. მოსკოვის მთავარი იძულებული გახდა, ქალაქი გოროდოკი და ტვერის სამთავროს ზოგიერთი სხვა ტერიტორია ისევ მიხეილ ალექსანდრეს ძისათვის დაებრუნებინა.

მოსკოვის მთავარი დიმიტრი ივანეს ძე დამარცხებას ვერ შეურიგდა. 1369 წელს მოსკოვის სამთავროს ჯარებმა, ლიტვის დიდი მთავრის ოლგერდის მიერ მოსკოვზე მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის, სმოლენსკის სამთავროს ტერიტორია დაარბია. 1370 წელს თავად დიმიტრი ივანეს ძე მოსკოვის ჯარით ტვერის სამთავროში შეიჭრა. ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ისევ ლიტვაში გაიქცა. მოსკოვის მთავრის ჯარმა გადაწვა ტვერის სამთავროს სოფლები და ქალაქები, მოსახლეობა კი ტყვედ წაიყვანა.

ლიტვის დიდი მთავარი **ოლგერდი** ჯვაროსნებთან ომით იყო დაკავებული. ოლგერდმა ჯვაროსნები დაამარცხა და იმავე 1370 წელს მოსკოვზე ილაშქრა. ლიტველთა ლაშქარმა მოსკოვს ალყა შემოარტყა. **დიმიტრი ივანეს ძე** ისევ მოსკოვის კრემლში ჩაიკეტა, ხოლო მისი ბიძაშვილი **ვლადიმირ ანდრეის ძე** პერემიშლში გამაგრდა ჯარით. მალე ვლადიმირ ანდრეის ძის ლაშქარს მოსკოვის მთავრის მოკავშირე მთავრების ლაშქარი შეუერთდა. ოლგერდმა, რუსთა ლაშქრის თავმოყრის ამბავი რომ გაიგო, დაზავება ითხოვა. მოსკოვის მთავარი ლიტვის დიდ მთავართან და ტვერის მთავართან მხოლოდ დროებით ზავზე დათანხმდა.

1371 წელს ტვერის მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს ძე** ოქროს ურდოში გაემგზავრა და დიდი მთავრის იარლიყი მიიღო, თან მონღოლი ელჩი ჩამოიყვანა. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში ოქროს ურდოსაგან მიღებული დიდი მთავრის იარლიყი ბევრს არაფერს ნიშნავდა. **რუსეთში პირველობდა ის, ვინც რეალურ ძალას ფლობდა**. ასეთი კი მოსკოვის მთავარი

იყო. აღსანიშნავია, რომ დიდი მთავრის იარლიყის მფლობელი ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ქალაქ ვლადიმირშიც კი არ შეუშვეს. თვითონ მოსკოვის მთავარი დიმიტრი ივანეს ძე, მონღოლი ელჩის მიწვევის მიუხედავად, ვლადიმირში არ გამოცხადდა და ელჩი მოსკოვში მიიწვია. მოსკოვში მონღოლი ელჩი ისე უხვად დაასაჩუქრეს, რომ იგი დიმიტრი ივანეს ძის მხარდამჭერად მოგვევლინა. მონღოლმა ელჩმა მოსკოვის მთავარს ურდოში **მამაისთან** გამგზავრება ურჩია და, თავის მხრივ, დახმარება აღუთქვა. დიმიტრი ივანეს ძემ ურდოში დიდი ძღვენი ჩაიტანა და მამაის კეთილგანწყობა დაიმსახურა. მამაიმ დიმიტრი ივანეს ძეს დიდი მთავრის იარლიყი უბოძა და ძვირფასი ძღვენით მოხიბლულმა ხარკიც შეუმცირა.

ტვერის მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს ძე** ბრძოლას არ წყვეტდა. 1372 წელს ტვერის ლაშქარმა მოსკოვის სამთავროს ტერიტორია დაარბია და მოსკოვის მოკავშირე ნოვგოროდის ლაშქარიც სასტიკად დაამარცხა. 1373 წელს ლიტვის დიდმა მთავარმა უკვე მესამედ ილაშქრა მოსკოვზე. მოსკოვის მთავარი **დიმიტრი ივანეს ძე** ამჯერად ომისათვის კარგად მოემზადა და მოსკოვისაკენ მომავალი ლიტვის ჯარის მოწინავე რაზმი სასტიკად დაამარცხა. ლიტველთა ჯარში პანიკა დაიწყო და ოლგერდმა უკან დაიხია. მალე ლიტვის დიდ სამთავროსა და მოსკოვის სამთავროს შორის ზავი დაიდო.

ოქროს ურდო დიდი მთავრის იარლიყს რუსეთის მთავართა შორის შუღლის ჩამოსაგდებად იყენებდა. 1375 წელს ტვერის მთავარმა **მიხეილ ალექსანდრეს ძემ** მამაისაგან ისევ მიიღო დიდი მთავრის იარლიყი და იმავე წელს ომი დაიწყო მოსკოვის სამთავროსთან. მოსკოვის სამთავროს ჯარი ტვერის ტერიტორიაზე შევიდა და ქალაქ **ტვერს** ალყა შემოარტყა. ლიტვის დიდმა მთავარმა ამჯერად ტვერის მთავრის დახმარება ვერ გაბედა. ტვერის მთავარმა ვერც ოქროს ურდოსაგან მიიღო დახმარება და დამარცხებას შეურიდა.

ტვერის მთავრის დამორჩილება მოსკოვის მთავრის დიდი წარმატება იყო. მოსკოვის მთავრის გაძლიერებით ძალიან შეშინდა მამაი. იგი განსაკუთრებით იმან გააღშენა, რომ მოსკოვის მთავარმა დიმიტრი ივანეს ძემ არად ჩააგდო მის მიერ ტვერის მთავრისათვის ბოძებული დიდი მთავრის იარლიყი. 1375 წლიდან მოსკოვის მთავარს **დიმიტრი ივანეს ძესა** და **მამაის** შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდა. მონღოლებმა ნიჟეგოროდისა და სამხრეთ რუსეთის სხვა ტერიტორიები დაარბია. 1377 წელს მამაის ლაშქარმა მოსკოვისა და სუზდალის სამთავროების გაერთიანებული ჯარი დაამარცხა. მონღოლებმა ქალაქი **ნიჟნინოვგოროდი** აიღეს და გადაწვეს. 1378 წელს მონღოლებმა ნიჟნი-ნოვგოროდი მეორედ გადაწვეს. იმავე 1378 წელს მამაიმ მონღოლთა დიდი ლაშქარი **ბეგიჩის** სარდლობით მოსკოვისაკენ დაძრა. დიმიტრი ივანეს ძემ ლაშქარი შეკრიბა და მტერს რიაზანის სამთავროს ტერიტორიაზე შეეგება. 1378 წლის 11 აგვისტოს მდინარე **ეოჟას** ნაპირის მოსკოვის მთავრის დიმიტრი ივანეს ძის სარდლობით რუსებმა მონღოლები სასტიკად დაამარცხეს.

მამაიმ რუსეთის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის მზადება დაიწყო. ამჯერად მონღოლები უფრო საგულდაგულოდ მოემზადნენ. 1380 წლის ზაფხულში მამაიმ თავისი ბანაკი მდინარე **ეოლგის** მარჯვენა ნაპირზე გადაიტანა და მოსკოვის სამხრეთი ტერიტორიის დარბევას შეუდგა. ლიტვის დიდი მთავარი **იაგაილო** და **მამაი** შეთანხმდნენ, რომ 1380 წლის 1 სექტემბერს ლიტვისა და მონღოლთა ჯარები გაერთიანდებოდნენ და მოსკოვზე გაილაშქრებდნენ. დიმიტრი ივანეს ძემ, მამაის მზადების ამბავი რომ შეიტყო, დახმარება სთხოვა **როსტოვის**, **იაროსლავლისა** და **ბელოოზეროს** მთავრებს. რიაზანის მთავარი **ოლეგი** მონღოლებთან ომს მოერიდა და მამაისთან კავშირი არჩია.

დიმიტრი ივანეს ძის ბრძანების თანახმად რუსთა ჯარებს 1378 წლის 15 აგვისტოს თავი უნდა მოეყარათ ქალაქ **კოლომნასთან**. მონღოლთა ლაშქრის მოძრაობისათვის თვალყურის სადევნებლად რუსთა ერთი პოლკი მამაის ბანაკის მიმართულებით გაიგზავნა.

კოლომნასთან თავი მოიყარა მანამდე არნახულმა ლაშქარმა — 150 ათასმა კაცმა. რუსთა ლაშქრის რაოდენობა, როგორც ჩანს, ცნობილი გახდა მამაისათვის. მამაი შეშინდა და დიმიტრი ივანეს ძეს ელჩები გამოუგზავნა. მამაი ითხოვდა რუსეთის იმდენი ხარკი გადაეხადა, რამდენსაც ოქროს ურდოს ხანის უზბეკის დროს იხდიდა. დიმიტრი ივანეს ძემ ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და მამაის შეუთვალა, რომ რუსეთი იმდენ ხარკს გადაიხდიდა, რამდენიც დიმიტრისა და მამაის შეხვედრისას დადგინდა. 1380 წლის 20 აგვისტოს დიმიტრი ივანეს ძემ რუსთა ლაშქარი კოლომნიდან დაძრა, მოსკოვის სამთავროს საზღვრები გაიარა და მდინარე **ოკას** ნაპირთან შეჩერდა. აქ მას შეუერთდა მისი ბიძაშვილი, სერპუხოვის მთავარი **ვლადიმირ ანდრეის ძე** თავისი ლაშქრით. აქვე მოვიდნენ

მოსკოვიდან გვიან გამოსული პოლკები. რუსთა ლაშქარმა მდინარე ოკა გადალახა და 6 სექტემბერს მდინარე **დონის** ნაპირებს მიაღწია. 7 სექტემბერს რუსებმა დონი გადალახეს. დიმიტრი ივანეს ძის გაბედულმა მოქმედებამ ლიტვის დიდი მთავარი იაგაილო აიძულა თავი შეეკავებინა და მონღოლებს დახმარება აღარ აღმოუჩინა. რიაზანის სამთავროს ტერიტორიაზე რუსთა ლაშქრის შესვლამ არც რიაზანის მთავარს მისცა ღალატის საშუალება.

1380 წლის 8 სექტემბერს ნისლიანი დილა გათენდა. ნისლი რომ გაიფანტა, რუსთა პოლკები უკვე საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ მდინარე **დონსა** და მის შენაკად **ნეპრიადვას** შორის. დღის 12 საათზე გამოჩნდა მონღოლთა ლაშქარი. მონღოლები მაღლობებიდან მდინარე დონის ნაპირას გაშლილ **კულიკოვოს** ფართო ველზე ეშვებოდნენ. რუსებიც მაღლობიდან დაეშვნენ და ისინიც კულიკოვოს ველზე დადგნენ მონღოლების პირისპირ. პირველ საათზე რუსთა მოწინავე პოლკებმა ბრძოლა დაიწყეს.

დიმიტრი ივანეს ძე თავისი დრუჟინით მოწინავეთა რიგებში დადგა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკან გამობრუნდა. დიმიტრიმ სარდლობა თავის ბიძაშვილს, სერპუხოვის მთავარ **ვლადიმირ ანდრეის ძეს** ჩააბარა, თვითონ კი მთავრის მანტია გაიხადა და უბრალო რუსი მებრძოლის სამოსით შეიმოსა. მთელი ბრძოლის განმავლობაში დიმიტრი ივანეს ძე რიგითი მეომარივით იბრძოდა. ბრძოლას **ვლადიმირ ანდრეის ძესთან** ერთად ეოევოდა **ბობროკი** ხელმძღვანელობდა.

ბრძოლა **კულიკოვოს ველზე** სასტიკი იყო. ცხენებს დახოცილთა გვამებზე გადაევლა უჭირდათ, სისხლის მდინარეები რამდენიმე ვერსზე მიედინებოდა. რუსთა ქვეითი ჯარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს მონღოლებმა. მსხვერპლი დიდი იყო მონღოლთა მხრიდანაც. გადამწყვეტ მომენტში ბრძოლისაგან დაქანცულ მონღოლებს ვლადიმირ ანდრეის ძემ ეოევოდა დიმიტრი ბობროკის მეთაურობით საფარში მყოფი რუსთა ცხენოსანი პოლკით შეუტია. მონღოლებმა ბობროკის პოლკის შეტევას ველარ გაუძლეს, უკან დაიხიეს და გაიქცნენ. ამრიგად, კულიკოვოს ბრძოლაში რუსთა გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა დიმიტრი ივანეს ძის ბიძაშვილის, სერპუხოვის მთავრის ვლადიმირ ანდრეის ძის მხედართმთავრულმა ნიჭმა. რუსეთის ისტორიაში ვლადიმირ ანდრეის ძე „**მამაცის**" სახელით შევიდა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ქანცგაწყვეტილი და გონებადაკარგული დიმიტრი ივანეს ძე დახოცილ მეომართა შორის იპოვეს და მოასულიერეს.

კულიკოვოს ველზე გამარჯვებამ მთელ რუსეთში უდიდესი სიხარული გამოიწვია. მართალია, მონღოლთა ცალკეული რაზმები რუსებს ადრეც დაუმარცხებიათ, მაგრამ რუსეთის დაპყრობის დღიდან გენერალურ ბრძოლაში მონღოლებმა მარცხი პირველად იწვნიეს. ამ გამარჯვებისათვის მთავარ დიმიტრი ივანეს ძეს „**დონელი**" უწოდეს.

მამაი მარცხს ვერ შეურიგდა. მან დიდი ჯარი შეკრიბა და კვლავ მოსკოვზე სალაშქროდ ემზადებოდა. მოსკოვზე შეტევამდე მამაის ბრძოლა მოუწია **თოხთამიშთან**. თოხთამიში ჩინგიზხანის შთამომავალი იყო. მან მდინარე კალკასთან ბრძოლაში მამაის ლაშქარი დაამარცხა. მამაი ყირიმში (ფეოდოსიაში) გაიქცა, სადაც იგი მოკლეს კიდეც. ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში გახდა.

დიმიტრი დონელმა თოხთამიშს ძღვენი გაუგზავნა და მასთან ურთიერთობის მოგვარებას შეეცადა. 1381 წელს თოხთამიშმა მოსკოვში თავისი ელჩი გაგზავნა. ელჩი შეშინდა და ნიჟნი-ნოვგოროდის იქით გზის გაგრძელება ველარ გაბედა. ნიჟნი-ნოვგოროდიდან მოსკოვში ელჩმა თავის ნაცვლად რამდენიმე კაცი გაგზავნა, მაგრამ მალე ისინიც შეშინებულები უკან დაბრუნდნენ. თოხთამიშმა გადაწყვიტა, მონღოლებში კულიკოვოს ბრძოლის შემდეგ ფეხმოკიდებული შიში გაეფანტა და რუსეთში მონღოლთა ბატონობა აღედგინა.

1382 წელს **თოხთამიშმა** მდინარე **ვოლგა** გადალახა და ისე სწრაფად მიაღწია **მოსკოვამდე**, რომ რუსეთში მონღოლთა დიდი ლაშქრის შემოსევის შესახებ ვერც კი გაიგეს. მდინარე **ოკაზე** გადასასვლელი თოხთამიშს რიაზანის მთავარმა **ოლეგმა** უჩვენა. დიმიტრი დონელმა დიდი ლაშქრის შეკრება ვერ მოასწრო, მოსკოვი დატოვა და ჯერ **პერეიასლავლში**, ხოლო შემდეგ **კოსტრომაში** გადავიდა. სანამ დიმიტრი დონელი კოსტრომის მიდამოებში ლაშქარს კრებდა, თოხთამიშმა მოსკოვი გადაწვა. მონღოლებმა მოსკოვში 24 ათასი კაცი გაუელიტეს.

1383 წელს მოსკოვში თოხთამიშის ელჩი მივიდა. დიმიტრი დონელი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1384 წლიდან მონღოლური ხარკი წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. მონღოლთა მიერ დაწე-

სებულმა ხარკმა მოსკოვის სამთავროს ხაზინა დააცარიელა.

1389 წელს დიმიტრი დონელი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ე) ვასილი I დიმიტრის ძე (1389-1425). დიმიტრი დონელის შვილი ვასილი I ოქროს ურდოს ხანთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. 1395 წელს ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში სასტიკად დაამარცხა თემურ-ლენგმა. ამის შემდეგ ვასილი I ოქროს ურდოს ანგარიშს აღარ უწევდა. 1408 წელს ედიგეიმ, რომელიც პრაქტიკულად განაგებდა ოქროს ურდოს, გადაწყვიტა რუსეთის დამორჩილება. ედიგეიმ ხმა გაავ

, რომ ლიტვაზე სალაშქროდ მიდიოდა. რუსებმა ყურადღება მოადუნეს და ედიგეიმ შეუმჩნევლად მიაღწია მოსკოვამდე. ვასილი I-მა მოსკოვში თავისი ბიძა, სერპუხოვის მთავარი ვლადიმირ ანდრეის ძე მამაცი დატოვა, თვითონ კი კოსტრომაში გაემგზავრა ჯარის შესაკრებად. მონღოლებმა აიღეს და გაავერანეს პერეიასლავლი, როსტოვი, სერპუხოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი, გოროდეცი, კლინი. მათ თარეშს უამრავი რუსის სიცოცხლე შეეწირა. მოსკოვზე შეტევა ედიგეიმ ვერ გაბედა. მან მოსკოველთაგან დიდი ხარკი აიღო და უკან გაბრუნდა. ოქროს ურდოსთან ვასილი I-მა მხოლოდ 1412 წელს შეძლო ურთიერთობის მოგვარება. ამ წელს იგი პირადად ეახლა ოქროს ურდოს ხანს.

ვ) ვასილი II უსინათლო (1425-1462). 1425 წელს ვასილი I გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ მოსკოვის დიდი მთავარი გახდა მისი ათი წლის შვილი ვასილი II. ვასილი II-ს ტახტზე ასვლის დროს ცოცხალი იყო დიმიტრი დონელის ოთხი შვილი, ვასილი II-ს ბიძები: **იური, ანდრეი, პეტრე** და **კონსტანტინე.** იური დიმიტრის ძე არასოდეს მალავდა იმას, რომ პრეტენზია ჰქონდა დიდი მთავრის ტახტზე. 1433 წელს იური დიმიტრის ძემ ვასილი II დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. მოსკოვის დიდი მთავარი გახდა **იური დიმიტრის** ძე. 1433 წელს იური დიმიტრის ძე გარდაიცვალა და დიდი მთავარი კვლავ ვასილი II გახდა. ამჯერად ვასილი II-ს იური დიმიტრის ძის შვილები — **ვასილი** და **დიმიტრი** დაუპირისპირდნენ. მოსკოვის სამთავროში შინაშლილობა დაიწყო. ვასილი II-მ შეძლო **ვასილი იურის ძის** შეპყრობა და მას თვალები დასთხარა (ამის გამო ვასილი იურის ძემ მიიღო ზედწოდება „ელამი").

მოსკოვის სამთავროში დაწყებული შინაშლილობით ისარგებლა ყაზანის ხანმა **ულუ-მუ-**

ვასილი უსინათლო

ჰამედმა (ყაზანის სახანო ოქროს ურდოს გამოეყო) და 1439 და 1445 წლებში ორჯერ ილაშქრა რუსეთში. 1455 წელს მოწყობილ ლაშქრობისას ულუ-მუჰამედმა ვასილი II ტყვედ ჩაიგდო და ურდოში წაიყვანა. ვასილი II-მ დიდი გამოსასყიდის ფასად მონღოლთა ტყვეობას თავი დააღწია. ტყვეობიდან დაბრუნებულ ვასილი II-ს 1446 წელს იური დიმიტრის ძის მეორე ვაჟმა (ვასილი ელამის ძმამ) **დიმიტრი შემიაკამ** შეთქმულება მოუწყო, შეიპყრო და თვალები დასთხარა (ამის გამო ვასილი II-მ მიიღო ზედწოდება „უსინათლო"). ვასილი II-ის მომხრე ბოიარები ლიტვაში გაიქცნენ დახმარების სათხოვნელად. შეშინებულმა დიმიტრი შემიაკამ უსინათლო ვასილი II ციხიდან გაათავისუფლა. მიუხედავად ამისა, დიმიტრი შემიაკას ვასილი II-ის წინააღმდეგ ბრძოლა სიკვდილამდე (1453 წ.) არ შეუწყვეტია.

მოსკოვის სამთავროში შინაამლილობა მოსკოვის დიდი მთავრის გამარჯვებით დამთავრდა. ვასილი II დამარცხებულ მოწინააღმდეგეთა სამფლობელოებს მოსკოვის სამთავროს უერთებდა. საერთოდ, ვასილი II-ის მთავრობის წლებში XIV საუკუნის დამდეგთან შედარებით მოსკოვის სამთავროს ტერიტორია 30-ჯერ გაიზარდა. მოსკოვის სამთავროს ზრდა ჯერ კიდევ XIV საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო.

სხვადასხვა დროს მის შემადგენლობაში შევიდა **მურომი** (1343 წ.), **ნიჟნი-ნოვგოროდი** (1393 წ.), **მოჟაისკი** (1454 წ.) და სხვ.

ვასილი II-ის ხელისუფლების ძლიერებაზე მიუთითებს ის, რომ მოსკოვის დიდმა მთავარმა უარყო რომის პაპის წინადადება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის 1439 წელს **ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე** დადებული კავშირის (უნიის) აღიარების შესახებ. რომის პაპი უნიის აუცილებლობას ოსმალებისაგან ბიზანტიის იმპერიის გადარჩენის მისწრაფებით ხსნიდა. მიუხედავად ამისა, ვასილი II-მ არ ისურვა კათოლიკური ეკლესიის უპირატესობის დამადასტურებელი უნიის აღიარება. უნიას ხელი არც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა მოაწერეს. რუსეთის მიტროპოლიტი ბერძენი **ისიდორე** უნიის მომხრე იყო, რის გამოც იგი ვასილი II-მ გადაყენა. მიტროპოლიტის გადაყენება კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დაპირისპირებას ნიშნავდა.

4. რუსეთის გაერთიანების დასასრული. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა. რუსეთის გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი დასრულდა ვასილი II უსინათლოს შვილის ივანე III-ისა და ივანე III-ის შვილის ვასილი III-ის დროს.

ა) ივანე III (1462-1505). ვასილი II უსინათლომ გადაწყვიტა ადრევე მოეგვარებინა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. მან თავისი შვილი **ივანე** სიცოცხლეშივე დიდ მთავრად გამოაცხადა. ამ დროიდან სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა დოკუმენტზე მამა და შვილი ერთად აწერდნენ ხელს. ივანე პრაქტიკულად მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. 1462 წელს, როცა მამამისი გარდაიცვალა, 22 წლის **ივანე III-ს** ქვეყნის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ივანე III-ის დროს რუსული მიწების გაერთიანების პროცესი სწრაფად წავიდა წინ. 1463 წელს მოსკოვის დიდ მთავარს თავისი სამფლობელოები ნებაყოფლობით დაუთმეს **იაროსლავლის** მთავრებმა. ამის შემდეგ ივანე III-მ დაიწყო ბრძოლა **ნოვგოროდის** შემოსაერთებლად.

ნოვგოროდელები კარგად გრძნობდნენ, რომ მოსკოვის სამთავროსთან ბრძოლა ადვილი არ იყო. 1410 წელს ნოვგოროდში მმართველობის ნაწილობრივი რეფორმა გატარდა. რეფორმის ძალით გაძლიერდა ბოიარების ოლიგარქიული ხელისუფლება. 1456 წლიდან ნოვგოროდის მთავარი უმაღლეს მოსამართლედ იქცა. მოსკოვის სამთავროს მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილება ნოვგოროდელმა ბოიარებმა გარე ძალების დახმარებით გადაწყვიტეს. ასეთ ძალად მათ **ლიტვა** და **პოლონეთი** მიიჩნიეს. 1385 წელს პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდ სამთავროს შორის ქ. **კრეკოში** დინასტიური უნია (კავშირი) დაიდო. ლიტვის დიდი მთავარი **იაგაილო** პოლონეთის მეფის ასულზე დაქორწინდა და თავი პოლონეთ-ლიტვის მეფედ გამოაცხადა. იაგაილოს შვილი **კაზიმირ IV** (1427-1492) ხელსაყრელ მომენტს ელოდა აღმოსავლეთით თავისი სამეფოს ტერიტორიის გასაფართოებლად. სწორედ ამ დროს ნოვგოროდელმა ბოიარებმა ლიტვის მთავარი **მიხეილ ოლელკოვიჩი** ნოვგოროდის მთავრად მოიწვიეს. ამავე დროს პოლონეთ-ლიტვის მეფეს **კაზიმირ IV-სა** და ნოვგოროდს შორის დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დიდი ნოვგოროდი ცნობდა კაზიმირ IV-ის უზენაესობას. პოლონეთ-ლიტვის მეფე ვალდებულებას იღებდა, ნოვგოროდი მოსკოვის დიდი მთავრისაგან დაეცვა. ივანე III-მ, შეტყო თუ არა ეს, მაშინვე ნოვგოროდში ელჩები გაგზავნა. მოსკოვის დიდი მთავრის ელჩები ნოვგოროდელებმა უპატივცემულოდ მიიღეს და ქა-

ივანე III

სოფია პალეოლოგი

ლაქიდან გააძევეს. ომი ნოვგოროდთან გარდაუვალი გახდა. 1471 წელს მდინარე **შელონას** ნაპირას მოსკოვის სამთავროს ჯარმა სასტიკად დაამარცხა ნოვგოროდელთა ლაშქარი. ივანე III ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა. იგი ბრძოლის შემდეგ დიდი ჯარით გაემართა ნოვგოროდისაკენ. ლიტვისაგან ნოვგოროდმა ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო. ნოვგოროდის მოსახლეობამ მოსკოვის დიდ მთავართან შეწყალების სათხოვნელად **არქიეპისკოპოსი** გაგზავნა. ივანე III-ს ნოვგოროდელები აღარ დაუსჯია. დადებული ხელშეკრულების ძალით ნოვგოროდი უარს ამბობდა ლიტვასთან კავშირზე. მოსკოვის დიდ მთავარს უთმობდა მდინარე **დვინას** აუზის ნაწილს და, ამავე დროს, მოსკოვის სასარგებლოდ იხდიდა კონტრიბუციას.

1467 წელს ივანე III დაქვრივდა. პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყდა, რომ მოსკოვის დიდ მთავარს ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ნათესავზე **სოფია პალეოლოგზე** ექორწინა. მოლაპარაკება ამ საკითხზე გაჭიანურდა. ივანე III-მ და სოფია პალეოლოგმა 1472 წელს იქორწინეს. მართალია, ბიზანტიის იმპერია უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ამ დინასტიურ ქორწინებას რუსეთისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვის სამთავროს გზა ეხსნებოდა დასავლეთ ევროპის სამეფო დინასტიებთან კავშირის დასამყარებლად. გარდა ამისა, სოფია პალეოლოგის დროს მოსკოვის დიდი მთავრის კარზე დამკვიდრებას იწყებს ბიზანტიის საიმპერატორო კარის ზოგიერთი ცერემონიალი. დიდი მთავრის კარზე ცერემონიალი უფრო დიდებული და ბრწყინვალე გახდა. თვით ივანე III ძალზე ამაღლდა რუსეთის სხვა მთავართა შორის. მოსკოვის დიდი მთავარი ფაქტობრივად **მონარქად** იქცა, რომლის უსიტყვო მორჩილება მართებდა ყველას — რიურიკის შთამომავლებსა (მთავრებს) და ბოიარებს. ყველა ისინი დიდი მთავრის ქვეშევრდომებად იქცნენ და ვალდებულნი იყვნენ თაყვანი ეცათ მისთვის. ივანე III-მ მემკვიდრეობით მიიღო ტიტული: **„მოსკოვის დიდი მთავარი“**. მოსკოვის სამთავროს ძლიერების ზრდა ივანე III-ის ახალ ტიტულშიც აისახა. **„მოსკოვისა და სრულიად რუსეთის დიდი მთავარი“** — ასე იწოდებოდა ივანე III. 1485 წელს ივანე III-მ სრულიად რუსეთის **„ხელმწიფის“** ტიტული მიიღო. როგორც ჩანს, მოსკოვის დიდი მთავრის ხელისუფლების გაძლიერებასა და ახალი წეს-ჩვეულების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ სოფია პალეოლოგმა ითამაშა.

რუსეთის გაერთიანების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დიდი ნოვგოროდის საბოლოოდ დამორჩილებას. 1477 წელს მოსკოვში მივიდნენ ნოვგოროდის ვეჩეს წარმოგზავნილები **ნაზარი** და **ზაქარია**. თაყვანისცემისას მათ ივანე III-ისა და მისი შვილისადმი მიმართვაში **იხმარეს** არა სიტყვა „ბატონი“, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ „**ხელმწიფე**“. ამის შემდეგ ივანე III-მ ნოვგოროდში ელჩები გაგზავნა, რომელთაც უნდა გაერკვიათ, სურდათ თუ არა ნოვგოროდელებს, რომ მოსკოვის დიდი მთავარი მათი „**ხელმწიფე**“ ყოფილიყო. დიდი ნოვგოროდის ვეჩემ ნაზარისა და ზაქარიას მიერ ივანე III-ის „ხელმწიფედ“ წოდება ვეჩეს ნებად არ ცნო, მოსკოვის დიდი მთავრის „ხელმწიფობა“ არ ისურვა და ელჩებს განუცხადა: ყველაფერი ძველებურად დარჩესო. ივანე III-მ უკან აღარ დაიხია, რუსეთის მიტროპოლიტისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო და 1477 წელს ნოვგოროდის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო. მოსკოვის დიდი მთავრის ჯარები სხვადასხვა მხრიდან შეიჭრნენ ნოვგოროდის ტერიტორიაზე. ნოვგოროდის ლაშქარს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მოსკოვის ჯარისათვის. მოსახლეობამ დახმარება ნოვგოროდის **არქიეპისკოპოსს** სთხოვა. არქიეპისკოპოსის მიერ გაგზავნილი ელჩები

ივანე III-ს ეახლნენ ზავის სათხოვნელად. ივანე III-მ ელჩები არ მიიღო და ისინი თავის ბოიარებთან გაგზავნა. ბოიარებმა კი ელჩებს განუცხადეს: „თუ ნოვგოროდს სურს თაყვანი სცეს დიდ მთავარს, კარგად იცის, როგორ უნდა გააკეთოს ეს". მოსკოვის დიდი მთავრის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ნოვგოროდს. არქიეპისკოპოსის ელჩები კვლავ ეახლნენ ივანე III-ს. ივანე III-მ ისინი არც ამჯერად მიიღო, ხოლო მისმა ბოიარებმა ელჩებს პირდაპირ განუცხადეს: ნოვგოროდის მმართველობა უნდა გაუქმებულიყო, არც ვეჩე უნდა შეკრებილიყო და არც პოსადნიკი აერჩიათ, ნოვგოროდი კი მოსკოვის დიდი მთავრის ნამესტნიკებს (ნაცვლებს) უნდა ემართათ. ამასთან ერთად, ივანე III აცხადებდა, რომ ნოვგოროდელ ბოიარებს მიწებს არ ჩამოართმევდა და ნოვგოროდიდან მოსახლეობას არ გაასახლებდა. ამ დაპირებამ თავისი შედეგი გამოიღო. ექვსი დღის ყოყმანის შემდეგ ნოვგოროდელმა ბოიარებმა გადაწყვიტეს, მამულების შენარჩუნების ფასად თავისუფლება დაეთმოთ. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი ელჩებთან ერთად ივანე III-ს ეახლა და განუცხადა, რომ ნოვგოროდი ყველა პირობას იღებდა. ელჩებმა ივანე III-ს განუცხადეს, რომ ორივე მხარეს ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე და მას, ხელმოწერის გარდა, ფიცითა და ჯვარზე მთხვევით დადასტურებინა იგი. ცხადია, ივანე III-ს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნოვგოროდი მეორე მხარედ ეცნო და ახალი ხელშეკრულება დაედო მასთან. ნოვგოროდის ელჩებს უარი უთხრეს და უკანაც აღარ გაუშვეს. მოსკოვის დიდი მთავრის ჯარებმა ნოვგოროდის ალყა გააგრძელეს. 1478 წლის იანვარში შიმშილისაგან შეწუხებულ ნოვგოროდელებს ივანე III-მ შემდეგი მოთხოვნა წაუყენა: ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის მიწებისა და სამონასტრო მიწების ნახევარი მოსკოვის დიდი მთავრის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. გარდა ამისა, დიდი მთავრის საკუთრებაში უნდა გადასულიყო ნოვგოროდის რამდენიმე თემი, იმის მიუხედავად, თუ ვისი საკუთრება იყო იგი (ამ თემების ნაწილი ნოვგოროდელ ბოიარებს ეკუთვნოდა). ნოვგოროდი იძულებული გახდა, ეს პირობა მიეღო. 1478 წლის 15 იანვარს ნოვგოროდის მოსახლეობამ მოსკოვის დიდი მთავრისადმი ფიცი დადო. დიდი ზარი, რომლის ხმაზეც წინათ ნოვგოროდის ვეჩე იკრიბებოდა, ჩამოხსნეს და მოსკოვში წაიღეს.

1479 წელს ნოვგოროდში, მოსკოვიდან ჩამოშორების მიზნით, დიდი მოძრაობა დაიწყო. ნოვგოროდელი ბოიარები ისევ **კაზიმირ IV-ს** დაუკავშირდნენ და დახმარება სთხოვეს. თავის მხრივ, კაზიმირ IV ოქროს ურდოს ხანს **აჰმედს** დაუკავშირდა და მოსკოვზე ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. გაირკვა, რომ ნოვგოროდელებს მხარს უჭერდნენ ივანე III-ს ძმები. ივანე III-მ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომები მიეღო. მან ჯარი შეკრიბა, მაგრამ ხმები გაავრცელა, რომ თითქოს გერმანელი რაინდების წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა (წინა ხანებში გერმანელი რაინდები ქალაქ ფსკოვს დაესხნენ თავს). ამასობაში კაზიმირ IV-ის დაპირებებით გამხნევებულმა ნოვგოროდელებმა მოსკოვის დიდი მთავრის ნაცვლები (ნამესტნიკები) გააძევეს, **ვეჩე** შეკრიბეს, **პოსადნიკი** და **ტიზიაცკი** აირჩიეს. 1479 წლის ბოლოს მოსკოვის დიდი მთავრის ჯარმა ნოვგოროდს ალყა შემოარტყა. ივანე III-ს ბრძანებით ქალაქს ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინეს. ნოვგოროდელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და მოსკოვის დიდ მთავარს ქალაქის კარები გაუღეს. ივანე III-მ შეთქმულების მონაწილენი (დაახლოებით 150 კაცი) სიკვდილით დასაჯა. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი დააპატიმრეს, მოსკოვში გაგზავნეს და საეკლესიო სასამართლოს გარეშე დასაჯეს (ჩუდის მონასტერში გამოკეტეს). არქიეპისკოპოსის მამულები და ქონება, ასევე დასჯილი ბოიარების მამულები დიდი მთავრის საკუთრებად გამოცხადდა. ორი ათასამდე ოჯახი (ბოიარები, ვაჭრები, უბრალო მოქალაქეები) ნოვგოროდიდან გაასახლეს, რომელთა ნაწილი ზამთრის მკაცრი კლიმატის გამო გზაშივე დაიღუპა.

ივანე III ჯერ კიდევ ნოვგოროდში იყო, როცა მას აცნობეს, რომ მოსკოვზე სალაშქროდ დაიძრა ოქროს ურდოს ხანი **აჰმედი**.

ივანე III-ს მთავრობის პერიოდში რუსეთი ფაქტობრივად ოქროს ურდოსაგან დამოუკიდებელი იყო, თუმცა ფორმალურად ოქროს ურდოს ხანი რუსეთის უზენაეს ხელისუფლად ითვლებოდა. ოქროს ურდო სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, თუმცა მის ხანს ჯერ კიდევ ძლიერი სამხედრო ძალა გააჩნდა. 1480 წელს ოქროს ურდოს ხანმა აჰმედმა, მას შემდეგ, რაც მოსკოვის სამთავროში მომხდარი ამბები (ნოვგოროდელთა შეთქმულება და მასში ივანე III-ს ძმების მონაწილეობა) შეიტყო, გადაწყვიტა, კაზიმირ IV-თან ერთად რუსეთზე გაელაშქრა.

ივანე III-მ ოქროს ურდოს ჯარების შესახვედრად მდინარე **ოკაზე** პოლკები განალაგა. აჰმედს რუსთა პოლკების წინააღმდეგ ბრძოლა

მოსკოვის მთავართა და მეფეთა დინასტია
(XIII – XVI საუკუნეები)



არ დაუწყია. მან ლაშქარი დასავლეთით, ლიტვის საზღვრებისაკენ დაძრა. აჰმედს სურდა მოსკოზე შეტევა დასავლეთიდან, მდინარე **უგრას** გადალახვის შემდეგ დაეწყო. ივანე III-მ მონღოლთა გეგმა ამოიცნო. მდინარე უგრას ნაპირებისაკენ მან თავისი შვილი **ივანე** და ძმა **ანდრეი** გაგზავნა ლაშქრით. ივანე და ანდრეი უგრასთან მონღოლებზე ადრე მივიდნენ და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს.

ივანე III ბუნებით მამაცი ადამიანი არ იყო. აჰმედის ლაშქრობის ამბავი რომ გაიგო, იგი ძალზე დაიბნა, შეშინდა კიდეც. დედოფალი სოფია სახელმწიფო ხაზინასთან ერთად მან ბ**ელოოზერო**ში გახიზნა და თან დაიბარა: თუ მონღოლები მოსკოვს აიღებდნენ, კიდევ უფრო ჩრდილოეთით გაქცეულიყო. ივანე III თავადაც ბელოოზეროში აპირებდა გამგზავრებას. ხელმწიფე ცოტა ხანს მდინარე **ოკაზე** მდგარ ჯართან იმყოფებოდა, შემდეგ ქალაქ **კაშირს** გადაწვის ბრძანება გასცა და მოსკოვს გაემგზავრა. მოსკოველები თავდაცვითი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. როცა მათ დედაქალაქში დაბრუნებული მთავარი დაინახეს, შეშინდნენ, იფიქრეს, მონღოლები მოსკოვს უახლოვდებიანო. მოსკოვის მოსახლეობამ აშკარად გამოხატა აღშფოთება დიდი მთავრის მოქმედების გამო. მოსკოვში დაბრუნებული ივანე III გაკიცხა როსტოვის არქიეპისკოპოსმა **ვასიანმა**. ივანე III-ს მოსკოვში გაჩერების შეეშინდა. იგი მოსკოვთან ახლოს **კრასნოე სელოში** გადავიდა. ივანე III არ აპირებდა აჰმედთან შებრძოლებას. მან მდინარე უგრას ნაპირზე ჯარით მდგარ შვილს მოსკოვში დაბრუნება უბრძანა. ივანემ მამის ბრძანება არ შეასრულა. ამასობაში მონღოლებმა მდინარე უგრაზე ფარულად გადასვლა სცადეს, რათა მოსკოვზე შეტევა დაეწყოთ. ივანემ მონღოლებს ბრძოლა გაუმართა, სერიოზული ზიანი მიაყენა და უკან გააბრუნა.

კრასნოე სელოში ორი კვირის ყოფნის შემდეგ ივანე III სამღვდელოებამ და ბოიარებმა დაითანხმეს, მონღოლებთან საბრძოლველად წასულიყო. გზად მიმავალი ივანე III ისევ შიშმა აიტანა. იგი ჯარამდე არც კი მისულა — **კრემენცში** (მდინარე ლუჟზე) შეჩერდა. ივანე III-მ გადაწყვიტა, ოქროს ურდოს ხანისათვის კვლავ მორჩილება აღეთქვა. მან აჰმედთან დიდი საჩუქრებით ელჩი გაგზავნა და წყალობა ითხოვა. აჰმედმა ივანე III შეიწყალა, მაგრამ ელჩს დააბარა, რომ დიდი მთავარი პირადად მისულიყო და თაყვანი ეცა მისთვის. ივანე III-მ აჰმედთან წასვლა ვერ გაბედა.

აჰმედი ზამთრის დადგომასა და მდინარე უგრას გაყინვას ელოდა, რათა ჯარების მეორე ნაპირზე გადაყვანა გაადვილებოდა. ამ საშიშროებას ივანე III კარგად გრძნობდა. ამის გამო 1480 წლის 26 ოქტომბერს, როგორც კი უგრაში წყალმა გაყინვა დაიწყო, ივანე III-ის ბრძანების თანახმად, რუსთა ჯარმა კრემენცამდე დაიხია. ივანე III-ს განზრახული ჰქონდა, თუ აჰმედი შეტევას დაიწყებდა, უკანდახევა გაეგრძელებინა. მაგრამ აჰმედი შეტევაზე არ გადმოსულა. მონღოლთა ლაშქარი მდინარე უგრაზე 11 ნოემბრამდე იდგა. როგორც ჩანს, აჰმედი ლიტვის ჯარებს ელოდა. ლიტვა ყირიმის ხანთან ბრძოლებით იყო დაკავებული და აჰმედის დასახმარებლად ჯარს ვერ აგზავნიდა. დაიწყო დიდი ყინვები. მონღოლები ზამთროდ მზად არ იყვნენ, რის გამოც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1480 წლის 11 ნოემბერს აჰმედმა უგრას ნაპირები დატოვა და თავისი ლაშქარი სამხრეთის სტეპებისაკენ წაიყვანა. 1481 წელს აჰმედი ნოღაის ველებზე მცხოვრებმა მონღოლებმა მოკლეს. **მონღოლთა ბატონობა რუსეთში დამთავრდა.**

მონღოლთა უღლის გადაგდება რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ მოვლენამ დააჩქარა რუსეთის გაერთიანება და ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა.

მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ მოსკოვის მოწინააღმდეგე **ტვერის** სამთავროს მდგომარეობა უიმედო გახდა. ტვერის მთავარმა **მიხეილ ბორისის ძემ** ისევ ლიტვის დახმარებით სცადა სამთავროს გადარჩენა. 1485 წელს ივანე III-მ ქალაქ **ტვერს** ალყა შემოარტყა. მეოთხე დღეს ტვერელმა ბოიარებმა თავისი მთავარი მიატოვეს და ივანე III-ს ეახლნენ. მიხეილ ბორისის ძემ ლიტვაში გაქცევა მოახერხა. ტვერის სამთავრო მოსკოვის დიდ მთავარს დაექვემდებარა. შემოერთებული ტვერის სამთავროს მართვა-გამგეობა ივანე III-მ თავის შვილს ჩააბარა.

1498 წელს ივანე III-მ **ვიატკა** შეიერთა. მოსკოვის დიდი მთავრის მოწინააღმდეგენი სიკვდილით დასაჯეს, მოსახლეობის ნაწილი მოსკოვის სამთავროს სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს, ხოლო თავისუფალი მიწები მოსკოველ ბოიარებს დაურიგეს.

ივანე III-მ წარმატებას მიაღწია ლიტვის წინააღმდეგ ომშიც. 1492 წელს **კაზიმირ IV** გარდაიცვალა. ამით ისარგებლა ივანე III-მ და ყირიმის ხანთან **მენგლი-გირეისთან** ერთად ლიტვის წინააღმდეგ ომი დაიწყო. მოსკოვის

დიდი მთავრის ჯარებმა დაიკავეს ლიტვის სამთავროს აღმოსავლეთ რაიონები (ძირითადად ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორია). რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე არსებული სამთავროები ნებსით თუ უნებლიედ მოსკოვის დიდი მთავრის ქვეშევრდომები ხდებოდნენ. 1494 წელს მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-სა და ლიტვის დიდ მთავარ ალექსანდრეს შორის ზავი დაიდო. ლიტვის დიდმა მთავარმა რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორია მოსკოვის დიდი მთავრის საკუთრებად ცნო. სამაგიეროდ, ივანე III-მ თავისი ქალიშვილი ელენე ლიტვის დიდ მთავარ ალექსანდრეს მიათხოვა. ამ ქორწინებას ხელი არ შეუშლია 1500 წელს ლიტვასა და მოსკოვის სამეფოს შორის ომის დაწყებისათვის. ომი 1503 წლამდე გაგრძელდა. ივანე III-მ ამჯერადაც გაიმარჯვა და 1494 წლის ზავით მოპოვებული ტერიტორია შეინარჩუნა.

1502 წელს ყირიმის ხანმა მენგლი-გირეიმ ოქროს ურდოს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ამ მარცხის შემდეგ ოქროს ურდომ არსებობა შეწყვიტა. ამ მოვლენას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1505 წელს ივანე III გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა ივანე III-ისა და სოფია პალეოლოგის ოცდაექვსი წლის ვაჟი ვასილი.

ბ) ვასილი III (1505-1533). ვასილი III-მ დაასრულა რუსეთის მიწების გაერთიანება. 1510 წელს მან **ფსკოვის** დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო. **სმოლენსკისათვის** ვასილი III-ს ლიტვასთან მოუხდა ომი. 1512 წელს რუსეთსა და ლიტვას შორის ომი დაიწყო. 1512-1513 წლების ზამთარში, ხანგრძლივი ალყის მიუხედავად, რუსეთის ჯარმა სმოლენსკი ვერ აიღო. 1513 წელს მეორე ლაშქრობა სმოლენსკზე წარუმატებლად დამთავრდა. მხოლოდ 1514 წელს, მესამე ლაშქრობის დროს, ვასილი III-მ შეძლო სმოლენსკის აღება. **სმოლენსკის** გარდა, რუსეთის ჯარმა ლიტვას წართვა რუსული ქალაქები **მსტისლავლი, კრიჩევი** და **დუბროვნი.** ამის შემდეგ ვასილი III-ს ლიტვის წინააღმდეგ ფაქტობრივად ომი აღარ გაუგრძელებია, თუმცა ზავიც არ ყოფილა დადებული.

1517 წელს ვასილი III-მ მოსკოვში დაიბარა რიაზანის მთავარი და მისი შეპყრობა ბრძანა. 1521 წელს **რიაზანის სამთავრო** მან მოსკოვის სამთავროს შეუერთა. 1517 წელსვე მოსკოვის სამთავროს შეუერთა **სტაროდუბის სამთავრო,** ხოლო 1523 წელს — **ნოვგოროდ-სევერსკის სამთავრო.**

ვასილი III

1521 წელს ყირიმის ხანმა მოსკოვზე ილაშქრა. მდინარე **ოკაზე** მდგარი რუსთა პოლკები ყირიმის ხანმა გაანადგურა და მოსკოვს მიადგა. ვასილი III-მ ჯარის შეკრება დაიწყო. მაგრამ ყირიმის ხანს მოსკოვის აღება არ უცდია. მისმა ლაშქარმა მდინარეებს ოკასა და მოსკოვს შორის ტერიტორია აოხრა, დიდძალი ტყვე აიყვანა და უკან გაბრუნდა.

1526 წელს ვასილი III-მ მეორედ იქორწინა. მან ცოლად შეირთო ლიტველი თავადის ვასილი გლინსკის ქალიშვილი ელენე. ელენე გლინსკაიას ორი ვაჟი ეყოლა — ივანე და იური. ივანე სამი წლის იყო, როცა მამამისი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ვასილი III-მ ტახტის მემკვიდრედ მცირეწლოვანი ივანე გამოაცხადა.

5. ხელისუფლების ცენტრალიზაცია. რუსეთის გაერთიანებასთან ერთად მიმდინარეობდა მოსკოვის დიდი მთავრის ხელისუფლების ცენტრალიზაცია. ივანე III-მ ოფიციალურად მიიღო **„მოსკოვისა და სრულიად რუსეთის დიდი მთავრის“** ტიტული. ტვერის სამთავროს შემოერთების შემდეგ (1485 წ.) ივანე III-ის ტიტული შეიცვალა და იგი ასე იწოდებოდა: **„სრულიად რუსეთის ხელმწიფე, დიდი მთავარი ვლადიმირისა და მოსკოვისა, ნოვგოროდისა და ფსკოვისა, და ტვერისა, და იუგორისა, და პერმისა, და ბულგარეთისა, და სხვა მიწებისა“.**

რუსეთის გაერთიანების პროცესში მოსკოვის სამთავროს მიერ შემოერთებული სამთავროების მთავრები სრულიად რუსეთის ხელმწიფის **ბოიარებად** იქცნენ (მათ „გაბოიარებულ მთავრებს" უწოდებდნენ, რადგან რუსეთში ჩვეულებრივი ბოიარებიც არსებობდნენ). ყოფილ სამთავროებს სრულიად რუსეთის ხელმწიფის **ნამესტნიკები** (ნაცვლები) განაგებდნენ. სრულიად რუსეთის ხელმწიფის კარზე დამკვიდრდა **მესტნიჩესტვო (ადგილთუფრობა)** — სხვადასხვა თანამდებობის გვარის, წინაპართა თანამდებობისა და დამსახურების მიხედვით დაკავების უფლება.

თანდათან ყალიბდებოდა **მმართველობის ცენტრალური აპარატი**. სრულიად რუსეთის ხელმწიფის კარზე მოქმედებდა **ბოიართა სათათბირო**. მასში ხელმწიფის უახლოესი და ერთგული ბოიარები შედიოდნენ.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ აუცილებელი გახდა **კანონების მოდიფიკაცია**. 1497 წელს ივანე III-ის ინიციატივით შეადგინეს კანონთა კრებული, რომელსაც **ივანე III-ის სამართლის წიგნს** უწოდებენ. სამართლის წიგნი 68 მუხლისაგან შედგებოდა და კარგად ასახავდა ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ივანე III-ის სამართლის წიგნის 57-ე მუხლი კრძალავდა გლეხის გადასვლას ერთი მფლობელიდან მეორესთან. გადასვლა ნებადართული იყო მხოლოდ ერთხელ წელიწადში — გიორგობა დღემდე (26 ნოემბერს) ერთი კვირით ადრე და ერთი კვირის შემდეგ. გადასვლის შემთხვევაში გლეხს გადასახადი („პოჟილოე") უნდა გადაეხადა. ივანე III-ის სამართლის წიგნი იყო პირველი სამართლებრივი დოკუმენტი გლეხობის დაყმევების გზაზე.

6. რუსეთის ეკლესია XV-XVI საუკუნეებში. გაქრისტიანების შემდეგ **რუსეთის მიტროპოლიტს** კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიშნავდა. **ვასილი II უსინათლოს** დროს მოსკოვის დიდ მთავარსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის უთანხმობა ჩამოვარდა. ამის მიზეზი **ფერარა-ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე** რომის პაპის ინიციატივით კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის დადებული უნია (კავშირი) იყო. უნიის დადების აუცილებლობას ოსმალებისაგან ბიზანტიის იმპერიის გადარჩენის მისწაფებით ამართლებდნენ. ვასილი II უსინათლომ არ ცნო კათოლიკური ეკლესიის უპირატესობის დამადასტურებელი უნია. ეროვნებით ბერძენი რუსეთის მიტროპოლიტი **ისიდორე** კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოზიციას იცავდა და უნიას უჭერდა მხარს. ვასილი II უსინათლომ ისიდორე კონსტანტინოპოლის პატრიარქთან შეუთანხმებლად გადააყენა. 1448 წელს რუსეთის მიტროპოლიტად **რიაზანის ეპისკოპოსი იონა** მოსკოვში აირჩიეს. რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალია არ გააჩნდა, ამიტომ რუსეთის მიტროპოლიტის დანიშვნა კონსტანტინოპოლის პატრიარქის პრეროგატივა იყო. ვასილი II უსინათლომ საუკუნეების მანძილზე დადგენილი წესი დაარღვია, რაც იმის დამადასტურებელი იყო, რომ რუსეთი უკვე აღარ სცნობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის უზენაესობას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.). ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის ეკლესია **ავტოკეფალური** გახდა. ავტოკეფალია რუსეთის ეკლესიამ გაცილებით გვიან მოიპოვა.

რუსეთის დასავლეთ ნაწილის ლიტვის დიდი სამთავროსა და პოლონეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, 1458 წელს, კიევში მეორე **მიტროპოლიტი** იქნა დასმული. ამრიგად, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ორ სამიტროპოლიტოდ (მოსკოვისა და კიევის) გაიყო. კიევის სამიტროპოლიტი არსებობდა უკრაინის რუსეთთან შეერთებამდე.

XIV საუკუნიდან რუსეთში გავრცელება იწყო **სექტანტურმა** მოძრაობამ. რუსეთში რელიგიურ სექტებს XIV-XVI საუკუნეების მანძილზე დაუნდობლად ებრძოდა როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლება. განსაკუთრებით შეურიგებელი პოზიცია ეკავა რუსეთის ეკლესიას. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის ეკლესიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული არა მარტო **რელიგიური**, არამედ თავისი **ეროვნული** და **სახელმწიფოებრივი** მისია.

თავი VII. რუსეთი XVI საუკუნეში

1. **ტერიტორია. მოსახლეობა. ეკონომიკა.** XVI საუკუნის ბოლოსათვის, ამავე საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, რუსეთის ტერიტორია ორჯერ გაიზარდა. მის შემადგენლობაში შევიდა ოქროს ურდოს დაშლის შედეგად აღმოცენებული **ყაზანის, ასტრახანისა** და **ციმბირის** სახანოები, ასევე **ბაშკირეთი.**

რუსეთის მოსახლეობამ XVI საუკუნის დასასრულს **9 მილიონს** მიაღწია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში (ცენტრები — ნოვგოროდი და მოსკოვი).

რუსეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავა **სოფლის მეურნეობას,** რომელიც ნატურალურ ხასიათს ატარებდა. მიწისმფლობელობის ძირითად ფორმად **ბოიარული ვოტჩინა** (მამული) რჩებოდა. დიდი ვოტჩინები ჰქონდათ **დიდ მთავრებს, მიტრიპოლიტსა** და **მონასტრებს.** ყოფილი **უფლისწული მთავრები** (ადგილობრივი მთავრები) დიდი მთავრის ვასალები გახდნენ და საბოლოოდ ჩვეულებრივ ბოიარებად იქცნენ. მათი ვოტჩინებიც არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ვოტჩინებისაგან. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაიზარდა მიწისმფლობელობის ფორმა, რომელსაც **პომესტიე** (საკარგავი) ეწოდებოდა. პომესტიე ეწოდებოდა იმ მიწას, რომელსაც დიდი მთავარი (მეფე) წვრილ **პომეშჩიკებს** (აზნაურებს) აძლევდა სამსახურისათვის. პომესტიეს შემოსავლით პომეშჩიკს ოჯახი უნდა ერჩინა და დიდი მთავრისათვის (მეფისათვის) სამსახურიც უნდა გაეწია (ძირითადად არმიაში).

რუსეთში გლეხები ეკუთვნოდა როგორც **დიდ მთავარსა** (**მეფეს**) და **მიტროპოლიტს,** ისე **ბოიარებს, პომეშჩიკებსა** და **მონასტრებს.** გლეხობა ძირითადად **თემებად** ცხოვრობდა.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყო გლეხობა, რომელიც ახლად ათვისებულ მიწებზე, ე.წ. **„შავ მიწაზე"** (მდინარეების: დნეპრის, დონის, ქვემო ვოლგის, იაიკის ნაპირებზე) ცხოვრობდა. მათ **„ჩერნოსოშენცები"** ეწოდებოდათ. ისინი გადასახადს მხოლოდ სახელმწიფოს უხდიდნენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის თვალსაზრისითაც გაცილებით თავისუფალნი იყვნენ. XVI საუკუნის შუა ხანებიდან რუსეთის სამხრეთში განსაკუთრებით გაძლიერდნენ **კაზაკები.** რუსეთის ცენტრალური რეგიონებიდან გაქცეული გლეხები სამხრეთში, ე.წ. **„დიკოე პოლეს"** ზონაში სახლდებოდნენ და იქ თავისებურ, **გასამხედროებულ თემებს** ქმნიდნენ. მათ „**კაზაკები**" ეწოდებოდათ. კაზაკები ყველა მნიშვნელოვან საკითხს **საერთო შეკრებაზე** (კრუგზე) წყვეტდნენ. XVI საუკუნიდან რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება კაზაკებს ქვეყნის სამხრეთი საზღვრების დასაცავად იყენებდა. ამ მიზნით ისინი მოსკოვიდან იღებდნენ შეიარაღებას და ჯამაგირსაც კი.

რუსეთში **ხელოსნობისა** და **ვაჭრობის** ცენტრებს ქალაქები წარმოადგენდა. XVI საუკუნის ბოლოსათვის რუსეთში 220 ქალაქი არსებობდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი (100 ათასი კაცი) მოსკოვში იყო თავმოყრილი. დანარჩენი ქალაქების მოსახლეობა 3 ათასიდან 8 ათასამდე მერყეობდა.

2. **ივანე IV მრისხანე (1533-1584).** ვასილი III-ის გარდაცვალების დროისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ტახტის მემკვიდრე ივანე სამი წლისა იყო.

ა) **ივანე მრისხანეს მეფობის დასაწყისი.** ქვეყნის მართვა გადავიდა ვასილი III-ის ცოლის **ელენე გლინსკაიას** ხელში. ფაქტობრივად კი, ქვეყანას გლინსკების ძლიერი ბოიარული საგვარეულო მართავდა. 1538 წელს ელენე გლინსკაია გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ იგი ბოიარების შეთქმულების მსხვერპლი გახდა (მოწამლეს). შვიდი წლის ივანე IV, რომელიც რუსეთის ისტორიაში **„მრისხანეს"** სახელით შევიდა, მთლიანად ბოიარებზე გახდა დამოკიდებული. ამასთან ერთად, ბოიარები სამ ნაწილად იყვნენ გაყოფილი. სამივე დაჯგუფებას ძლიერი ბოიარული საგვარეულოები (ბელსკები, შუისკები და გლინსკები) ედგნენ სათავეში. ივანე IV-ს მცირეწლოვნების პერიოდში ბელსკები, შუისკები და გლინსკები დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს ხელისუფლებისათვის. ელენე გლინსკაიას სიკვდილის შემდეგ უპირატესობას **შუისკებმა** მიაღწიეს. მათ სათავეში **ივანე შუისკი** ედგა. ამ დროისათვის ივანე შუისკი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და, ფაქტობრივად, შუისკების საგვარეულოს სათავეში მისი ნათესავი **ანდრეი შუისკი** აღმოჩნდა. მცირეწლოვანი ივანე IV ვერ იტანდა შუისკების პარპაშს. 1543 წელს მან ანდრეი შუისკი შეაპყრობინა და შემდეგ მოაკვლევინა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ივანე IV-მ თავისი ხასიათი გამოავლინა და მიიღო შესაფერისი ზედწოდება — **„მრისხანე"**. ანდრეი შუისკის სიკვდილით

ივანე IV დედასთან ერთად

დასვამ ბოიარები შეაშინა. ამის შემდეგ ივანე მრისხანეს უახლოესი მრჩევლები გახდნენ ელენე გლინსკაიას ძმები — **მიხეილი** და **იური**. გლინსკების აღზევებას შუისკებისა და სხვა ბოიარების დევნა მოჰყვა. **თეოდორე შუისკი, იური ტიომკინი** და **თომა გოლოვინი** გადაასახლეს, **ათანასე ბუტურლინს** ენა მოაჭრეს, ძმებს **თეოდორე** და **ვასილი ვორონცოვებს** თავი მოჭკვეთეს, **თავი მოჭკვეთეს ივანე კუბენსკისაც**.

1534 წლიდან 1547 წლამდე ივანე IV მოსკოვის დიდი მთავრის ტიტულს ატარებდა. 1547 წელს ივანე IV-მ მიტროპოლიტსა და ბოიარებს განუცხადა, რომ მას სურდა „მეფის" (**Царь** — ლათინურიდან: **Caesar**) ტიტულის მიღება. 1547 წლის 16 იანვარს ივანე IV მოსკოვში, მიძინების ტაძარში, საგანგებო ცერემონიალით **„სრულიად რუსეთის მეფედ"** აკურთხეს. ივანე IV-მ მიიღო **მონომახის ქუდი** და სხვა სამეფო ნიშნები.

1547 წელს, ივანე მრისხანე ბოიარ **რომან იურიევ-ზახარინის** ქალიშვილზე, **ანასტასიაზე** დაქორწინდა. გლინსკების საგვარეულომ ძალაუფლების დაკარგვის საშიშროება იგრძნო და უკიდურეს ზომებს მიმართა. 1547 წელს მათ მოსკოვში ხანძარი გააჩინეს. ხანძარმა თითქმის მთელი მოსკოვი გადაწვა და 4 ათასი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა. ივანე მრისხანე ოჯახითურთ მოსკოვის ახლოს სოფელ **ვოროობიევოში** გაიხიზნა. მოსკოვში აჯანყება დაიწყო. აღშფოთებულმა მოსკოველებმა მეფის ბიძა **იური გლინსკი** მოკლეს, მოსაკლავად ეძებდნენ მეფის ბებიას **ანა გლინსკაიას** და მეორე ბიძას — **მიხეილ გლინსკის**. მოსკოვის ხანძრის შემდეგ გლინსკების საგვარეულომ სამეფო კარზე ყოველგვარი გავლენა დაკარგა. ამიერიდან მეფის მრჩევლები გახდნენ ძლევადელი **სილვესტრი** და ბოიარი **ალექსი ადაშევი**.

ივანე მრისხანეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დასაწყისი მჭიდროდ უკავშირდება **ივანე სიმონის ძე პერესვეტოვს**. ივანე პერესვეტოვმა მეფეს წარუდგინა მომავალი გარდაქმნების თავისებური პროგრამა, რომლის დიდი ნაწილი ივანე მრისხანემ განახორციელა კიდეც. გამოთქმულია აზრი, რომ ივანე პერესვეტოვის სახელით თვით ივანე მრისხანე წერდა. ივანე პერესვეტოვის უმთავრესი იდეა ბოიარების ძალაუფლების შეზღუდვასა და აზნაურებზე დაყრდნობით მეფის ხელისუფლების გაძლიერებაში გამოიხატებოდა.

1549 წელს ახალგაზრდა ივანე მრისხანეს გარშემო თავი მოიყარეს მისმა ახლობლებმა. ასე შეიქმნა ე.წ. **„რჩეულთა რადა"** („რჩეულთა საბჭო"). მას სათავეში ედგა ბოიარი **ალექსი ადაშევი**. მასში შედიოდნენ: თავადები **დმიტრი კურლიაცევი, ანდრეი კურბსკი, მიხეილ ვოროტინსკი**, მიტროპოლიტი **მაკარი**, ძლევადელი

ივანე მრისხანე

სილვესტრი, **დიაკი ივანე ვისკოვატი**. რჩეულთა რადას უკავშირდება რუსეთში XVI საუკუნის 50-იან წლებში განხორციელებული სახელმწიფო რეფორმები.

ბ) XVI საუკუნის 50-იანი წლების რეფორმები. ივანე მრისხანეს არ შეეძლო **ბოიართა სათათბიროს** გაუქმება, მაგრამ აუცილებელი იყო ძირძველ ბოიართა გავლენის შესუსტება. ამ მიზნით ივანე მრისხანემ სამჯერ გაზარდა ბოიართა სათათბიროს წევრთა რაოდენობა. ბოიართა სათათბიროში ახალი წევრების, ძირითადად მეფის ერთგული ბოიარების, შეყვანის შედეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა ძირძველ ბოიართა გავლენა.

ბოიართა სათათბიროს პარალელურად ივანე მრისხანემ დაიწყო ხელისუფლების ახალი ორგანოს — **საერობო კრების** მოწვევა. საერობო კრების შემადგენლობა ფართო იყო. მასში შედიოდნენ **ბოიართა სათათბიროს** წევრები, რუსეთის **უმაღლესი სამღვდელოება**, **აზნაურთა** ფენის წარმომადგენლები და **ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა**. საერობო კრება რეგულარულად არ იკრიბებოდა. პირველ ხანებში საერობო კრება ფინანსებსა და საგარეო პოლიტიკას განაგებდა. შემდეგ მისი პრეროგატივა იქამდე გაფართოვდა, რომ გარკვეულ პერიოდებში საერობო კრება მეფესაც კი ირჩევდა. საერობო კრებამ რუსეთში XVII საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება და იგი დაახლოებით 50-ჯერ მოიწვიეს.

პირველი საერობო კრება ივანე მრისხანემ 1549 წელს მოიწვია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება **ახალი სამართლის წიგნის** შემუშავების შესახებ. ამავე კრებაზე გადაწყდა სახელმწიფო რეფორმების გატარება.

ივანე მრისხანეს რეფორმებამდე რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგებს „**პრიკაზები**" განაგებდნენ. ივანე მრისხანეს მეფობის წლებში პრიკაზების რიცხვი გაიზარდა, პრიკაზი იქცა სახელმწიფო მმართველობის მნიშვნელოვან რგოლად. **პრიკაზი იყო ორგანო, რომელიც სათავეში ედგა ამა თუ იმ უწყებას**. ამავე დროს, პრიკაზი შეიძლებოდა რომელიმე ტერიტორიული ერთეულის მმართველი ორგანოც ყოფილიყო. XVI საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთში ოცამდე პრიკაზი არსებობდა. სამხედრო საქმეს რამდენიმე პრიკაზი განაგებდა: **საზარბაზნე პრიკაზი** — არტილერიის; **სტრელცების პრიკაზი** — მეოთოფეთა ჯარს; შეიარაღების საქმე (არსენალი) სპეციალურ პრიკაზს — **იარაღის პალატას** ებარა; საგარეო საქმეებს **საელჩო პრიკაზი** განაგებდა; ფინანსებს — **შემოსავლების პრიკაზი**; იმ სახელმწიფო მიწებს, რომელიც აზნაურებისათვის (პომეშჩიკებისათვის) უნდა დაერიგებინათ, **პომესტიეს პრიკაზი** განაგებდა; **ციმბირის პრიკაზი** ციმ-



ივანე IV-ის დროს დამზადებული მეფე-ზარბაზანი



ბირის ტერიტორიას, ხოლო **ყაზანის პრიკაზი** ყოფილი ყაზანის სახანოს ტერიტორიას განაგებდა. პრიკაზის სათავეში ბოიარი, ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე — **დიაკი** ედგა.

XVI საუკუნის 50-იანი წლების დამდეგიდან რუსეთში ყალიბდება ადგილობრივი მმართველობის სისტემა. წინათ რუსეთის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის სათავეში **ნამესტნიკი** იდგა, რომელიც განაგებდა ადმინისტრაციულ და ფინანსურ საქმეებს. ნამესტნიკს დიდი მთავარი ჯამაგირს არ უნიშნავდა, მას თავისი სარჩო აკრეფილი გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან უნდა აეღო. ადგილობრივი მმართველობის ამ სისტემას „კორმლენიეს" სისტემა (რუსული სიტყვიდან „**Кормить**" — „კვება") ეწოდებოდა. 1556 წელს კორმლენიეს სისტემა გაუქმდა. ადგილობრივი მმართველობა **გუბების** (ოლქების) მამასახლისების ხელში გადავიდა. გუბების მამასახლისებს აზნაურთა (მემამულეთა) წოდებიდან ირჩევდნენ. იქ, სადაც მემამულური მიწათმფლობელობა არ არსებობდა, ადგილობრივი მმართველობა შეძლებული მოსახლეობისაგან არჩეული **მამასახლისების** ხელში იყო.

1550 წელს საერობო კრებამ ახალი **სამართლის წიგნი** დაამტკიცა. ივანე მრისხანემ ახალი სამართლის წიგნის საფუძველად 1497 წლის ივანე III-ის სამართლის წიგნი აიღო. 1550 წლის სამართლის წიგნის უმთავრეს მიზანს მეფის ხელისუფლების გაძლიერება შეადგენდა. სამართლის წიგნმა რუსეთის ისტორიაში პირველად დააწესა **სასჯელი სახელმწიფო მოხელის მიერ ქრთამის აღებისათვის**. 1550 წლის სამართლის წიგნმა დაადასტურა გლეხის გადასვლის უფლება, რომელიც პირველად 1497 წლის სამართლის წიგნში აისახა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ გაიზარდა გადასვლის შემთხვევაში გლეხის მიერ გადასახდელი გადასახადის („პოჟილოეს") რაოდენობა.

ჯერ კიდევ ელენე გლინსკაიას მმართველობის წლებში დაიწყო **ფულადი სისტემის რეფორმა**. მალე რუსული რუბლი ქვეყნის ძირითად ფულის ერთეულად იქცა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გადასახადების აკრეფა **სახელმწიფო მონოპოლიად** იქცა. მოსახლეობას ორი სახის გადასახადი უნდა გადაეხადა — **ნატურითა** (პროდუქციით) და **ფულით**.

ივანე მრისხანემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა **სამხედრო რეფორმას**. რუსეთის არმიის ბირთვს წარმოადგენდა **აზნაურთა ჯარი**. მოსკოვის შემოგარენში მეფემ დაასახლა ე.წ. **„რჩეული ათასეული"** (1070 პროვინციელი აზნაური). ეს ათასეული მეფის უპირველეს საყ-

რდენს წარმოადგენდა. ივანე მრისხანეს ბრძანებით შეადგინეს **სამხედრო სამსახურის წესდება**. ეოტჩინის (მამულის) ან პომესტიეს (საკარგავის) მფლობელს შეეძლო სამხედრო სამსახური დაეწყო 15 წლის ასაკიდან და შემდეგ სამსახური მის მემკვიდრეს გაეგრძელებინა. 150 დესეტინა (ერთი დესეტინა დაახლოებით ერთ ჰექტარს უდრიდა) მიწის მფლობელი ბოიარი ან აზნაური ვალდებული იყო, ომის შემთხვევაში გამოეყვანა ერთი მეომარი ცხენითა და შეიარაღებით. 1550 წელს შეიქმნა **სტრელცების** (მეთოფეთა) ჯარი. პირველ ხანებში სტრელცების რაოდენობა დაახლოებით 3 ათასს უდრიდა. ამავე დროს, ქვეყნის საზღვრების დაცვისათვის დაიწყეს **კაზაკების** გამოყენება. ჯარში მოსამსახურე ბოიარებსა და აზნაურებს **„მამულისათვის მსახურეული ხალხი“** ეწოდებოდა, ხოლო ლაშქარში გაწვეულთ – **„გაწვეული მსახურეული ხალხი“**. „გაწვეულ მსახურეულ ხალხში“ სტრელცების (მეთოფეთა) გარდა შედიოდნენ: მეზარბაზნეები, ქალაქების დაცვა და სხვ. მათთან გათანაბრებული იყვნენ **კაზაკები**. ომისათვის საჭირო ტვირთის გადაზიდვა და საფორტიფიკაციო მშენებლობა ევალებოდა სამონასტრო გლეხებსა და ქალაქის მოსახლეობას.

1551 წელს, მეფისა და მიტროპოლიტის ინიციატივით, მოიწვიეს რუსეთის **საეკლესიო კრება**. კრების დადგენილება ასი მუხლის (თავის) სახით ჩამოყალიბდა. საეკლესიო კრებამ მოიწონა 1550 წლის სამართლის წიგნი და, საერთოდ, რეფორმები. 1551 წლის საეკლესიო კრებამ მოახდინა რუს წმინდანთა **კანონიზაცია**.

XVI საუკუნის 50-იანი წლების რეფორმებმა ხელი შეუწყო რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას.

გ) ახალი ტერიტორიების შემოერთება. ივანე მრისხანეს მეფობის წლებში რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯერ კიდევ 1547 წელს ახალგაზრდა ივანე მრისხანემ **ყაზანის სახანოს** დაპყრობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1549-1550 წლებში ყაზანის სახანოს წინააღმდეგ მოწყობილი მეორე ლაშქრობაც უშედეგოდ დამთავრდა. 1552 წელს ივანე მრისხანემ ყაზანის სახანოს წინააღმდეგ მესამე ლაშქრობა დაიწყო. რუსეთის ჯარი ჯერ კიდევ მდინარე **ოკას** ნაპირას იმყოფებოდა, როდესაც **ყირიმის ხანი ქალაქ ტულასთან** გამოჩნდა ძლიერი ლაშქრით. **ყირიმის ხანი** რუსეთის ჯართან ბრძოლაში არ ჩაბმულა, ძარცვით დაკმაყოფილდა და უკანვე გაბრუნდა. ივანე მრისხანე კი 150-ათასიანი ლაშქრითა და 150 ზარბაზნით ქალაქ **ყაზანს** მიადგა, რომელსაც 30 ათასი კაცი იცავდა. ხანგრძლივი ალყისა და დიდი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, 1552 წელს, რუსებმა ყაზანი აიღეს. ყაზანის სახანო გაუქმდა. 1556 წელს ივანე მრისხანემ ქალაქი **ასტრახანი** აიღო და **ასტრახანის სახანო გააუქმა**. 1557 წელს რუსებმა დაიპყრეს **ჩუვაშეთი** და **ბაშკირეთის** დიდი ნაწილი. ყაზანისა და ასტრახანის სახანოთა დაპყრობით უზარმაზარი ტერიტორია – ვოლგისპირეთიდან კასპიის ზღვის სანაპირომდე – რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. ყაზანისა და ასტრახანის სახანოთა დაპყრობის შემდეგ ივანე მრისხანეს განზრახული ჰქონდა **ყირიმის სახანოს** დაპყრობა, მაგრამ ლივონიის ომმა ამის საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, გადაწყდა **დასავლეთ ციმბირის** დაპყრობა, რომლის ტერიტორიაზე ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ **ციმბირის სახანო** განაგრძობდა არსებობას. ციმბირის სახანოს დაპყრობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ივანე მრისხანემ სხვა გზას მიმართა. მან ეაჭარ **სტროგანოვებს** წინასწარ უბოძა ძღინარე **ტობოლის** სანაპიროები იმ პირობით, თუ ისინი ჯარს დაიქირავებდნენ და ამ ტერიტორიას დაიპყრობდნენ. სტროგანოვებმა კაზაკთა 840-კაციანი რაზმი დაიქირავეს და 1581 წელს **ერმაკ ტიმოთეს ძის** სარდლობით ციმბირის ხანის წინააღმდეგ გაგზავნეს. 1582 წელს ერმაკმა ციმბირის ხანი **კუჩუმი** დაამარცხა და სახანოს დედაქალაქი **კაშლიკი** (ისკერი) დაიკავა. მალე ციმბირის ხანმა ერმაკის რაზმი დაამარცხა, თვით ერმაკი დაიღუპა. ციმბირის სახანოს დაპყრობა იმხანად არ მოხერხდა. საბოლოოდ რუსეთმა ციმბირი 1598 წელს შემოიერთა.

აუცილებელი გახდა ყირიმის ხანის შემოსევებისაგან რუსეთის სამხრეთის დაცვა. ამ მიზნით, ივანე მრისხანეს დროს დაიწყო **ტულის გამაგრებული ხაზის** შექმნა. მოგვიანებით აიგო **ბელგოროდის გამაგრებული ხაზი**.

დ) ოპრიჩნინა. განხეთქილება ივანე მრისხანესა და მის გარემოცვას შორის 1553 წელს დაიწყო. ამ წელს მეფე აკად გახდა და გადაწყვიტა, ტახტის მემკვიდრედ მისი ერთი წლის შვილი **დიმიტრი** გამოეცხადებინა. **„რჩეულთა რადის“** წევრებმა ივანე მრისხანეს ამაზე უარი უთხრეს (მალე უფლისწული დიმიტრი გარდაიცვალა კიდეც). ივანე მრისხანემ „რჩეულთა რადას“ ეს არ აპატია. 1560 წელს გარდაიცვალა დედოფალი **ანასტასია იურევა-ზახარინა**. ივანე მრისხანემ ჩათვალა, რომ დედოფალი „რჩე-

ივანე მრისხანე

ულთა რადას" წევრებმა მოწამლეს. მღვდელი სილვესტრი გაასამართლეს და სოლოვკის მონასტერში გაგზავნეს. ალექსი ადაშევი ციხეში ჩასვეს, სადაც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. 1561 წელს სიკვდილით დასაჯეს ალექსი ადაშევის ძმა დანილი და მისი 12 წლის ვაჟი. სიკვდილით დასაჯეს ასევე ალექსი ადაშევის სამი ცოლისძმა და სხვა ნათესავები შვილებთან ერთად. 1561 წელს „რჩეულთა რადამ" არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ ივანე მრისხანეს უახლოესი მრჩევლები გახდნენ: ბოიარი ალექსეი ბასმანოვი, მისი შვილი თევდორე, თავადები ალექსანდრე ვიაზემსკი და ვასილი გრიაზნოი, არქიმანდრიტი ლევკი.

1561 წელს ივანე მრისხანემ მეორედ იქორწინა. ამჯერად რუსეთის დედოფალი გახდა ჩერქეზთა მთავრის თემრიუკის ასული, რომელსაც რუსეთში მარია უწოდეს.

„რჩეულთა რადას" მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ ივანე მრისხანემ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ბოიართა ოპოზიციისათვის და მიეღწია მეფის ხელისუფლების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა „ოპრიჩნინა".

1564 წელს ივანე მრისხანემ ბრძანა, პროვინციებიდან მოსკოვში მოეწვიათ აზნაურები და პრიკაზების მოხელეები ცოლ-შვილთან ერთად, რომელთა პერსონალური სია თვით მეფემ შეადგინა. თავის უახლოეს გარემოცვას კი ივანე მრისხანემ განუცხადა, რომ ქვეშევრდომებს იგი არ უყვართ, არ უნდათ არც პირადად მისი და არც მისი შთამომავლობის მეფობა და მის მოკვლასაც კი აპირებენ. ამ სიტყვების დასრულებასთან ერთად ივანე მრისხანემ სამეფო გვირგვინი გვერდზე გადადო და სამეფო ხალათიც გაიხადა. შემდეგ მეფე რამდენიმე დღის განმავლობაში მოსკოვის ეკლესიებში ლოცულობდა. ეკლესიებში ლოცვის შემდეგ ყოველგვარი ძვირფასეულობა, რაც კი სასახლეში ინახებოდა, ასევე სახელმწიფო ხაზინაში დაცული მთელი სიმდიდრე ივანე მრისხანემ მარხილებზე დააწყობინა და პროვინციებიდან წინასწარ დაბარებულ აზნაურებთან და მათ ცოლ-შვილთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრა. მეფემ თან იახლა რამდენიმე ბოიარი ასევე ცოლ-შვილთან ერთად. გამგზავრების წინ ივანე მრისხანემ მიძინების ტაძარში მიტროპოლიტ ათანასეს წირვა გადაახდევინა. შემდეგ მეფემ მიტროპოლიტისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, დედოფალთან და ორ შვილთან ერთად მარხილში ჩაჯდა და გაემგზავრა. მეფეს თან გაჰყვნენ მისი მრჩეველები: ალექსეი ბასმანოვი, მიხეილ სალტიკოვი, ათანასე ვიაზემსკი, ივანე ჩობიტოვი, რამდენიმე დიაკი და შინამოსამსახურეები. ვერც მიტროპოლიტმა და ვერც მისმა მრჩეველებმა ივანე მრისხანეს ვერ ჰკითხეს, თუ რას აპირებდა. რამდენიმე დღის შემდეგ მეფე მოსკოვთან მდებარე ალექსანდრეს სლობოდაში მივიდა და იქ შეჩერდა. 1565 წლის 3 იანვარს მოსკოვში ივანე მრისხანეს მიერ გამოგზავნილი კონსტანტინე პოლივანოვი გამოცხადდა და მიტროპოლიტს მეფის სიგელი გადასცა. სიგელში აღნიშნული იყო, რომ მეფე რისხვას ვერ მალავდა არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, საერთოდ, სამღვდელოების, ასევე ბოიარების, დიაკების, პრიკაზებისა და ხაზინის მოხელეებისა და სხვათა მიმართ. ივანე მრისხანე თავისი გულისწყრომის მიზეზად იმას მიიჩნევდა, რომ მისი მცირეწლოვნების დროს ბევრი ბოროტმოქმედება ხდებოდა, კერძოდ, ხაზინის ძარცვა, სახელმწიფო მიწების მიტაცება, ყოველგვარი სიმდიდრის უკანონოდ მოხვეჭა, მართლმორწმუნეთა შევიწროება, დამნაშავეთა მფარველობა და სხვ. ყოველივე ამის გამო, ივანე მრისხანე აცხადებდა, რომ მას მეფობა აღარ სურდა და იცხოვრებდა იქ, სადაც ღმერთი ინებებდა. კონსტანტინე პოლივანოვმა მეორე სი-

გელიც მიიტანა მოსკოვში. სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსკოვის მცხოვრებლებს (ვაჭრებსა და უბრალო მოქალაქეებს) მეფე არაფერში ადანაშაულებდა და მათ მიმართ კეთილად იყო განწყობილი.

მეფის სიგელების წაკითხვის შემდეგ მოსკოვში ქალაქის მცხოვრებთა შორის მღელვარება დაიწყო. სამღვდელოება და ბოიარები ალექსანდრეს სლობოდაში გაემგზავრნენ და მეფეს თხოვნა მიართვეს. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ ოღონდ მეფე მოსკოვში დაბრუნებულიყო და როგორც სურდა, ისე ემართა ქვეყანა. მეფემ თხოვნა შეისმინა შემდეგი პირობით: **პირველი.** ყველა მოღალატესა და ურჩს დასჯიდა და მათ ქონებას სახელმწიფო ხაზინას გადასცემდა; **მეორე.** ქვეყნის ტერიტორიიდან მეფისათვის უნდა გამოეყოთ „**ოპრიჩნინა**" („ოპრიჩნინა" ეწოდებოდა იმ მიწას, რომელსაც ქვრივს გამოუყოფდნენ ხოლმე ქმრის ქონების გაყოფისას). ოპრიჩნინაში მეფე ყველაფერს თავის გემოზე მოაწყობდა. ამ პირობით მეფე მოსკოვში დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე ივანე მრისხანემ შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა რამდენიმე ცნობილი ბოიარი და თავადი. მალე მეფე ისევ ალექსანდრეს სლობოდაში დაბრუნდა და იქიდან შეუდგა ქვეყნის მართვას. ალექსანდრეს სლობოდა კარგად იყო გამაგრებული, მას ოპრიჩნიკთა ჯარი იცავდა.

მთელი რუსეთი ორ ნაწილად — „ოპრიჩნინად" და „ზემშჩინად" გაიყო. ივანე მრისხანეს ოპრიჩნინაში მოხვდა ყველაზე კარგი და ნაყოფიერი მიწები, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილები, მდიდარი ქალაქები. ეს მიწები მეფემ 1000 აზნაურს დაურიგა. მათ „**ოპრიჩნიკები**" ეწოდათ. ოპრიჩნიკების რიცხვმა მალე 6 ათასს მიაღწია. მეფემ მათაც გამოუყო მიწები. ოპრიჩნიკებისათვის მიწის გამოთავისუფლება ძირითადად ბოიარებისა და თავადების მიწების ხარჯზე ხდებოდა. ვოტჩინებში მცხოვრები გლეხები კი ზემშჩინაში უნდა გადასახლებულიყვნენ. გადასახლებულები ძველ საცხოვრებელ ადგილებზე ტოვებდნენ არა მარტო მიწას, არამედ სახლებსაც. სულ ოპრიჩნინიდან ზემშჩინაში გაასახლეს 12 ათასი ოჯახი.

ოპრიჩნიკების სახით ივანე მრისხანემ ძლიერი საყრდენი შეიქმნა. მეფეს შეეძლო უკვე ადვილად გასწორებოდა ყოველგვარ ოპოზიციას, პირველ რიგში, ბოიართა სეპარატიზმს. მეფე მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა. დაიწყო გაუთავებელი ტერორი, სიკვდილით დასჯა და გადასახლებები. ქალაქ **ტვერში** ოპრიჩნიკმა მალიუტა **სკურატოვმა** დაახრჩო მიტროპოლიტი ფილიპე, რომელმაც ოპრიჩნიკთა თარეში დაგმო. მეფის ბრძანებით მოწამლეს მისივე ბიძაშვილი **ვლადიმირ სტარიცკი** დედასთან, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს თავადები: **ივანე კურაკინი, დიმიტრი რიაპოლოვსკი, სიმონ, ვასილ** და **ანდრეი როსტოვსკები** და მრავალი სხვა. 1569 წელს გარდაიცვალა ივანე მრისხანეს მეორე ცოლი — დ;ღოფალი მარია. ხმები დაირხა, რომ იგი მოწამლეს. მეფემ ახალი რეპრესიები დაატეხა თავს ეჭვმიტანილებს. 1569 წელს ოპრიჩნიკების ლაშქარმა სასტიკად დაარბია ქალაქი **ნოვგოროდი** იმ მიზეზით, რომ თითქოს ნოვგოროდელებს პოლონეთის მეფის ქვეშევრდომობა სურდათ. ნოვოგორდისაკენ გზად მიმავალმა ოპრიჩნიკებმა სასტიკად დაარბიეს ქალაქები **კლინი, ტორჟოკი** და **ტვერი.** 1570 წლის 25 ივნისს მოსკოვში ერთბაშად 200 კაცი დასაჯეს სიკვდილით. ოპრიჩნიკების თარეშის დროს დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის. ერთი წყაროს მიხედვით, მარტო **ნოვგოროდში** სიკვდილით დასაჯეს 1505 ადამიანი, მეორე წყაროს მიხედვით — 2270, მესამე წყაროში კი აღნიშნულია, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ყოველდღიურად სიკვდილით სჯიდნენ 500-დან 1000 კაცამდე. **ტორჟოკში** სიკვდილით დასაჯეს 1490 კაცი.

მოსკოვის კრემლის სამრეკლო (XVI ს.)

ოპრიჩნიკთა თარეშის დროს დაღუპულთა საერთო რაოდენობა, ერთი წყაროს მიხედვით, 15 ათას კაცს უდრიდა, მეორე წყაროს მიხედვით – 60 ათასს.

ოპრიჩნიკთა თარეშმა, მართალია, მეფის ოპოზიცია კი გაანადგურა, მაგრამ უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მთელი რიგი ქალაქები გაძარცვული და გავერანებული იყო.

ოპრიჩნიკთა ჯარმა 1571 წელს ყირიმის ხანის ლაშქრისაგან მოსკოვის დაცვაც კი ვერ შეძლო. ამ შემოსევის დროს გადაიწვა მოსკოვის ის ნაწილი, რომელიც ქალაქის კედლის გარეთ მდებარეობდა. თუმცა მალე, 1572 წელს, ოპრიჩნიკთა ჯარმა მოსკოვიდან 50 კილომეტრის დაშორებით ყირიმის ხანის ლაშქარი სასტიკად დაამარცხა.

ივანე მრისხანე, როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ ოპოზიცია განადგურებული იყო და 1572 წელს ოპრიჩნინა გააუქმა.

ე) **ლივონიის ომი.** ივანე მრისხანემ განჭვრიტა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **ბალტიის ზღვის** სანაპიროების დაპყრობას. ცხადი იყო, რომ ბალტიის ზღვაზე რუსეთის გასვლას წინ აღუდგებოდა ლიტვის დიდი სამთავრო და პოლონეთის სამეფო, ასევე ლივონიის ორდენი.

რუსეთს ლივონიის ორდენთან 50-წლიანი ზავი ჰქონდა დადებული, რომლის ვადა 1553 წელს იწურებოდა. ზავის პირობები ითვალისწინებდა ქალაქ დერპტიდან (იურიევიდან) რუსეთის სასარგებლოდ ხარკის აღებას. ვასილი III-სა და ივანე IV-ის მცირეწლოვნების დროს ლივონიის ორდენი ხარკს აღარ იხდიდა. 1554 წელს ლივონიის ორდენის ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ და ზავის გაგრძელება ითხოვეს. ელჩებს გადაუხდელი ხარკის შესახებ შეახსენეს და მათაც პირობა დადეს, რომ დარჩენილ ხარკს სამი წლის მანძილზე გადაიხდიდნენ. ლივონიის ორდენმა პირობა ისევე დაარღვია და 1557 წლისათვის ხარკი არ გადაიხადა. ამას დაემატა ისიც, რომ ლივონიელმა რაინდებმა დააკავეს რუსეთში მიმავალი 123 ევროპელი სპეციალისტი. 1558 წელს რუსეთმა ლივონიის ორდენის წინააღმდეგ ომი დაიწყო.

რუსეთის ჯარმა ომის დასაწყისში დიდ წარმატებას მიაღწია. 1558 წელს აიღეს **ნარვა, ნეიჰაუზი, დერპტი** (იურიევი). რუსეთის ჯარები **რიგასა** და **რეველს** (ტარტუს) უახლოვდებოდნენ. 1560 წელს ლივონიის ორდენის ჯარი განადგურდა, ორდენის მაგისტრი **ფიურსტენბერგი ტყვედ** ჩავარდა. 1561 წლისათვის ლივონიის ორდენი ფაქტობრივად დაიშალა, მისი ტერიტორია **პოლონეთმა, დანიამ** და **შვეციამ** გადაინაწილეს. 1561 წელს ლივონიის ორდენის ახალი მაგისტრი **კეტლერი** პოლონეთის მეფის **სიგიზმუნდ ავგუსტის** ვასალი გახდა და კურლანდიის ჰერცოგობა მიიღო. 1561 წელს ქალაქი **რეველი** (ტარტუ) შვეციის მეფის ქვეშევრდომი გახდა. პოლონეთის მეფემ **სიგიზმუნდ ავგუსტმა** ივანე მრისხანეს მოსთხოვა ლივონიის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მეფემ ომი გააგრძელა.

1560 წელს უკვე ცხადი გახდა, რომ რუსეთს, ლივონიის ორდენის გარდა, ომის წარმოება მოუხდებოდა **დანიასთან, პოლონეთთან** და **შვეციასთან**. უახლოესი მრჩეველი მღვდელი სილვესტრი ივანე მრისხანეს ურჩევდა, ლივონიასთან ომი შეწყვიტა და სამაგიეროდ **ყირიმის სახანო** დაეპყრო. მეფემ სილვესტრის აზრს ანგარიში არ გაუწია. არც სილვესტრი იხევდა უკან – იგი ლივონიასთან ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო. **ალექსი ადაშევიც** სილვესტრს უჭერდა მხარს. ლივონიასთან ომის გაგრძელებისა თუ შეწყვეტის საკითხი გახდა სამეფო კარიდან სილვესტრისა და ალექსი ადაშევის გაძევებისა და, საერთოდ, „რჩეულთა რადას" ლიკვიდაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. „რჩეულთა რადას" ლიკვიდაციის შემდეგ ივანე მრისხანემ ომი ახალი ძალით გააგრძელა.

1563 წელს ივანე მრისხანე დიდი ჯარით ლიტვის წინააღმდეგ დაიძრა. ლაშქრობის მიზანი ქალაქ პოლოცკის გათავისუფლება იყო. 1563 წელს რუსთა ჯარმა **პოლოცკი** აიღო. ეს იყო რუსთა ჯარის ბოლო მნიშვნელოვანი წარმატება. მომდევნო წლებში ომი გაჭიანურდა.

1564 წელს ლივონიის ორდენის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ჯარების სარდალმა, „რჩეულთა რადას" ერთ-ერთმა გამოჩენილმა წევრმა თავადმა **ანდრეი კურბსკიმ** ივანე მრისხანეს უღალატა და პოლონეთის მეფის **სიგიზმუნდ ავგუსტის** მხარეზე გადავიდა. ამ ფაქტმაც იმოქმედა რუსეთის ჯარების ბრძოლისუნარიანობაზე.

1569 წელს პოლონეთის სამეფო და ლიტვის დიდი სამთავრო **ლიუბლინის უნიის** ძალით ერთ სახელმწიფოდ – **ეჩ პოსპოლიტად** გაერთიანდა. ეჩ პოსპოლიტამ და შვეციამ ერთობლივი საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ. 1577 წელს რუსებმა დატოვეს ქალაქი **ნარვა**. 1579 წელს პოლონეთის მეფემ **სტეფანე ბატორმა** ქალაქი **პოლოცკი** აიღო, ხოლო 1580 წელს – **ველიკიე ლუკი**.

შვედებმა ხელთ იგდეს **კარელია** და **იჟორსკის** მხარე. 1581 წელს პოლონეთის მეფე სტეფანე ბატორი დიდი ჯარით მიადგა ქალაქ **ფსკოვს**. ფსკოვის დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. სამაგიეროდ, შვედებმა დაიკავეს ქალაქები **ნარვა, იამი** და **კოპორიე**.

ფსკოვის დამცველთა გმირულმა ბრძოლამ ივანე მრისხანეს საშუალება მისცა, 1582 წელს **ჟეჩ პოსპოლიტასთან** ათი წლის ვადით ზავი დაედო. 1583 წელს ზავი დაიდო **შვეციასთანაც**.

ლივონიის ომი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. ლივონიის ტერიტორია რუსეთმა **ჟეჩ პოსპოლიტას** დაუთმო, სამაგიეროდ, დაიბრუნა პოლონეთის ჯარების მიერ დაკავებული ქალაქები, გარდა პოლოცკისა. **შვეციას** დარჩა ბალტიის ზღვის სანაპირო ქალაქები: კარელა, იამი, ნარვა და კოპორიე.

ლივონიის ომში მარცხს ივანე მრისხანეს ოჯახური უბედურებაც ზედ დაერთო. 1581 წელს შელაპარაკებისას განრისხებულმა მეფემ თავის უფროს შვილს, ივანეს, თავში კვერთხი ჩაარტყა. რამდენიმე დღეში ივანე მიღებული ტრავმისაგან გარდაიცვალა.

შვილის დასფლავების შემდეგ ივანე მრისხანემ ბოიარები შეკრიბა და განუცხადად, რომ მას მეფობა აღარ სურს და მონასტერში აპირებს წასვლას. მეფემ ბოიარებს შესთავაზა აერჩიათ ახალი მეფე, რადგან მისი მეორე ვაჟი **თეოდორე** მეფედ არ გამოდგებოდა. ბოიარებმა ივანე მრისხანეს ბერად აღკვეცა გადააფიქრებინეს.

1580 წელს ივანე მრისხანემ მეხუთედ იქორწინა. ამჯერად მისი მეუღლე გახდა **მარია ნაგაი**. 1583 წელს მეფეს ვაჟი შეეძინა, რომელსაც **დიმიტრი** დაარქვეს. 1584 წელს 54 წლის ივანე მრისხანე ერთბაშად დაავადმყოფდა და მალევე გარდაიცვალა.

ივანე მრისხანემ მთელი ეპოქა **შექმნა** რუსეთის **ისტორიაში. მისი** მეფობის **დროს** რუსეთის **სახელმწიფომ** მანამდე **არნახულ ძლიერებას** მიაღწია.

თავი VIII. რუსეთი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დამდეგს

XVI საუკუნის დასასრული და XVII საუკუნის დამდეგი რუსეთის ისტორიაში ცნობილია „**არეულობის ხანის**", „**შფოთის ხანის**" (რუსულად „**Смутное время**") სახელწოდებით. არეულობის მიზეზი იყო სოციალური, ეკონომიკური, წოდებრივი, დინასტიური და საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავება.

1. **ეკონომიკური კრიზისი.** XVI საუკუნის 70-80-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი. თითქმის გაუკაცრიელდა ერთ დროს ყველაზე უფრო განვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთი (ცენტრი მოსკოვი) და ჩრდილო-დასავლეთი (ცენტრი ნოვგოროდი). ამ რეგიონების მოსახლეობის ნაწილი ოპრიჩნიკთა თარეშის დროს სხვა ადგილებში გადაიხვეწა, ან ოპრიჩნიკებმა და ლივონიის ომმა იმსხვერპლა. ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში დაუმუშავებელი რჩებოდა 50%-დან 90%-მდე სახნავი მიწა. 1570-1571 წლებში რუსეთს შავი ჭირის ეპიდემიამ გადაუარა, რამაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. გაჩანაგდა გლეხთა მეურნეობა, ქვეყანაში დაიწყო შიმშილობა. ისედაც იავარქმნილი ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო გააჩანაგა ლივონიის ომმა, რომელიც დიდ სახსრებს ითხოვდა. 1601-1602 წლებში რუსეთში დიდი მოუსავლიანობა იყო. პურზე ფასი 100-ჯერ გაიზარდა. ადამიანები ძაღლებით, კატებითა და ხის ქერქით იკვებებოდნენ. მოსკოვში კაციჭამიობის შემთხვევებიც კი იყო. ყოველივე ამას თან დაერთო საშინელი ეპიდემია, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2. **ბატონყმური სისტემის დაკანონება.** გლეხთა დაყმევებას საფუძველი დაუდო 1497 წლის ივანე III-ის სამართლის წიგნმა. გლეხს ერთი მიწისმფლობელის მამულიდან მეორის მამულში გადასვლა შეეძლო მხოლოდ წელიწადში ერთხელ — გიორგობამდე (26 ნოემბრამდე) ერთი კვირით ადრე ან ერთი კვირის შემდეგ. გადასვლისას გლეხს იმ მიწისმფლობელის სასარგებლოდ, საიდანაც იგი მიდიოდა, უნდა გადაეხადა გადასახადი („პო�ილოე"). ივანე IV-ის მეფობის დროს, 1550 წელს დამტკიცებულ სამართლის წიგნში გლეხის უფლება გადასვლის შესახებ უცვლელად იქნა დატოვებული, ოღონდ გაიზარდა **პოwილოe**. 1581 წელს გლეხთა გადასვლა სამართლის წიგნით დადგენილი წესითაც აიკრძალა. ეს აკრძალვა შემდეგ წლებშიც განმეორდა. 1550 წლის სამართლის წიგნში გლეხთა გადასვლის შესახებ მუხლი არ შეუცვლიათ, თუმცა იგი პრაქტიკულად აღარ მოქმედებდა. XVI საუკუნის 80-90-იან წლებში მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერა. 1592 წლისათვის მთელი რუსეთის მოსახლეობა შეიტანეს სპეციალურ წიგნებში და, ამდენად, შესაძლებელი გახდა დადგენილიყო გლეხი რომელ მიწისმფლობელს (ბოიარს, თავადს, აზნაურს) ეკუთვნოდა. არის ცნობა იმის შესახებ, რომ 1592 ან 1593 წელს გამოიცა მეფის ბრძანება გლეხთა გადასვლის აკრძალვის შესახებ, თუმცა ამ ბრძანების ტექსტი ნაპოვნი არ არის. 1597 წელს გამოიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გლეხი იმ მიწისმფლობელს ეკუთვნოდა, რომლის მიწაზეც ცხოვრობდა 1592 წელს აღწერის წიგნების შედგენისას. 1592 წლიდან 1597 წლამდე, ე.ი. 5 წლის განმავლობაში გაქცეული გლეხები ძველ მფლობელს უნდა დაბრუნებოდა. 1597 წელს გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც **ხოლოპები**, ანუ ვალის გადაუხდელობის გამო მონად ქცეული ადამიანები, ვალის დაბრუნების შემთხვევაშიც კი თავისუფლებას ვეღარ მიიღებდნენ. 1607 წელს, მეფე ვასილ შუისკის დროს, გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით 1592-1607 წლებში, ე.ი. 15 წლის განმავლობაში გაქცეული გლეხი ისევ ძველ მფლობელს უბრუნდებოდა. 1649 წელს, მეფე **ალექსი მიხეილის ძე რომანოვის** ძეგლისდებით გლეხთა ყოველგვარი გადასვლა აიკრძალა. ძეგლისდებით გლეხთა დაყმევება იურიდიულადაც დასრულდა. **რუსეთში ბატონყმური სისტემა ჩამოყალიბდა.**

გლეხთა მდგომარეობის დამძიმებასა და ხოლოპების უიმედო მდგომარეობას 1603-1604 წლებში **ხოლოპებისა** და **გლეხების** აჯანყება მოჰყვა. მას სათავეში ხოლოპი **კოსოლაპი** ედგა. აჯანყებას სასტიკად გაუსწორდნენ, ხოლო მეთაური სიკვდილით დასაჯეს.

3. **თევდორე ივანეს ძე (1584-1598).** ივანე მრისხანეს მეორე შვილი პირველი ცოლისგან **თევდორე** ბავშვობიდანვე ავადმყოფი და გონებასუსტი იყო. ივანე მრისხანეს უმცროსი ვაჟი მეხუთე ცოლისაგან — **დიმიტრი** — მამის გარდაცვალების დროს ერთი წლისაც არ იყო. თავადი **ბოგდან ბელსკი** შეეცადა, მეფედ **დიმიტრი ივანეს ძე** გამოეცხადებინა. ბოიარებმა კრემლში

გამაგრებულ ბოგდან ბელსკის ალყა შემოარტყეს, დააპატიმრეს და ნიჟნი-ნოვგოროდში გადაასახლეს. ბოიარებს, ცხადია, ივანე მრისხანეს მეფობის შემდეგ დიდი სურვილი ჰქონდათ, ტახტზე გონებასუსტი და უსუსური თევდორე ეხილათ. 1584 წელს რუსეთის ტახტზე **თევდორე ივანეს ძე** ავიდა. ივანე მრისხანეს შვილი **დიმიტრი** დედასთან ერთად ქალაქ **უგლიჩში** ცხოვრობდა.

თევდორე ივანეს ძის მეფობის დასაწყისში მთელ სახელმწიფო საქმეებს განაგებდა მისი ბიძა დედის მხრიდან ბოიარი **ნიკიტა იურიევ-ზახარინი**, ბოიარები **ივანე მსტისლავსკი**, ივანე **შუისკი** და **ბორის გოდუნოვი**. თევდორე ივანეს ძე დაქორწინებული იყო ბორის გოდუნოვის დაზე **ირინაზე**. ბორის გოდუნოვმა კარგად გამოიყენა ის, რომ დედოფალი მეფეზე დიდ გავლენას ახდენდა და მალე თევდორე ივანეს ძის პირველი მრჩეველი გახდა. 1586 წლისათვის ბორის გოდუნოვის გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ უცხოელები მეფის გვერდის აკლით პირდაპირ მასთან ამყარებდნენ კავშირს. ბოიარებმა გადაწყვიტეს ბორის გოდუნოვის თავიდან მოცილება. სანამ ცნობილი ბოიარული საგვარეულოები — **შუისკები, ვოროტინსკები, გოლოვინები** და **მსტისლავსკები** შეთანხმდებოდნენ, მათ ბორის გოდუნოვმა დასწრო. **ივანე მსტისლავსკი** შეიპყრეს და ბერად აღკვეცეს, შემდეგ შეიპყრეს და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაასახლეს სხვა ბოიარებიც. ბორის გოდუნოვმა ხელი ვერ ახლო მხოლოდ ივანე შუისკის, რომელსაც მოსკოვის მოსახლეობა აქტიურად უჭერდა მხარს. ივანე შუისკიმ მიიმხრო მიტროპოლიტი **დიონისი** და გადაწყვიტა, მოსკოვის მოსახლეობის მხარდაჭერით, მიეღწია მეფისა და დედოფლის განქორწინებისათვის. ბორის გოდუნოვმა ამჯერადაც დასწრო მოწინააღმდეგეებს. მან შეძლო მიტროპოლიტის გადაბირება, ხოლო ივანე შუისკი და მისი მომხრეები შეიპყრო და მოსკოვიდან გადაასახლა. მალე ივანე შუისკი ბორის გოდუნოვმა მოაკვლევინა კიდეც. ბორის გოდუნოვმა არც მიტროპოლიტი დიონისი დაინდო. დიონისი გადააყენეს და მის ნაცვლად მიტროპოლიტი როსტოვის ეპისკოპოსი **იობი** გახდა. იობი ბორის გოდუნოვის ერთგული მომხრე იყო.

ბორის გოდუნოვმა მალე გამოამჟღავნა, რომ, ინტრიგების მოწყობის გარდა, სახელმწიფოს მართვისათვის აუცილებელი ნიჭიც ჰქონდა. მან გადაწყვიტა რუსეთში **პატრიარქის** თანამდებობის შემოღება. 1586 წელს ბორის გოდუნოვმა

პატრიარქი იობი

ეს საკითხი მოსკოვში სტუმრად მყოფი ანტიოქიის პატრიარქ **იოაკიმეს** წინაშე დააყენა, მაგრამ საქმე გაჭიანურდა. 1588 წელს მოსკოვში ჩავიდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი **იერემია**. ბორის გოდუნოვმა პატრიარქ იერემიასთან მოლაპარაკების შემდეგ მიაღწია იმას, რომ იერემიამ 1589 წელს **მიტროპოლიტი იობი რუსეთის პატრიარქად აკურთხა**. იმავდროულად **ნოვგოროდის, ყაზანის, როსტოვისა** და **კრუტიცკის** **არქიეპისკოპოსები მიტროპოლიტებად** აკურთხეს, ხოლო **ვოლოგდის, სუზდალის, ნიჟნი-ნოვგოროდის, სმოლენსკის, რიაზანისა** და **ტვერის ეპისკოპოსები — არქიეპისკოპოსებად**. 1591 წელს მოსკოვში მოვიდა მართლმადიდებლური საპატრიარქოების მიერ **რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი სიგელი**. რუსეთი მეხუთე მართლმადიდებლური საპატრიარქო გახდა.

ბორის გოდუნოვმა სცადა ლივონიის ომში მარცხით გამოწვეული მძიმე მდგომარეობის გამოსწორება. 1583 წელს შვეციასთან დადებული დროებითი ზავით რუსეთმა შვედებს დაუთმო ქალაქები: **იამი, კოპორიე, ნარვა** და **კარელა**. ბორის გოდუნოვმა უარი თქვა ამ ქალაქების შვეციისათვის სამუდამოდ დათმობაზე. 1585 წელს დროებითი ზავი ოთხი წლით გაგრძელდა. მაგრამ 1589 წელს დაწყებულმა მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. 1590 წელს

უფლისწული დიმიტრი

რუსეთის ჯარმა შვედების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. რუსეთის არმიას მეფე **თეოდორე** სარდლობდა, რომელსაც თან ახლდა ორი ვოევოდა — **ბორის გოდუნოვი** და **თეოდორე** რომანოვი. ბორის გოდუნოვი კარგად გრძნობდა, რომ პირადად მას სარდლობის ნიჭი არ ჰქონდა და ამიტომ ომში თან წაიყვანა თავადი **დიმიტრი ხვოროსტინინი**. რუსთა ჯარმა ქალაქი **იამი** აიღო, ხოლო შემდეგ **ნარვასთან** შვედების 20-ათასიანი კორპუსი გაანადგურა. ნარვასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსებმა ნარვის აღება მაინც ვერ შეძლეს. 1590 წელს რუსეთსა და შვეციას შორის კვლავ დროებითი ზავი დაიდო. შვეციამ რუსეთს დაუთმო **იამი, კოპორიე** და **ივანგოროდი**. 1595 წელს რუსეთსა და შვეციას შორის დადებული ზავით რუსეთმა შეინარჩუნა ყველა ის ქალაქი, რომელიც 1590 წლის დროებითი ზავით მიიღო. დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთმა **ნარვა** ვერ მიიღო, სამაგიეროდ, **კარელა** დაათმობინა შვედებს.

1590 წელს ხმა გავრცელდა, რომ ქალაქ უგლიჩში დაიღუპა ივანე მრისხანეს უმცროსი ვაჟი **დიმიტრი**. უფლისწულის დაღუპვა სამეფო კარმაც დაადასტურა. მკვლელობის დღესვე დიმიტრის დედამ **მარია ნაგაიმ** უფლისწულის მკვლელობაში ბრალი დასდო **ბორის გოდუნოვის** მიერ უგლიჩში მცველებად გაგზავნილთ. ბორის გოდუნოვმა მკვლელობის გამოსაძიებლად უგლიჩში გაგზავნა ბოიარი **ვასილ შუისკი**. ოფიციალური ვერსიით, უფლისწული დიმიტრი ბნედის შეტევის დროს დანაზე დაეცა და მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. დიმიტრის სიკვდილი იმითაც იყო საგანგაშო, რომ მეფე თეოდორეს შვილი არ ჰყავდა და, ამრიგად, ივანე მრისხანეს შთამომავლობაში თეოდორეს სიკვდილის შემდეგ რიურიკოვიჩების დინასტიის გამგრძელებელი აღარავინ რჩებოდა. ეს კი ხელს აძლევდა ბორის გოდუნოვს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ყველაზე რეალური კანდიდატი იყო სამეფო ტახტზე ასვლისა. სწორედ ამიტომ ოფიციალური გამოძიების დასკვნის მიუხედავად, გავრცელდა ხმები, რომლის მიხედვითაც უფლისწული დიმიტრი თითქოს ბორის გოდუნოვმა მოაკვლევინა.

1590 წელს რუსეთს ურთიერთობა გაურთულდა **ყირიმის სახანოსთან**. ყირიმის ხანმა **ყაზი-გირეიმ** ბორის გოდუნოვი დაარწმუნა, რომ ლიტვაზე სალაშქროდ ემზადებოდა. 1590 წელს ყაზი-გირეიმ ლიტვაზე ლაშქრობის ნაცვლად მოულოდნელად გადალახა მდინარე **ოკა** და მოსკოვს შეუტია. რუსეთის ჯარები იმხანად შვედეთის წინააღმდეგ იყო მობილიზებული და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იდგა. ბორის გოდუნოვმა მოსკოვის დაცვა თავად **თეოდორე მსტისლავსკის** ჩააბარა. ყირიმის ხანი სოფელ **ვორობიოვომდე** მივიდა და მოსკოვის აღებასაც აპირებდა. სწორედ ამ დროს ყაზი-გირეის მიუტანეს მცდარი ცნობა, რომლის მიხედვითაც ნოვგოროდიდან და სხვა ადგილებიდან მოსკოვში რუსთა დიდი ჯარი შევიდა. ყირიმის ხანი შეშინდა და უკან დაბრუნდა. ბორის გოდუნოვი **ტულასთან** დაეწია ყირიმის ხანის ლაშქარს და დაამარცხა იგი, თუმცა **ყაზი-გირეიმ** გაქცევა მოახერხა.

1598 წლის 7 იანვარს რიურიკოვიჩების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რუსეთის მეფე **თეოდორე ივანეს ძე** გარდაიცვალა. ქვეყნის მართვა გადავიდა პატრიარქ **იობის** ხელში, რომელსაც უზენაესი საერო ხელისუფლის ფუნქცია ახალი მეფის ტახტზე ასვლამდე უნდა შეესრულებინა. პატრიარქი იობი ბევრად იყო დავალებული ბორის გოდუნოვისაგან. რუსეთის ტახტზე ყველაზე რეალური კანდიდატი, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი **ბორის გოდუნოვი** იყო.

4. ბორის გოდუნოვი (1598-1605). ბორის გოდუნოვი მეფობის ყველაზე რეალური კანდიდატი კი იყო, მაგრამ ბოიართა **სათათბიროში** მას მტერიც ბევრი ჰყავდა. ბოიართა სათათბი-

როში პირველი სიტყვა პატრიარქ **იობს** ეკუთვნოდა. მან კი მეფობის კანდიდატად ბორის გოდუნოვი დაასახელა. 1598 წლის 21 თებერვალს **საერობო კრებამ** რუსეთის მეფედ **ბორის გოდუნოვი** აირჩია. ბორის გოდუნოვი მონღოლი მურზის **ჩეტას** შთამომავალი იყო. **ჩეტა** XIV საუკუნეში ოქროს ურდოში მყოფმა რუსეთის მიტროპოლიტმა **პეტრემ** მონათლა. ამის შემდეგ იგი რუსეთში დასახლდა და **ზახარინის** გვარი მიიღო. გოდუნოვების გვარს რუსეთში თავისი ვოტჩინა (მამული) ჰქონდა, თუმცა ისტორიაში ისინი არ ჩანან. გოდუნოვების ბოიარული საგვარეულო პირველად მაშინ გახდა ცნობილი, როცა თევდორე ივანეს ძემ 1580 წელს **ირინა თევდორეს ასულ გოდუნოვაზე** იქორწინა. მალე სამეფო კარზე გამოჩნდა ირინას ძმა ბორისი. ბორის გოდუნოვი ჭკვიანი, ეშმაკი, მლიქვნელი და ინტრიგების დიდი ოსტატი იყო.

ბორის გოდუნოვმა თევდორე ივანეს ძის მეფობის პერიოდში სახელმწიფოს მართვის საკმაოდ დიდი ნიჭი გამოავლინა. ყველა ელოდა, რომ სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ ბორის გოდუნოვი დიდ წარმატებებს მიაღწევდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ბორის გოდუნოვის წარუმატებელი მეფობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არც ბოიარებმა და არც ხალხმა არ მიიღო „ღვთისაგან ბოძებულ" მეფედ. **ბორის გოდუნოვი არც უყვარდათ და მისი არც ეშინოდათ, მას ითმენდნენ როგორც გაქნილ მედროვეს, რომელმაც ტახტი უსამართლოდ მიიტაცა. მოპოვებული წარმატებისათვის მის მიმართ მადლიერებით არ იმსჭვალებოდნენ, ხოლო წარუმატებლობას არ პატიებდნენ.** თვითონ ბორის გოდუნოვი ყოველივე ამას კარგად გრძნობდა, იცოდა, თუ როგორი მერყეევი იყო მისი მდგომარეობა. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ ბორის გოდუნოვმა დაკარგა ყველა ის თვისება (ინტრიგების მოწყობის უნარის ჩათვლით), რაც მან ჭარბად გამოავლინა თევდორეს მეფობის წლებში.

მერყეევი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, ბორის გოდუნოვი შეუდგა მოწინააღმდეგეთა დასჯას. 1600 წელს მეორედ გაგზავნეს გადასახლებაში ერთხელ უკვე გადასახლებული **ბოგდან ბელსკი.** 1601 წელს რეპრესიები თავს დაატყდა **რიურიკოვიჩებთან** ნათესაურ კავშირში მყოფ **რომანოვების** ბოიარულ საგვარეულოს. **ნიკიტა რომანოვის** შვილები: **ალექსანდრე, ვასილი, ივანე** და **მიხეილი** გადასახლეს. ნიკიტას მეხუთე შვილი **თევდორე** (პირველი რომანოვი მეფის მიხეილის მამა) **ფილარეტის** სახელით ძალით აღკვეცეს ბერად. რომანოვების დასჯის შემდეგ დასაჯეს **ჩერკასკების, სიცკების, რეპინების, პუშკინების** საგვარეულოთა ზევრი წარმომადგენელი.

ბორის გოდუნოვი

ბორის გოდუნოვის მეფობის მეოთხე წელს (1601 წ.) რუსეთში დიდი მოუსავლიანობა იყო, ქვეყანა საშინელმა შიმშილმა მოიცვა. ბორის გოდუნოვმა მთელი პურის მარაგი და დიდი რაოდენობით ფული შიმშილით სასოწარკვეთილ მოსახლეობას უწყალობა, მაგრამ ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა. შიმშილისაგან დაღუპულთ მეფე თავისი ხარჯებით ასაფლავებდა. მარტო მოსკოვში 127 ათასი კაცი დაკრძალეს. მხოლოდ 1604 წლის კარგი მოსავლის შედეგად გახდა შესაძლებელი მოსახლეობის დაკმაყოფილება პურით.

შიმშილობამ ბორის გოდუნოვი კიდევ ერთი განსაცდელის წინაშე დააყენა. შიმშილობის პერიოდში ბევრმა ბატონმა თავისი ხოლოპები (მონები) მამულიდან გააძევა, რადგან მათი გამოკვება აღარ შეეძლოთ. ხოლოპების ბანდები

ძარცვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს. ეს ბანდები 1603 წელს თავად ხოლოპმა **ხლოპკო**, **კოსოლაპიმ** გააერთიანა და მოსკოვისაკენ დაძრა. 1603-1604 წლებში ხოლოპთა აჯანყება ვარების დახმარებით ჩაახშეს. აჯანყების ჩახშობისას დაიღუპა ვოევოდა **ივანე ბასმანოვი**.

1603-1604 წლების ხოლოპების აჯანყება იყო რუსეთის სახელმწიფოში **დიდი არეულობის** („სმუტის") პირველი გამოვლინება. მალე ბორის გოდუნოვის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა.

ხალხში ხმა დაირხა, რომ ივანე მრისხანეს უმცროსი შვილი, უფლისწული **დიმიტრი** უგლიჩში არ დალუპულა, იგი ცოცხალია და პოლონეთში იმყოფებაო. 1604 წლისათვის უფლისწულ დიმიტრის შესახებ უკვე მთელი რუსეთი ალაპარაკდა, რამაც მოსვენება დაუკარგა ბორის გოდუნოვს. მეფე ჩაიკეტა და არავის აღარ ეჩვენებოდა. მალე ბორის გოდუნოვმა უგლიჩიდან მოსკოვში ჩამოაყვანინა უფლისწულ დიმიტრის **დედა მარია ნაგაი** და პირადად დაკითხა იგი. მარიამ მეფეს განუცხადა: „მე მეუბნებოდნენ, რომ ჩემი შვილი ჩემი ნებართვის გარეშე წაიყვანეს, მაგრამ ისინი, ვინც ამას მეუბნებოდნენ ახლა ცოცხლები აღარ არიან".

1604 წელს ის, ვინც თავის თავს უფლისწულ **დიმიტრის** უწოდებდა, პოლონელთა და კაზაკთა დიდი ჯარით პოლონეთიდან რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა. ქალაქები ერთმანეთის მიყოლებით ნებდებოდნენ მას. რუსეთის პატრიარქმა **იობმა** საჯაროდ განაცხადა, რომ ივანე მრისხანეს შვილი დიმიტრი მკვდარი იყო, ხოლო მის სახელს ამოფარებული პიროვნება გაკრეჭილი ბერი **გრიგოლ ოტრეპიევი** იყო.

ასეთ რთულ ვითარებაში, 1605 წელს ბორის გოდუნოვი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაბნეულმა ბოიარებმა მისი სიკვდილი ხალხს მხოლოდ მეორე დღეს აცნობეს და მაშინვე დაიწყეს მოსახლეობის დაფიცება ბორის გოდუნოვის ცოლის დედოფალ **მარიასა** და შვილ **თეოდორეს** ერთგულებაზე. 1605 წელს რუსეთის ტახტზე ბორის გოდუნოვის შვილი **თეოდორე II** ავიდა. მან სულ რამდენიმე თვე იმეფა.

5. დიმიტრი ივანეს ძე (1605-1606). უგლიჩში საიდუმლო ვითარებაში დაღუპული ივანე მრისხანეს უმცროსი შვილის, უფლისწულ დიმიტრის სიკვდილი ბევრმა მაშინვე არ დაიჯერა. ხმები გავრცელდა, რომ დიმიტრი ცოცხალი გადარჩა და იმალებოდა. ამიტომაც მოულოდნელი არ ყოფილა, რომ 1603 წელს პოლონეთში პან **ადამ ვიშნევსკის** მამულში გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის თავს უფლისწულ დიმიტრის უწოდებდა. ადამ ვიშნევსკის ძმამ პან **კონსტანტინე ვიშნევსკიმ** უფლისწული დიმიტრი სანდომირის ვოევოდა პან **იური მნიშეკთან** წარადგინა. დიმიტრიმ აქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, იური მნიშეკის ქალიშვილი **მარინა**. დიმიტრის მარინა **მნიშეკი** შეუყვარდა, მაგრამ ქორწინების პირობად იური მნიშეკმა დიმიტრის კათოლიკობის მიღება მოსთხოვა. დიმიტრიმ კათოლიკობა მიიღო და ნიშნობაც შედგა, ქორწილი კი დიმიტრის ტახტზე ასვლამდე გადაიდო. იური მნიშეკმა დიმიტრი **კრაკოვში** წაიყვანა და პოლონეთის მეფე **სიგიზმუნდს** წარუდგინა. პოლონეთის მეფემ რუსეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის უფლებების დაცვა გადაწყვიტა და მას ფულადი დახმარება და 1600-კაციანი რაზმი მისცა. 2000 მეომარი დიმიტრის დონელმა კაზაკებმა გამოუგზავნეს. სულ უფლისწულმა 4000-კაციანი ლაშქარი შეაგროვა და 1604 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი გადალახა. მას თან ახლდა ვოევოდა **იური მნიშეკი**.

დიმიტრი რუსეთის ტერიტორიაზე პირველად ივანე მრისხანეს შვილად და ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ცნო ქალაქ **მორავსკის** მოსახლეობამ. ვოევოდას წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქ **ჩერნიგოვის** მოსახლეობამ ასევე დაიფიცა უფლისწულ დიმიტრის ერთგულებაზე.



მარინა მნიშეკი

სამაგიეროდ, ქალაქ **ნოვგოროდ-სევერსკმა**, სადაც ვოევოდად ბორის გოდუნოვის ერთგული **პეტრე ბასმანოვი** იყო, დიმიტრის წინააღმდეგობა გაუწია. კაზაკებმა და პოლონელებმა ქალაქი ვერ აიღეს. ნოვგოროდ-სევერსკთან დიმიტრის პირველი სერიოზული უთანხმოება მოუვიდა პოლონელებთან. პოლონეთის ლაშქარი უკან გაბრუნებასაც კი აპირებდა. ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ ქალაქ **პუტივლის** ვოევოდა **ვასილი რუბეც-მოსალსკი** უფლისწულ დიმიტრის მხარეზე გადავიდა. ამით გამხნევებულმა პოლონელებმა წასვლა გადაიფიქრეს. პუტივლს სხვა ქალაქებმაც მიბაძეს. მალე რუსეთის დასავლეთ საზღვრიდან აღმოსავლეთით 600 კილომეტრის მანძილზე განლაგებული ქალაქების უმრავლესობამ **დიმიტრი ივანე მრისხანეს შვილად და ტახტის კანონიერ მემკვიდრედ** ცნო. რუსეთის საზღვრებში შესული დიმიტრი ყველგან ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი **მართლმადიდებელი** იყო. მოსახლეობამ, ცხადია, არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ დიმიტრიმ პოლონეთში **კათოლიკობა** მიიღო. როგორც ჩანს, დიმიტრი მართლაც ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი იყო და კათოლიკედ მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით მოინათლა.

1604 წლის ბოლოს ბორის გოდუნოვმა ვოევოდა **თევდორე მსტისლავსკის** სარდლობით დიდი ჯარი გაგზავნა უკრაინაში. 1604 წლის დეკემბერში **ნოვგოროდ-სევერსკთან** დიმიტრის 15-ათასიანმა ლაშქარმა დაამარცხა თევდორე მსტისლავსკის 50-ათასიანი ჯარი. ამ ბრძოლის შემდეგ იური მნიშეკი პოლონეთში დაბრუნდა, მას თან გაჰყვა პოლონელთა უმრავლესობა (დიმიტრისთან სულ 1500 პოლონელი მებრძოლი დარჩა). ამ მძიმე ვითარებაში დიმიტრისთან გამოცხადდა 12000 კაზაკი. მოსკოვში დიდი მღელვარება დაიწყო. ბორის გოდუნოვი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში მის მხარდამჭერად გამოვიდა ბოიარი **ვასილ შუისკი**. მან მოსკოვში წითელ მოედანზე შეკრებილ ხალხს რამდენჯერმე განუცხადა, რომ ივანე მრისხანეს შვილი, უფლისწული დიმიტრი, თავისი ხელით დაასაფლავა უგლიჩში. ბორის გოდუნოვმა ვასილ შუისკი დიმიტრის წინააღმდეგ გაგზავნილ და ბრძოლაში დაჭრილ თევდორე მსტისლავსკის დასახმარებლად მიავლინა. 1605 წლის იანვარში დობრინინჩთან (პუტივლის ახლოს) ბორის გოდუნოვის ერთგულმა 70-ათასიანმა ჯარმა ბორის გოდუნოვისა და ვასილ შუისკის სარდლობით დიმიტრის ლაშქარი დაამარცხეს. ამ მარცხის შემდეგ დიმიტრი **პუტივლში** გამაგრდა. პუტივლში დიმიტრის ლაშქარს კიდევ 4 ათასი კაზაკი შეუერთდა. ვასილ შუისკისა და თევდორე მსტისლავსკის შეეძლოთ პუტივლში გამაგრებული დიმიტრი რუსეთიდან განედევნათ, მაგრამ მათ შეტევა აღარ გააგრძელეს და 1605 წლის აპრილამდე ქალაქ **კრომთან** უმოქმედოდ იდგნენ. ბორის გოდუნოვის სიკვდილის შემდეგ ვასილ შუისკი და თევდორე მსტისლავსკი მოსკოვში გამოიძახეს, რადგან ყველა კარგად ხედავდა, რომ ისინი არ აპირებდნენ დიმიტრის წინააღმდეგ ბრძოლას.

1605 წლის აპრილში პუტივლში მივიდა ცნობა ბორის გოდუნოვის გარდაცვალებისა და მისი შვილის **თევდორე II-ის** გაძეფების შესახებ. თევდორე II ბორისის ძეს არავითარი ავტორიტეტი ჯარში არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ ერთ დროს ბორის გოდუნოვის ერთგული ჯარებიც კი დიმიტრის მხარეზე გადავიდნენ. დიმიტრიმ დაიკავა ქალაქები **კრომი** და **ორიოლი**. მოსახლეობა დიმიტრის ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა, ჯარი უფლისწულის ერთგულებაზე იფიცებდა.

ორიოლიდან დიმიტრი **ტულისაკენ** გაემართა, ხოლო თავისი ლაშქრის უდიდესი ნაწილი თაად **ვასილი გოლიცინის** სარდლობით **მოსკოვის** დასაკავებლად გაგზავნა.

დიმიტრის ჯარების მოსკოვთან გამოჩენამ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხალხს სურდა დარწმუნებულიყო, დიმიტრი ნამდვილად იყო თუ არა ივანე მრისხანეს შვილი. აღელვებულმა მოსკოველებმა ერთ დროს უფლისწულ დიმიტრის მკვლელობის გარემოებათა გამოსაძიებლად ბორის გოდუნოვის მიერ უგლიჩში გაგზავნილ ვასილ შუისკის მიმართეს. ვასილ შუისკიმ საჯაროდ განაცხადა: „ბოიარმა (ე.ი. ბორის გოდუნოვმა – ავტ.) უფლისწულ დიმიტრის მოსაკლავად კაცები გაგზავნა, მაგრამ უფლისწული გადაარჩინეს, უფლისწულის ნაცვლად კი მღვდლის შვილია დაკრძალული". ამ ამბის შეტყობის შემდეგ მოსკოველები სასახლეში შეეცვივდნენ და თევდორე II, დედამისი და თევდორეს და დააპატიმრეს. ცოტა მოგვიანებით თევდორე II და დედამისი დაახრჩვეს, ხალხს კი გამოუცხადეს, რომ მათ თითქოს თავი მოიწამლეს.

ტულაში დიმიტრი შეუდგა სახელმწიფოებრივ საქმიანობას. დაგზავნა სიგელები, შეადგინა ფიცის ტექსტი, მიიღო ინგლისის ელჩი სმიტი.

ტულაში მყოფ დიმიტრისთან გამოცხადდა ბოიარების მიერ გამოგზავნილი დელეგაცია: **ვასილ შუისკი** და მისი ძმები, ასევე ბოიარი **თევდორე მსტისლავსკი**. ბოიარები დიმიტრის ერთ-

გულებაზე დაფიცა რიაზანის არქიეპისკოპოსმა **იგნატმა**, რომელიც მალე, 1605 წელსვე, იობის ნაცვლად რუსეთის პატრიარქი გახდა.

ტულიდან დიმიტრი მოსკოვისაკენ გაემგზავრა და 1605 წლის 20 ივნისს ზეიმით შევიდა დედაქალაქში. 30 ივლისს მიძინების ტაძარში დიმიტრი მეფედ ეკურთხა. გვირგვინი მას ახალმა პატრიარქმა იგნატიმ დაადგა.

დიმიტრიმ შეიწყალა ბორის გოდუნოვის მიერ მსჯავრდებულნი. **ფილარეტ რომანოვი** როსტოვის მიტროპოლიტი გახდა. გადასახლებიდან დააბრუნეს და მამულები და წოდება დაუბრუნეს გოდუნოვების საგვარეულოს. დიმიტრი აცხადებდა: „არსებობს მეფობის ორი წესი: ან გულმოწყალება და გულეხკობა, ან სიმკაცრე და სასჯელი. მე პირველი ავირჩიე. მე ღმერთის წინაშე ფიცი დავდე, არ დაუღვარო ქრისტიანთა სისხლი და ამ ფიცს შევასრულებ". როცა მლიქვნელები ბორის გოდუნოვს აუგად მოიხსენიებდნენ, დიმიტრი მათ ეუბნებოდა: „როცა იგი ცოცხალი იყო, თქვენ მას თაყვანს სცემდით, როცა მოკვდა ამაგებთ. თქვენ თუ არა, სხვამ ვინ აირჩია იგი მეფედ?".

მეფედ კურთხევამდე დიმიტრის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა სცადა მის მიერვე შეწყალებულმა **ვასილ შუისკიმ**. იგი ხმებს ავრცელებდა, რომ დიმიტრი ივანე მრისხანეს შვილი

პატრიარქი იგნატი

ფილარეტ რომანოვი

კი არა გაურეკნილი ბერი **გრიგოლ ოტრეპიევი** იყო. ვასილ შუისკის სურდა დიმიტრის წინააღმდეგ მოსკოველთა ამხედრება. ვასილ შუისკი შეიპყრეს, მაგრამ დიმიტრიმ იგი არ დასაჯა, და მისი საქმე მსჯავრის გამოსატანად **საერობო კრებას** გადასცა. ვასილ შუისკის წინააღმდეგ ბრალმდებლად თვითონ დიმიტრი გამოვიდა. საერობო კრებაზე ვასილ შუისკიმ პირდაპირ განაცხადა, რომ **ივანე მრისხანეს შვილი უფლისწული დიმიტრი მკვდარია და მის ნაცვლად თვითმარქვია მოვლენა რუსეთსო**. საერობო კრებამ ვასილ შუისკის სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ დიმიტრიმ იგი შეიწყალა.

მალე მოსკოვში ცნობილი გახდა, რომ დიმიტრი იური მნიშეკის ქალიშვილზე, მარინაზე, აპირებდა დაქორწინებას. გავრცელდა ხმა, რომ დიმიტრიმ თავადაც კათოლიკობა მიიღო. აღელვებული ხალხის გამოყენება სცადეს **ვასილ შუისკიმ** და **ვასილ გოლიცინმა**. მათ მხარს უჭერდა ყაზანის მიტროპოლიტი **გერმოგენი** და ეპისკოპოსი **იოსები**. ვასილ შუისკიმ მოახერხა სტრელცების (მეთოფეთა ჯარის) გადაბირება. დიმიტრის მიმართ მოსკოველთა უკმაყოფილება განსაკუთრებით გაძლიერდა 1606 წლის აპრილიდან, მას შემდეგ, რაც მოსკოვში ჩავიდა **იური მნიშეკი** ქალიშვილ **მარინასთან** ერთად. იური მნიშეკს თან ახლდა პოლონელი პანები

და აზნაურები, სულ 2 ათასი კაცი. დიმიტრისა და მარინას ქორწილის შემდეგ (1606 წლის 8 მაისს), პოლონელებმა მოსკოვში თვითნებობას მიჰყვეს ხელი. ისინი შეურაცხყოფდნენ ქალებს, სახლებში უცვივდებოდნენ მოქალაქეებს. ვასილ შუისკი აჯანყების მოსაწყობად უკეთეს დროს ვერც კი ინატრებდა. შეთქმულებმა აქტიურად დაიწყეს მზადება, მაგრამ ისინი ვიღაცამ გასცა. დიმიტრომ შეთქმულების არსებობა არ დაიჯერა და ამით თავისი თავი გაწირა კიდეც.

აჯანყება 1606 წლის 16 მაისს ღამით დაიწყო. შეთქმულებმა ციხიდან დამნაშავენი გამოუშვეს და მათ იარაღი დაურიგეს. მათ მხარს უჭერდნენ სტრელცებიც. იმავდროულად ვასილ შუისკის მომხრეები ხმებს ავრცელებდნენ, რომ თითქოს **მარია ნაგაიმაც** კი თქვა, რომ მისი შვილი მკვდარია და უფლისწულის სახელით ცრუ დიმიტრი მოქმედებსო. აჯანყებულები სასახლეში შეიჭრნენ. დიმიტრომ გაქცევა სცადა, მაგრამ შეიპყრეს და **გრიგოლ ვალუევმა** იგი სიცოცხლეს გამოასალმა. დიმიტრის ცხედარი წითელ მოედანზე დააგდეს. მოსკოვში აჯანყებისას 2135 პოლონელი და 2000 რუსი დაიღუპა. ორი დღის შემდეგ დიმიტრი მოსკოვის გარეთ ღარიბთა სასაფლაოზე დამარხეს. შემდეგ გვამი საფლავიდან ამოიღეს და კოცონზე დაწვეს, ფერფლი თოფის წამალში შეურიეს, რომლითაც ზარბაზანი გატენეს და დასავლეთის მიმართულებით გაისროლეს.

რუსეთის ტახტი კვლავ მეფის გარეშე დარჩა. მეფობის ყველაზე უფრო რეალური კანდიდატი ბოიარი **ვასილ შუისკი** იყო.

6. ვასილი IV შუისკი (1606-1610). 1606 წლის 19 მაისს ბოიარები, სამღვდელოება, ვაჭრები და მოსკოვის უბრალო მოქალაქეები წითელ მოედანზე შეიკრიბნენ. ბოიარებმა ხალხს ახალი პატრიარქის არჩევა შესთავაზეს, რომელიც მეფის არჩევამდე უზენაესი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. პატრიარქის არჩევამდე ხალხი მეფის არჩევას ითხოვდა, ხოლო მეფობის კანდიდატად ერთხმად ასახელებდნენ **ვასილ შუისკის**. ხალხის მოთხოვნა იმდენად ერთსულოვანი იყო, რომ ბოიარებმა და სამღვდელოებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია მათ. როგორც ერთი თანამედროვე ხატოვნად შენიშნავდა, ვასილ შუისკი მეფედ კი არ აირჩიეს, არამედ „**წამოიყვანეს**". 1606 წლის 1 ივნისს ვასილ შუისკი მიძინების ტაძარში რუსეთის მეფედ ეკურთხა.

ვასილ შუისკიმ მისი მომხრე ბოიარების წინაშე მიძინების ტაძარში ჯვარზე მთხვევით ფიცი დადო, რომ ქვეყანას ბოიარებთან თანხმობით მართავდა, ბოიარების სასამართლოს გარეშე არავის დასჯიდა სიკვდილით, დიმიტრის მომხრეებსა და ნათესავებს მამულებს არ ჩამოართმევდა, დასმენებს არ მოუსმენდა.

ვასილ შუისკი

ვასილ შუისკიმ პატრიარქი **იგნატი** გადააყენა. რუსეთის პატრიარქი ვასილ შუისკის ერთგული გერმოგენი გახდა.

პირველ დღეებშივე ახალი მეფე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დიმიტრის მკვლელობიდან მეორე დღეს მოსკოვში ხმა გავრცელდა, რომ დიმიტრი არ მოუკლავთ, მან გაქცევა მოასწრო და სადღაც იმალებაო. ეს კი შეიძლებოდა ახალი არეულობის მიზეზი გამხდარიყო. ხმების გავრცელებას თვით ვასილ შუისკის წინდაუხედავმა მოქმედებამაც შეუწყო ხელი. მან პუტივლში გადაასახლა დიმიტრის მომხრე ბოიარი **გრიგოლ შახოვსკი**. პუტივლში ჩავიდა თუ არა, გრიგოლ შახოვსკიმ გამოაცხადა, რომ დიმიტრი ცოცხალია და მტრებს ემალებაო. პუტივლში მაშინვე მეფე ვასილ შუისკის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელიც მეზობელ ქალაქებსაც მოედო. ჩერნიგოვის ვოევოდა **ანდრეი ტელიატევსკი** აჯანყებულებს მიემხრო. თვით მოსკოვ-

შიც მღელვარება დაიწყო. ვასილ შუისკიმ მოახერხა მოსკოველთა დაწყნარება, მაგრამ უკრაინაში, პუტივლსა და მის შემოგარენში მღელვარება სულ უფრო მატულობდა. 1606 წელს პუტივლში პოლონეთიდან ჩამოვიდა ვინმე **ივანე ბოლოტნიკოვი**. მან განაცხადა, რომ საზღვარგარეთ ნახა მოსკოვში სიკვდილს გადარჩენილი **მეფე დიმიტრი**. ივანე ბოლოტნიკოვი თავს მეფე დიმიტრის ვოევოდას უწოდებდა და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. გრიგოლ შახოვსკის მის მიერ შეკრებილი ჯარის სარდლობა **ივანე ბოლოტნიკოვს** ჩაბარა.

ივანე ბოლოტნიკოვმა მეფე დიმიტრის სახელით მთელ რუსეთში სიგელები დაგზავნა. **ტულაში, კალუგაში, მოჟაისკში, ორიოლში** და სხვა ქალაქებში მოსახლეობა და ჯარი მეფე დიმიტრის ერთგულებაზე იფიცებდა. აზნაურებმა, ძმებმა **პროკოპი** და **ზაქარია ლიაპუნოვებმა** მეფე დიმიტრის ერთგულებაზე თითქმის მთელი **რიაზანის** მხარე დაიფიცეს. მღელვარება დაიწყო **ვლადიმირის** მხარეში. **ვოლგისპირეთის** ბევრი ქალაქის მოსახლეობამ და თვით შორეულმა **ასტრახანმაც** კი დიმიტრი გამოაცხადა მეფედ. დიდი ქალაქებიდან მხოლოდ **მოსკოვი, ყაზანი, ნიჟნი-ნოვგოროდი** და **ფსკოვი** დარჩა ვასილ შუისკის ერთგული. ქალაქი **სმოლენსკიც** არ ცნობდა მეფედ დიმიტრის. ამის მიზეზი ის იყო, რომ სმოლენსკელებს არ უყვარდათ პოლონელები და არც მათი მოკავშირე დიმიტრისაგან ელოდნენ კარგს.

ცრუ დიმიტრი V

1606 წლის შემოდგომაზე **ივანე ბოლოტნიკოვმა** მოსკოვზე ლაშქრობა დაიწყო. არც ერთ ქალაქს მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. 2 დეკემბერს ივანე ბოლოტნიკოვის ლაშქარი უკვე სოფელ **კოლომენსკოეში** იყო. მოსკოვთან ივანე ბოლოტნიკოვის ლაშქარში განხეთქილება მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მეფე **დიმიტრი** არ ჩანდა, რაც ყველას აღელვებდა: აზნაურებსაც, გლეხებსაც და ხოლოპებსაც. ლაშქარში უწესრიგობა დაიწყო, აზნაურებს გლეხები და ხოლოპები დაუპირისპირდნენ. ივანე ბოლოტნიკოვმა წესრიგი ველარ აღადგინა. **პროკოპი** და **ზაქარია ლიაპუნოვებმა** ივანე ბოლოტნიკოვი მიატოვეს, მოსკოვში გამოცხადნენ და ვასილ შუისკის ერთგულება შეჰფიცეს. ლიაპუნოვებს სხვა აზნაურებმაც მიბაძეს. მოსკოვთან ივანე ბოლოტნიკოვის ლაშქარი **მიხეილ სკოპინ-შუისკიმ** დაამარცხა. დამარცხებულმა ივანე ბოლოტნიკოვმა ქალაქ **კალუგაში** დაიხია.

1607 წელს ზაფხულში ივანე ბოლოტნიკოვის ლაშქარი კაზაკების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. საქმე გართულდა იმითაც, რომ ხმა დაირხა უფლისწულ **პეტრეს** გაპარვის შესახებ. ის, ვინც თავის თავს მეფე თეოდორე I-ის შვილს **პეტრეს** უწოდებდა, სინამდვილეში მდინარე ვოლგაზე ბურლაკად მომუშავე **ილეიკა მურომეცი** იყო (თეოდორეს შვილი საერთოდ არ ჰყოლია). თვითმარქვია უფლისწული **პეტრე** კალუგისაკენ დაიძრა, რათა **ივანე ბოლოტნიკოვს** შეერთებოდა. კალუგასთან ივანე ბოლოტნიკოვის წინააღმდეგ მდგარმა მეფე ვასილ შუისკის ჯარმა უკან დაიხია. ივანე ბოლოტნიკოვმა ამით ისარგებლა, კალუგიდან ტულისაკენ გაემართა და ცრუ უფლისწულ პეტრეს ლაშქარს შეუერთდა. ამ კრიტიკულ ვითარებაში ვასილ შუისკიმ 100-ათასიანი ჯარის შეკრება მოახერხა და 1607 წლის 5 ივლისს ივანე ბოლოტნიკოვისა და ცრუ უფლისწულ პეტრეს ლაშქარი დაამარცხა. ბრძოლის ბედი ვოევოდა **ანდრეი ტელიატევსკიმ** გადაწყვიტა, რომელიც 4 ათასი მეომრით ვასილ შუისკის მხარეს გადავიდა. ივანე ბოლოტნიკოვმა, გრიგოლ შახოვსკიმ და თვითმარქვია უფლისწულმა პეტრემ ტულისაკენ დაიხიეს. ვასილ შუისკიმ ტულას ალყა შემოარტყა.

ტულის ალყა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა უკრაინაში, ქალაქ **სტაროდუბში**, გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი. იგი თავის თავს **მეფე**

დიმიტრის უწოდებდა. დღემდე დაუდგენელია, თუ ვინ იყო ეს თვითმარქვია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი სასულიერო წოდებიდან იყო.

ტულის ალყა გაჭიანურდა. ბოლოს ვასილ შუისკიმ ასეთ ხერხს მიმართა: მდინარე უფაზე ჯებირი ააშენებინა, რის გამოც წყალმა აიწია და ქალაქი დატბორა. ივანე ბოლოტნიკოვმა და ცრუ უფლისწულმა პეტრემ მეფე ვასილ შუისკის ქალაქის ჩაბარება აღუთქვეს, თუ იგი ამის სანაცვლოდ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა მათ. ვასილ შუისკი ამ პირობას დათანხმდა. 1607 წლის 10 ოქტომბერს ტულა ჩაბარდა. ცრუ უფლისწული **პეტრე** მაშინვე ჩამოახრჩეს, ხოლო ივანე ბოლოტნიკოვი გადაასახლეს და შემდეგ წყალში დაახრჩეს. **გრიგოლ შახოვსკი** შორეულ მონასტერში გადაასახლეს.

მეფის ჯარი ძალზე დაღლილი იყო, ამიტომ ვასილ შუისკიმ მაშინვე ვერ გაილაშქრა სტაროდუბში მოვლენილი ცრუ დიმიტრის წინააღმდეგ. ამან ცრუ დიმიტრის საშუალება მისცა, 1608 წლის გაზაფხულზე მოსკოვზე ლაშქრობა დაეწყო. ცრუ დიმიტრის ვოევოდა იყო პოლონელი თავადი **როჟინსკი**. მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე ცრუ დიმიტრიმ რამდენჯერმე დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარები. თითქმის არც ერთ ქალაქს მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. 1608 წლის 1 ივნისს ცრუ დიმიტრი მოსკოვს მიუახლოვდა და სოფელ **ტუშინოში** შეჩერდა. ამის შემდეგ აქტიური სამხედრო მოქმედებები შეწყდა.

მალე ტუშინოში ჩავიდა მეფე დიმიტრის მეუღლე **მარინა მნიშეკი**. ცრუ დიმიტრისა და მარინა მნიშეკს შორის გარიგება მოხდა. მარინა მნიშეკმა თვითმარქვიაში ვითომ თავისი ქმარი მეფე დიმიტრი ამოიცნო. ცრუ დიმიტრიმ და მარინა მნიშეკმა ფარულად, კათოლიკური წესით იქორწინეს. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც **ივანე** დაარქვეს. ვასილ შუისკის მოსკოვიდან გასვლის ეშინოდა, რადგან დედაქალაქში მღელვარება შეინიშნებოდა. მეფე ვერც თავის ვოევოდებს ენდობოდა. კრიტიკულ ვითარებაში ვასილ შუისკიმ გადაწყვიტა, დახმარება შვეციის მეფისათვის ეთხოვა. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ცნობილი იყო, რომ პოლონეთსა და შვეციას შორის ხანგრძლივი მტრობა არსებობდა. შვეციასთან მოლაპარაკების საწარმოებლად ვასილ შუისკიმ **მიხეილ სკოპინ-შუისკი** გაგზავნა. მოლაპარაკება საკმაოდ გაჭიანურდა. ვასილ შუისკი უძლური იყო ქვეყანაში დაწყებული არეულობა თავიდან აეცილებინა.

მიხეილ სკოპინ-შუისკი

1608 წლის შემოდგომიდან დაწყებული, ტუშინოში დაბანაკებული ცრუ დიმიტრის ლაშქარი, განსაკუთრებით კაზაკები, დაუნდობლად ძარცვავდნენ გარშემო სოფლებს. ცრუ დიმიტრის ლაშქარს გამოეყო რაზმი **ლისოვსკისა** და **საპეგას** მეთაურობით და **სერგის სამების მონასტრის** გაძარცვა გადაწყვიტა. მონასტრის დამცველებმა პოლონელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. სერგის სამების მონასტერს სხვა ქალაქებმაც მიბაძეს. პოლონელთა და კაზაკთა ბანდებისაგან თავის დასაცავად მოსახლეობა ისევ მეფე ვასილ შუისკის უცხადებდა ერთგულებას. ქალაქებში: **კოსტრომაში, ვოლოგდაში, ბელოოზეროში, გოროდეცში, ვლადიმირში, რიაზანში** და სხვ. ლაშქრის შეკრებას შეუდგნენ. ვასილ შუისკიმ მოსახლეობის კეთილგანწყობა კარგად გამოიყენა ქვეყანაში ავტორიტეტის ამაღლებისათვის. მიუხედავად ამისა, მოსკოვში ვასილ შუისკის მდგომარეობა მტკიცე არ იყო. 1609 წლის ზამთარში შეთქმულებმა **გრიგოლ სუმბულოვის** მეთაურობით მისი ტახტიდან ჩამოგდებაც სცადეს, მაგრამ წარუმატებლად. 1609 წლის გაზაფხულზე მოსკოვში პური გათავდა. პურზე ფასების აწევამ ქალაქში მღელვარება გამოიწვია. ვასილ შუისკი ამჯერად მიხეილ სკოპინ-შუისკიმ იხსნა, რომელიც ნოვგო-

როდელთა ლაშქრით მოსკოვისაკენ გაემართა. მიხეილ სკოპინ-შუისკისთან ერთად მოსკოვისაკენ დაიძრა შვეციის მეფის მიერ გამოგზავნილი დიდი რაზმი გენერალ **დელეგარდის** სარდლობით. იმავდროულად ასტრახანიდან მდინარე ვოლგით მოსკოვისაკენ მიიწევდა ჯარი ბოიარ **თეოდორე შერემეტიევის** მეთაურობით. ისე ჩანდა, რომ ტუშინოში დაბანაკებული **ცრუ დიმიტრის** დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ვითარება კვლავ ვასილ შუისკის საზიანოდ შეიცვალა.

1609 წლის სექტემბერში პოლონეთის მეფე **სიგიზმუნდი** რუსეთში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ქალაქ **სმოლენსკს**. პოლონეთის მეფეს ცრუ დიმიტრი არაფერში სჭირდებოდა. ამას ცრუ დიმიტრი კარგად მიხვდა და ტუშინოდან **კალუგაში** გაიპარა. ლაშქრის ნაწილი მას თან გაჰყვა, ნაწილი კი მოსკოვში მივიდა და შეწყალება ითხოვა.

1610 წლის იანვარში **მიხეილ სკოპინ-შუისკიმ** სერგის სამების მონასტერთან მდგარი **საპეგას** რაზმი დაამარცხა. მალე როჟინსკიმ ტუშინოს ბანაკი გადაწვა და პოლონეთის მეფის ჯარს შეუერთდა. 1610 წელს მიხეილ სკოპინ-შუისკი და შვედი გენერალი **დელეგარდი** ზეიმით შევიდნენ მოსკოვში. ამ დროისათვის ვასილ შუისკის სახელი დაჩრდილა მიხეილ სკოპინ-შუისკის პოპულარობამ. ამან ძალზე შეაშფოთა ვასილ შუისკის ძმა **დიმიტრი**, რომელიც ძმის შემდეგ სამეფო ტახტზე ასვლას გეგმავდა. როცა დიმიტრიმ ვასილ შუისკისა და მიხეილ სკოპინ-შუისკის შორის განხეთქილება ვერ ჩამოაგდო, ეს უკანასკნელი მოწამლა. მიხეილ სკოპინ-შუისკი 1610 წლის მაისში გარდაიცვალა.

მიხეილ სკოპინ-შუისკის სიკვდილმა სრულიად უიმედო გახადა ვასილ შუისკის მდგომარეობა. თითქოს ჩამცხრალი არეულობა ისევ მოედო რუსეთს. **პროკოპი ლიაპუნოვმა** მთელი რიაზანის მხარე აუჯანყა მეფეს. სმოლენსკის დამცველთა დასახმარებლად დიმიტრი შუისკის სარდლობით მიმავალი ჯარი 1610 წლის 24 ივნისს ჰეტმანმა **ჟოლკევსკიმ** სასტიკად დაამარცხა. ამით იმედმოცემული ცრუ დიმიტრი კალუგიდან თავისი ლაშქრით მოსკოვისაკენ დაიძრა და სოფელ **კოლომენსკოესთან** შეჩერდა.

მეფე ვასილ შუისკი სრულ უმოქმედობას იჩენდა. **პროკოპი** და **ზაქარია ლიაპუნოვებმა** თავად **ვასილი გოლიცინთან** ერთად ასეთი გეგმა შეიმუშავეს: ერთდროულად უნდა მოეცილებინათ **ვასილ შუისკიცა** და **ცრუ დიმიტრიც**. ცრუ დიმიტრის წინააღმდეგ ისინი მისსავე სარდლებს რაზმავდნენ. 1610 წლის 17 ივლისს პროკოპი ლიაპუნოვმა და მისმა მომხრეებმა ვასილ შუისკის წინააღმდეგ ხალხი აამხედრეს. მოსკოვში გამართულ დიდ თავყრილობაზე ბოიარებმა მოსკოვის მოსახლეობასთან ერთად დაადგინეს მეფისათვის ეთხოვათ, თვითონ, ნებაყოფილობით გადამდგარიყო ტახტიდან. ასეთ გადაწყვეტილებას პატრიარქი **გერმოგენი** არ ეთანხმებოდა, მაგრამ მას ანგარიშს უკვე აღარავინ უწევდა. ვასილ შუისკის ძალა აღარ გაჩნდა წინ აღდგომოდა ბოიარებისა და ხალხის ნებას. იმავე დღეს მეფე ტახტიდან გადადგა და კრემლი დატოვა. მალე გაირკვა, რომ ცრუ დიმიტრის სარდლებმა დანაპირები არ შეასრულეს და თვითმარქვია არ მიატოვეს. არც ვასილ შუისკი აპირებდა ბრძოლის შეწყვეტას. მან სტრელცები (მეთოფეები) მოისყიდა და მათი დახმარებით ფიქრობდა ტახტის დაბრუნებას. პატრიარქი გერმოგენიც ითხოვდა ვასილ შუისკის კრემლში დაბრუნებას. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში **პროკოპი ლიაპუნოვი** და მისი თანამოაზრეები, **ჩუდის მონასტრის** ბერებთან ერთად, 1610 წლის 19 ივლისს ვასილ შუისკის სახლში მიუცვივდნენ და ძალით აღკვეცეს ბერად. პატრიარქმა **გერმოგენმა** ვასილ შუისკის ბერად აღკვეცა არ სცნო. მიუხედავად ამისა, ვასილ შუისკი ჩუდის მონასტერში გაგზავნეს და ბადრაგიც მიუჩინეს, ძმები კი დააპატიმრეს.

ვასილ შუისკის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, 1610 წლის ივლისში, ძალაუფლება გადავიდა **ბოიართა სათათბიროს** ხელში. სახელმწიფოს მართვას შეუდგა შვიდი ბოიარისაგან შემდგარი მთავრობა („სემიბოიარშჩინა"), რომელსაც სათავეში ბოიარი **თეოდორე მსტისლავსკი** ედგა. 1610 წლის აგვისტოში სემიბოიარშჩინა, პატრიარქ **გერმოგენის** წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებული გახდა დათანხმებოდა პოლონეთის მეფის სურვილს და რუსეთის ტახტზე სიგიზმუნდის ვაჟი **ვლადისლავი** მოეწვია. 1610 წლის 27 აგვისტოს მოსკოვის მოსახლეობა ვლადისლავის ერთგულებაზე დაფიცეს. მოსკოვში პოლონეთის ჯარი შევიდა.

7. ბრძოლა პოლონელთა აგრესიის წინააღმდეგ. რუსეთი, ფაქტობრივად, ოკუპირებული აღმოჩნდა პოლონეთისა და შვეციის მიერ. ქვეყანა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. ასეთ მძიმე ვითარებაში რუსეთში გამოჩნდა ძალა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ბრძოლას დამოუკიდებლობის გადასარჩენად.

1610 წელს პატრიარქმა **გერმოგენმა** ხალხს პოლონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა, რისთვისაც იგი პოლონელებმა დააპატიმ-

რეს. 1611 წლის დამდეგიდან რიაზანის მხარეში ჩამოყალიბება იწყო **სახალხო ლაშქარმა**. მას სათავეში აზნაური **პროკოპი ლიაპუნოვი** ედგა (ეს ლაშქარი ისტორიაში შევიდა პირველი სახალხო ლაშქრის სახელწოდებით). სახალხო ლაშქარი მოსკოვისაკენ დაიძრა, სადაც 1611 წლის გაზაფხულზე პოლონელთა წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. პოლონელებმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს, თვითონ კი კრემლში გამაგრდნენ. სახალხო ლაშქარი კრემლის მისადგომებთან იბრძოდა. მოწინავე რაზმს თავადი **დიმიტრი პოჟარსკი** ედგა სათავეში, რომელიც მძიმედ დაიჭრა. სახალხო ლაშქარმა კრემლის აღება ვერ შეძლო და უკან დაიხია. პროკოპი ლიაპუნოვმა სცადა სახალხო ლაშქარში წესრიგის დამყარება, რაც არ მოეწონათ კაზაკებს. მალე ხმა დაირხა, რომ ლაშქრის ხელმძღვანელობა ურჩი კაზაკების ამოჟლეტას აპირებდა. კაზაკებმა სახალხო ლაშქრის მეთაური პროკოპი ლიაპუნოვი 1611 წელს **კაზაკთა საბჭოზე** („კრუგზე") დაიბარეს და მოკლეს. სახალხო ლაშქარი დაიშალა. ამის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო კატასტროფული გახდა. 1611 წელს შვეციის ლაშქარმა **ნოვგოროდი** დაიპყრო, ხოლო პოლონეთის მეფემ ქალაქი **სმოლენსკი** აიღო. **სიგიზმუნდ III** იმუქრებოდა, რომ იგი თავად გახდებოდა რუსეთის მეფე და რუსეთს ეჭ პოსპოლიტას (პოლონეთ-ლიტვის უნიატურ სახელმწიფოს) შეუერთებდა.

1611 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბება დაიწყო სახალხო ლაშქარმა (ეს ლაშქარი ისტორიაში მეორე სახალხო ლაშქრის სახელწოდებით შევიდა). ლაშქრის ორგანიზების საქმეს სათავეში ედგნენ ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდის ერობის მამასახლისი **კუზმა მინინი** და თავადი **დიმიტრი პოჟარსკი**. რუსეთის ქალაქებში დაიწყო სახალხო ლაშქრისათვის შეწირულობის შეგროვება. 1612 წლის გაზაფხულზე სახალხო ლაშქარი ქალაქ **იაროსლავლისაკენ** დაიძრა. იაროსლავლში შეიქმნა **რუსეთის დროებითი მთავრობა**, რომელსაც „**მთელი ქვეყნის საბჭო**" ეწოდებოდა. 1612 წელს მოსკოვში დიდი შიმშილობა იყო. კაკიჭამობა ქალაქში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

1612 წლის ზაფხულში სახალხო ლაშქარი **კუზმა მინინისა** და **დიმიტრი პოჟარსკის** წინამძღოლობით მოსკოვს არბატის კარიბჭის მხრიდან მიუახლოვდა. აქ მათ პირველი სახალხო ლაშქრის დაშლის შემდეგ დარჩენილი რაზმები შეუერთდნენ. იმავდროულად მოჟაისკის მხრიდან მოსკოვში, კრემლში გამაგრებული პოლონელების მისაშველებლად მიემართებოდა პოლონელთა ძლიერი რაზმი ლიტვის დიდი ბეტმანის **იან კაროლ ხოდკევიჩის** წინამძღოლობით. სახალხო ლაშქარმა მძიმე ბრძოლების შემდეგ შეძლო პოლონელთა რაზმის უკუგდება. კრემლში გამაგრებულმა პოლონელებმა დამხმარე ძალა ველარ მიიღეს. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა დიმიტრი პოჟარსკიმ. 1612 წლის 22 ოქტომბერს სახალხო ლაშქარი კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის წინამძღოლობით მოსკოვში შეიჭრა. ოთხი დღის შემდეგ კრემლში გამაგრებულმა პოლონელებმა იარაღი დაყარეს.

8. რომანოვების არჩევა მეფედ. რუსეთი კიდევ ერთხელ დადგა მეფის არჩევის აუცილებლობის წინაშე. 1613 წლის თებერვალში ამ მიზნით შეიკრიბა **დიდი საერობო კრება**. ახალი მეფის არჩევას ართულებდა ის, რომ სამეფო ტახტზე რამდენიმე კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას. პრეტენდენტთა შორის იყვნენ: პოლონეთის მეფის ვაჟი **ვლადისლავი**, შვეციის მეფის ვაჟი **კარლ-ფილიპი**, ცრუ დიმიტრისა და მარინა მნიშეკის ვაჟი **ივანე**, რუსეთის ბოიარული საგვარეულოების რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის **მიხეილ რომანოვი**. სახალხო ლაშქარი **დიმიტრი პოჟარსკის**, ხოლო კაზაკები ატამან **ივანე ზარუცკის** კანდიდატურას აყენებდნენ. დიდი კამათის შემდეგ არჩევანი **მიხეილ რომანოვზე** შეჩერდა. 1613 წლის 21 თებერვალს დიდმა საერობო კრებამ 16 წლის მიხეილ რომანოვი აირჩია. მიხეილ რომანოვის მეფედ კურთხევა იმავე წლის 11 ივლისს შედგა.

მიხეილ რომანოვი ბორის გოდუნოვის მიერ ბერად ძალით აღკვეცილი **თეოდორე** (**ბერობაში ფილარეტი**) **რომანოვის** შვილი იყო. თეოდორეს ბაბუა იყო ცნობილი ბოიარი **რომან იურიევ-ზახარინი** (რომანის სახელიდან მიიღო მისმა შთამომავლობამ გვარი რომანოვი), რომლის ქალიშვილი **ანასტასია** ცოლად ჰყავდა **ივანე მრისხანეს**. სწორედ რიურიკოვიჩების საგვარეულოსთან ნათესაური კავშირის გამო დასაჯა ბორის გოდუნოვმა რომან იურიევ-ზახარინის ხუთივე შვილიშვილი (ნიკიტა რომანოვის შვილები), მათ შორის თეოდორეც (ფილარეტიც). 1605 წელს ფილარეტი მეფე დიმიტრიმ როსტოვის მიტროპოლიტად დაანიშნინა. 1608 წელს **ფილარეტი** ცრუ დიმიტრის მიემხრო და **ტუშინოში** იმყოფებოდა. ცრუ დიმიტრიმ იგი **რუსეთის პატრიარქად** გამოაცხადა. ფილარეტი პატრიარქი იყო 1608-1610 წლებში. 1610 წელს იგი ცრუ დიმიტრის მიერ პოლონეთის

რომანოვების სამეფო დინასტია
(1613 - 1917)



მეფესთან გაგზავნილ ელჩობას ედგა სათავეში. სიგიზმუნდ III-მ ფილარეტი უკან აღარ გამოუშვა. იგი ტყვეობაში 1619 წლამდე დარჩა.

ფილარეტის ყოფილი მეუღლე **მართა** და შვილი **მიხეილი** 1605 წელს საცხოვრებლად გადავიდნენ **წმინდა იპატის მონასტერში** (კოსტრომასთან). შემდეგ მიხეილ რომანოვი დედასთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. 1610 წელს, ვასილ შუისკის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, მეფობის კანდიდატთა შორის მიხეილ რომანოვიც დასახელდა. პოლონეთის მეფის ვაჟის ვლადისლავის რუსეთის მეფედ გამოცხადებისა და მოსკოვში პოლონელთა ჯარის ყოფნის პერიოდში (1610-1612 წწ.) მიხეილ რომანოვი კვლავ მოსკოვში ცხოვრობდა. პოლონელთა ბატონობისაგან მოსკოვის გათავისუფლების შემდეგ მიხეილ რომანოვი დედასთან ერთად ისევ იპატის მონასტერში გადასახლდა.

მიხეილ რომანოვის მეფობის პირველ წლებში ქვეყნის მართვაში დიდ როლს ასრულებდა დედამისი **მართა**, ხოლო პოლონელთა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ (1619 წ.) რუსეთს ფაქტობრივად მეფის მამა **ფილარეტი** მართავდა, რომელიც 1619-1633 წლებში რუსეთის პატრიარქი იყო.

მიხეილ რომანოვმა ქვეყნის დაწყნარების მიზნით გადამწყვეტი ზომები გაატარა. იმხანად ყველაზე დიდ საფრთხეს კაზაკთა ატამანი **ივანე ზარუცკი** წარმოადგენდა, რომლის ბანაკში იმყოფებოდა **მარინა მნიშეკიც**. 1614 წელს იაიკელმა კაზაკებმა ივანე ზარუცკის უღალატეს და იგი მეფეს გადასცეს. 1614 წელსვე **ივანე ზარუცკი** და ცრუ დიმიტრისა და მარინა მნიშეკის შვილი **ივანე** ჩამოახრჩეს, **მარინა მნიშეკი** კი კოლომნაში გადაასახლეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში

შვედებთან ხანმოკლე ომის შემდეგ, 1617 წელს რუსეთსა და შვეციას შორის სოფელ სტოლბოვოში (ტიხვინთან) დადებულ იქნა ზავი. შვეციამ რუსეთს დაუბრუნა ნოვგოროდი, მაგრამ შეინარჩუნა ბალტიის ზღვის სანაპირო. რუსეთმა შვეციას კონტრიბუციაც გადაუხადა.

პოლონეთის მეფის შვილმა ელადისლავმა 1617-1618 წლებში მოსკოვზე ილაშქრა და ქალაქის კედლებამდე მიაღწია, თუმცა შემდეგ მარცხი იწვნია. 1618 წელს სოფელ დეულინოში (სერგის სამების მონასტრის ახლოს) რუსეთსა და პოლონეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ჟეჩ პოსპოლიტას დარჩა სმოლენსკი და ჩერნიგოვი. ამასთან ერთად, ელადისლავს აღარ უნდა ჰქონოდა პრეტენზია რუსეთის ტახტზე.

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის სახელმწიფოში მიმდინარე დიდი არეულობა („სმუტა") დასრულდა. ბოლო მოეღო შინაშლილობასა და უცხო ქვეყნების ინტერვენციას. შეიქმნა პირობები რუსეთის ხელახალი აღორძინებისათვის.

თავი IX. რუსეთი XVII საუკუნეში

1. **ტერიტორია. მოსახლეობა.** რუსეთის ტერიტორია XVII საუკუნეში, XVI საუკუნესთან შედარებით, გაიზარდა **ციმბირის, სამხრეთ ურალისპირეთისა** და **მარჯვენა ნაპირის უკრაინის,** ასევე სამხრეთში ე.წ. „**დიკოე პოლეს**" (ასე უწოდებდნენ აუთვისებელ ტერიტორიას) ათვისების ხარჯზე. აღნიშნული ტერიტორიების შეერთების შემდეგ რუსეთის სახელმწიფო **მდინარე დნეპრის ნაპირებიდან წყნარ ოკეანემდე** და **ჩრდილოყინულოვანი ოკეანიდან ყირიმის სახანოს საზღვრებამდე** და **ჩრდილო კავკასიამდე** უზარმაზარ სივრცეზე გადაიჭიმა. 1643-1645 წლებში **ვასილი პოიარკოვმა** მდინარე ამურით ოხოტის ზღვას მიაღწია, ხოლო **სიმონ დეჟნევმა** 1648 წელს აღმოაჩინა სრუტე ამერიკასა (ალასკის ნახევარკუნძულს) და აზიას (ჩუკოტკის ნახევარკუნძულს) შორის. 1649-1653 წლებში **ეროფეი ხაბაროვმა** რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილა ამურისპირეთი. XVII საუკუნეში დაარსდა რუსული სიმაგრეები და ქალაქები: **ენისეისკი** (1618 წ.), **კრასნოიარსკი** (1628 წ.), **ბრატსკი** (1631 წ.), **იაკუტსკი** (1632 წ.), **ირკუტსკი** (1652 წ.) და სხვ.

რუსეთის ტერიტორია იყოფოდა **უეზდებად (მაზრებად)**, რომელთა რაოდენობამ 250-ს მიაღწია. მაზრები იყოფოდა **ვოლოსტებად** (თემებად), ხოლო თემები — **სოფლებად**.

XVII საუკუნის ბოლოსათვის რუსეთის მოსახლეობა 10,5 მილიონ კაცს უდრიდა. ყველაზე ნაკლებად დასახლებული იყო ციმბირი, სადაც 150 ათასი ადგილობრივი და 350 ათასი გადასახლებული რუსი ცხოვრობდა.

2. **ბატონყმური ურთიერთობის დაკანონება.** XVII საუკუნეში გაგრძელდა გლეხთა დაყმევების პროცესი. 1619 წელს დაწესდა გაქცეულ გლეხთა ძებნის **ხუთწლიანი**, ხოლო 1637 — **ათწლიანი** ვადა. 1642 წელს ისევ გამოიცა კანონი გაქცეულ გლეხთა ძებნის ათწლიანი ვადის დაწესების შესახებ. იმავე კანონის ძალით წაყვანილი გლეხის ძებნის ვადა **თხუთმეტი წლით** განისაზღვრა. 1649 წელს საერობო კრების მიერ მიღებული **ძეგლისდებით** დამთავრდა გლეხთა დაყმევების პროცესი.

3. **ეკონომიკა. საერთო რუსული ბაზრის ჩამოყალიბება.** XVII საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის სოფლის მეურნეობა წელში გაიმართა. აღმავლობას განიცდიდა მიწათმოქმედება. მიწათმოქმედების დიდ ცენტრებად იქცნენ **სამხრეთ რუსეთი**, შუა **ვოლგისპირეთი** და **ციმბირი**.

აღორძინება იწყო **ხელოსნობამ**. XVI საუკუნეში რუსეთში ჩნდება **მანუფაქტურა**, რომელთა რიცხვი XVII საუკუნეში გაიზარდა. XVII საუკუნის ბოლოს რუსეთში დაახლოებით 30 მანუფაქტურა არსებობდა. XVII საუკუნეში მეტალურგიული ქარხნები აშენდა **ურალში** და **ტულასთან**, ტყავის ქარხნები — **იაროსლავლსა** და **ყაზანში**, ტილოს დამამზადებელი — **მოსკოვში**. ამ ქარხნებს საგანგებოდ გამოუყვეს მუშახელი. ქარხნებზე მიწერილი გლეხები ყმურ ვალდებულებას ქარხანაში მუშაობით იხდიდნენ. შემდგომში ქარხნებს გლეხების შესყიდვის უფლებაც მისცეს.

XVII საუკუნის ბოლოსათვის რუსეთში დაახლოებით 300 ქალაქი არსებობდა. მოსკოვში ამავე პერიოდისათვის 200 ათასი კაცი ცხოვრობდა. ქალაქები, ხელოსნობის გარდა, ვაჭრობის ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. მარტო მოსკოვში 120 სპეციალიზებული სავაჭრო გაერთიანება იყო.

XVII საუკუნეში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა **ვაჭართა** ფენის როლი რუსეთის ცხოვრებაში. ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის განვითარებას. **საშინაო** ვაჭრობასთან ერთად ვითარდებოდა **საგარეო** ვაჭრობაც. საშინაო ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ დიდი ბაზრობები, რომლებიც იმართებოდა **ნიჟნი-ნოვგოროდში, ბრიანსკში**, ასევე **ციმბირში**. საგარეო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა **არხანგელსკი**, საიდანაც საქონელი დასავლეთ ევროპაში გადიოდა. **ასტრახანიდან** საქონელი გაჰქონდათ აზიის ქვეყნებში. რუსეთში ვაჭრები ჩამოდიოდნენ **ინგლისიდან, ჰოლანდიიდან, ინდოეთიდან, ირანიდან** და სხვა ქვეყნებიდან.

XVII საუკუნეში ჩამოყალიბებას იწყებს **საერთო რუსული ბაზარი**.

4. **მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა.** ქვეყნის მოსახლეობის უმაღლეს წოდებას შეადგენდნენ **ბოიარები**, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთის დიდი მთავრებისა და უფლისწული მთავრების (რიურიკოვიჩების) შთამომავალი იყო. დაახლოებით 100 ბოიარის ოჯახს ჰქონდა დიდი ეოტჩინა (მამული), მათ მეფის კარზეც დიდი თანამდებობები ეკავათ.

უმაღლესი წოდების მეორე ფენას შეადგენდნენ **პომეშჩიკები** (აზნაურები), ე.წ. „**მსახურეული ხალხი**". ისინი სახელმწიფო სამსახურში, ძირითადად კი სამხედრო სამსახურში იმყოფე-

ბოდნენ და მეფის ხელისუფლების საყრდენს წარმოადგენდნენ.

რუსეთის გლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა. გლეხობის უდიდესი ნაწილი **ვოტჩინებსა** (მამულებსა) და **პომესტიებში** (საკარგავებში) ცხოვრობდა და **ბოიარს** ან **პომეშჩიკს** ეკუთვნოდა. გლეხობის მეორე ნაწილი ქვეყნის განაპირა მხარეებში ცხოვრობდა **თემებად**. მათ „**ჩერნოსოშენცებს**" უწოდებდნენ. ჩერნოსოშენცები გადასახადს მხოლოდ სახელმწიფოს უხდიდნენ. მათი მდგომარეობა, ვოტჩინებსა და პომესტიებში მცხოვრებ გლეხებთან შედარებით, უკეთესი იყო. ჩერნოსოშენცები ანუ „**შავ მიწაზე**" მცხოვრები გლეხები ბატონყმური ურთიერთობით არ იზღუდებოდნენ.

გლეხთა შედარებით მცირე რაოდენობა ეკუთვნოდა **მონასტრებს** (საეონასტრო გლეხები).

ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას შეადგენდნენ **ვაჭრები**. XVII საუკუნეში მარტო მოსკოვში დაახლოებით 30 დიდვაჭარი ცხოვრობდა. ქალაქის დანარჩენი მაცხოვრებლები ფიზიკური შრომით ირჩენდნენ თავს. მათ რიცხვს ძირითადად ხელოსნები და წვრილი ვაჭრები მიეკუთვნებოდნენ. ისინი გადასახადს სახელმწიფოს უხდიდნენ.

5. მიხეილ თევდორეს ძე (1613-1645). მიხეილ თევდორეს ძეს მეფობის პირველ ათწლეულში თითქმის ყოველ წელს იკრიბებოდა საეკლესიო **კრება**, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს იხილავდა.

მიხეილ რომანოვი

1632 წელს საეკლესიო **კრებამ** მიიღო დადგენილება ქალაქ **სმოლენსკის** დაბრუნების თაობაზე, რომელიც 1618 წლის ზავით **ყეჩ პოსპოლიტას** შემადგენლობაში დარჩა. 1632 წელს რუსეთის 30-ათასიანმა ჯარმა 150 ქვემეხის თანხლებით ალყა შემოარტყა სმოლენსკს. სმოლენსკის რვათვიანი ალყა რუსეთისათვის დიდი მარცხით დამთავრდა. პოლონელებმა ხელთ იგდეს რუსეთის არტილერია და აღალი. ყეჩ პოსპოლიტას მეფეს **ვლადისლავს** შეეძლო ამ გამარჯვებით ესარგებლა და რუსეთის ტერიტორიაზეც შეჭრილიყო, მაგრამ რატომღაც მან თავი შეიკავა. 1634 წელს მდინარე **პოლიანოვკას** ნაპირას (ქ. ვიაზმასთან) რუსეთსა და ყეჩ პოსპოლიტას შორის ზავი დაიდო. **სმოლენსკი, ჩერნიგოვი** და **ნოვგოროდ-სევერსკი** ყეჩ პოსპოლიტას დარჩა. ყეჩ პოსპოლიტას მეფემ **ვლადისლავმა მიხეილ რომანოვი** რუსეთის მეფედ ცნო და, ამდენად, რუსეთის ტახტზე პრეტენზია აღარ განაცხადა.

1637 წელს დონელმა **კაზაკებმა** საკუთარი ინიციატივით აიღეს თურქული ციხესიმაგრე **აზოვი**, რომელიც მდინარე დონის შესართავში მდებარეობდა. კაზაკებმა რუსეთის მეფეს სთხოვეს, აზოვი თავისი ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. 1642 წელს საეკლესიო კრება აზოვის საკითხზე ვერ შეთანხმდა და მისი რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა. ცხადი იყო, რომ აზოვის შეერთება გამოიწვევდა ომს თურქეთსა და ყირიმის სახანოსთან. კაზაკები იძულებულები გახდნენ აზოვი დაეტოვებინათ.

1645 წელს პირველი რომანოვი მეფე მიხეილ თევდორეს ძე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან ტახტის მემკვიდრედ თავისი 16 წლის ვაჟი **ალექსი** გამოაცხადა.

6. ალექსი მიხეილის ძე (1645-1676). ალექსი მიხეილის ძე განათლებული და სახელმწიფოს მართვის ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იყო. ბუნებით კეთილს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა დიდი მისია დააკისრა მას განგებამ, თუმცა ეს სრულიად არ უშლიდა ხელს ყოფილიყო უშუალო და გულისხმიერი. მეფე ყოველთვის საუბრობდა იმხანად მიღებული რიტორიკის გარეშე, უყვარდა სხვადასხვა საინტერესო თემაზე მსჯელობა, ფუფუნებით ცხოვრება და სხვადასხვა რიტუალში მონაწილეობა, გატაცებული იყო ნადირობით. მას დაწერილი აქვს წიგნი შევარდენით

ნადირობის წესების შესახებ, რომელიც დღესაც კი საინტერესოდ იკითხება. ალექსი მიხეილის ძე გაცხარებისას წონასწორობიდანაც გამოდიოდა ხოლმე, ხანდახან ბოიარებს მუშტსაც კი უთავაზებდა, მაგრამ მალევე წყნარდებოდა და ყველაფერი ავიწყდებოდა. იყო სულგრძელი და შურისძიებას არ ცდილობდა. ალექსი მიხეილის ძის ხასიათი ვერ შეცვალა დაძაბულმა ცხოვრებამ. მისი მმართველობის პერიოდში არ ყოფილა ისეთი წელი, როცა მეფეს მოსვენებით შეეძლო ცხოვრება. ხელმწიფემ გადაიტანა დიდი ოჯახური ტრაგედია. პირველი ცოლისაგან სამი ვაჟი მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. უფროსი, თეოდორე, სურავანდით იყო დაავადებული და გადაადგილება უჭირდა, უმცროსი ივანე ავადმყოფი და გონებასუსტი იყო.

ა) ქალაქების აჯანყებები. XVII საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის ხაზინა თითქმის ცარიელი იყო. ხაზინის შევსების მიზნით ალექსი მიხეილის ძემ არაპირდაპირი გადასახადები გაზარდა. 1646 წელს რუსეთში მარილის ფასი ოთხჯერ გაიზარდა. ხაზინამ საჭირო შემოსავალი მაინც ვერ მიიღო, რის გამოც 1647 წელს მარილზე ფასი ისევ შემცირდა. სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე მოსახლეობის მიერ გადაუხდელი გადასახადები („ნარჩენები") ამოელოთ. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა ქალაქის მოსახლეობას.

1648 წელს მოსკოვის მოსახლეობამ ალექსი მიხეილის ძეს თხოვნა მიართვა. მოსკოველები მეფის ყველაზე ხარბი და გაუმაძღარი მოხელეების დასჯას ითხოვდნენ. თხოვნა შესმენილი არ იქნა. მოსკოვში მღელვარება დაიწყო. ხალხმა დაარბია ვაჭრებისა და ბოიარების სახლები. ალექსი მიხეილის ძე იძულებული გახდა, ბოიარი **ბორის მოროზოვი** მოსკოვიდან გაესახლებინა. აჯანყებული მოსკოველები მეთოფეების (სტრელცების) ჯარის გამოყენებით დაწყნარეს. მოსკოვის აჯანყება ისტორიაში „**მარილის ბუნტის**" სახელწოდებით შევიდა. მოსკოვის გარდა, XVII საუკუნის შუა ხანებში გამოსვლები აღინიშნა სხვა ქალაქებში: **ნოვგოროდში, კურსკში, ვლადიმირში, ფსკოვში** და სხვ.

ბ) 1649 წლის ძეგლისდება. 1648-1649 წლებში მოსკოვში **საერობო კრების** სხდომები მიმდინარეობდა. ეს საერობო კრება თავისი შემადგენლობით ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო რუსეთის ისტორიაში. მას 340 კაცი ესწრებოდა. საერობო კრების მონაწილეთა 70%-ს შეადგენდნენ ბოიარები, აზნაურები (პომეშჩიკები)

ალექსი მიხეილის ძე რომანოვი

და მაღალი სამღვდელოება, დანარჩენი 30% კი მოსახლეობის დაბალი ფენების (ძირითადად მოქალაქეთა) წარმომადგენლები იყვნენ. 1649 წელს საერობო კრებამ მიიღო ძეგლისდება, რომელიც ისტორიაში **ალექსი მიხეილის ძის** ძეგლისდების სახელწოდებითაა ცნობილი. ძეგლისდება 25 თავისაგან შედგებოდა, რომელიც დაახლოებით 1000 მუხლს (პარაგრაფს) მოიცავდა. ძეგლისდება ორიათასიანი ტირაჟით სტამბური წესით დაბეჭდეს. ეს იყო რუსეთში საკანონმდებლო ძეგლის გამოცემის პირველი შემთხვევა. ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდება მოქმედებაში იყო 1832 წლამდე. იგი ევროპულ ენებზეც ითარგმნა.

ძეგლისდების პირველ სამ თავში საუბარი იყო **ეკლესიისა და მეფის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა** შესახებ. ეკლესიის აუგად მხსენებელი და ღვთის მგმობელი (მკრეხელი) ისჯებოდა **კოცონზე დაწვით.** მეფის შეურაცხყოფა და ღალატი ასევე **სიკვდილს ითვალისწინებდა.** ის, ვინც მეფის თანდასწრებით იარაღს გააშიშვლებდა (ქარქაშიდან ამოიღებდა), **ხელის** მოკვეთით დაისჯებოდა.

ძეგლისდება ზღუდავდა **საეკლესიო მიწების ზრდას.** ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ეკლესია სახელმწიფოზე დამოკიდებული ხდებოდა.

ძეგლისდება არეგულირებდა **სახელმწიფო მოხელეების უფლებებს** და, საერთოდ, **სახელ-**

მწიფო სამსახურის სისტემის მოქმედებას, **საბაჟო პოლიტიკას,** მოსახლეობის სხვადასხვა ფენების **უფლებრივ** მდგომარეობას.

ძეგლისდების მეთერთმეტე თავი გლეხობას ეხებოდა. **აიკრძალა გლეხის ერთი მფლობელიდან მეორესთან გადასვლა.** დაწესდა გაქცეული ან გატაცებული გლეხის უვადო ძებნა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბატონყმური სისტემა **იურიდიულადაც** გაფორმდა. ძეგლისდებით ბატონყმური ურთიერთობა შეეხო ე.წ. **„ჩერნოსოშენცებს"** — რუსეთის განაპირა მხარეებში ე.წ. **„შავ მიწაზე"** მცხოვრებ გლეხებს. მათ ეკრძალებოდათ თავიანთი ოემების დატოვება. გაქცეისათვის გლეხი უვადო გადასახლებით ისჯებოდა.

ბ) უკრაინის შეერთება რუსეთთან. 1569 წელს, **ლიუბლინის უნიის** ძალით, პოლონეთი და ლიტვა ერთ სახელმწიფოდ — **ეჭ პოსპოლიტად** — გაერთიანდა. ეჭ პოსპოლიტას შემადგენლობაში XVII საუკუნის შუა ხანებისათვის შედიოდა **ბელორუსია და უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი.** პოლონურმა და ლიტვურმა არისტოკრატიამ სწრაფი ტემპებით დაიწყო უკრაინისა და ბელორუსიის მიწების ათვისება. დაიწყო **კათოლიკობის** გავრცელება. 1595 წელს **ბრესტში** მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის დიდი **უნია** (კავშირი). უნიის ძალით, უკრაინასა და ბელორუსიაში **მართლმადიდებლური ღვთისმსახურება** შენარჩუნდა, თუმცა **გაერთიანებული (უნიატური)** ეკლესიის მეთაურად რომის პაპი ითვლებოდა. უკრაინისა და ბელორუსიის მოსახლეობის უმრავლესობამ უნიატური ეკლესია სცნო. უნიატურ ეკლესიასთან ერთად არსებობდა **მართლმადიდებლური სამიტროპოლიტო** მიტროპოლიტით სათავეში. 1620 წელს იერუსალიმის პატრიარქმა **თეოფანემ** უკრაინაში იმოგზაურა და იქ მართლმადიდებელი მღვდლები აკურთხა. მართლმადიდებლობის დაცვაში დიდი წვლილი მიუძღვის კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტს **პეტრე მოგილას** (1632-1646). მართლმადიდებლობის შენარჩუნებაში დიდი როლი ითამაშა **ლვოვში, ლუცკში, კიევსა** და სხვა ქალაქებში შექმნილმა მართლმადიდებელთა საძმოებმა. 1632 წელს მიტროპოლიტმა **პეტრე მოგილამ** კიევ-პეჩორის მონასტეროთან დააარსა **კიევ-მოგილიევის კოლეგია** (1701 წლიდან იგი აკადემიად გადაკეთდა), რომელიც უკრაინაში პირველ უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან უკრაინასა და ბელორუსიაში **ეჭ პოსპოლიტას** ბატონობის წინააღმდეგ იწყება მოძრაობა, რომელსაც ეროვნული და რელიგიური ხასიათი ჰქონდა. ეს

კარელია. ეკლესია სოფელ კიჟიში (XVII ს.)

მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერდება XVII საუკუნის 30-40-იან წლებში.

ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი XVII საუკუნის 40-50-იან წლებში გახდა ზაპოროჟიეს სეჩი („სეჩი" ჭორომს იქით გამაგრებულ ადგილს ეწოდებოდა). ზაპოროჟიეს სეჩის ცენტრს მდინარე **დნეპრის** ჭორომებში მდებარე კუნძული **ხორტიცა** (დღევანდელი ქალაქ ზაპოროჟიეს ნაწილი) წარმოადგენდა. ყირიმის ხანის შემოსევების თავიდან ასაცილებლად აქ კაზაკებმა სპეციალურად მოჭრილი ხეებისაგან ააგეს სიმაგრეები, ე.წ. „**ზასეკები**" („ზასეკიდან" მოდის „სეჩი"). აქ, დნეპრის ქვემოწელზე, ჩამოყალიბდა **კაზაკთა თავისუფალი სამხედრო საძმო.** კაზაკთა საძმო **კურიებად** იყოფოდა. მთელ საძმოს სათავეში კაზაკების მიერ არჩეული **ატამანი** ედგა. ყოველ კურიას ასევე არჩეული ატამანი განაგებდა. კაზაკები ყველა საკითხს წყვეტდნენ **საერო კრებაზე**, რომელსაც „**კრუგი**" ეწოდებოდა. კაზაკები დიდ როლს ასრულებდნენ ყირიმის ხანის შემოსევებისაგან რუსეთის სამხრეთი რაიონების დაცვაში.

კაზაკების გამოყენება სცადა ჟეჩ პოსპოლიტას მეფემ. ის კაზაკი, რომელიც ჟეჩ პოსპოლიტას მეფის სამსახურს ისურვებდა, სპეციალურ სიაში — **რეესტრში** — შეჰქონდათ და მას **რეესტრელი კაზაკი** ეწოდებოდა. რეესტრელი კაზაკი მეფის სამსახურში ითვლებოდა და მას ჯამაგირს უხდიდნენ. XVII საუკუნეში ზაპოროჟიელი კაზაკების სათავეში **ჰეტმანი** იდგა.

ბოგდან ხმელნიცკი

1648 წელს ზაპოროჟიეს სეჩის კაზაკებმა ჰეტმანად **ბოგდან (ზინოვი) ხმელნიცკი** აირჩიეს. ბოგდან ხმელნიცკი განათლებული ადამიანი იყო. ჰეტმანად არჩევამდე იგი ორი წელი თურქეთში იყო ტყვედ. ბოგდან ხმელნიცკი კაზაკთა ელჩებთან ერთად რამდენჯერმე იყო ჟეჩ პოსპოლიტას მეფესთან. პოლონეთში ერთხელ მისი მოკვლაც კი სცადეს. ჯერ კიდევ 1647 წელს ბოგდან ხმელნიცკი აშკარად ჟეჩ პოსპოლიტას საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგა. ჰეტმანად არჩევის შემდეგ ბოგდან ხმელნიცკის მოინდომა, რუსეთის მეფე დაინტერესებინა ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით, მაგრამ რეალური დახმარება ვერ მიიღო — რუსეთი ჟეჩ პოსპოლიტასთან ომს მოერიდა. ამის შემდეგ ბოგდან ხმელნიცკი ყირიმის ხანს **მენგლი-გირეის** დაუკავშირდა და მასთან კარგი ურთიერთობა დაამყარა. ყირიმის ხანთან კარგ ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ჟეჩ პოსპოლიტასთან ომის შემთხვევაში.

1648 წელს კაზაკთა ჯარი **ბოგდან ხმელნიცკის** წინამძღოლობით ზაპოროჟიეს სეჩიდან გავიდა და ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ომი დაიწყო. პირველსავე ბრძოლაში, ჟოლტიე ვოდის რაიონში, კაზაკებმა გაანადგურეს პოლონელთა მოწინავე რაზმი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ **კორსუნთან** გენერალურ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს პოლონელთა მთავარი ძალები. კაზაკთა მოწინავე რაზმებმა ქალაქ ლვოვამდე მიაღწია. ბოგდან ხმელნიცკი იძულებული იყო შეტევა შეეჩერებინა, რადგან კაზაკებს საბრძოლო მარაგი გაუთავდათ. შეტევის შეჩერების მიზეზი გახდა აგრეთვე შავი ჭირის ეპიდემია. 1648 წლის დეკემბერში კაზაკთა ჯარი ბოგდან ხმელნიცკის წინამძღოლობით ზეიმით შევიდა **კიევში.**

ჟეჩ პოსპოლიტას მეფემ დიდი ჯარი შეკრიბა და კაზაკთა წინააღმდეგ დაძრა. 1649 წელს კაზაკებმა ბოგდან ხმელნიცკის სარდლობით კარპატისპირეთში, დაბა **ზბოროვოსთან,** გაანადგურეს პოლონეთის არმია. პოლონელები სრული კატასტროფისაგან იმან იხსნა, რომ ყირიმის ხანმა ბოგდან ხმელნიცკის უღალატა და კაზაკებმა შეტევა ველარ გააგრძელეს. ჟეჩ პოსპოლიტას მეფე იძულებული გახდა ზავზე დათანხმებულიყო. ზავი 1649 წელს დაიდო **ზბოროვოში.** ზავის პირობის თანახმად, ბოგდან ხმელნიცკი უკრაინის **ჰეტმანად** გამოცხადდა. სა-

ჰეტმანოს ტერიტორია შედგებოდა **კიევის, ჩერნიგოვისა** და **ბრაცლავის საოვეოდოებისაგან.** ეს იყო **ავტონომიური** ტერიტორია და იქ პოლონეთის ჯარი არ უნდა მდგარიყო. საშაავე საოვეოდოშო ეოვეოდა **მართლმადიდებელი** უნდა ყოფილიყო. კიევის მიტროპოლიტი ეუჭ პოსპოლიტას სეიმის (პარლამენტის) წევრი ხდებოდა. ჰეტმანის ჯარი 40 ათასი კაზაკით განისაზღვრა. ზავის პირობით, პოლონელ მემამულეებს საჰეტმანოს ტერიტორიაზე მიწები უბრუნდებოდათ.

ზბოროვოს ზავი მყარი არ აღმოჩნდა. 1650 წელს ომი განახლდა. 1651 წელს კაზაკთა ჯარი ბოგდან ხმელნიცკის სარდლობით ვოლინის ტერიტორიაზე **ბერესტეჩკოსთან** შეხვდა პოლონელთა ჯარს. პოლონელებს დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. გარდა ამისა, ეუჭ პოსპოლიტას მეფემ შეძლო ყირიმის ხანის მიმხრობა. ყირიმის ხანმა ბერესტეჩკოსთან ბრძოლის დროს თავისი ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ხანს უკან დაედევნა ბოგდან ხმელნიცკი და ბრძოლის ველზე დაბრუნება სთხოვა. ყირიმის ხანი არც თავად დაბრუნდა და ბოგდან ხმელნიცკიც შეაყოვნა. ბრძოლა პოლონელთა გამარჯვებით დასრულდა. ბერესტეჩკოსთან ბრძოლის შემდეგ **ბელაია ცერკოვოში** დაიდო ზავი.

ბელაია ცერკოვოს ზავით, **უკრაინის საჰეტმანოს** ტერიტორია მხოლოდ **კიევის საოვეოდოთი** შემოიფარგლა, კაზაკთა ჯარის რიცხვი კი 20 ათასით განისაზღვრა.

ბელაია ცერკოვოს ზავის შემდეგ უკრაინიდან რუსეთის სახელმწიფოს საზღვრების ახლოს დიდი რაოდენობით დასახლება იწყო ჩაგვრას გამოქცეულმა ადამიანებმა. **ხარკოვის, სუმის, იზიუმისა** და სხვა რაიონებში შეიქმნა ახალი დასახლებები (სლობოდები). ამ ტერიტორიას **„სლობოდების უკრაინა"** ეწოდა.

ბელაია ცერკოვოს ზავის შემდეგ ომი ისევ გაგრძელდა. კაზაკებმა ბოგდან ხმელნიცკის სარდლობით 1652 წელს მდინარე სამხრეთი ბუგის ნაპირას, **ბატოგთან**, ისევ გაანადგურა პოლონელთა ჯარი.

1653 წელს, ბოგდან ხმელნიცკის თხოვნის შემდეგ, რუსეთის საერობო კრებამ განიხილა უკრაინის შეერთების საკითხი. 1653 წლის 1 ოქტომბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა პოლონეთს. უკრაინაში ბოიარ **ვასილ ბუტურლინის** მეთაურობით გაიგზავნა ელჩობა. 1654 წლის 8 იანვარს ქალაქ **პერეიასლავლში** შედგა **უკრაინის რადა** (საბჭო). **რადამ დაადგინა უკრაინის შეერთება რუსეთთან.** რუსეთმა სცნო უკრაინის ჰეტმანის ხელისუფლება, ადგილობრივი სასამართლო და ხელისუფლების ორგანოები, ასევე უკრაინელი მემამულეების უფლება მიწაზე. უკრაინის ჰეტმანს უფლება ჰქონდა, დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა ნებისმიერ ქვეყანასთან, გარდა ეუჭ პოსპოლიტისა და თურქეთისა. ჰეტმანის ჯარის რაოდენობა 60 ათასი კაცით განისაზღვრა.

1654 წელს რუსეთის შემადგენლობაში მთელი უკრაინა არ შესულა. რუსეთს მხოლოდ **მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უკრაინის ტერიტორია** შეუერთდა. უკრაინის დანარჩენი ნაწილი ისევ ეუჭ პოსპოლიტას შემადგენლობაში რჩებოდა.

დ) რუსეთ-პოლონეთის 1654-1667 წლებისა და რუსეთ-შვეციის 1656-1658 წლების ომები. ეუჭ პოსპოლიტამ არ სცნო უკრაინის შეერთება რუსეთთან. რუსეთ-პოლონეთის ომი გარდუვალი გახდა. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **სმოლენსკი, ბელორუსიისა** და **ლიტვის** დიდი ნაწილი. იმავდროულად, ბოგდან ხმელნიცკიმ კაზაკების ჯარით დაიკავა პოლონეთის ქალაქი **ლიუბლინი**, ასევე **გალიჩისა** და **ვოლინის** ქალაქები.

ეუჭ პოსპოლიტას მარცხით ისარგებლა შვეციამ და პოლონეთის წინააღმდეგ მანაც ომი დაიწყო. შვეციის ჯარმა ქალაქები **ვარშავა** და **კრაკოვი** დაიკავა. ეუჭ პოსპოლიტა დაშლის საშიშროების წინაშე დადგა. ალექსი მიხეილის ძეს სურდა ესარგებლა იმით, რომ გარდაიცვალა მეფე **იან კაზიმირი** და ეუჭ პოსპოლიტას ტახტი დაეკავებინა. სწორედ ამის გამო, რუსეთმა ომი გამოუცხადა შვეციას. ომი 1656-1658 წლებში მიმდინარეობდა. ალექსი მიხეილის ძემ ეუჭ პოსპოლიტასთან დროებითი ზავი დადო და მთელი ძალებით შვეციას შეუტია. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს **დინაბურგი** (დაუგავპილსი), **დერპტი** (ტარტუ), ალყა შემოარტყეს **რიგას.** 1657 წელს **გდოვთან** შვეციის არმიამ ისევ მარცხი განიცადა. რუსეთის ჯარის წარმატებების მიუხედავად, ალექსი მიხეილის ძემ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ამის მიზეზი იყო 1657 წელს ბოგდან ხმელნიცკის გარდაცვალების შემდეგ უკრაინის ჰეტმანად არჩეული **ივანე ვიგოდსკის** ღალატი. 1658 წელს ივანე ვიგოდსკიმ ეუჭ პოსპოლიტასთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მარცხენა ნაპირის უკრაინა ისევ ეუჭ პოსპოლიტას შემადგენლობაში გადადიოდა. 1658 წელს რუსეთმა და შვეციამ დროებითი ზავი დადეს. 1661 წელს კი **კარდისში** (ქალაქ ტარტუსთან ახ-



სუზდალი. წმინდა ეფიმის მონასტრის გალავანი და კოშკები (XVII ს.)

ლოს) დადებულ იქნა ზავი. რუსეთმა შვეციას დაუბრუნა ომის დროს დაკავებული ტერიტორია. ბალტიის ზღვის სანაპიროები ისევ შვეციას დარჩა.

ჰეტმანმა **ივანე ვიგოდსკიმ** ჟეჩ პოსპოლიტასა და ყირიმის ხანის დახმარებით 1659 წელს **კონოტოპთან** დაამარცხა რუსეთის ჯარები. მიუხედავად გამარჯვებისა, ივანე ვიგოდსკის მდგომარეობა მყარი არ იყო. 1659 წელს მის წინააღმდეგ **ივანე ბოგუნის** წინამძღოლობით აჯანყება დაიწყო. ივანე ვიგოდსკი დაამხეს, რის შემდეგადაც იგი პოლონეთში გაიქცა (პოლონეთში იგი ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს). 1659 წელს უკრაინის ჰეტმანი გახდა ბოგდან ხმელნიცკის ვაჟი **იური**, რომელიც რუსეთთან კავშირის მომხრე იყო. 1660 წელს იური ხმელნიცკიმაც შეიცვალა ორიენტაცია და ჟეჩ პოსპოლიტას მხარეზე გადავიდა. იური ხმელნიცკის მოქმედებას უკრაინაში ისევ აჯანყება მოჰყვა. 1662 წელს იური ხმელნიცკიმ უარი თქვა ჰეტმანობაზე. აშკარა იყო, რომ მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინაში უფრო ძლიერი იყო რუსეთთან კავშირის მომხრე ძალები, ვიდრე მარჯვენა ნაპირის უკრაინაში. მარჯვენა ნაპირის უკრაინის ახალი ჰეტმანი **ივანე ბრიუხოვეცკი** ისევ რუსეთისაგან უკრაინის ჩამოცილებას ცდილობდა. 1668 წელს იგი კაზაკებმა მოკლეს. ახალი ჰეტმანი **პეტრე დოროშენკო**, ოღონდ რუსეთისა და პოლონეთისაგან თავი დაეხსნა, მზად იყო თურქეთის ქვეშევრდომობა მიეღო.

1667 წელს რუსეთ-პოლონეთის ომი დამთავრდა. ზავი სოფელ **ანდრუსოვოში** (ქალაქ სმოლენსკთან) დაიდო. რუსეთმა უარი თქვა **ბელორუსიაზე**, მაგრამ შეინარჩუნა **სმოლენსკი** და **მარცხენა ნაპირის უკრაინა**. ქალაქი **კიევი**, რომელიც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, ორი წლით რუსეთს გადაეცა, თუმცა კიევი რუსეთს არც ორი წლის შემდეგ დაუბრუნებია ჟეჩ პოსპოლიტასათვის. **ზაპოროჟიეს სეჩი** უკრაინისა და პოლონეთის ორმხრივ კონტროლს დაექვემდებარა.

ე) ამბოხება სტეფანე რაზინის წინამძღოლობით (1670-1671). XVII საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში სოციალური ვითარება ძალზე დაიძაბა. ამის მანიშნებელი იყო მოსკოვის მცხოვრებთა გამოსვლა 1662 წელს, რომელიც ჯარის გამოყენებით ჩაახშეს.

სოციალური ვითარება განსაკუთრებით სოფლად იძაბებოდა. გლეხობა ბატონყმურ ჩაგვრას გაურბოდა და მდინარე **დონის** ნაპირებზე პოულობდა თავშესაფარს. დონზე, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან, საკმაოდ დიდმა ძალამ მოიყარა თავი. **დონელი კაზაკები** თავშესაფარს ყველას აძლევდნენ, ხოლო ხელისუფლება დონზე თავშეფარებულს ვერასოდეს პოულობდა. დონელი კაზაკები, ნადაელის ხელში ჩაგდების მიზნით, ხშირად ლაშქრობდნენ **ყირიმის სახანოსა** და **თურქეთის** წინააღმდეგ. 1658-1660 წლებში თურქეთი და ყირიმის ხანი იძულებულნი გახდნენ, მდინარე დონიდან აზოვის ზღვაში გასასვლელი სპეციალური სიმაგრეებით ჩაეკეტათ, გარდა შავიზღვისპირეთისა. დონელი კაზაკები ხშირად ესხმოდნენ თავს **კასპიის ზღვის** სანაპიროებს.

1666 წელს კაზაკთა 500-კაციანი რაზმი **ვასილი უსის** წინამძღოლობით დონიდან ეორონეჟის გავლით **ტულისაკენ** დაიძრა. კაზაკებს სურდათ **მოსკოვში** ჩასულიყვნენ და მეფისათვის სამხედრო სამსახურში მიღება ეთხოვათ, რათა ამ გზით შემოსავლის წყარო გასჩენოდათ. თანაც ვასილი უსს სურდა, მეფისათვის პოლონეთთან ომში დახმარება შეეთავაზებინა. გზაში ვასილი უსის რაზმს გლეხები და ქალაქის მაცხოვრებლები შეუერთდნენ და იგი 3 ათას კაცამდე გაიზარდა. მეფის ვოეოდებმა ძლივს მოახერხეს ვასილი უსის შეჩერება და მისი დონზე დაბრუნება. მალე დონზე კაზაკთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა **სტეფანე რაზინი**.

სტეფანე რაზინი შეძლებულ კაზაკთა წრეს ეკუთვნოდა. იგი იყო კარგი გარეგნობისა და კეთილშობილი გამომეტყველების მამაკაცი, ჰქონდა უნარი ადამიანებში ჩაენერგა სიყვარულიცა და შიშიც. სტეფანე რაზინი ორჯერ იყო მოსკოვში კაზაკთა ელჩობის შემადგენლობაში. მას ორჯერ ჰქონდა გადაკვლილი მთელი რუსეთი მდინარე დონის ნაპირებიდან ჩრდილოყინულოვან ოკეანემდე (თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვეცკის კუნძულებამდე). სტეფანე რაზინი კაზაკთა რამდენიმე ლაშქრობასაც ედგა სათავეში.

1667 წელს სტეფანე რაზინის წინამძღოლობით დონელმა კაზაკებმა, ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, მორიგი ლაშქრობა დაიწყეს. კაზაკთა ჯარმა მდინარე **იაიკზე** მდებარე ქალაქი იაიცკი (დღევანდელი ურალსკი) აიღო და იგი ოავის საყრდენ პუნქტად აქცია. 1668-1669 წლებში სტეფანე რაზინის წინამძღოლობით კაზაკებმა გაძარცვეს კასპიის ზღვის სანაპირო **დერბენტიდან ბაქომდე**, გაანადგურეს ირანის შაჰის ფლოტი. კასპიის ზღვიდან კაზაკები მდინარე ვოლგით, **ასტრახანისა** და **ცარიცინის** გავლით, დიდი ნადავლით მდინარე **დონზე** დაბრუნდნენ. ლაშქრობის შემდეგ სტეფანე რაზინი თავის თანამებრძოლებთან ერთად **კაგალნიკში** დაბანაკდა. კაზაკთა ეს ლაშქრობა უკვე აღარ ჰგავდა ჩვეულებრივ კაზაკურ ლაშქრობებს ნადავლისათვის.

1670 წელს სტეფანე რაზინმა მდინარე **ვოლგაზე** დაიწყო ლაშქრობა. წინა ლაშქრობებისაგან განსხვავებით, ამ ლაშქრობას აშკარად ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლის ხასიათი ჰქონდა. ლაშქრობაში, დონელი კაზაკების გარდა, ყმა გლეხები და ქალაქის უბრალო მოსახლეობაც მონაწილეობდა. **რუსებთან** და **უკრაინელებთან** ერთად, სტეფანე რაზინის

სტეფანე რაზინი

ლაშქარში იყვნენ **ჩუვაშები**, **მორდველები** და სხვ. სტეფანე რაზინი ხალხს მოუწოდებდა, დაეხოცათ ვოევოდები, ბოიარები, აზნაურები, მეფის მახელეები. გავრცელდა ხმა, რომ სტეფანე რაზინთან ერთად მოსკოვზე ლაშქრობაში მონაწილეობდა მეფე ალექსი მიხეილის ძის შვილი **ალექსი** (იგი 1670 წელს გარდაიცვალა) და გადაყენებული პატრიარქი **ნიკონი**.

1670 წელს სტეფანე რაზინის ლაშქარმა ქალაქი **ცარიცინი** აიღო, ხოლო შემდეგ, ზურგის გამაგრების მიზნით, ქალაქი **ასტრახანიც** დაიკავა. ასტრახანის დაკავების შემდეგ სტეფანე რაზინი ვოლგის ზემოთ აჰყვა და ბრძოლის გარეშე აიღო **სარატოვი** და **სამარა**. ქალაქების ღარიბი მოსახლეობა აღტაცებით ხვდებოდა ამბოხებულებს. სტეფანე რაზინის ლაშქარი მხოლოდ ქალაქ **სიმბირსკთან** შეჩერდა. ამ პერიოდისათვის ამბოხებამ მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია: მდინარე **ვოლგის შესართავიდან ნიჟნი-ნოვგოროდამდე**.

1670 წლის შემოდგომაზე მეფე ალექსი მიხეილის ძემ 30-ათასიანი ჯარი ამბოხებულთა წინააღმდეგ დაძრა. 1670 წლის ოქტომბერში ქალაქ სიმბირსკთან ამბოხებულთა 20-ათასიანი ლაშქარი დამარცხდა. მძიმედ დაჭრილი სტეფანე რაზინი კაზაკებმა **კაგალნიკში** გადაიყვანეს. კაზაკთა ზედაფენის წარმომადგენელებმა

სტეფანე რაზინი შეიპყრეს და ხელისულებას გადასცეს. 1671 წელს იგი მოსკოვში, წითელ მოედანზე, სიკვდილით დასაჯეს. კაზაკთა ცალკეული რაზმები 1671 წლის შემოდგომამდე აგრძელებდნენ ბრძოლას.

სტეფანე რაზინის წინამძღოლობით ამბოხების ჩახშობის შემდეგ დონელი კაზაკები აიძულეს ფიცი დაედოთ, რომ ხელისუფლებისაგან დევნილებს არ შეიფარებდნენ. 1667 წელს კი დონის კაზაკობამ მეფის ერთგულების ფიცი დადო.

3) განხეთქილება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. რუსეთის ეკლესიაში XVII საუკუნეში ორი მოვლენა იყო ყველაზე მეტად ღირშესანიშნავი. **პირველი** — სასულიერო ხელისუფლების (პატრიარქის) ბრძოლა საერო ხელისუფლებაზე (მეფეზე) უპირატესობის მოპოვებისათვის; **მეორე** — საეკლესიო განხეთქილება. ორივე ეს მოვლენა დაკავშირებულია **პატრიარქ ნიკონის** მოღვაწეობასთან.

პატრიარქი ნიკონი (ერისკაცობაში ნიკიტა მილოვი) 1605 წელს დაიბადა ქალაქ ნიჟინ-ნოვგოროდის მახლობლად, ერთ-ერთ სოფელში. იგი მორდველი გლეხის შვილი იყო. ნიკონის სასულიერო კარიერა სოფლის **დიაკვნობიდან** დაიწყო, მალე იგი მღვდლად აკურთხეს. 31 წლის ასაკში მღვდელი ნიკიტა მილოვი სოლოვეცკის მონასტერში ბერად აღიკვეცა და

პატრიარქი ნიკონი

ნიკონის სახელი მიიღო. მოსკოვში ყოფნისას ბერი ნიკონი წარუდგინეს მეფე მიხეილ რომანოვსა და ტახტის მემკვიდრეს ალექსის. განსწავლული ბერი ძალზე მოეწონა ალექსი მიხეილის ძეს. მალე ნიკონი და ალექსი დამეგობრდნენ კიდეც. სამეფო კართან სიახლოვემ ნიკონის სწრაფ აღმასვლას შეუწყო ხელი. იგი გახდა **არქიეპისკოპოსი**, ხოლო 1649 წელს — **ნოვგოროდის** მიტროპოლიტი. ნოვგოროდელებს ნიკონმა თავისი ქველმოქმედებით ძალზე შეაყვარა თავი. პოპულარული იყო მისი ქადაგებები. ნიკონმა სამეფო კარს დიდი სამსახური გაუწია 1650 წელს აჯანყებული ნოვგოროდელების დამშვიდებისას.

ნოვგოროდში მოღვაწეობის წლებში ნიკონმა დაიწყო **ღვთისმსახურების ტრადიციულ წესებში ცვლილებების შეტანა**. ამასთანავე, თავის ქადაგებებში იგი ხაზს უსვამდა **სასულიერო ხელისუფლების უპირატესობას საერო ხელისუფლებაზე**.

1652 წელს რუსეთის პატრიარქი **იოსები** გარდაიცვალა და მეფე ალექსი მიხეილის ძის შემწეობით პატრიარქი გახდა **ნიკონი**. ამ დროიდან გადამწყვეტ ფაზაში შეკიდა ნიკონის ბრძოლა **სასულიერო ხელისუფლების საერო ხელისუფლებაზე აღზევებისათვის**. ნიკონი არ ცნობდა 1649 წლის ძეგლისდების იმ ნაწილს, რომელიც საეკლესიო (სამონასტრო) მიწისმფლობელობის ზრდას ზღუდავდა. ძეგლისდების საწინააღმდეგოდ, ნიკონმა გაზარდა **საპატრიარქოს ქონება** როგორც მეფის მიერ შეწირული, ისე სხვა მიწების ხარჯზე. ამასთან ერთად, **არნახულ პომპეზურობამდე აიყვანა ღვთისმსახურების პროცესი**, ეკლესიისათვის დაამზადებინა უძვირფასესი ხატები. თვით პატრიარქის სამოსი შემკული იყო ძვირფასი ქვებით, რომელთა საერთო წონა რვა კილოგრამს უდრიდა და XX საუკუნის დამდეგის ფულის კურსით ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირდა.

ძალაუფლების მოყვარული პატრიარქი მცირე დანაშაულისთვისაც კი მკაცრად სჯიდა სასულიერო პირებს. ნიკონი სარგებლობდა მეფესთან ახლო ურთიერთობით და უხეშად ერეოდა საერო საქმეებში, რაც ბოიართა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 1654 წელს, მეფის მოსკოვში არყოფნის დროს, ნიკონი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში დაგზავნილ ბრძანებებში მეფეს მოიხსენიებდა: **„მეფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა“**, ხოლო თავის თავს უწოდებდა: **„დიდ ხელმწიფესა და პატრიარქს“**. აქამდე პატრიარქი იწოდებოდა **„დიდ ბატონად“**

და არა **„დიდ ხელმწიფედ“**. ალექსი მიხეილის ძე, რომელიც ნიკონთან მეგობრობდა, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, თუ რას უქადდა სამეფო ხელისუფლებას ნიკონი. მეფესა და პატრიარქს შორის მეგობრული ურთიერთობა დაირღვა. მეფე პატრიარქის მიერ გადახდილ წირვასაც კი აღარ ესწრებოდა. ნიკონმა იგრძნო მისადმი ალექსი მიხეილის ძის გულარძნილობა, მოსკოვი დატოვა და მის მიერ მოსკოვთან აგებულ **ახალი იერუსალიმის** მონასტერში გადავიდა. პატრიარქი ვარაუდობდა, რომ ალექსი მიხეილის ძე თავს დაიმცირებდა და მას მოსკოვში დაბრუნებას სთხოვდა. ნიკონს იმედი არ გაუმართლდა და მან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. იგი მოსკოვში, მიძინების ტაძარში, უბრალო ბერის ტანსაცმელში გამოცხადდა და საჯაროდ განაცხადა, რომ აღარ სურდა პატრიარქობა. ამის შემდეგ ნიკონი ისევ ახალი იერუსალიმის მონასტერში დაბრუნდა. მეფემ სხვათა შორის გამოიკითხა ნიკონის მოსკოვიდან წასვლის მიზეზი და პატრიარქს მოსკოვში დაბრუნება სთხოვა. ამასთან, ალექსი მიხეილის ძემ ნიკონს აცნობა, რომ თუ მოსკოვში დაბრუნებას არ აპირებდა, მაშინ მიტროპოლიტ **პიტირიმის** პატრიარქის ტახტზე ასვლა თავისი ლოცვა-კურთხევით დაედასტურებინა. ნიკონმა იგრძნო, რომ ბრძოლა წააგო და 1658 წელს პიტირიმის პატრიარქად არჩევას დათანხმდა. ალექსი მიხეილის ძისა და ნიკონის ურთიერთობა არც ამის შემდეგ მოგვარდა, რაც ძალზე აღიზიანებდა გადამდგარ პატრიარქს. 1660 წელს, როცა მეფემ **პიტირიმის** პატრიარქად არჩევა გადაწყვიტა, ნიკონმა მოულოდნელად განაცხადა, რომ მას უარი არ უთქვამს პატრიარქობაზე. 1664 წელს იგი მოსკოვში მიძინების ტაძარში გამოცხადდა და პატრიარქის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მიძინების ტაძრიდან ნიკონმა ალექსი მიხეილის ძეს წერილი მისწერა, სადაც აღნიშნული იყო: „მე ტახტიდან არავის გადაუყენებივარ, ტახტზე დაბრუნდი ისე, რომ არავისათვის მიკითხავს“. წერილის მიღების შემდეგ ალექსი მიხეილის ძემ მოსკოვის მაღალი სამღვდელოება შეკრიბა და, მათთან თათბირის შემდეგ, ნიკონს ახალ იერუსალიმში დაბრუნება უბრძანა. ნიკონმა პატრიარქის ტახტიდან გადადგომაზე თანხმობა განაცხადა.

ალექსი მიხეილის ძის მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ნიკონი პატრიარქად მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქების მონაწილეობით იყო არჩეული და მისი გადაყენება მათივე თანხმობით უნდა მომხდარიყო. მართლმადიდებელი პატრიარქები მოსკოვში მხოლოდ 1666 წელს შეიკრიბნენ. ნიკონის წინააღმდეგ ბრალდებით თვით მეფე გამოვიდა. ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენეს, უბრალო ბერამდე დააქვეითეს და ერთ-ერთ მონასტერში გამოკეტეს. ნიკონის დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა მეფე თეოდორე II ალექსის ძის დროს. ნიკონი მონასტრიდან არ გამოსულა, ისე გარდაიცვალა 1681 წელს.

ნიკონის სახელს უკავშირდება **განხეთქილება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში**. ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იან წლებში მოსკოვში ჩამოყალიბდა სასულიერო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელთაც **ძველი საეკლესიო წესების თავგამოდებულ ქომაგებს** უწოდებდნენ. ამ ჯგუფებში შედიოდნენ: მეფის მოძღვარი **სტეფანე ბონიფატიევი**, მოსკოვის ყაზანის ტაძრის წინამძღვარი **იოანე**, **კოსტრომელი დეკანოზი დანიელი**, მეფის მესაწოლე ბერი **თეოდორე რტიშჩევი**, მომავალი პატრიარქი **ნიკონი** და **დეკანოზი აბაკუმი**.

ძველი საეკლესიო წესების ქომაგები სამი საკითხის გადაჭრას მოითხოვდნენ: **პირველი** — წირვა-ლოცვის პროცესის თვითნებურად შეკვეცის აკრძალვას; **მეორე** — საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობის დამკვიდრებას; **მესამე** — ღვთისმსახურებისას დადგენილი წესის აუცილებელ დაცვას. ძველი საეკლესიო წესების ქომაგები იბრძოდნენ სამღვდელოებაში ფეხმოკიდებული **ლოთობის, გარყვნილების, მექრთამეობისა** და სხვა მანკიერებათა წინააღმდეგ და, საერთოდ, **ეკლესიაში საერო ცხოვრების ნორმების დამკვიდრების** წინააღმდეგ. ძველი საეკლესიო წესების ქომაგთა პროგრამის განხორციელება ხელს აძლევდა მეფესაც. ამიტომ იყო, რომ ალექსი მიხეილის ძე მხარს უჭერდა საეკლესიო წესების უნიფიცირებასა და საეკლესიო წიგნებში არსებული შეცდომების გასწორებასა თუ განსხვავებების მოსპობას.

უთანხმოება დაიწყო მას შემდეგ, რაც დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი საეკლესიო წესები და რომელი საეკლესიო წიგნები აეღოთ ნიმუშად. სასულიერო მოღვაწეთა ნაწილი თვლიდა, რომ ნიმუშად უნდა აეღოთ **ძველი რუსული ხელნაწერი საეკლესიო წიგნები**. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძველი რუსული ხელნაწერი საეკლესიო წიგნების ტექსტები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამის გამო, სასულიერო მოღვაწეთა მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ნიმუშად **ბერძნული ორიგინალები** აეღოთ.

პირველ აზრს დაჟინებით იცავდა **აბაკუმი**, **მეორეს — ნიკონი**. ნიკონიცა და აბაკუმიც ღრმად განათლებული, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად პატივმოყვარე და ჯიუტი ადამიანები იყვნენ.

პატრიარქად კურთხევის დროიდან (1652 წ.) ნიკონი ენერგიულად შეუდგა საეკლესიო რეფორმის გატარებას. ნიკონის რეფორმა მოიწონა რუსეთის საეკლესიო კრებებმა, რომელთა მუშაობაში მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქებიც მონაწილეობდნენ. ნიკონის რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, შეეხო საეკლესიო წესებს: პირჯვრის გადაწერა უწინ ორი თითით ხდებოდა, ამიერიდან კი სამი თითით უნდა გადაეწერათ; სიტყვა „ალილუიას" ადრე ორჯერ წარმოთქვამდნენ, ამიერიდან კი სამჯერ უნდა წარმოეთქვათ; საეკლესიო რიტუალების დროს წინათ მზის მოძრაობის მიმართულებით მოძრაობდნენ (ბრუნავდნენ), ამიერიდან კი საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა ემოძრავათ. რეფორმა ითვალისწინებდა მღვდლებისა და ბერების ტანსაცმლის შეცვლას. საეკლესიო წიგნებში ზოგიერთი სიტყვა და ტერმინი შეიცვალა უმრავლეს შემთხვევაში იდენტურით.

თავდაპირველად ნიკონისა და აბაკუმის მომხრეებს შორის პოლემიკა **თეორიულ-დოგმატურ** ხასიათს ატარებდა, შემდეგ კი მისი ხასიათი შეიცვალა. პატრიარქის ტახტზე ასვლისთანავე ნიკონმა თავისი მოწინააღმდეგეების სასტიკი დევნა დაიწყო. **აბაკუმი** ციმბირში გადაასახლეს. ნიკონს მხარს უჭერდა მეფეც. ნიკონის მიერ პატრიარქობაზე უარის თქმის შემდეგ საეკლესიო რეფორმების გატარებას პირადად ალექსი მიხეილის ძე ჩაუდგა სათავეში. 1666-1667 წლების საეკლესიო კრებამ საეკლესიო რეფორმების მოწინააღმდეგეები ანათემას გადასცა. რეფორმის მოწინააღმდეგეებს 1649 წლის ძეგლისდების შესაბამისი მუხლების მიხედვით ასამართლებდნენ. ძეგლისდება კი ღვთისმგმობელთა კოცონზე დაწვას ითვალისწინებდა. სულ მოკლე ხანში კოცონზე დაწვეს ძველი საეკლესიო წესების მრავალი დამცველი, 1682 წელს კოცონზე დაწვეს დეკანოზი **აბაკუმიც**.

1666-1667 წლების საეკლესიო კრების შემდეგ უთანხმობა რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის სასულიერო წრეებიდან მორწმუნეთა ფართო მასებში გადავიდა და მრევლიც ორად გაიყო. საეკლესიო განხეთქილებამ **რუსეთში** აშკარად სოციალური შეფერილობა მიიღო: რეფორმის მომხრეებს ნიკონი და ალექსი მიხეილის ძე ედგნენ სათავეში. მათ უმაღლესი სასულიერო და საერო ძალაუფლება გააჩნდათ, რეფორმის მოწინააღმდეგეები კი მხოლოდ თავიანთი ქადაგების იმედზე იყვნენ. ასე რომ, **რეფორმის მოწინააღმდეგეები თავისთავად აღმოჩნდნენ დაპირისპირებულნი უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან**.

საეკლესიო რეფორმის მოწინააღმდეგეთა, ანუ ძველი საეკლესიო წესების მომხრეთა მოძრაობა — **სტაროობრიადელობა** — არსისა და სოციალური შემადგენლობის მიხედვით ძალზე რთული მოძრაობა იყო. **სტაროობრიადელებს** შორის დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები სჭარბობდნენ, რომელთაც ვერ გაიგეს ნიკონის რეფორმის არსი. მოგვიანებით სტაროობრიადელებს მიემხრნენ სტეფანე რაზინის ამბოხების მონაწილენიც. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება სტაროობრიადელობა დაბალი სოციალური ფენების მოძრაობად გამოვაცხადოთ, რადგან მის იდეებს იზიარებდნენ შავი და თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები და ბოიარები.

სტაროობრიადელები, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ, **რასკოლნიკები** (ეკლესიაში განხეთქილების ჩამომგდებნი) დარწმუნებულები იყვნენ, რომ იცავდნენ **ჭეშმარიტ რწმენას**. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საზოგადოების დონეს, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, თუ რა დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას **რწმენის საკითხში დაპირისპირება**. შერიგება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. ამის ნათელი დადასტურებაა 1668-1676 წლებში **სოლოვეცკის მონასტერში** დატრიალებული ამბები. სოლოვეცკის მონასტრის ბერებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საეკლესიო რეფორმას და არ მიიღეს ნიკონის მიერ შესწორებული საეკლესიო წიგნები. მეფის მიერ გაგზავნილმა სტრელცების ჯარმა ალყა შემოარტყა მონასტერს. სოლოვეცკის მონასტრის ძლიერმა გალავანმა და სურსათის დიდმა მარაგმა ბერებს საშუალება მისცა ალყისათვის გაეძლოთ — სტრელცებმა მონასტრის დაკავება ვერ შეძლეს. 1674 წელს სოლოვეცკის მონასტრის ბერების კრებამ დაადგინა წირვა-ლოცვის დროს მეფის სახელი აღარ მოეხსენებინათ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ჯარის წინააღმდეგ. სოლოვეცკის მონასტრის ალყა კიდევ დიდხანს გაგ-

რძელდებოდა, რომ არა ღალატი. მოღალატემ მოალყე ჯარს მონასტერში შესასვლელი საიდუმლო გვირაბი უჩვენა. 1776 წელს სტრელცები მონასტერში შეიჭრნენ. 500 ბერიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 60. სტაროობრიადელების (რასკოლნიკების) დარბევები მთელ რუსეთში მიმდინარეობდა. რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შერიგება შეუძლებელი გახდა.

ამრიგად, რომანოვების დინასტიის პირველი და მეორე წარმომადგენლების — მიხეილ თეოდორეს ძისა და ალექსი მიხეილის ძის — მეფობის წლებში რუსეთი სახელმწიფო აღმავლობის გზას დაადგა. ამავე დროს ცხადი იყო, რომ ქვეყნის შიგნით ბევრი რამ განახლებას მოითხოვდა, გადაუჭრელი რჩებოდა საგარეო პოლიტიკის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

თავი X. რუსეთის კულტურა XIII-XVII საუკუნეებში

მონღოლთა შემოსევამ და მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ რუსეთში შეაფერხა კულტურის განვითარების ბუნებრივი პროცესი. ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდგომ პერიოდში ყალიბდება თვითმყოფადი რუსული კულტურა.

1. **რუსეთის კულტურა XIII-XV საუკუნეებში.** მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ თანდათან კალაპოტში დგება რუსული კულტურა.

მატიანეები. XIV საუკუნეში რუსეთში პერგამენტის ნაცვლად დაიწყეს ქაღალდის გამოყენება, თუმცა უმნიშვნელოვანესი საბუთები ჯერ კიდევ პერგამენტზე იწერებოდა. XIII-XIV საუკუნეებში აღმოცენდა მატიანეების წერის ახალი ცენტრები. 1408 წელს სერგის სამების მონასტერში შეადგინეს ე.წ. **სამების მატიანე,** რომელიც 1812 წელს მოსკოვის ხანძრის დროს დაიღუპა. 1479 წელს მოსკოვში დასრულდა მატიანის შედგენა, რომელიც ფასდაუდებელი წყაროა ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორიისათვის. ამავე პერიოდში ყურადღება მიექცა მსოფლიო ისტორიას. 1442 წელს **პახომ ლოგოფეტმა** შეადგინა ქრონოგრაფი, რომელიც მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება.

ისტორიული მოთხრობები. მატიანეების გვერდით ვითარდება ისტორიული მოთხრობის ჟანრი. ისტორიული მოთხრობებიდან აღსანიშნავია: **„კალკაზე ბრძოლის შესახებ“, „ბათოს მიერ რიაზანის განადგურება“,** ასევე მოთხრობა **ალექსანდრე ნეველის** შესახებ. დიმიტრი დონელის მიერ მონღოლთა დამარცხებას ეძღვნება **„თქმულება მამაისთან ბრძოლის შესახებ“.** რუსების გამარჯვებებმა ასახვა პოვა საგმირო ხასიათის პოემაში **„ზადონშჩინა“.** ისტორიული მოთხრობები მიეძღვნა ასევე **ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწეების** ცხოვრებას. XV საუკუნის მეორე ნახევარში ტვერელმა ვაჭარმა **ათანასე ნიკიტინმა** აღწერა თავისი მოგზაურობა ინდოეთში.

არქიტექტურა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ყველაზე ადრე ქვის ნაგებობები **ნოვგოროდსა** და **ფსკოვში** ჩნდება. XIII-XIV საუკუნეებში სწორედ ამ ქალაქებში აიგო რამდენიმე შესანიშნავი ტაძარი და ეკლესია. მოსკოვის



ნოვგოროდი. სოფიის ტაძარი



XV-XVI საუკუნეებში დაბეჭდილი წიგნები

სამთავროში ქვის ნაგებობები ჩნდება XIV-XV საუკუნეებიდან. მათ რიცხვს განეკუთვნება: **მიძინების ტაძარი** მოსკოვში (1400 წ.), **სტოროჟევის მონასტერი** ზვენიგოროდში (1405 წ.), **სერგის სამების მონასტერი** (1422 წ.), **ანდრონიკეს მონასტერი** მოსკოვში (1427 წ.). 1367 წელს დიმიტრი დონელმა დაასრულა **მოსკოვის კრემლის** კედლების მშენებლობა. მასალად თეთრი ქვა იყო გამოყენებული. ეს მშვენიერი გალავანი, სამწუხაროდ, სერიოზულად დაზიანდა თოხთამიშის შემოსევის დროს (1382 წ.). XV საუკუნის ბოლოს დაიწყო და XVI საუკუნეში დასრულდა მოსკოვის კრემლის მშენებლობა. ეს მშენებლობა იტალიელი არქიტექტორების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. საშენ მასალად ამჯერად წითელი აგური გამოიყენეს. 1475-1479 წლებში მოსკოვის კრემლში აშენდა **მიძინების ტაძარი**, ხოლო 1505-1509 წლებში — მოსკოვის დიდი მთავრების საძვალე — **მთავარანგელოზის ტაძარი**. 1487-1491 წლებში კრემლშივე აიგო **წახნაგოვანი პალატა**, რომელიც მეფის სასახლის კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა.

ფერწერა. XIV საუკუნიდან აღმავლობას განიცდის ფერწერა. XIV საუკუნეში ნოვგოროდსა და მოსკოვში მოღვაწეობდა ცნობილი ბიზანტიელი მხატვარი **თეოფილაქტე ბერძენი**. რუსული ფერწერის დიდი აღმავლობა დაკავშირებულია თეოფილაქტე ბერძენის მოწაფის, გენიალური რუსი ფერმწერის **ანდრეი რუბლიოვის** სახელთან. ანდრეი რუბლიოვი XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნამუშევარია „**სამება**".

2. **რუსეთის კულტურა XVI საუკუნეში.** XVI საუკუნეში გრძელდება რუსული კულტურის აღმავლობა. კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნით.

პოლიტიკური აზროვნება. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნისა და გაძლიერების ეპოქაში ყალიბდება შესაბამისი **პოლიტიკური აზროვნება.** XVI საუკუნის დამდეგს შეიქმნა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და ისტორიული ხასიათის თხზულება **„თქმულება ვლადიმირის დიდი მთავრების შესახებ"**. თხზულება იწყება წარღვნის აღწერით, შემდეგ ჩამოთვლილია მსოფლიოს დიდი მეფეები და იმპერატორები, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რომის იმპერატორს **ავგუსტუსს** (ძვ.წ.აღ. 63 წ. — ახ.წ.აღ. 14 წ.). თქმულების მიხედვით, ავგუსტუსმა თავისი ძმა **პრუსი** ვისლისპირეთში დაასახლა. **პრუსი, თხზუ-**

1564 წელს დაბეჭდილი „აპოსტოლი“

ლების მიხედვით, ითვლება **რიურიკის** შორეულ წინაპრად და, ამდენად, გამოდის რომ, რიურიკების დინასტია რომის იმპერატორ ავგუსტუსიდან იღებდა სათავეს. თხზულებაში ხაზგასმულია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა **მონომახის ქუდი** (გვირგვინი) უბოძა კიევის რუსეთის დიდ მთავარს **ვლადიმირს** (მონომახს).

XVI საუკუნეში საეკლესიო წრეებში შეიქმნა თეორია — **„მოსკოვი მესამე რომი“**. თეორიის შემქმნელთა აზრით, **პირველი რომი** (რომის იმპერიის დედაქალაქი) დაიღუპა მწვალებლობის გამო, **მეორე რომი** (ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი) დაიღუპა კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის დადების გამო, **მესამე რომი** (რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი) ქრისტიანობის ჭეშმარიტი დამცველია და იგი არასოდეს დაიღუპება, მუდმივად იარსებებს. მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების გაძლიერების აუცილებლობას ქადაგებდა XVI საუკუნის ცნობილი მოაზროვნე **ივანე პერესვეტოვი**.

მატიანეები. XVI საუკუნეში კვლავ გრძელდებოდა რუსული მატიანეების წერა. ერთ-ერთ მატიანეში აღწერილია ივანე მრისხანეს მოღვაწეობის დასაწყისი. ამავე ეპოქის უმნიშვნელოვანეს თხზულებაში აღწერილია რუსეთის დიდი მთავრებისა და მიტროპოლიტების მოღვაწეობა კიევის რუსეთის პირველი ქრისტიანი დიდი მთავრის ვლადიმირიდან ივანე მრისხანემდე. XVI საუკუნეში მოსკოვში მოღვაწე მემატიანეებმა შეადგინეს **დიდი მატიანე** — თავისებური ისტორიული ენციკლოპედია (ეს მატიანე XVII საუკუნეში პატრიარქ ნიკონს ეკუთვნოდა, რის გამოც მატიანემ ნიკონისეული მატიანის სახელწოდება მიიღო). ნიკონისეულ მატიანეში დაახლოებით 16 ათასი მინიატურაა (ფერადი ილუსტრაცია) ჩართული.

საეკლესიო და საერო ცხოვრებისათვის ბევრ საინტერესო რჩევას იძლევა კრებული **„დომოსტროი“**, რომლის შემდგენელადაც ივანე მრისხანეს თანამედროვე ცნობილი სასულიერო მოღვაწე სილვესტრი ითვლება.

წიგნის ბეჭდვის დასაწყისი. პირველი რუსული ბეჭდური (სტამბური წესით გამოცემული) წიგნი **„აპოსტოლი“** 1564 წლითაა დათარიღებული. 1564 წლამდე დაბეჭდილ შვიდ წიგნს გამოცემის თარიღი არ გააჩნია. რუსეთში წიგნის ბეჭდვის დაწყება უკავშირდება **ივანე ფიოდოროვის** სახელს. 1564 წელს „აპოსტოლი“ სწორედ მან დაბეჭდა მოსკოვში მოწყობილ სტამბაში. 1574 წელს ივანე ფეოდოროვმა და მისმა მოწაფემ **პეტრე მსტისლავეცმა** ლვოვში დაბეჭდეს პირველი რუსული ანბანი. სულ XVI საუკუნეში რუსეთში 20 წიგნი დაიბეჭდა.

არქიტექტურა. XVI საუკუნის არქიტექტურას გამოარჩევს სვეტების გარეშე, ე.წ. **კარვისებური სტილით** ნაგები დიდი ტაძრები. ამ ტიპის ტაძრებიდან განსაკუთრებით აღნიშნველოვა-

რუსული ანბანი



რუსული ანბანი

ვანია **ამაღლების** ეკლესია სოფელ კოლომენსკოეში, რომელიც ივანე მრისხანეს დაბადების დღის აღსანიშნავად ააგეს, აგრეთვე **ვასილი ნეტარის ტაძარი** მოსკოვში, რომელიც ყაზანის აღებას უძღვნეს. სხვა არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია **მიძინების ტაძარი** სერგის სამების სამონასტრო კომპლექსში, ნოვოდევიჩის მონასტერი მოსკოვში, ტაძრები **ტულაში**, ვოლოგდაში, **სუზდალსა** და სხვა ქალაქებში.

XVI საუკუნეში აშენდა ძლიერი გალავნები და საბრძოლო კოშკები **ნიჟნი-ნოვგოროდში, ყაზანში, ასტრახანში, ტულაში, კოლომნაში, სმოლენსკში, ნოვგოროდში, ფსკოვსა** და სხვა ქალაქებში.

ფერწერა. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დამდეგს რუსეთში მოღვაწეობდა დიდი ფერმწერი **დიონისი.** მის მიერაა მოხატული ვოლოგდის ახლოს მდებარე ერთ-ერთი მონასტერი.

3. რუსეთის კულტურა XVII საუკუნეში. XVII საუკუნის რუსულ კულტურაში ძლიერდება საერო მოტივები.

განათლება. XVII საუკუნეში მნიშვნელოვანია განათლების სფეროში მომხდარი ცვლილებები. გაიხსნა რამდენიმე სახელმწიფო სასწავლებელი. განათლების მიღების მსურველთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტი: 1651 წელს, მოსკოვში, ერთ დღეში გაიყიდა **ვ. ბურცევის** რუსული „ანბანის" 2400 ეგზემპლიარი. დიდი მოთხოვნილება იყო **მ. სმოტრიცკის** „გრამატიკაზე" (1648 წ.) და **გამრავლების ტაბულაზე** (1682 წ.). 1687 წელს მოსკოვში გაიხსნა პირველი რუსული უმაღლესი სასწავლებელი — **სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია.** აკადემიაში ასწავლიდნენ **გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებასა** და სხვ. აკადემია ამზადებდა კადრებს როგორც სასულიერო, ისე საერო მოღვაწეობისათვის. სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიას სათაეში ედგნენ ბერძენი სწავლულები, ძმები **სოფრონ** და **იოანიკე ლიხუდები.**

მეცნიერული ცოდნა. XVII საუკუნეში დიდ ნაბიჯი გადაიდგა წინ **მეცნიერული ცოდნის** დაგროვების თვალსაზრისით (მედიცინა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა და სხვ.). დიდი წარმატებები მოიპოვეს რუსმა მოგზაურებმა. 1648 წელს **სიმონ დეჟნევის** ექსპედიციამ გა-

მოსკოვი. ვასილი ნეტარის ტაძარი

იარა სრუტე აზიასა და ჩრდილო ამერიკას შორის. ეროფეი ხაბაროვმა 1649 წელს შეადგინა ამურისპირეთის რუკა. XVII საუკუნის ბოლოს ციმბირელმა კაზაკმა ვ. ატლასოვმა გამოიკვლია კამჩატკა და კურილიის კუნძულები.

მატიანეები. ლიტერატურა. XVII საუკუნეში შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მატიანე და ლიტერატურული ძეგლი. XVII საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი მატიანე რუსეთის ისტორიას გადმოსცემს ივანე მრისხანეს გარდაცვალებიდან XVII საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. ისტორიული ხასიათის მოთხრობებიდან უმრავლესობა არეულობის (სმუტის) ხანას (XVI საუკუნის დასასრულს — XVII საუკუნის დამდეგს) ეძღვნება. საერო ჟანრის დამკვიდრების მაუწყებელი იყო სატირული მოთხრობების შექმნა.

თეატრი. 1672 წელს მოსკოვში მეფის კარზე შეიქმნა თეატრი, რომელმაც სულ ოთხი წელი იარსება. საყოველთაო გავრცელება პოვა ე.წ. **მოხეტიალე თეატრებმა.**

არქიტექტურა. XVII საუკუნის არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია **ალექსი მიხეილის ძის სასახლე** მოსკოვის კრემლში, პატრიარქ ნიკონის მიერ მოსკოვის ახლოს აგებული **ახალი იერუსალიმის მონასტერი, სამების ეკლესია** მოსკოვში. XVII საუკუნეში ვითარდება ხის არქიტექტურა. მისი ბრწყინვალე ნიმუში იყო ალექსი მიხეილის ძის სასახლე სოფელ **კოლომენსკოეში.**

ფერწერა. XVII საუკუნის ფერწერის განვითარების დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ **სემიონ უშაკოვის** ნამუშევრებით. მას ეკუთვნის მეფე თეოდორე ივანეს ძისა და მიხეილ სკოპინ-შუისკის პორტრეტები.

დიდი გარდატეხა რუსული კულტურის განვითარებაში XVII საუკუნის ბოლოდან და XVIII საუკუნის დამდეგიდან იწყება.

თავი XI. რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

1. **თევდორე III ალექსის ძე.** 1676 წელს გარდაიცვალა მეფე ალექსი მიხეილის ძე. ალექსი მიხეილის ძეს ორი ცოლი ჰყავდა. პირველად მან 1648 წელს იქორწინა **მარია მილოსლავსკაიაზე**. ქორწინებისას ალექსი მიხეილის ძე 19 წლისა იყო. ალექსისა და მარიას ერთი ქალიშვილი და ხუთი ვაჟი შეეძინათ. ხუთივე ვაჟი თანდაყოლილი სენით იყო შეპყრობილი. სამი მათგანი მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. ასე რომ, ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების დროისათვის პირველი ცოლისაგან მხოლოდ ორი ვაჟი იყო ცოცხალი. უფროსი, **თევდორე**, სურავანდით იმდენად ძლიმედ იყო ავად, რომ გადაადგილებაც კი უჭირდა და, ფაქტობრივად, სასახლიდან ვერ გადიოდა. უმცროსი, **ივანე**, ფიზიკურად სუსტი, ნახევრად ბრმა და გონებრივად განუვითარებელი იყო. 1671 წელს ალექსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა. ამჯერად მეფემ ცოლად შეირთო 20 წლის **ნატალია ნარიშკინა**. ქორწინების დროისათვის თვითონ ალექსი 42 წლისა იყო. მეორე ქორწინების შემდეგ ალექსი მიხეილის ძემ კიდევ 5 წელი იცოცხლა და 1676 წელს გარდაიცვალა. ნატალია ნარიშკინას 1672 წლის 30 მაისს შეეძინა ვაჟი, რომელსაც **პეტრე** დარქვეს. მეორე შვილი ნატალია ნარიშკინას აღარ ჰყოლია. სანდო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უფლისწულ პეტრეს მამა იყო არა მეფე ალექსი მიხეილის ძე, არამედ იმხანად მოსკოვში მყოფი და რუსეთის მეფის ოჯახთან ძალზე დაახლოებული მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ბატონიშვილი **ერეკლე** — შემგდომში ჯერ ქართლის, ხოლო მოგვიანებით კაზეთის მეფე **ერეკლე I ნაზარალი-ხანი**.

თევდორე ალექსის ძე

1676 წელს რუსეთის სამეფოს ტახტზე ავიდა ალექსი მიხეილის ძისა და მარია მილოსლავსკაიას 14 წლის ვაჟი **თევდორე III** (1676-1682). თევდორე ალექსის ძე ავადმყოფობის გამო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიურად ვერ მონაწილეობდა. სახელმწიფო საქმეებს განაგებდნენ დედამისის ნათესავები — **მილოსლავსკები**.

თევდორე III-ის დროს რუსეთში გაუქმდა **ადგილთუფროსობა** (მესტნიჩესტვო), რამაც სახელმწიფო მმართველობაში **აზნაურებს** (პომეშჩიკებს) გაუხსნა გზა. სამეფო კარზე დიდი თანამდებობის დასაკავებლად უკვე აუცილებელი აღარ იყო ბოიარის წოდება, აღარც იმას ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ რა დამსახურება ჰქონდა ამა თუ იმ საგვარეულოს წარსულში.

თევდორე III-ის მეფობის პერიოდიდან მნიშვნელოვანია რუსეთ-თურქეთის 1677-1681 წლების ომი. თურქეთმა XVII საუკუნის მეორე ნახევარში **ეჩ პოსპოლიტას** წაართვა **პოდოლიე** (ყოფილი გალიჩ-ვოლინის სამთავროს ნაწილი) და ცდილობდა ხელთ ეგდო მდინარე **დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინა**. მარჯვენა ნაპირის უკრაინაში თურქეთის დამკვიდრება არ დაუშვა რუსეთმა. 1677 და 1681 წლებში კაზაკებისა და რუსეთის ჯარებმა ორჯერ სერიოზული დარტყმა მიაყენეს თურქეთისა და ყირიმის სახანოს ჯარებს. თურქეთმა ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა. 1681 წელს რუსეთს, თურქეთსა და ყირიმის სახანოს შორის, ყირიმის სახანოს დედაქალაქ **ბახჩისარაიში**, დაიდო ზავი. ზავის პირობის თანახმად, **თურქეთმა სცნო მარცხენა ნაპირის უკრაინის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში**. რუსეთსა და ყირიმის სახანოს შორის საზღვრად მიიჩნიეს მდინარე **დნეპრი**.

პეტრე I

მდინარეებს **დნესტრსა** და **სამხრეთ ბუგს** შორის ტერიტორია ნეიტრალურად ცხადდებოდა და მისი ათვისება (დასახლება) იკრძალებოდა. თურქეთმა და ყირიმის სახანომ ზაპოროჟიელი კაზაკები რუსეთის ქვეშევრდომად ცნეს. ზავის პირობა თურქეთსა და ყირიმის სახანოს ავალდებულებდა, რომ 20 წლის განმავლობაში რუსეთის მტრებისათვის დახმარება არ აღმოეჩინათ.

1682 წელს მეფე თეოდორე III გარდაიცვალა. რუსეთში **შინაპოლიტიკური კრიზისი** დაიწყო.

2. **ბრძოლა ტახტისათვის**. ტრადიციის მიხედვით, თეოდორე III-ის შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძმა, ალექსი მიხეილის ძისა და მარია მილოსლავსკაიას უმცროსი ვაჟი, 14 წლის **ივანე**. პატრიარქმა **იოაკიმემ** და **ბოიარებმა** გადაწყვიტეს, ავადმყოფი ივანე ალექსის ძის ნაცვლად ტახტზე აეყვანათ ალექსი მიხეილის ძისა და ნატალია ნარიშკინას ვაჟი, 10 წლის **პეტრე**, რომელიც ყველა ღირსებით იყო შემკული. ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის მარია მილოსლავსკაიას ნათესავებმა, რომელთაც პეტრეს ტახტზე ასვლა არ სურდათ, სტრელცები (მეთოფეები) მიიმხრეს და მოსკოვში აჯანყება დაიწყეს. აჯანყების მომზადებაში განსაკუთრებით აქტიურობდა ივანეს და, ალექსი მიხეილის ძისა და მარია მილოსლავსკაიას ქალიშვილი **სოფია**. მილოსლავსკებმა გაავრცელეს ხმა, რომ უფლისწული ივანე დაახრჩვეს. სტრელცები კრემლში შეიჭრნენ და სასახლეს ალყა შემოარტყეს. პეტრეს დედამ **ნატალია ნარიშკინამ** ორივე უფლისწული, **ივანე** და **პეტრე**, ყველას დასანახავად ეზოში გამოიყვანა. აჯანყებული სტრელცები არც ამან დაამყოფილა, ქალაქი სამი დღის განმავლობაში მათ ხელში იყო. მართალია, მილოსლავსკებმა მიზანი ბოლომდე ვერ განახორციელეს — პეტრე თავიდან ვერ მოიცილეს — მაგრამ მიღწეული მაინც მათი გამარჯვების დამადასტურებელი იყო. რუსეთის ტახტზე ორივე მეფე ავიდა. პირველ მეფედ **ივანე V** იქნა გამოცხადებული, ხოლო მეორე მეფედ — **პეტრე I**. მილოსლავსკებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მცირეწლოვანი მეფეების რეგენტად **სოფია** გამოცხადდა.

ივანესა და პეტრეს ტახტზე ასვლით პოლიტიკური კრიზისი არ დასრულებულა. ორივე მხარე გადაწყვეტი გამოსვლისათვის ემზადებოდა. პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ სტრელცების პრიკაზის უფროსმა ვოეეოდა **ივანე ხოვანსკიმ** გადატრიალების მოწყობა და ტახტის ხელში ჩაგდება განიზრახა. სოფიამ დაასწრო, ივანე ხოვანსკი შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. სიკვდილით დასაჯეს აჯანყებული სტრელცებიც.

1682 წლიდან, ივანე V-ისა და პეტრე I-ის ტახტზე ასვლის დროიდან, რუსეთს, ფაქტობრივად, **სოფია ალექსის ასული** განაგებდა. სოფიას მმართველობის პერიოდში (1682-1689) სამეფო კარზე უმნიშვნელოვანეს როლს თავადი **ვასილი გოლიცინი** ასრულებდა. სოფია და ვასილი გოლიცინი საიდუმლო ქორწინებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. სოფიასა და ვასილი გოლიცინს, ისევე როგორც მათ თანამოაზრეებს, სახელმწიფო მართვის ნიჭი არ აღმოაჩნდათ. მათ არც კი უცდიათ რადიკალური გარდაქმნების გატარება და გამოკვეთილი პოლიტიკური კურსის შემუშავება.

1686 წელს რუსეთსა და ჟეჩ პოსპოლიტას შორის დაიდო ე.წ. **„საუკუნო ზავი“**. ზავის თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო **ჟეჩ პოსპოლიტასთან, თურქეთთან** და **ვენეციასთან** ერთად ებრძოლა **თურქეთისა** და **ყირიმის** სახანოს წინააღმდეგ.

1687 წელს რუსეთის ჯარები **ვასილი გოლიცინის** სარდლობით ყირიმის სახანოს წინააღმდეგ დაიძრა. ეს ლაშქრობა სათანადოდ არ

იყო მომზადებული. ყირიმის ხანმა სტეპი გადაწვა და უკან დაიხია. მალე რუსებს გაუთავდათ სურსათისა და წყლის მარაგი. ვასილი გოლიცინს ყირიმის სახანოს საზღვრისათვის არც კი მიუღწევია, ლაშქრობა შეწყვიტა და მოსკოვში დაბრუნდა. რუსთა ამ ლაშქრობას გარკვეული შედეგი მაინც მოჰყვა: ყირიმის ხანს საშუალება აღარ მიეცა, დახმარებოდა ყეჩ პოსპოლიტასა და ავსტრიის წინააღმდეგ მებრძოლ თურქეთს.

1689 წელს რუსეთის 100-ათასიანმა არმიამ ყირიმის სახანოს წინააღმდეგ მეორე ლაშქრობა დაიწყო. ამჯერად ვასილი გოლიცინმა **პერეკოპს** მიაღწია, მაგრამ ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე შესვლა ვერ გაბედა. ვასილი გოლიცინმა წარუმატებლობა უკრაინის ჰეტმან **ივანე სამოილოვიჩს** დააბრალა. ჰეტმანი გადაყენეს და ციმბირში გადაასახლეს. მის ნაცვლად ჰეტმანი **ივანე მაზეპა** გახდა.

სოფიას მმართველობის პერიოდში (1682-1689) პეტრე და დედამისი ნატალია ნარიშკინა მოსკოვის ახლოს მდებარე სოფლებში — **პრეობრაჟენსკოეში, კოლომენსკოესა** და **სემიონოვსკოეში** ცხოვრობდნენ. პეტრე 17 წლისა ისე შესრულდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ, იგი ძალზე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ზემოთ ხსენებულ სოფლებში. 1683 წლიდან **პრეობრაჟენსკოესა** და **სემიონოვსკოეში** აზნაურთა შვილებისაგან მან დაიწყო საკუთარი პოლკების გაწვრთნა. ეს იყო ახალი ტიპის **რეგულარული ჯარი**, რომელსაც უნდა შეეცვალა სტრელცების (მეთოფეთა) ძველი ნაწილები. **პრეობრაჟენსკოესა** და **სემიონოვსკოეში** შექმნილი პოლკების ბაზაზე შემდგომში ჩამოყალიბდა ცნობილი გვარდიული პოლკები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში თვით 1917 წლამდეც კი. პეტრემ დიდი ნიჭი და არნახული ენერგია გამოაჟღავნა **პრეობრაჟენსკისა** და **სემიონოვსკის** პოლკების შექმნისა და წვრთნის საქმეში. 1689 წლისათვის ორივე პოლკი უკვე სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. ამავე პერიოდში პეტრემ პირველი ნაბიჯები გადადგა რუსეთის **სამხედრო ფლოტის** მშენებლობის გზაზე. ჯერ მდინარე **იაუზზე**, ხოლო შემდეგ ქალაქ **პერეიასლავლ-ზალესკის** ახლო მდებარე **პლეშჩეევის** ტბაზე პეტრემ საბრძოლო ფლოტის მშენებლობა დაიწყო. ჩვიდმეტი წლის პეტრე თანამედროვეებს აოცებდა არა მარტო ფიზიკური სიძლიერით, არამედ დიდი ინტელექტითა და ცოდნის დაუფლების უსაზღვრო წყურვილით. 1689 წელს პეტრემ ცოლად შეირთო ბოიარ **თეოდორე ლოპუხინის** ქალიშვილი **ევდოკია**, რომლისაგანაც მას ვაჟი **ალექსი** შეეძინა.

ალექსი პეტრეს ძე

სოფიამ გადაწყვიტა, თავისი ნახევარძმა მოეცილებინა. პეტრეს წინააღმდეგ 1689 წელს შეთქმულება მომზადდა. შეთქმულები სტრელცების ჯარით თავს უნდა დასხმოდნენ სოფელ **პრეობრაჟენსკოეში** მყოფ პეტრეს და მოეკლათ იგი. სტრელცების აღელვების მიზნით, სოფიამ ხმა გაავრცელა, რომ პეტრე ალექსი მიხეილის ძისა კი არა, ქართველი ბატონიშვილის (ერეკლეს — ავტ.) შვილი იყო. ამან მართლაც იმოქმედა სტრელცებზე და ისინიც სოფელ პრეობრაჟენსკოესაკენ დაიძრნენ.

მოსკოვში მომზადებული შეთქმულების ამბავი შეიტყვეს პეტრეს მომხრეებმა და 1689 წლის 8 აგვისტოს, გვიან ღამით, სასწრაფოდ აცნობეს პრეობრაჟენსკოეში მყოფ უფლისწულს. პეტრე დედასთან, ცოლთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სასწრაფოდ **სერგის სამების მონასტერში** გაიხიზნა. მეორე დღეს, 9 აგვისტოს, სერგის სამების მონასტერთან გამოცხადდნენ **სემიონოვსკისა** და **პრეობრაჟენსკის** პოლკები ბორის გოლიცინისა და სხვათა წინამძღოლობით. აღსანიშნავია, რომ პეტრეს დასაცავად **პრეობრაჟენსკოეში** ჩავიდა **სუხარევის სტრელეცთა პოლკიც** კი. მოსკოვსა და სერგის სამებას შორის დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც ერთი თვის მანძილზე გაჭიანურდა. ამ ხნის განმავლობაში პეტრეს

მომხრე ჯარების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა, მცირდებოდა სოფიას მხარდამჭერი სტრელცების რიცხვი. სოფია მიხვდა, რომ დამარცხდა და ნოვოდევიჩის მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა, სადაც, ფაქტობრივად შინაპატიმრობაში მყოფი, გარდაიცვალა 1704 წელს. სტრელცების პრიკაზის უფროსი თევდორე შაკლოვიტი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ვასილი გოლიცინი გადაასახლეს. 1689 წლის 8-9 აგვისტოს გადატანილი ნერვიული სტრესისაგან პეტრე I-მა ტრავმა მიიღო. მას ძლიერი აღელვების დროს ეწყებოდა სახის ნერეული კრუნჩხვა.

სოფიას დამარცხების შემდეგ მეფე პეტრე I ალექსის ძე რუსეთის სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი გახდა, ხოლო 1696 წელს მისი ნახევარძმის, ივანე V ალექსის ძის, სიკვდილის შემდეგ იგი ფორმალურადაც ერთმმართველად იქცა. მეფე პეტრე ალექსის ძე ისტორიაში „დიდის" ზედწოდებით შევიდა.

3. **პეტრე I დიდი (1682-1725).** ზღვაზე გასასვლელის მოპოვების აუცილებლობაზე პეტრემდე რუსეთის სხვა მეფეებიც ფიქრობდნენ. პეტრე I-მა ეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად აქცია.

ა) **მეფობის პირველი წლები.** XVII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან პეტრე I აქტიურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. ამავე პერიოდში მან გაიცნო ანა მონსი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მეფის ფავორიტი იყო. პეტრე I-ს მეუღლის, ევდოკია ლოპუხინას მიმართ არანაირი გრძნობა არ გააჩნდა, მან ევდოკიაზე მხოლოდ დედის დაჟინებული თხოვნით იქორწინა. ამიტომაც იყო, რომ ანა მონსმა მეფის პირად ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა. 1702 წელს შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ ანა მონსს რომანი ჰქონდა საქსონიის ელჩთან. განრისხებულმა პეტრე I-მა ყოფილი საყვარელი სამი წლით ციხეში ჩასვა.

1693 წელს პეტრე I არხანგელსკში გაემგზავრა. არხანგელსკი იმხანად რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს ერთადერთი ნავსადგური იყო, რომლის საშუალებითაც რუსეთი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობდა. მეფემ აქ გულდასმით დაათვალიერა სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო ფლოტი, გაეცნო გემების კონსტრუქციას. ერთ-ერთი გემით პეტრე I-მა თეთრ ზღვაზეც იმოგზაურა და მოსკოვში დაბრუნდა. არხანგელსკის ნავსადგურის გამოყენება, ჩრდილოეთის კლიმატის (ყინვების) გამო, მთელი წლის მანძილზე



ეკლესია სოფელ პრეობრაჟენსკოეში

შეუძლებელი იყო, ამიტომაც პეტრე I-მა ჯერადღება შავ ზღვაზე გადაიტანა. შავ ზღვამდე მიღწევა რუსეთის სავაჭრო და სამხედრო ფლოტს მდინარეებით დნეპრითა და დონით შეეძლო. რუსეთის ფლოტის მიერ დნეპრის გამოყენებას ყირიმის ხანი არ დაუშვებდა. ამიტომაც პეტრე I-მა გადაწყვიტა, აზოვის სიმაგრე ეგდო ხელთ და მდინარე დონით ჯერ აზოვის ზღვაში, შემდეგ კი შავ ზღვაში შესვლის შესაძლებლობა მოეპოვებინა. 1695 წელს პეტრე I-მა აზოვზე ლაშქრობა გამოაცხადა. რუსთა 31-ათასიან არმიას შვედი გენერალი ფრანც ლეფორტი, რუსი გენერალი თევდორე გოლოვინი და შოტლანდიელი გენერალი პატრიკ გორდონი სარდლობდნენ. აზოვი ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა. არტილერიიდან აზოვის დაბომბვას პირადად პეტრე I ხელმძღვანელობდა. ორთვიანი ალყის მიუხედავად, რუსებმა აზოვი ვერ აიღეს.

პეტრე I-მა კარგად დაინახა, რომ აზოვს ძლიერი ფლოტის გარეშე ვერ აიღებდა. მეფემ გადაწყვიტა, მდინარე დონზე სამხედრო ფლოტი აეგო. 1695-1696 წლების ზამთარში ქალაქ

ვორონეჟთან, მდინარე დონზე, პეტრე I პირადად ხელმძღვანელობდა სამხედრო ფლოტის მშენებლობას. 1696 წლის ზაფხულისათვის უკვე მზად იყო 2 ხომალდი და 23 გალერი, ასევე უამრავი ბარჟა და პატარა გემი.

1696 წელს რუსეთის 40-ათასიანი არმია სამხედრო ფლოტის თანხლებით **აზოვისაკენ** გაეშურა. ამჯერად აზოვი როგორც ხმელეთის, ისე ზღვის მხრიდან ალყაში მოაქციეს. რუსეთის ფლოტმა თურქეთის სამხედრო გემები აზოვის გარნიზონის დასახმარებლად არ მიუშვა. რუსებმა აზოვი აიღეს. ზღვისპირეთში პოზიციების განმტკიცების მიზნით, აზოვის ზღვის ნაპირას ააგეს **ტაგანროგის** სიმაგრე.

ბ) **დიდი ელჩობა**. 1697 წელს პეტრე I-მა ევროპის ქვეყნებში **დიდი ელჩობა** გაგზავნა, რომელშიც 250 კაცი შედიოდა. პეტრე I-მა გადაწყვიტა, თავადაც წასულიყო ელჩობაში, ოღონდ სხვისი სახელით. იგი ელჩობის სიაში პრეობრაჟენსკის პოლკის ურიადნიკის **პეტრე მიხაილოვის** სახელით იყო ჩაწერილი. ელჩობაში შედიოდნენ ახალგაზრდა აზნაურები, რომელთაც ევროპაში გემთმშენებლობა და სხვა საინჟინრო საქმე უნდა შეესწავლათ. გემთმშენებლობის საფუძვლიანი შესწავლა ჰქონდა განზრახული თავად მეფესაც. ელჩობა მოსკოვიდან ადრე გავიდა, პეტრე I მას მოგვიანებით შეუერთდა. საერთოდ, მეფე ელჩობის წევრებს დროდადრო ხვდებოდა, ძირითადად კი იგი დამოუკიდებლად მოგზაურობდა. ელჩობის მარშრუტი ასეთი იყო: **რიგა-კენიგსბერგი-ჰოლანდია-ინგლისი-ჰოლანდია-ვენა**. ელჩობის მეთაურებად პეტრე I-მა დანიშნა **ფრანც ლეფორტი**, თევდორე გოლოვინი და პროკოფი ვოზნიცინი.

1697 წლის აპრილში პეტრე I ლიბავიდან გემით გაემგზავრა და **პილაუში** შეჩერდა, საიდანაც **კენიგსბერგში** ჩავიდა. კენიგსბერგში პეტრე I ეუფლებოდა საარტილერიო საქმეს. აქედან მეფე ჰოლანდიაში, **ამსტერდამში**, ჩავიდა და **საარდამის გემთსაშენში** დაიწყო უბრალო დურგლად მუშაობა. საარდამში მალე ცნობილი გახდა პეტრეს ვინაობა და ისიც იძულებული გახდა ამსტერდამში, **ოსტ-ინდოეთის გემთსაშენში**, გაეგრძელებინა მუშაობა. აქვე მუშაობდა დიდი ელჩობის რამდენიმე წევრიც. 1698 წელს პეტრე I **ინგლისში** გაემგზავრა. ლონდონში მას გულითადი მიღება მოუწყო ინგლისის მეფემ. ინგლისში პეტრე I-მა სამეფო გემთსაშენში გაატარა მუშაობა. ინგლისიდან **ჰოლანდიის** გავლით პეტრე I **ავსტრიაში** გაემგზავრა. ვენაში გამართული მოლაპარაკებისას იმპერატორი **ლეოპოლდი** პეტრე I-მა თურქეთთან ომზე ვერ დაითანხმა. უფრო ადრე თურქებზე ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა **ჰოლანდიამ** და **ინგლისმა**. ამ დროისათვის ევროპის ქვეყნები ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში მონაწილეობისათვის ემზადებოდნენ და თურქეთისათვის არ ეცალათ. საქმე ის იყო, რომ ესპანეთის მეფის **კარლოს II-ის** გარდაცვალების შემდეგ ტახტის პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენილა. ცხადი იყო, რომ ესპანეთის მემკვიდრეობას ევროპასა და ამერიკაში დიდი ქვეყნები გადაინაწილებდნენ. ომი ესპანური მემკვიდრეობისთვის, მართალია, 1701 წელს დაიწყო, მაგრამ მისთვის მზადება ადრევე მიმდინარეობდა. ომმა ესპანური მემკვიდრეობისათვის (1701-1714 წწ.) ევროპაში ანტიოთურქული კოალიციის შექმნა უპერსპექტივო გახადა. ვენიდან პეტრე I **ვენეციაში** აპირებდა გამგზავრებას, როცა შეიტყო მოსკოვში სტრელცების აჯანყების შესახებ. 1698 წელს მეფე მოსკოვში დაბრუნდა.

გ) **ოპოზიციის განადგურება**. პეტრე I-ის მოსკოვში დაბრუნების დროისათვის სტრელცების აჯანყება ჩახშობილი იყო. მიუხედავად ამისა, მეფემ საქმის გამოძიება თავიდან დაიწყო. გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯის საქმეს პეტრე I პირადად ხელმძღვანელობდა. დადგინდა, რომ სტრელცების აჯანყებაში ნოვოდევიჩის მონასტერში მყოფი **სოფიასა** და კიდევ რამდენიმე ბოიარის ხელი ერია. სტრელცების საქმის ძიება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა პეტრე I-მა თავის მეუღლე **ევდოკიას** მონაზვნად აღკვეცა უბრძანა. სტრელცების საქმის ძიების დამთავრების შემდეგ, პირველ დღეს, სიკვდილით დასაჯეს 200 კაცი, მათ შორის ხუთ მსჯავრდებულს პირადად მეფემ მოკვეთა თავი. მოგვიანებით, პეტრე I-ის ბრძანების თანახმად, სტრელცების დასჯაში მონაწილეობდნენ მეფის ამალის წევრები. სასჯელის აღსრულებას პირადად პეტრე I ადევნებდა თვალს და ძალზე ბრაზობდა, ბოიარებს სტრელცებისათვის თავის მოკვეთის დროს ხელები რომ უცახცახებდათ. მეფის ბრძანებით, 200 კაცი ნოვოდევიჩის მონასტრის გარშემო ჩამოახრჩეს და მათი გვამები ხუთი თვე არ ჩამოხსნეს სახრჩობელიდან. ამით პეტრე I-ს მონასტერში მყოფი **სოფიას** დაშინება სურდა. სულ სიკვდილით დასაჯეს 1000 დამნაშავე, სტრელცების ჯარი კი დაშალეს.

ამ დროისათვის (1698 წ.) პეტრე I-ის ხასიათი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და თითქმის

უცვლელად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. პეტრე იყო გოლიათური აგებულების, მისი სიმაღლე 204 სანტიმეტრს აღწევდა. მეფეს არაბუნებრივი ფიზიკური ძალა ჰქონდა. მას შეეძლო ხელით ვერცხლის თეფში ისე დაეგრიხა, რომ მისთვის მილის ფორმა მიეცა. ჰქონდა ძალზე სწრაფი რეაქცია, შეეძლო ჰაერში ასროლილი მაუდის ნაჭერი ჰაერშივე დანით ორად გაეკვეთა. ყმაწვილკაცობაში პეტრე ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ 1682 წლის სტრელცების აჯანყებისა და 1698 წლის შეთქმულების გამო გადატანილი სტრესების შემდეგ მას დასჩემდა, სახის ნერვული კრუნჩხვები, ხოლო ოცი წლის ასაკში თვალის კანკალი დაეწყო. მეფე გახდა თავშეუკავებელი, გაბრაზებისას ისეთი ველური თვალებით იყურებოდა, რომ ყველას შიშს ჰგვრიდა. პეტრე იყო ძალზე მოძრავი, არ შეეძლო ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა. როცა არსად ეჩქარებოდა, მაინც ჩქარობდა. მუდმივი დაძაბულობა, მუდმივი ფორიაქი მისი ცხოვრების წესად იქცა. თუ არ ეძინა და სახელმწიფო საქმეებით ან კითხვით იყო დაკავებული, მეფე მუდამ რაღაცას საქმიანობდა, არ თაკილობდა ფიზიკურ შრომასაც კი. სადაც კი მეფეს უხდებოდა ცხოვრება, ყველგან ნახავდით მისი ხელით დამზადებულ ნავებს, სკამებს, მაგიდებს, ხის ჭურჭელსა და სხვ. პეტრეს საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა ქირურგიასა და სტომატოლოგიაში და სიამოვნებით ასრულებდა ხოლმე ექიმის მოვალეობას. ავადმყოფობისას წამლებს თავად ინიშნავდა. რაც შეეხება გემთმშენებლობას, ეს პროფესია მას საფუძვლიანად ჰქონდა ათვისებული. კარგად იყო დაუფლებული საინჟინრო ცოდნის უკანასკნელ მიღწევებს. პეტრეს ჰქონდა არნახული მადა. შეეძლო რამდენჯერმე ესადილა დღეში. სუფრიდან ხშირად ადგებოდა, წათვლემდა და მალე ისევ გააგრძელებდა ჭამა-სმას. პეტრეს ჭირივით სძულდა ყოველგვარი ცერემონიალი. არ უყვარდა ფუფუნება და დიდებულ სასახლეებში ცხოვრება. მეფეს სულ 10-12 ახალგაზრდა ახნაური ემსახურებოდა და დიდი ამალა არასდროს შეუქმნია. ეცვა ძალიან უბრალოდ, ხშირად ატარებდა მეუღლის ან თავისი ქალიშვილების ხელით დაკერილ ტანსაცმელს და გაცვეთილ ჩექმებს. დადიოდა ისეთი ეტლით, რომელსაც უბრალო მოსკოველი ვაჭარიც კი არ იკადრებდა. 1698 წელს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, მამისეული მიწები პეტრემ სახელმწიფო საკუთრებად აქცია. სამეფო ოჯახს დარჩა მხოლოდ 800 სული ყმა გლეხი ნოვგოროდის გუბერნიაში. აქედან მიღებულ შემოსავალს ემატებოდა ის ხელფასი, რომელსაც მეფე იღებდა იმ ჩინისა და თანამდებობის მიხედვით, რომელიც მას მუდმივად ეკავა არმიასა და ფლოტში.

დ) ჩრდილოეთის ომი (1700-1721). დიდმა ელჩობამ პეტრე I-თვის სავსებით ნათელი გახადა ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე. **ევროპაში ანტითურქული კოალიციის შექმნა უპერსპექტივო ჩანდა.** აქედან გამომდინარე, შავი ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდებას რუსეთი ვერ მოახერხებდა. სამაგიეროდ, შვეციის წინააღმდეგ რუსეთს შეეძლო ევროპაში რეალური მოკავშირეები ეპოვნა, რაც ბალტიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებას გაუადვილებდა.

1699 წელს მოსკოვში ჩავიდა ჟენ პოსპოლიტას მეფის **ავგუსტ II-ის** ელჩი და ჟენ პოსპოლიტასა და დანიის სახელით რუსეთის მეფეს შვეციის წინააღმდეგ ომის დაწყება შესთავაზა. 1699 წელს **რუსეთ-ჟენ პოსპოლიტა-დანიის** ხელშეკრულება დაიდო. მიუხედავად ამისა, პეტრე I შვეციის წინააღმდეგ უკვე დაწყებულ ომში ჩაბმას არ ჩქარობდა, რადგან რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების შედეგს ელოდა. 1700 წლის 18 აგვისტოს მოსკოვში მოვიდა ცნობა თურქეთთან 30-წლიანი ზავის დადების შესახებ. მეორე დღესვე, 1700 წლის 19 აგვისტოს, პეტრე I-მა შვეციას ომი გამოუცხადა. 22 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა **ნარვის** მიმართულებით დაიწყეს შეტევა და უკვე 23 სექტემბერს ალყა შემოარტყეს ქალაქს. რუსეთის ჯარი 35 ათასამდე კაცს ითვლიდა. პეტრე I-მა სარდლობა თავიდან ფელდმარშალ **თევდორე გოლოვინს** ჩააბარა, მაგრამ შემდგომში, ჟენ პოსპოლიტას მეფის ავგუსტ II-ის რეკომენდაციით, იგი რუსეთის სამსახურში მიღებულმა **ფონ კრუიმ** შეცვალა. თავად პეტრე I კაპიტან პეტრე მიხაილოვის სახელით პრეობრაჟენსკის პოლკთან ერთად იმყოფებოდა. 20 ოქტომბერს რუსებმა ყველა ზარბაზნიდან ერთბაშად დაიწყეს ნარვის დაბომბვა. პეტრე I იმედოვნებდა, რომ ნარვა დიდხანს ვერ გაუძლებდა ალყას.

შვეციის მეფე **კარლოს XII-მ** სწორად შეაფასა მდგომარეობა. მან ინგლისისა და ჰოლანდიის სამხედრო ფლოტის დახმარებით ძლიერად დაბომბა **კოპენჰაგენი** და დანია ომიდან გამოიყვანა. დანიის მარცხი რუსეთისათვის დიდი დანაკარგი იყო, რადგან არც ჟენ პოსპოლიტასა და არც რუსეთს ბალტიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი არ გააჩნდათ და, ამდენად,

შვეცია დიდ უპირატესობას მიიღებდა. ასეც მოხდა. ნარვის ალყა სულ რამდენიმე დღის დაწყებული იყო, როცა პეტრე I-მა მიიღო ცნობა, რომ შვეციის მეფე კარლოს XII **პერნაუსთან** დიდი ჯარით ხმელეთზე გადმოსხდა. პეტრე I-ს ნარვასთან იმდენი ჯარი არ ჰყავდა, რომ კარლოს XII-ს ძლიერი არმიისათვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწია. უკან დახევაც შეუძლებელი იყო, რადგან შვედები რუსებს დაედევნებოდნენ და ბრძოლა მაინც გარდუვალი გახდებოდა. რუსეთის სარდლობამ ნარვასთან ალყაზე მდგარი ჯარი კარლოს XII-ს წინააღმდეგ საბრძოლველად მოამზადა და თან ნარვის დაბომბვაც გააგრძელა. მალე რუსებს ყუმბარები და თოფის წამალი გაუთავდათ და დაბომბვა შეწყვიტეს. 17 ნოემბერს კარლოს XII-ს წინააღმდეგ ბოიარ **ბორის შერემეტიევის** სარდლობით გაგზავნილმა რუსთა ჯარის ნაწილებმა ნარვის მიმართულებით დაიხიეს. იმავე ღამეს პეტრე I-მა ფელდმარშალ **თეოდორე გოლოვინთან** ერთად სასწრაფოდ დატოვა ნარვასთან დაბანაკებული რუსთა ჯარი და **ნოვგოროდში** გაემგზავრა.

1700 წლის ნოემბერში ნარვასთან შვეციის ჯარებმა კარლოს XII-ის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს რუსეთის ჯარები. შვედებმა ხელთ იგდეს რუსების მთელი არტილერია და ჯარის აღალი. შვედებს სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ **სემიონოვსკისა** და **პრეობრაჟენსკის** პოლკებმა გაუწიეს. ნარვასთან ბრძოლაში მრავალ რუსთან ერთად ტყვედ ჩავარდა პეტრე I-ის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე **ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი**. პეტრე I-მა დიდი თანხა გაიღო ალექსანდრე ბაგრატიონის გამოსასყიდად. მოგვიანებით ალექსანდრე ბაგრატიონი შვედებმა ტყეობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა.

ნარვასთან რუსთა ჯარის განადგურების შემდეგ პეტრე I შვეციის არმიის რუსეთის სიღრმეში შეჭრას ელოდა. ამიტომ მან სასწრაფოდ დაიწყო **ნოვგოროდისა** და **სმოლენსკის**, ასევე **პეჩორის მონასტრის** მიმართულებით სიმაგრეების აგება. ამჯერად შვეციის მეფემ კარლოს XII-მ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან ჩათვალა, რომ რუსეთის არმია მწყობრიდან იყო გამოსული და სერიოზულ ძალას აღარ წარმოადგენდა. შვეციის მეფემ გადაწყვიტა, დანიისა და რუსეთის შემდეგ პოლონეთისათვის შეეტია. პოლონეთთან ომი გაჭიანურდა. ეს დრო პეტრე I-მა რუსეთის ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნისა და მისი ხელახალი შეიარაღებისათვის გამოიყენა.

ნარვასთან მარცხის შემდეგ პეტრე I-მა თავად **ბორის გოლიცინს** დაავალა ახალი პოლკების შეკრება, ხოლო დიაკ **ანდრეი ვინიუსს** — ახალი არტილერიის შექმნა. მეფის ბრძანებით, ეკლესიებისა და მონასტრების სამრეკლოებიდან ზარებს ხსნიდნენ და საზარბაზნე ლითონს ადნობდნენ. 1701 წლის ნოემბერში უკვე მზად იყო 300 ახალი ზარბაზანი.

ნოვგოროდიდან დაბრუნებულმა პეტრე I-მა რუსეთის არმიის სამი ძლიერი კორპუსი მზადყოფნაში მოიყვანა. 1702 წელს 19 პოლკი რუსეთის მოკავშირის, საქსონიის კურსფიურსტის (მთავრის) ჯარებთან შესაერთებლად გაემართა. **ბორის შერემეტიევისა** და **პეტრე აპრაქსინის** კორპუსები კი ბალტიისპირეთში შეიჭრნენ და შვედების მცირერიცხოვან რაზმებს რამდენიმე დამარცხება აგებინეს. თავად პეტრე I-მა 1702 წელს მდინარე **ნევის** სათავეში მდებარე ქალაქ **ორეშოკს** (ნოტებურგს) შეუტია და მძიმე ბრძოლების შემდეგ აიღო იგი. ამ გამარჯვებას ომის მსვლელობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქ ორეშოკს პეტრე I-მა სახელი შეუცვალა და **შლისელბურგი** (ქალაქი-გასაღები) უწოდა.

1703 წელს რუსეთის ჯარები **ბორის შერემეტიევის** სარდლობით ქალაქ შლისელბურგიდან მდინარე ნევის მარჯვენა ნაპირს დაჰყვნენ. ლაშქრობაში პეტრე I-ც მონაწილეობდა. მალე რუსებმა პატარა დასახლებას — **ნიენშანცს** — მიაღწიეს. ნიენშანცი ნევის შესართავში მდებარეობდა და ზღვიდან მდინარეში შემოსასვლელს კეტავდა. მცირე ბრძოლის შემდეგ რუსებმა ნიენშანცი დაიკავეს. მალე მდინარე ნევის შესართავს შვედების ორი სამხედრო გემი მიუახლოვდა და ნიენშანციდან მოშორებით ღუზა ჩაუშვა. **პეტრე I** და **ბორის შერემეტიევი** ორი პოლკით პატარა ნავებზე გადასხდნენ, შვედების გემებს ფარულად მიუახლოვდნენ და ხელჩართულ ბრძოლაში თითქმის ყველა შვედი ამოხოცეს.

1703 წლის 16 მაისს მდინარე ნევის შესართავში მდებარე კუნძულზე, რომელსაც **იანისარი** ეწოდებოდა, საფუძველი ჩაეყარა ქალაქ **სანკტ-პეტერბურგს**. ქალაქის პირველი შენობა იყო **ხისგან ნაგები ციხესიმაგრე ექვსი ბასტიონით**. ციხესიმაგრეში ხისგანვე ააგეს **პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია**, ხოლო მის მახლობლად — **პეტრე I-ის სახლი**.

1703 წელს რუსეთის ჯარებმა **ბორის შერემეტიევის** სარდლობით დაიკავეს **იამბურგი** და **კოპორიე**. შვეციის მეფემ კარლოს XII-მ სანკტ-პეტერბურგის დასაკავებლად 12-ათასიანი ჯარი გაგზავნა. პეტრე I-მა შვედები დაამარცხა და **ვიბორგამდე** დაახევინა უკან. ამ გამარჯვების შემდეგ მეფემ სანკტ-პეტერბურგიდან 30 ვერსის მოშორებით, ფინეთის ყურეში მდებარე კუნძულ **კოტლინზე** ციხესიმაგრისა და ნავსადგურის აშენება გადაწყვიტა. ასე ჩაეყარა 1703 წელს საფუძველი **კრონშტადტის** ციხესიმაგრეს.

1704 წელს პეტრე I-მა კრონშტადტის ციხე-სიმაგრეში არტილერია გადაატანინა, რის შემდეგაც **დერპტსა** და **ნარვაზე** შეტევა დაიწყო. ქალაქი დერპტი დიდი ბრძოლების შემდეგ პეტრე I-ის უშუალო სარდლობით აიღეს. შვედებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ნარვაზე მოიერიშე რუსებს. ნარვასთან ბრძოლებსაც უშუალოდ პეტრე I ხელმძღვანელობდა. შვედებმა ნარვის შენარჩუნება ვერ შეძლეს. **დერპტისა** (ტარტუს) და **ნარვის** დაკავება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩრდილოეთის ომის მსვლელობაში.

პეტრე I-ის დიდ წარმატებებს ბალტიისპირეთში ჩრდილს ფენდა რუსეთის მოკავშირის **ჟენ პოსპოლიტას** არმიის დამარცხება შვეციის მეფე **კარლოს XII-ის** მიერ. 1704 წელს კარლოს XII-მ ჟენ პოსპოლიტას მეფე **ავგუსტ** II აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო. ძალაუფლება შვეციის მეფისათვის სასურველ **სტანისლავ ლეშჩინსკის** ხელში გადავიდა. 1706 წელს **ავგუსტ** II-მ საქსონიის გვირგვინიც დაკარგა. რუსეთი მოკავშირის გარეშე დარჩა. ამით ისარგებლა კარლოს XII-მ და **მოსკოზე** ლაშქრობა დაიწყო. შვედებმა 1708 წელს დაიკავეს ქალაქები **მინსკი** და **მოგილევი**. მოგილევში კარლოს XII-მ თავისი არმია შეაჩერა და ქალაქ სმოლენსკის გავლით მოსკოზე შეტევა გადაიფიქრა. მოგილევიდან შვეციის არმია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უკრაინისაკენ გაემართა. კარლოს XII-ს უკრაინის ჰეტმანი **ივანე მაზეპა** დაჰპირდა, რომ უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ ააჯანყებდა. გარდა ამისა, შვეციის მეფეს სურდა, უკრაინაში დალოდებოდა ბალტიისპირეთიდან (ლიფლანდიიდან) მის დასახმარებლად შვედთა 16-ათასიანი კორპუსით, არტილერიითა და დიდი აღლით დაძრულ გენერალ **ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტს**. მოგილევიდან უკრაინისაკენ მიმავალ გზაზე შიმშილმა და სიცივემ შვეციის არმია ძალზე დაზარალა.

პეტრე I-მა ამოიცნო კარლოს XII-ს გეგმა. პეტრე I მოგილევიდან უკრაინისაკენ დაძრულ შვეციის არმიას ყურადღებას არ აქცევდა და ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა კარლოს XII-თან შეერთებამდე გაენადგურებინა **ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტის** კორპუსი. ეს დროც მალე დადგა. კარლოს XII-მ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. მან ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტს უბრძანა, ქალაქ **სტაროდუბთან** შეერთებოდა მთავარ ძალებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შვედებს უნდა გადაელახათ ორი მდინარე — **დნეპრი** და **სოჟი**, რომელთა შორის სივრცეს რუსეთის არმია უწევდა კონტროლს. შვედების კორპუსმა **შკლოვთან** მდინარე დნეპრი კი გადალახა, მაგრამ რამდენიმე დღეში მას პეტრე I-ის ძლიერი კორპუსი დაეწია. 28 სექტემბერს სოფელ **ლესნაიასთან** პეტრე I-ის მიერ განხორციელებული ბრწყინვალე მანევრის წყალობით რუსებმა სასტიკად დაამარცხეს შვედები. ლესნაიასთან ბრძოლაში 8 ათასი შვედი დაიღუპა, ხოლო ორი ათასი რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს. ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტმა მხოლოდ 6 ათასი კაცის გადარჩენა შეძლო. შვედებმა დაკარგეს მთელი აღალი, რომელსაც ძოუთმენლად ელოდა კარლოს XII. ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტის 6-ათასიანი კორპუსის შვედების მთავარ ძალებთან შეერთებას უკვე აღარ შეეძლო მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა კარლოს XII-ს არმია. შვედების მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ჰეტმანმა **ივანე მაზეპამ** ვერ შეძლო კარლოს XII-ის მხარეზე რაიმე მნიშვნელოვანი ძალის გამოყვანა.

ლესნაიასთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შვედების არმიის საბოლოო განადგურებას სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. პეტრე I-მა ლესნაიასთან ბრძოლას **„პოლტავის ბატალიის დედა“** უწოდა (პოლტავის ბრძოლა ლესნაიასთან ბრძოლიდან ზუსტად ცხრა თვის შემდეგ მოხდა).

1709 წლის გაზაფხულზე პეტრე I **აზოვში** ჩავიდა. აქ მას აცნობეს, რომ კარლოს XII-მ ქალაქ **პოლტავას** შემოარტყა ალყა და რამდენჯერმე იერიშიც მიიტანა ქალაქზე. 1709 წლის 4 ივნისს პეტრე I რუსეთის არმიის შტაბში დაბრუნდა. მეფეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა შვეციის არმიასთან გენერალური ბრძოლის გამართვა.

1709 წლის 20 ივნისს პეტრე I-მა რუსეთის არმია პოლტავის მიმართულებით დაძრა და ქალაქიდან მოშორებით საბრძოლო ბანაკის მოწყობას შეუდგა. პეტრე I არ ჩქარობდა, რად-

გან 20 ათასი ყალმუხის მოსვლას ელოდა. კარლოს XII მისვდა, რომ რუსები რეზერვების მოლოდინში შეტევის დაწყებას განგებ აჭიანურებდნენ და თავად გადაწყვიტა ბრძოლის დაწყება.

1709 წლის 27 ივნისს, განთიადისას, **კარლოს XII-მ** შეტევა დაიწყო. შვეციის მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსების ბანაკის წინ განლაგებული ცხენოსანი რაზმი გაენადგურებინა. შეტევაზე გადასული შვედები რუსების მიერ აგებული **რედუტების** გასწვრივ მოძრაობდნენ, რის გამოც რედუტებიდან რუსების მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოყვნენ. პეტრე I-მა ცხენოსან ჯარს უკან დახევა უბრძანა, რის შედეგადაც რედუტებიდან შვედებს თავს დაატყდათ კიდევ უფრო ძლიერი ცეცხლი. **ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტი** იძულებული გახდა რუსთა ცხენოსანი ჯარის დევნა შეეწყვიტა, უკან დაეხია და ტყისათვის შეეფარებინა თავი.

შვედების უკანდახევის შემდეგ ბრძოლის შენელებით ისარგებლა გენერალ-ფელდმარშალმა **ბორის შერემეტიევმა**, რუსთა ქვეითი ჯარი ბანაკიდან გაიყვანა და შვედების არმიის წინ ორ რიგად განალაგა. ფლანგებზე რუსთა კავალერია იყო თავმოყრილი. 9 საათზე ბრძოლა განახლდა. შვედები და რუსები ერთმანეთს მიუახლოვდნენ და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. პეტრე I ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა. ერთმა ტყვიამ მას ქუდი გაუხვრიტა, მეორე უნაგირს მოხვდა, ხოლო მესამე — მეფის გულსაკიდ ჯვარს. ორსაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შვედები შედრკნენ. შვეციის არმიაზე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა იმან, რომ რუსების მიერ ნატყორცნი ყუმბარა იმ ეტლს მოხვდა, რომელშიც კარლოს XII იმყოფებოდა. შვედებს ეგონათ, რომ მეფე დაიღუპა. საერთო პანიკა მალე უწესრიგო უკანდახევასა და გაქცევაში გადაიზარდა.

პოლტავასთან ბრძოლაში კარლოს XII-მ 9 ათასი კაცი დაკარგა, 3 ათასი რუსებმა ტყვედ ჩაიდგეს. გადარჩენილმა შვედებმა მდინარე **დნეპრისაკენ** დაიხიეს. პეტრე I-მა გაქცეული შვედების დევნა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. რუსებმა **ალექსანდრე მენშიკოვის** სარდლობით მდინარე დნეპრს მაშინ მიაღწიეს, როცა ზაპოროჟიელ კაზაკებს შვეციის მეფე **კარლოს XII** და უკრაინის ჰეტმანი **ივანე მაზეპა** უკვე მეორე ნაპირზე გადაეყვანათ. შვეციის არმიის გადარჩენილმა ნაწილმა (16 ათასმა კაცმა), ადამ ლუდვიგ ლევენჰაუპტის სარდლობით იარაღი დაყარა. კარლოს XII რუსთა მდევარს დაუსხლტა და ივანე მაზეპასთან ერთად თურქეთს შეაფარა თავი.



პოლტავის ბრძოლა

პოლტავის ბრძოლამ ჩრდილოეთის ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მართალია, ომი კიდევ თოთხმეტი წელი გრძელდებოდა, მაგრამ შვეციამ დაკარგა ბრძოლისუნარიანი არმია. გარდა ამისა, შვეციის წინააღმდეგ ომში ჩაება ჟეჩ **პოსპოლიტა**, **დანია**, **პრუსია** და **ჰანოვერი**.

საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო შვეციის ძლიერი ფლოტის განადგურება.

პოლტავის ბრძოლის შემდეგ ომმა ისევ **ბალტიისპირეთში** გადაინაცვლა. 1710 წელს რუსეთის ჯარმა **პეტრე აპრაქსინის** წინამძღოლობით ქალაქი **ვიბორგი** დაიკავა. მალე ალექსანდრე შერემეტიევმა ქალაქი **რიგა** აიღო. იმავე 1710 წელს კაპიტულაცია გამოაცხადა ქალაქმა **პერნოვმა**. ამის შემდეგ რუსები **კუნძულ ეზელზე** გადასხდნენ და **არენსბურგი** აიღეს, ხოლო შემდეგ **კეესჰოლმიც** (კარელაც) დაიკავეს. ამით დასრულდა **კარელიის** გაწმენდა შვეციის ჯარებისაგან. შვედებმა ვერც **რეველი** შეინარჩუნეს და საბოლოოდ ლიფლანდია (ჩრდილოეთ ლატვია და სამხრეთ ესტონეთი) და **ესტლანდია** (ჩრდილოეთ ესტონეთი) რუსეთის ხელში გადავიდა.

თურქეთში თავშეფარებული შვეციის მეფე კარლოს XII ყველაფერს აკეთებდა, რათა თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. ამასვე ცდილობდა საფრანგეთიც. 1710 წელს თურქეთმა ზავი დაარღვია და რუსეთს ომი გამოუცხადა.

1711 წელს პეტრე I მოსკოვიდან პეტერბურგს გაემგზავრა და თურქეთთან ომისათვის მზადებას შეუდგა. 1711 წელს რუსეთის 130-ათასიანმა არმიამ მდინარე **პრუტი** გადალახა და წინსვლა განაგრძო. მალე პეტრე I-მა შეიტყო, რომ ყირიმის ხანმა 70-ათასიანი ჯარით ასევე გადალახა მდინარე პრუტი და რუსეთის არმიას კვალში ჩაუდგა, ხოლო თურქეთის დიდი ვეზირი 100-ათასიანი ჯარით რუსეთის არმიის შესახვედრად მოემართებოდა. პეტრე I-მა უკანდახევა გადაწყვიტა. რუსეთის ჯარები მდინარე **პრუტს** აჰყვნენ აღმა. თურქეთის ცხენოსანი ჯარი რუსებს დაედევნა. რუსეთის ჯარის უკანდახევას **პრეობრაჟენსკის პოლკი** იცავდა. 1711 წლის 9 ივლისს **ნოვოე სტანილეშჩესთან** (მდინარე პრუტის ნაპირას) თურქეთის ძირითადი ძალები დიდი ვეზირის მეთაურობით და რუსეთის ჯარები **პეტრე I**-ის სარდლობით ერთმანეთს შეხვდნენ. რუსებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ თურქები უკუაგდეს. პეტრე I-მა განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენა არტილერია. თურქებმა 7 ათასი კაცი დაკარგეს. ეს წარმატება ოდნავაც კი ვერ აუმჯობესებდა რუსეთის ჯარების მდგომარეობას, რომელიც ფაქტობრივად ალყაში იქნა მოქცეული და თითქმის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა რუსეთის საზღვრებამდე გაეღწია. მეორე დღეს უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა პეტრე I-მა თურქეთის დიდ ვეზირს დაზავება შესთავაზა. იმავდროულად რუსეთის ჯარები საზღვრისაკენ ბრძოლით უკანდახევისათვის ემზადებოდნენ. თუკი თურქეთის დიდი ვეზირი მოლაპარაკებაზე დათანხმდებოდა, პეტრე I მზად იყო თურქეთისათვის დაეთმო **აზოვის** სიმაგრე და მდინარე **დონისა** და **მდინარე** დნეპრის ქვემოწელი. უკიდურეს შემთხვევაში, პეტრე I ასევე თანახმა იყო, შვეციისათვის დაებრუნებინა **ბალტიისპირეთი**. ასე რომ, შეიძლებოდა რუსეთს დაეკარგა დიდი სისხლის ფასად მოპოვებული უძნიშვნელოვანესი ტერიტორია. საბედნიეროდ, თურქეთის დიდმა ვეზირმა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სწორად ვერ შეაფასა და პეტრე I-მა გაცილებით ნაკლები დანაკარგის ფასად მიაღწია ზავს. 1711 წელს დადებული ზავის თანახმად, რუსეთს თურქეთისთვის უნდა გადაეცა **აზოვის** ციხესიმაგრე, ხოლო **ტაგანროგის** ციხესიმაგრე უნდა დაენგრია; ტერიტორია ქალაქ **სამარიდან** სამხრეთით, **ზაპოროჟიეს სეჩის** ჩათვლით, გადადიოდა ყირიმის სახანოს შემადგენლობაში; რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია. აღსანიშნავია ის, რომ შვეციის მეფე კარლოს XII საზავო მოლაპარაკების დროს თურქეთის დიდი ვეზირის ბანაკში არ იმყოფებოდა, იგი მხოლოდ ზავზე ხელმოწერის შემდეგ გამოჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა რუსეთს გაცილებით დიდი ტერიტორია დაეკარგა, მათ შორის ბალტიისპირეთშიც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თურქეთის დიდმა ვეზირმა რუსეთის მეფისაგან დიდი ქრთამი აიღო და მხოლოდ ამიტომ დაკმაყოფილდა პეტრე I-ის მხრიდან შედარებით უმნიშვნელო დათმობით.

თურქეთთან ზავის დადების შემდეგ რუსეთმა შვეციის წინააღმდეგ ომი გააგრძელა. ამჯერად საომარი მოქმედებები **პომერანიაში** (ჩრდილოეთ ბალტიისპირეთში) მიმდინარეობდა. 1713 წელს პეტრე I-მა პომერანიაში სარდლობა დანიის მეფეს ჩააბარა და თვითონ პეტერბურგში დაბრუნდა. პეტრე I-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, **ფინეთი** დაეპყრო და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩაეგდო შვეცია. საქმე ის იყო, რომ შვეცია ფინეთიდან მარაგდებოდა ხე-ტყითა და საკლავი

პირუტყვით. ასე რომ, ფინეთის დაკარგვა დიდი დარტყმა იქნებოდა კარლოს XII-თვის.

1713 წლის 26 აპრილს რუსეთის სამხედრო ფლოტი ზღვაში გავიდა. ფლოტი 93 გალერის, 60 ბარკასისა და 50 დიდი ნავისაგან შედგებოდა. რუსეთის სამხედრო ფლოტი 16 ათასი მეომრის თანხლებით ფინეთისაკენ დაიძრა. ფლოტის სარდალი ოფიციალურად გენერალ-ადმირალი **თევდორე აპრაქსინი** იყო, თუმცა პრაქტიკულად ფლოტის სარდლობას **პეტრე I** ახორციელებდა. მეფის გალერი ფლოტის ავანგარდში იმყოფებოდა. რუსეთის სამხედრო ფლოტმა და ქვეითმა ჯარმა დაიკავეს **ჰელსინგფორსი** და **აბო**. ცოტა მოგვიანებით **თევდორე აპრაქსინმა** მდინარე **ჰელკენის** ნაპირას სასტიკად დაამარცხა შვედები. ამ ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი ფინეთი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს.

1714 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტის ხომალდები **რეველის** ნავსადგურში დადგნენ, ფლოტის მეორე ნაწილი კი **აბოს** ნავსადგურში იმყოფებოდა. ამ პერიოდისათვის რუსეთის სამხედრო ფლოტი 16 სახაზო ხომალდსა და 180 სხვადასხვა სახის გემს ითვლიდა. კარლოს XII-მ გადაწყვიტა ბოლო მოეღო რუსეთის ფლოტისათვის. 1714 წლის ივლისში შვეციის სამხედრო ფლოტი (16 ხომალდი და 20 სხვადასხვა სახის გემი) ბალტიის ზღვაში მდებარე **განგუტის** კონცხთან შეჩერდა. შვედების ფლოტს ადმირალი **ერენშილდი** სარდლობდა. 1714 წლის 27 ივლისს პეტრე I-მა ადმირალ ერენშილდს დანებება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ რუსეთის ფლოტი პეტრე I-ის საერთო სარდლობით თავს დაესხა შვედების ფლოტს. რუსებმა ხელთ იგდეს 11 გემი, შვეციის ფლოტის სარდალი ადმირალი ერენშილდი ტყვედ ჩავარდა.

განგუტის კონცხთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსებმა კუნძული **ალანდი** დაიკავეს, რომელიც **სტოკჰოლმიდან** 15 მილის დაშორებით მდებარეობდა. რუსების მიერ ალანდის დაკავებამ შვეციაში დიდი პანიკა გამოიწვია. პეტრე I-ს იმხანად სტოკჰოლმზე შეტევა არ დაუწყია, ხოლო სამხედრო ფლოტი **აბოს** ნავსადგურში დააბრუნა.

განგუტის კონცხთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ცხადი გახადა რუსეთის სამხედრო ფლოტის ძლიერების ზრდა. ბალტიის ზღვაზე შვეციის ფლოტის განუყოფელი ბატონობა წარსულს ჩაბარდა.

1718 წელს ნორვეგიაში ლაშქრობისას ერთ-ერთი ქალაქის ალყის დროს დაიღუპა შვეციის მეფე **კარლოს XII**. ამ დროისათვის რუსეთსა და შვეციას შორის საზავო მოლაპარაკება უკვე დაწყებული იყო. კარლოს XII-ს სიკვდილის



განგუტის ბრძოლა

შემდეგ მოლაპარაკება შეფერხდა. 1719 წელს პეტრე I-მა შვეციის ნაპირებისაკენ გაგზავნა სამხედრო ფლოტი ადმირალ **თევდორე აპრაქსინის** სარდლობით. იმავდროულად რუსეთის სახმელეთო ჯარი დაბა **გრინთან** შვეციის ტერიტორიაზე გადასხდა. რუსებმა 2 ქალაქი, 135 სოფელი და 9 ქარხანა გადაწვეს. თევდორე აპრაქსინი სტოკჰოლმს 7 მილზე მიუახლოვდა და ქალაქის შემოგარენი გაძარცვა. 1720 წელს რუსეთის სამხედრო ესკადრა ისევ გაემართა შვეციის ნაპირებისაკენ. კუნძულ **გრენგამთან** რუსეთის ესკადრამ გენერალ-ადმირალ **მიხეილ გოლიცინის** სარდლობით შვეციის ფლოტი დაამარცხა და ხელთ იგდო შვედების 4 ფრეგატი. შემდეგ მიხეილ გოლიცინმა შვეციის სანაპირო სოფლები გადაწვა და უამრავი ტყვე აიყვანა. **გრენგამთან ბრძოლის შემდეგ ბალტიის ზღვაზე მთლიანად გაბატონდა რუსეთის ფლოტი.**

შვეციას ომის გაგრძელების ძალა აღარ შესწევდა. 1721 წელს **ნიშტადტში** (ფინეთი) რუსეთსა და შვეციას შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. შვეციის მხრიდან მეტი დათმობის მიღების მიზნით რუსეთის სამხედრო ფლოტმა მესამედ დაარბია შვეციის სანაპირო რაიონები. რუსებმა 3 ქალაქი და 506 სოფელი გადაწვეს. ამან შვეცია აიძულა, მაქსიმალურად დაეთმო რუსეთისათვის. 1721 წლის 30 აგვისტოს **ნიშტადტში** ხელმოწერილ იქნა რუსეთ-შვეციის საზავო ხელშეკრულება. ნიშტადტის ზავით რუსეთმა მიიღო **ლიფლანდია** (ჩრდილოეთ ლატვია და სამხრეთ ესტონეთი), **ესტლანდია** (ჩრდილოეთ ესტონეთი), **ინგრია** (იჟორის მხარე) და **კარელიის ნაწილი ქალაქ ვიბორგითურთ.** ფინეთი დაუბრუნდა შვეციას.

ამრიგად, ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წწ.) რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოპოვებულ იქნა. ამ დიდი გამარჯვებების აღსანიშნავად 1721 წლის 22 ოქტომბერს პეტრე I-მა იმპერატორის ტიტული და ზედწოდება „დიდი“ მიიღო. ძლევამოსილი რუსეთის სახელმწიფო იმპერიად გამოცხადდა.

ე) ლაშქრობა კასპიისპირეთში (1722-1723)

პეტრე I-მა გადაწყვიტა, ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვების შემდეგ **კასპიისპირეთშიც** მოეპოვებინა პოზიციები და ხელში ჩაეგდო აქ გამავალი სავაჭრო გზები.

1722 წლის ზაფხულში პეტრემ კასპიის ზღვისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ამის შესახებ ქართლის მეფეს **ვახტანგ VI-ს** აცნობა. ვახტანგმა დარბაზი შეკრიბა. გადასაწყვეტი იყო ერთი საკითხი: **ჩაბმულიყვნენ თუ არა ქართველები ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში.** დარბაზის წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო. მათ ეშინოდათ, რომ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ვახტანგ VI-მ არ გაიზიარა დარბაზის უმრავლესობის აზრი. მეფემ 40-ათასიანი ჯარი შეკრიბა და **განჯასთან** დაბანაკდა. აქ უნდა დალოდებოდა ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორს.

ამ დროს ირანი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1722 წლის მარტში ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ირანის დედაქალაქ **ისპაანს.** ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა, შაჰის გვარდიის სარდალი **როსტომი.** შაჰმა **ჰუსეინმა** როსტომის ადგილზე ვახტანგის შვილი **ბაქარი** დანიშნა. ჰუსეინი სასწრაფოდ დახმარებას ითხოვდა. ბაქარმა, რომელიც არ იწონებდა მამის კავშირს პეტრესთან, შაჰის დასახმარებლად ჯარის შეკრება დაიწყო. ვახტანგ VI-მ ბაქარს შაჰის დახმარება აუკრძალა. ამანაც იქონია გარკვეული გავლენა იმაზე, რომ 1722 წლის ოქტომბერში ისპაანი ავღანელებმა აიღეს და ჰუსეინი დაატყვევეს. ტახტის მემკვიდრე **თამაზმა** გაქცევით უშველა თავს.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად იმ დროს, როდესაც პეტრე I-მა ირანის წინააღმდეგ კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო, ვახტანგ VI-ს მოკავშირეობა შესთავაზა თურქეთის სულთანმაც. თურქეთიც აპირებდა ირანის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას.

ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, ძალიან სწორი და ზუსტი გადაწყვეტილების მიღება იყო საჭირო. ვახტანგი გულწრფელად ენდობოდა პეტრეს. **რუსეთის იმპერატორს კი თავისი კონკრეტული მიზნები ჰქონდა და ქართლის სამეფოს ბედი არ აინტერესებდა.** რუსებმა დაიკავეს **დარუბანდი,** მაგრამ შემდგომ ლაშქრობა აღარ გააგრძელეს. ვახტანგი განჯაში იდგა და პეტრეს ელოდა. ვახტანგ VI-მ ვერ გაბედა მარტო დაეწყო საომარი მოქმედებები. პეტრე I შეეპირდა ვახტანგს, რომ ერთი წლის შემდეგ ლაშქრობა განახლდებოდა. 1723 წელს რუსებმა მართლაც დაიკავეს **ბაქო.** თავად პეტრე პირადად უკვე აღარ მონაწილეობდა ამ ლაშქრობაში. ირანმა დათმო თითქმის მთელი კასპიის ზღვისპირეთი. პეტრე I-მა მიაღწია იმას, რაც უნდოდა — **უპირატესობა მოიპოვა კასპიისპირეთში.** ქართლის გათავისუფლება ირანელთა ბატონობისაგან რუსეთის გეგმებში არ შედიოდა. პეტრე I-ს რომ თავის დანაპირები

აესრულებინა და ჯარით შემოსულიყო საქართველოში, მაშინ რუსეთს ომი უნდა დაეწყო თურქეთთან. ერთდროული ომი ირანსა და თურქეთთან რუსეთს დიდ სირთულეებს შეუქმნიდა.

პეტრე I-ის იმედად მყოფი ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირანის ახალმა შაჰმა **თამაზმა** ქართლის მეფობა **კონსტანტინეს** გადასცა. გაძაჰმადიანებული კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) კახეთის მეფე გახდა 1722 წელს, თავისი ძმის დავით II-ის (იმამ-ყული-ხანის) გარდაცვალების შემდეგ. 1723 წელს კონსტანტინემ ლეკების დახმარებით **თბილისი** აიღო. 1723 წელს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ. ოსმალებმა დაიკავეს თბილისი და მთელი ქართლი. დაიწყო „**ოსმალობა**". ასეთ ვითარებაში 1724 წელს ვახტანგ VI 1200 კაცთან ერთად რუსეთში გაიხიზნა. იმავე წელს, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ზავით, რუსეთმა სცნო აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა თურქეთის მიერ.

ვ) XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რეფორმები. პეტრე I-ის რეფორმებმა მოიცვა რუსული სინამდვილის ყველა სფერო — პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობები, კულტურა.

პეტრე I-ის რეფორმებიდან მეტად მნიშვნელოვანი იყო **სოციალურ სფეროში** გატარებული რეფორმები. 1714 წლის კანონით **აზნაურის (პომეშჩიკის) მამული (პომესტიე) გაუთანაბრდა ბოიარის მამულს (ვოტჩინას)**. ამით ფაქტობრივად მოისპო განსხვავება ბოიარებსა და პომეშჩიკებს (აზნაურებს) შორის. ეს ორი სოციალური ფენა გაერთიანდა და ეწოდა „**დვორიანსტვო**". ამიერიდან „**დვორიანინი**" იყო ყველა — **ბოიარიცა** და **პომეშჩიკიც** (ქართულში „დვორიანსტვოს" ცნების აღმნიშვნელად დამკვიდრდა „თავადაზნაურობა"). პეტრე I-ის ასეთი პოლიტიკა აზნაურთა მდგომარეობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამავე კანონით, „დვორიანინის" მამული არ უნდა დანაწილებულიყო და მთლიანად გადაეცემოდა ერთ შვილს. დანარჩენ შვილებს უნდა ემსახურათ არმიაში, ფლოტში, ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

1722 წელს გამოიცა „**ტაბელი რანგების შესახებ**", რომლის მიხედვითაც სამხედრო, სამოქალაქო და საიმპერატორო კარზე სამსახური დაიყო 14 რანგად. რანგების თანმიმდევრობით (უდაბლესიდან უმაღლესისაკენ) გავლა აუცილებელი იყო. სამოქალაქო მოხელე (ჩინოვნიკი) ან სამხედრო მოსამსახურე (ოფიცერი), რომელიც მიაღწევდა **მერვე რანგს** (კლასს), იღებდა **შთამომავლობითი „დვორიანინის"** წოდებას. ეს იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თავადაზნაურობის წოდება შევსებულიყო სხვა წოდებათა ნიჭიერი და ღირსეული წარმომადგენლებით.

სოციალურ სფეროში გატარებულ რეფორმას ეხმიანებოდა **საგადასახადო პოლიტიკა**. რუსეთის მთელი მოსახლეობა, გარდა თავადაზნაურობისა და სამღვდელოებისა, ვალდებული იყო, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადი გადაეხადა. 1718-1724 წლებში რუსეთში ჩატარდა მამრობითი სქესის მოსახლეობის სულადობრივი აღწერა. მამრობითი სქესის ყველა ადამიანი, ახალშობილიდან დაწყებული და ღრმა მოხუცებით დამთავრებული, შეიტანეს ე.წ. „**სარვეზიო სიებში**". მათ უნდა გადაეხადათ **სულადობრივი გადასახადი**, ეს გადასახადი ფულით უნდა დაფარულიყო. **ხოლოპებსა** და **მაწანწალებს** ასევე უნდა გადაეხადათ სულადობრივი გადასახადი, რადგან ისინი გაათანაბრეს **ყმა გლეხებთან**. **საბატონო** და **საეკლესიო** გლეხები წელიწადში იხდიდნენ 74 კაპიკს, ხოლო **სახელმწიფო** გლეხები 1 მანეთსა და 14 კაპიკს.

ქალაქის მოსახლეობა ასევე ვალდებული იყო გადაეხადა **სულადობრივი გადასახადი**. ქალაქის მოსახლეობა ორ კატეგორიად გაიყო: **რეგულარულ** და **არარეგულარულ** მოქალაქეებად. რეგულარულ მოქალაქეებად ითვლებოდნენ **ვაჭრები**, **მეწარმეები** და **ხელოსნები**. არარეგულარულ მოქალაქეებში იყვნენ გაერთიანებულნი **შავი მუშები**, **ქირით მომუშავენი** და ა.შ. ქალაქის კეთილმოწყობა, გადასახადების აკრეფა, ასევე სასამართლო გადავიდა რეგულარული მოქალაქეებისაგან არჩეული **ქალაქის მაგისტრატების** ხელში. ქალაქთა მაგისტრატების ხელმძღვანელობის მიზნით, 1721 წელს შეიქმნა **მთავარი მაგისტრატი**.

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მემამულის წერილობითი ნებართვის გარეშე გლეხობისათვის სამუშაოდ წასვლის აკრძალვა. ასე ჩაეყარა საფუძველი რუსეთში **საპასპორტო სისტემას**.

პეტრე I-ის რეფორმები შეეხო **სახელმწიფო მმართველობას**. სახელმწიფო მმართველობის ძველი სისტემა ვეღარ პასუხობდა ახალ მოთხოვნებს. 1701 წელს პეტრე I-მა გააუქმა **ბოიართა სათათბირო** და მის ნაცვლად დააარსა **მინისტრთა კონსილიუმი** (**საბჭო**). 1704 წელს შეიქმნა **კაბინეტი** — **მეფის პირადი კანცელარია**. 1711

ტაბელი რანგების (ჩინების) შესახებ

რანგი	სამხედრო				სამოქალაქო
	ქვეითი	გვარდია	არტილერია	საზღვაო	
I	გენერალ-ფელდმარშალი	–	–	გენერალ-ადმირალი	კანცლერი
II	ინფანტერიის გენერალი, კავალერიის გენერალი	–	გენერალ-ფელდცეიხ-მაისტერი	ადმირალი	ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი
III	გენერალ-ლეიტენანტი	–	გენერალ-ლეიტენანტი	ვიცე-ადმირალი	გენერალ-პროკურორი
IV	გენერალ-მაიორი	პოლკოვნიკი	გენერალ-მაიორი	შაუტბენახტი (კონტრ-ადმირალი)	კოლეგიის პრეზიდენტი, საიდუმლო მრჩეველი
V	ბრიგადირი, გენერალ-პროვიან-მაისტერი	პოდპოლკოვნიკი	არტილერიის პოლკოვნიკი	კაპიტან-კომანდორი	კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი
VI	პოლკოვნიკი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-კვარტირ-მაისტერი	მაიორი	არტილერიის პოდპოლკოვნიკი პოლკოვნიკ-ინჟინერი	პირველი რანგის კაპიტანი	პროკურორი, კოლეგიის მრჩეველი
VII	პოდპოლკოვნიკი, პროვიანმაისტერი, ვაგენმაისტერი, გენერალ-აუდიტორი	კაპიტანი	მაიორი, პოდ-პოდპოლკოვ-ნიკ-ინჟინერი	მეორე რანგის კაპიტანი	სამხედრო კო-ლეგიის, საგა-რეო კოლეგიისა და საადმირა-ლოს უფროსი მდივნები

რანგი	სამხედრო				სამოქალაქო
	ქვეითი	გვარდია	არტილერია	საზღვაო	
VIII	მაიორი	კაპიტან-ლეიტენანტი	მაიორ-ინჟინერი	მესამე რანგის კაპიტანი, ზომალდის ოსტატი	დანარჩენი კოლეგიების უფროსი მდივ-ნები, ასესორი, მრჩეველი
IX	კაპიტანი, საველე ფოსტის უფროსი	ლეიტენანტი	კაპიტან-ლეიტანანტი, კაპიტან-ინჟინერი	კაპიტან-ლეიტენანტი, გალერის ოსტატი	ტიტულოვანი მრჩეველი, პროფესორი, დოქტორი, მთარგმნელი
X	კაპიტან-ლეიტენანტი	უმცროსი ლეიტენანტი	ლეიტენანტი, ლეიტენანტ-ინჟინერი	ლეიტენანტი	კოლეგიის მდივანი
XI	–	–	–	ზომალდის მდივანი	–
XII	ლეიტენანტი	ფენდრიკი (პრაპორშჩიკი)	უმცროსი ლეიტენანტი	უმცროსი ლეიტენანტი, პირველი რანგის შპიკერი	გუბერნიის კანცელარიის მდივანი, რატმანი
XIII	უმცროსი ლეიტენანტი	–	შტიკ-იუნკერი, უმცროსი ლეიტენანტ-ინჟინერი	–	ოქმის მწარმო-ებელი, კოლეგიის მთარგმნელი, სენატის რეგის-ტრატორი
XIV	ფენდრიკი (პრაპორშჩიკი)	–	ფენდრიკ-ინჟინერი	მეორე რანგის შპიკერი, კონსტაპელი, (ქვემეხის, მეთაური)	კოლეგიის რეგისტრატორი, კოლეგიის ბუღალტერი

ოფიციალური მიმართვის ფორმები რანგების (ჩინების) მიხედვით (1722-1917)

რანგი	მ ი მ ა რ თ ვ ი ს ფ ო რ მ ა
I -II	მაღალაღმატებულება (Высокопревосходительство)
III - IV	აღმატებულება (Превосходительство)
V	მაღალშობილება (Высокородие)
VI - VIII	მაღალკეთილშობილება (Высокоблагородие)
IX - XIV	კეთილშობილება (Благородие)

წელს მინისტრთა კონსილიუმიც (საბჭოც) გაუქმდა და შეიქმნა **სენატი**, რომელიც ცხრა წევრისაგან შედგებოდა. პირველი სენატორები გახდნენ პეტრე I-ის უახლოესი თანამოაზრეები და თანამებრძოლები. სენატის უფლებამოსილება საკმაოდ ფართო იყო. მას ეკალებოდა კანონთა პროექტების შემუშავება, ფინანსების მართვა, ადმინისტრაციის მოღვაწეობის კონტროლი. 1722 წლიდან სენატის თავმჯდომარეობა დაეკალა **გენერალ-პროკურორს**. იმავე წელს სენატორებმა ფიცი დადეს.

1718-1721 წლებში გარდაიქმნა **პრიკაზების სისტემა**. ორმოცდაათამდე პრიკაზის ნაცვლად, რომელთა ფუნქციები მკვეთრად არ იყო გამიჯნული, დაარსდა 10 **კოლეგია**. კოლეგიებისათვის სპეციალური შენობა აიგო (ამჟამად იქ პეტერბურგის უნივერსიტეტია მოთავსებული). ყოველ კოლეგიას ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული თავისი სამოღვაწეო სფერო, თავდაპირველად შემდეგი კოლეგიები დაარსდა: **საგარეო საქმეთა** (უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა), **სამხედრო** (სახმელეთო ჯარების მართვის), **საადმირალო** (ფლოტის მართვის), **კამერ-კოლეგია** (გადასახადების აკრეფის), **შტატს-კონტორ-კოლეგია** (სახელმწიფო ხარჯების), **სარევიზიო** (ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის), **იუსტიციის** (სასამართლო საქმის წარმოების), **ვოტჩინების** (თავადაზნაურთა მამულების), **მანუფაქტურის** (მრეწველობის, გარდა მეტალურგიისა), **სამთო** (მეტალურგიის) და **კომერციის** (ვაჭრობის). ფაქტობრივად, კოლეგიის უფლებით არსებობდა **მთავარი მაგისტრატი**, რომელიც რუსეთის ქალაქებს განაგებდა. გარდა ამისა, კიდევ არსებობდა: **პრეობრაჟენსკის პრიკაზი** (პოლიტიკურ საქმეთა სამძებრო), **მარილის კანტორა**, **სპილენძის დეპარტამენტი**, **გამიჯვნის კანცელარია**.

განსაკუთრებულ კოლეგიას წარმოადგენდა **სინოდი** ანუ **სასულიერო კოლეგია**, რომელიც 1721 წელს დაარსდა. სინოდის შექმნა იყო კიდევ ერთი ნაბიჯი ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებისაკენ. 1700 წელს გარდაცვლილ პატრიარქ **ადრიანის** შემდეგ პეტრე I-მა ახალი პატრიარქი არ აარჩევინა, დანიშნულ იქნა **პატრიარქის მოვალეობის აღმსრულებელი**. 1721 წელს პატრიარქის თანამდებობა გაუქმდა. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მართვა-გამგეობა **სინოდის** ხელში გადავიდა. სინოდის მოღვაწეობას კონტროლს უწევდა სახელმწიფო მოხელე — **სინოდის ობერ-პროკურორი**. 1722 წელს განისაზღვრა ეკლესიის მსახურთა შტატი (ერთი მღვდელი 150 კომლზე). თუ ეკლესიის მსახური (მღვდელი) შტატით განსაზღვრულ თანამდებობას ვერ მიიღებდა, იგი ჩვეულებრივი გლეხივით იბეგრებოდა სულადობრივი გადასახადით. ორმაგი გადასახადით დაიბეგრნენ **სექტანტები** (სტაროობრიადელები).

ადგილებზე ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, 1708 წელს რუსეთი დაიყო რვა **გუბერნიად** (მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, არხანგელსკის, სმოლენსკის, ყაზანის, აზოვისა და ციმბირის). გუბერნიის სათავეში **გუბერნატორი** იდგა, რომელიც გუბერნიის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების სარდლადაც ითვლებოდა. გუბერნია იყოფოდა უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — **პროვინციებად**. 8 გუბერნიაში სულ 50 პროვინცია არსებობდა. ყოველ პროვინციაში იდგა საჯარისო ნაწილი — ერთი პოლკი. პროვინციები, თავისთავად, იყო-

ფოდა **მაზრებად**, ასე ჩამოყალიბდა რუსეთში ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემა.

პეტრე I-ის დროს რუსეთში შეიქმნა **რეგულარული არმია** და **სამხედრო ფლოტი**. 1705 წელს რუსეთში შემოიღეს **სარეკრუტო სისტემა**. 20 გლეხურ კომლს სამხედრო სამსახურში უნდა გაეგზავნა ერთი კაცი (რეკრუტი). შემდგომში რეკრუტის გაწვევა კომლებიდან კი აღარ ხდებოდა, არამედ მამრობითი სქესის მოსახლეობის გარკვეული რაოდენობიდან. ჯარში სამსახურის ვადა 25 წლით განისაზღვრებოდა. ასე შეიქმნა რუსეთში რეგულარული არმია, რომელიც გაწვევის ერთიანი პრინციპით კომპლექტდებოდა, ჰქონდა ერთიანი შეიარაღება, ფორმა და წვრთნის რეჟიმი. პეტრე I-მა შექმნა რუსეთის სამხედრო ფლოტი, რომელიც რეგულარული არმიის პრინციპით კომპლექტდებოდა. 1716 წელს რუსეთში შემოიღეს ახალი სამხედრო წესდებები. პეტრე I-ის მეფობის ბოლო წლებისათვის რუსეთის არმია გარნიზონების ჩათვლით 200 ათას კაცს ითვლიდა, 100-ათასიანი ჯარი გამოჰყავდათ კაზაკებს. რუსეთის სამხედრო ფლოტი 48 სახაზო ხომალდსა და 800 გალერს ითვლიდა, ფლოტში 28 ათასი კაცი ირიცხებოდა. რუსეთს ევროპაში უძლიერესი არმია და სამხედრო ფლოტი ჰყავდა.

პეტრე I-ის რეფორმების შედეგად ძირეულად გარდაიქმნა **ეკონომიკა**. დიდი ძვრები მოხდა მრეწველობაში. XVII საუკუნის დასასრულისათვის რუსეთში სულ 30 მანუფაქტურა არსებობდა. პეტრე I-ის მეფობის ბოლო წლებისათვის კი 100, ხოლო ზოგიერთი მონაცემით 200 მანუფაქტურა მუშაობდა.

განსაკუთრებით ჩქარი ტემპით ვითარდებოდა მეტალურგია. **ტულის, კაშირისა** და **კალუგის** მეტალურგიულ ქარხნებს შეემატა **პეტროზავოდსკისა** (კარელიაში) და **ურალის** მეტალურგიული ქარხნები. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის 75 მეტალურგიული ქარხნიდან 61 ურალში მუშაობდა. ყველაზე დიდი მეტალურგიული ქარხნები მოქმედებდა **ნევიანსკში, კამენსკში, ნიჟნი ტაგილში, ეკატერინბურგში. ტულის** ცნობილი იარაღის ქარხნის გარდა, იარაღი მზადდებოდა **სესტორეცკსა** და **ოლენეცკში**. ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფას ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა. 1721 წელს ქარხნების მფლობელ ვაჭრებსა და სხვა არათავადაზნაურული წარმოშობის ადამიანებს უფლება მიეცათ, შეესყიდათ და ძველი საცხოვრებელი ადგილიდან ქარხნებში სამუშაოდ გადაეყვანათ ყმა გლეხები. 1736 წლის კანონით, ქარხანაში მომუშავე გლეხები ქარხნის არათავადაზნაურული წარმოშობის მეპატრონის სამუდამო საკუთრებად გამოცხადნენ. ქარხნების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, ქარხნებზე მიწერილი იქნენ სახელმწიფო გლეხები, რომლებიც თავიანთ ვალდებულებას (გადასახადს) სახელმწიფოს ქარხანაში მუშაობით უხდიდნენ.

პეტრე I-მა დიდი ყურადღება დაუთმო **საგარეო ვაჭრობის** განვითარებას. ბალტიის ზღვით რუსეთი ევროპასთან აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაში ჩაება. 1724 წელს მიღებული **ახალი სავაჭრო ტარიფი** რუს ვაჭრებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანისათვის. რუსეთი თითქმის მუდმივად ინარჩუნებდა **აქტიურ სავაჭრო ბალანსს**. 1726 წელს რუსეთიდან გატანილი საქონელი ორჯერ აღემატებოდა შემოტანილს.

ზ) კულტურა და ცხოვრების ახალი წესი. პეტრე I-ის მეფობის წლებში კულტურის განვითარებას სამი ძირითადი ტენდენცია განსაზღვრავდა: **პირველი** — კულტურის სფეროში საერო მოტივის შემდგომი გაძლიერება; **მეორე** — ადამიანის, პიროვნების როლის წინ წამოწევა; **მესამე** — ეროვნულ კულტურაში უცხოურის ძლიერი ნაკადის შემოჭრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსული კულტურის განვითარება არ წარმოადგენდა XVII საუკუნის კულტურის ჩვეულებრივ გაგრძელებას, ეს იყო დიდი თვისობრივი ნახტომი. პეტრე I-ის მეფობის წლებში ერთბაშად დაარსდა: სტამბური წესით დაბეჭდილი პირველი რუსული გაზეთი, პირველი რუსული მუზეუმი, სპეციალური სასწავლებლები, ასამბლეა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ პორტრეტისტი მხატვრები, შეიქმნა არქიტექტურული ხელოვნების შედევრები და ა.შ. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ **XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსული კულტურა XVII საუკუნის კულტურის გაგრძელებასა და განვითარებას კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულიად ახალს.**

პეტრე I-ის რეფორმები შეეხო რუსული სინამდვილის ყველა სფეროს. ამ გრანდიოზული გარდაქმნების განხორციელება შეუძლებელი იყო მოსახლეობის, პირველ რიგში, თავადაზნაურობის, საერთო კულტურული დონის ამაღლების გარეშე. **ზესახელმწიფოს, რომელსაც პეტრე დიდ საფუძველს უყრიდა, ჰაერივით ესაჭიროებოდა განათლებული მოხელეები, დიპლომატები, არმიისა და ფლოტის ოფიცრები, უნარიანი გენერალიტეტი, სამხედრო** და **საზღვაო**

აბსოლუტური მონარქია
(XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი)



საქმის, საფორტიფიკაციო ნაგებობათა, საქალაქო მშენებლობის ინჟინრები, მეტალურგიისა და სამთო საქმის სპეციალისტები და ა.შ. ასეთი კადრების მომზადება კი განათლების სისტემის გარდაქმნას საჭიროებდა. საღვთისმეტყველო საგნებმა სკოლებში ნელ-ნელა დაუთმო ადგილი **მათემატიკას, ასტრონომიას, გეოდეზიას, ფორტიფიკაციას, საინჟინრო საქმეს** და სხვ.

სკოლების სასწავლო გეგმებში ახალი, საერო საგნების შეტანა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის განათლების სისტემის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი იყო. ,პეტრე I-ის ინიციატივით გაიხსნა ახალი სასწავლებლები: **სანავიგაციო სკოლა** (1701 წ.), **საარტილერიო სკოლა** (1701 წ.), **საინჟინრო სასწავლებელი** (1712 წ.), **სამედიცინო სასწავლებელი** (1707 წ.). გარდა ამისა, 1714 წელს გუბერნიებში გაიხსნა ე.წ. **საციფრო სკოლები.** ამ სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ არითმეტიკასა და გეომეტრიის ელემენტებს. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს რუსეთში სულ 42 საციფრო სკოლა მოქმედებდა, სადაც 2000 მოსწავლე იღებდა განათლებას. საციფრო სკოლებში მასწავლებლებად სანავიგაციო სკოლის კურსდამთავრებულები მუშაობდნენ. იმავე პერიოდისათვის სასულიერო წოდებიდან გამოსული ბავშვებისათვის გახსნილი იყო 46 საეპარქიო სკოლა. **სამხედრო გარნიზონებთან** ჯარისკაცთა შვილებისათვის გახსნილი იყო სპეციალური სკოლები. ურალის მეტალურგიულ ქარხნებთან მოქმედებდა ე.წ. **სამთო სკოლები**, სადაც მოსწავლეები სამთო საქმეს ეუფლებოდნენ.

სახელმწიფო მოხელეები, არმიისა და ფლოტის ოფიცრობა, ინჟინერთა კადრები ძირითადად თავადაზნაურობის წრიდან კომპლექტდებოდა. ამის გამო, თავადაზნაურთა შვილებისათვის განათლების მიღება ‚ხუალდებულოდ იქცა. რუსეთში არსებულ სკოლებისა და სასწავლებლების გარდა, თავადაზნაურობის შვილებს სასწავლებლად აგზავნიდნენ საზღვარგარეთ. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ისინი გამოცდებს აბარებდნენ. ნავიგატორთა გამოცდებს ხშირად პეტრე I ესწრებოდა. თავადაზნაურობის შვილები, განსაკუთრებით ძირძველი არისტოკრატიის წარმომადგენლები, ხშირად თავს არიდებდნენ სწავლას. 1714 წელს პეტრე I-მა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც განათლების მიუღებლად თავადაზნაურთა შვილებს ცოლის შერთვა ეკრძალებოდათ.

სკოლებისა და სასწავლებლების გახსნა აუცილებელს ხდიდა სახელმძღვანელოების შექმნას. 1701 წელს გამოიცა სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის მასწავლებლის **„ანბანი“**, ხოლო 1703 წელს — **ლეონტი მაგნიცკის „არითმეტიკა“**.

‚პეტრე I-ის დროს საფუძველი ჩაეყარა რუსეთის **წიაღისეული სიმდიდრეების** შესწავლას. 1720 წელს მოეწყო ციმბირის შემსწავლელი ექსპედიცია, რომელსაც **დანიელ მესერშმიდტი** ხელმძღვანელობდა.‚

პეტრე I განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისტორიული მწერლობის განვითარებას. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწერა ჩრდილოეთის ომის (1700-1721 წწ.) ისტორიის ამსახველი ნაშრომი **„ჟურნალი, ანუ პეტრე დიდის ყოველდღიური ჩანაწერები“** (გამოქვეყნდა 1770-1772 წლებში), **პეტრე შაფიროვის** ნაშრომი, რომელშიც დასაბუთებულია პეტრე დიდის მიერ ბალტიის ზღვის დაპყრობის სამართლიანობა.

‚რუსული მეცნიერების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1725 წელს **პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის** დაარსებას. მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ინიციატივა პეტრე I-ს ეკუთვნოდა, მისივე მონაწილეობით შეადგინეს მეცნიერებათა აკადემიის წესდება.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში დიდად განვითარდა სასტამბო საქმე. 1705 წელს მოსკოვში გაიხსნა პირველი **კერძო სტამბა**. 1711 წელს პეტერბურგში დაარსდა **სახელმწიფო სტამბა**, რომელშიც იბეჭდებოდა ოფიციალური მასალა: ბრძანებები, მანიფესტები და ა.შ. გარდა სახელმძღვანელოებისა და სპეციალური ლიტერატურისა, სტამბებში იბეჭდებოდა კალენდარი, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო.

1708 წლიდან საერო ხასიათის წიგნებს **სამოქალაქო შრიფტით** ბეჭდავდნენ, რომელიც საეკლესიო შრიფტთან შედარებით მარტივი იყო. საეკლესიო შრიფტს მხოლოდ სასულიერო ლიტერატურის ბეჭდვისას იყენებდნენ.

1702 წელს, პეტრე I-ის ინიციატივით გამოვიდა პირველი რუსული ბეჭდური გაზეთი **„Ведомости“** (**„უწყებანი“**). გაზეთში იბეჭდებოდა მასალა ჩრდილოეთის ომის მსვლელობის შესახებ, ასევე სამრეწველო საწარმოების მშენებლობისა და წიაღისეული სიმდიდრის ძიების შესახებ. გაზეთი აქვეყნებდა ცნობებს საერთაშორისო მოვლენების ირგვლივ.

უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენდა 1719 წელს **კუნსტკამერის** — პირველი რუსული მუზეუმის — გახსნა. მუზეუმში დაცული იყო ზოოლოგიური და მინერალოგიური კოლექციები, ძვირფასი ნივთები.

პეტრე I მეფობის პირველი ხანებიდანვე შეუდგა რუსეთში **ცხოვრების ახალი წესის** დამკვიდრებას. სანიმუშოდ ევროპული ცხოვრების წესი აიღეს.

ევროპული ცხოვრების წესის დამკვიდრება რუსეთში ხშირად უხეში ძალდატანების გზით ხდებოდა. 1698 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა პეტრემ რუს ბოიარებს თავისი ხელით დააჭრა ტრადიციული გრძელი წვერი. ბოიარები წვერის მოპარსვას უკმაყოფილებით შეხვდნენ. 1705 წელს პეტრე I-მა წვერის ტარებაზე გადასახადი დააწესა. ბოიარის წვერი 60 მანეთად შეფასდა, ვაჭრისა — 100 მანეთად, უბრალო მოქალაქისა — 30 მანეთად. წვერმოშვებულ გლეხს ქალაქში ყოველი შესვლისას 2 მანეთი უნდა გადაეხადა. 1700 წლიდან აიკრძალა გრძელკალთიანი რუსული ტანსაცმლის ტარება. თავადაზნაურობის წარმომადგენლებსა და ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეტარებინათ უნგრული ან გერმანული კაფტანები. ქალაქის მცხოვრებლებს, რომელთაც ვერ მოასწრეს ახალი ტანსაცმლის შეძენა, პირდაპირ ქუჩაში აჭრიდნენ გრძელ კალთებს.

ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნიშნობისა და ქორწინების წესების შეცვლას. ახალი რიტუალის თანავარ მოქმედ პირებად იქცნენ სიძე და დედოფალი. 1724 წელს პეტრე I-მა აკრძალა იძულებით ქორწინება.

პეტრე I-მა დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდა თაობის აღზრდას. აღზრდის საკითხებზე XVIII საუკუნი პირველ მეოთხედში რამდენიმე ბრძანება გამოიცა. 1717 წელს გამოიცა აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი კრებული **„სარკე კეთილი ჭაბუკებისათვის"**. კრებულის მიზანი იყო ბავშვების აღზრდა ღმერთის, მეფისა და მშობლების მორჩილების ნიშნით. ამასთან ერთად, ბავშვებისათვის უნდა ჩაენერგათ შრომისადმი სიყვარული, ესწავლებინათ წერა-კითხვა, ცეკვა, ცხენზე ჯდომა და ა.შ.

პეტრე I-მა შემოიღო თავადაზნაურობის საჯარო თავშეყრის (ურთიერთობის) ახალი ფორმა — **ასამბლეა**. რუსეთში საუკუნეების მანძილზე მამაკაცთა და ქალთა საზოგადოება ცალ-ცალკე არსებობდა. ასამბლეა კი იყო ისეთი თავშეყრის ადგილი, სადაც მამაკაცი და ქალი აბსოლუტურად თანასწორი იყო. ასამბლეა ხელს უწყობდა ძველი რუსული ტრადიციების მსხვრევას. ასამბლეაზე გამეფებული იყო უშუალო და მხიარული განწყობილება. საუბრებს ცვლიდა ცეკვები და თამაშობანი. ასამბლეა მორიგეობით იმართებოდა რომელიმე დიდკაცის სასახლეში. მასპინძელი ვალდებული იყო, სტუმარ ქალებს სპეციალური არაალკოჰოლური სასმელებით, ხოლო მამაკაცებს — თამბაქოთი გამასპინძლებოდა. სტუმრების განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ჭადრაკის დაფები და ცეკვისათვის განკუთვნილი ოთახი. ასამბლეაზე თავიდან უხერხულობა და მოწყენილობა სუფევდა. განსაკუთრებით უხერხულად გრძნობდნენ თავს ქალები. შემდეგში ეს უხერხულობა თანდათან დაძლიეს და ასამბლეა იქცა თავშეყრის პოპულარულ ადგილად. გარდა თავადაზნაურობისა, ასამბლეას ვაჭრებიცა და ფლოტის მშენებელი ოსტატებიც ესწრებოდნენ.

„პეტრე I-ის დროს დამკვიდრებას იწყებს **არასაეკლესიო დღესასწაულების** აღნიშვნის ტრადიცია. პირველი ასეთი დღესასწაული 1696 წელს **აზოვის** აღების აღსანიშნავად გაიმართა. 1721 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა **ნიშტადტის ზავის** დადება.

თავადაზნაურობის ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად, პეტრე I-მა შეცვალა სასახლის კარის ცხოვრების წესიც. პეტრე დიდმა პირადად შეიმუშავა **სასახლის კარის** ცერემონიალი.

„ცხადია, **პეტრე დიდმა მთლიანად ვერ ამოძირკვა ძველი რუსული ყოფა, მაგრამ ახალი ცხოვრების დამკვიდრება რუსეთში მაინც წარმატებით განხორციელდა. რუსული საზოგადოება კარდინალურად შეიცვალა.**"

თ) **სოციალური მოძრაობა.** რუსეთის უძველესი სახელმწიფოდ გადაქცევა, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდა მძიმე ტვირთად დაეწვა დაბალ სოციალურ ფენებს. ცხადია, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმებას მოჰყვა საპროტესტო მოძრაობა. 1705-1706 წლებში სტრელცებისა და ქალაქის მოსახლეობის დიდი აჯანყება მოხდა ქალაქ **ასტრახანში**. აჯანყება სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშეს. 1707 წელს დონისპირეთში **კონდრატე ბულავინის** წინამძღოლობით დიდი სოციალური ამბოხი დაიწყო, რომლის ძირითად ძალას დონელი კაზაკები წარმოადგენდნენ. აჯანყებულებმა დონის კაზაკთა ჯარების ცენტრი ქალაქი **ჩერკასკი** აიღეს. შემდეგ მათ ქალაქ **აზოვის** აღებაც სცადეს, მაგრამ მარცხი იწვნი-

ეს. 1708 წლისათვის ავკანყება სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშეს, თუმცა მისი საბოლოო ლიკვიდაცია მხოლოდ 1710 წელს მოხერხდა.

ი) ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. პეტრე I-ს პირველი ცოლისაგან ევდოკია ლოპუხინასაგან ჰყავდა ვაჟი **ალექსი.** პეტრეს ევდოკია ლოპუხინა არ უყვარდა, ხოლო მისი მონაზვნად აღკვეცის შემდეგ აღარც ალექსის მიმართ მალავდა თავის სიძულვილს. ალექსისაც სძულდა მამა, მაგრამ ამას აშკარად ვერ აცხადებდა. ალექსის სიძულვილი მამისადმი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც 1703 წლიდან პეტრე უკანონო ქორწინებაში შეეიდა **მარტა სკავრონსკაიასთან** (შემდეგში იმპერატორი ეკატერინე I). პეტრეს მარტა სკავრონსკაიასგან სულ 11 შვილი შეეძინა, რომელთაგან ცხრა ბავშვობაშივე გარდაიცვალა. 1712 წელს პეტრემ კანონიერად იქორწინა მარტა სკავრონსკაიაზე. ამ დროისათვის მეორე ცოლისაგან მას ორი ქალიშვილი — **ანა** და **ელისაბედი** — ჰყავდა. შემდეგ პეტრეს შეეძინა მესამე ქალიშვილი **ნატალია.** მარტა, ანა და ელისაბედი მუდამ მეფის გვერდით იყვნენ, ალექსი კი მამისაგან გარიყული იყო. ალექსის გარშემო მუდამ მეფისადმი ოპოზიციურად განწყობილი ბოიარები ტრიალებდნენ. ეს კიდევ უფრო აღრმავებდა უფსკრულს მეფესა და ტახტის კანონიერ მემკვიდრეს შორის. 1717 წელს ალექსი **ავსტრიაში** გაიქცა, საიდანაც ნეაპოლში გადავიდა. პეტრემ 1718 წელს მოახერხა შვილის რუსეთში ჩამოყვანა. **პრეობრაჟენსკის პრიკაზმა** (პოლიტიკურ საქმეთა სამმბრძომ) მთელი სიმკაცრით დაიწყო საქმის გამოძიება. სასტიკი წამების შემდეგ ალექსიმ ყველა თანამოაზრე გასცა. ისინი დაუყოვნებლივ შეიპყრეს და დასაჯეს. ალექსის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. განაჩენის გამოტანის შემდეგ პეტრეს თანდასწრებით ისევ გაგრძელდა ალექსის დაკითხვა. ალექსი პატიმრობაში დღემდე დაუდგენელი მიზეზით გარდაიცვალა. ერთი ვერსიით, იგი წამებისას შემოაკვდათ, მეორე ვერსიის მიხედვით — წინასწარგანზრახვით მოკლეს. 1718 წლიდან ტრადიციით ტახტის კანონიერი მემკვიდრე ალექსის შვილი **პეტრე** გახდა. პეტრე I-ს მეორე ცოლისაგან ვაჟი არ ყავდა, ქალიშვილებს კი პეტრე ალექსის ძისათვის, ტრადიციისამებრ, ტახტზე მეტოქეობა ვერ უნდა გაეწიათ. პეტრე I-ს არ უნდოდა, რომ ტახტზე მის შემდეგ მისივე შვილიშვილი **პეტრე ალექსის** ძე ასულიყო, ამიტომ 1722 წელს პეტრე I-მა ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციული წესი შეცვალა. ამიერიდან იმპერატორს შეეძლო თვითონ დაენიშნა ტახტის მემკვიდრე. 1724 წელს პეტრე I-მა თავის მეუღლეს მარტა სკავრონსკაიას (ეკატერინეს) საკუთარი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი.

1725 წელს პეტრე I ისე გარდაიცვალა, რომ ტახტის მემკვიდრის დანიშნა ვერ მოასწრო. შეიქმნა რთული ვითარება. რუსეთის იმპერიის ტახტზე შეიძლება პრეტენზია ჰქონოდათ: პეტრე I-ის შვილიშვილს, **პეტრე ალექსის ძეს,** პეტრე I-ის მეუღლეს **ეკატერინეს (მარტა სკავრონსკაიას),** პეტრე I-ის ქალიშვილებს მეორე ქორწინებიდან **ანას, ელისაბედსა** და **ნატალიას.**

პეტრე დიდის მოღვაწეობის შედეგები. პეტრე დიდს რუსეთის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი. პეტრე დიდმა ჩამორჩენილი, კიდევ უფრო უარესი დაკნინებისათვის განწირული და მეზობელი სახელმწიფოებისაგან დაჩაგრული რუსეთი უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების წყალობით, რუსეთი დიდებისა და კეთილდღეობის გზაზე გამოვიდა.

თავი XII. რუსეთი XVIII საუკუნის მეორე მეოთხედსა და შუა ხანებში

პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში უმეტესწილად სახელმწიფო ინტერესები გათვალისწინებული არ ყოფილა და სამეფო კარზე არსებული ყველა დაჯგუფება თუ ცალკეული მაღალი რანგის მოხელე მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

1. ეკატერინე I (1725-1727). პეტრე დიდი ისე გარდაიცვალა, რომ ტახტის მემკვიდრის შესახებ ანდერძის დაწერა ვერ მოასწრო. იმპერატორის გარდაცვალების დღესვე, 1725 წლის 28 იანვარს, შეიკრიბნენ **სენატისა** და **სინოდის** წევრები, ასევე რუსეთის საიმპერატორო კარის სხვა უმაღლესი მოხელეები. შეკრების მიზანი იყო მეფის კანდიდატურის შერჩევა. აშკარად გამოიკვეთა ორი დაჯგუფება. პირველს სათავეში ედგა არაარისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი, პეტრე I-ის დროს დაწინაურებული გალენიანი თავადი **ალექსანდრე მენშიკოვი.** ამ დაჯგუფების კანდიდატი სამეფო ტახტზე პეტრე დიდის მეუღლე **ეკატერინე (მარტა სკავრონსკაია)** იყო. მეორე დაჯგუფებას ძირძველი არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი თავადი **დიმიტრი გოლიცინი** ხელმძღვანელობდა. ისინი ტახტზე პეტრე დიდის შვილიშვილს, **პეტრე ალექსის ძის** აყვანას ცდილობდნენ. ალექსანდრე მენშიკოვმა მოახერხა პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის გვარდიული პოლკების მომხრობა და რუსეთის იმპერიის ტახტზე პეტრე დიდის მეუღლის, ეკატერინე I-ის აყვანა. ეკატერინეს ტახტზე ასვლას აქტიურად დაუჭირა მხარი ადმირალმა **თეოდორე აპრაქსინმაც.**

ეკატერინე I

იმპერატორ **ეკატერინე I-ს** (მარტა სკავრონსკაიას) საკმაოდ ბნელით მოცული წარსული ჰქონდა. იგი დაბადებული იყო **ლიფლანდიაში.** დედამისი, ლიტველი გლეხი ქალი, ლიფლანდიელი აზნაურის **ფონ ალვენდალის** მსახური იყო. ეკატერინე I სწორედ ფონ ალვენდალის **უკანონო შვილი** იყო. ეკატერინე დედას ბავშვობიდანვე დასცილდა და მალე მეძავობას მიჰყო ხელი. 1702 წელს ლიფლანდიის ქალაქი **მარიენბურგი** რუსეთის ჯარმა დაიკავა. ეკატერინე რუსთა ბანაკში აღმოჩნდა და ვიღაც რუს უნტერ-ოფიცერს დაუახლოვდა. მარიენბურგშივე იგი გენერალ-ფელდმარშალ **ბორის შერემეტიევის,** ხოლო ცოტა ხანში **ალექსანდრე მენშიკოვის** საყვარელი ხდება. ალექსანდრე მენშიკოვის სახლში ეკატერინე შემთხვევით შეხვდა სტუმრად მისულ პეტრე I-ს და მალე მისი საყვარელი გახდა. ამ დროისათვის პეტრეს პირველი ცოლი უკვე მონაზვნად იყო აღკვეცილი. 1705 წლისათვის ეკატერინეს პეტრე I-ისგან უკვე ორი ვაჟი (პეტრე და პავლე) ჰყავდა. სულ, როგორც ითქვა, ეკატერინეს პეტრესაგან 11 შვილი შეეძინა, რომელთაგან 8 ბავშვობაშივე დაიღუპა. პეტრე დიდის გარდაცვალების მომენტისათვის ეკატერინეს სამი ქალიშვილი (ანა, ელისაბედი და ნატალია) ჰყავდა. 1712 წელს ეკატერინე პეტრე I-ის კანონიერი მეუღლე გახდა, ხოლო 1724 წელს, როგორც აღვნიშნეთ, პეტრე დიდმა მას თავისი ხელით დადგა იმპერატორის გვირგვინი. ეკატერინე არც სილამაზით გამოირჩეოდა და არც ჭკუით. მან წერა-კითხვა, ფაქტობრივად, ხელის მოწერა, მხოლოდ იმპერატორად გახდომის შემდეგ ისწავლა. მართალია, ეკატერინე პეტრეს არასოდეს ტოვებდა, ლაშქრობებშიც კი თან ახლდა, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა. პეტრეს ეკატერინე გულწრფელად უყვარდა, თუმცა ეს უკანასკნელი ცხოვრების ძველ წესს

ალექსანდრე მენშიკოვი

არ თმობდა და ქმარს ხშირად ღალატობდა. 1724 წელს ეკატერინეს ახალი მიჯნური, **ვილი მონსი**, პეტრე I-მა სიკვდილით დასაჯა.

ეკატერინე I-ის ხანმოკლე მეფობის მანძილზე (1725-1727 წწ.) ქვეყნის მართვა-გამგეობაში დიდ როლს თამაშობდა მისი ფავორიტი თავადი **ალექსანდრე მენშიკოვი**. აშკარა იყო, რომ გაუნათლებელ ეკატერინე I-ს არ შეეძლო უზარმაზარი ქვეყნის მართვა. უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს და ქვეყნის უკეთესად გაძღოლის მიზნით შექმნეს საგანგებო ორგანო — **უმაღლესი საიდუმლო საბჭო**, რომელმაც ძალზე შეზღუდა **სენატის** უფლებამოსილება. უმაღლეს საიდუმლო საბჭოში შეეიდნენ: **ალექსანდრე მენშიკოვი, თეოდორე აპრაქსინი, გავრილ გოლოვკინი, პეტრე ტოლსტოი, ანდრეი ოსტერმანი, დიმიტრი** გოლიცინი და პეტრე დიდის უფროსი ქალიშვილის **ანას** ქმარი, ჰოლშტაინის ჰერცოგი **კარლ ფრიდრიხი**. უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრები პეტრე I-ის დროს დაწინაურებული ადამიანები იყვნენ, ხოლო დიმიტრი გოლიცინი ეკუთვნოდა ძველ არისტოკრატიას. უმაღლეს საიდუმლო საბჭოში ალექსანდრე მენშიკოვის პირველკაცობას ვერ ეგუებოდნენ. პეტრე ტოლსტოიმ ალექსანდრე მენშიკოვის დამხობა გადაწყვიტა, მაგრამ დამარცხდა და სიცოცხლე სოლოვეცკის გადასახლებაში დაასრულა.

1727 წელს იმპერატორი ეკატერინე I ავად გახდა. ჯერ კიდევ მის გარდაცვალებამდე დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. ალექსანდრე მენშიკოვის ძალისხმევით მომაკვდავმა იმპერატორმა თავის ანდერძში ტახტის მემკვიდრედ პეტრე დიდის შვილიშვილი, **პეტრე ალექსის ძე** დაასახელა.

2. **პეტრე II ალექსის ძე (1727-1730).** პეტრე დიდის ვაჟს ალექსის დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი — **ნატალია** და **პეტრე**. პეტრე ალექსის ძემ დედა, პრინცესა **შარლოტა ვოლფენბიუტელი**, ჯერ კიდევ მცირეწლოვნობისას დაკარგა. უფლისწულ პეტრეს აღზრდა პეტრე დიდის მეუღლემ, ეკატერინემ იკისრა. პეტრე ალექსის ძისათვის რუსეთის ტახტზე ასვლის შანსი ეკატერინე I-ის გარდაცვალების შემდეგაც მცირე იყო. პეტრე დიდის დროს მიღებული ტახტის მემკვიდრეობის კანონის მიხედვით, ეკატერინე I-ს შეეძლო ტახტის მემკვიდრედ მისივე ქალიშვილები — ანა ან ელისაბედი — გამოეცხადებინა. ეს ასეც მოხდებოდა, რომ არა ალექსანდრე მენშიკოვის შორსგამიზნული გეგმები. ალექსანდრე მენშიკოვმა იმპერატორი ეკატერინე I დაითანხმა, რომ მცირეწლოვან **პეტრე ალექსის ძისათვის** მისი ქალიშვილი **მარია მენშიკოვა** შეერთო. როგორც კი ალექსანდრე მენშიკოვმა იმპერატორის ნებართვა მიიღო, რუსეთის ტახტზე მისი მომავალი სიძის, პეტრე ალექსის ძის აყვანისათვის დაიწყო ზრუნვა. როგორც აღვნიშნეთ, ალექსანდრე მენშიკოვმა მიზანს მიაღწია და მომაკვდავმა ეკატერინე I-მა ტახტის მემკვიდრედ თავის ანდერძში პეტრე ალექსის ძე მოიხსენია.

პეტრე II 12 წლის იყო, როცა რუსეთის იმპერატორი გახდა. მცირეწლოვან იმპერატორს რეგენტობას **უმაღლესი საიდუმლო საბჭო** უწევდა. ალექსანდრე მენშიკოვმა მიაღწია იმას, რომ 1727 წელს **პეტრე II-ისა** და **მარია მენშიკოვას** ნიშნობა შედგა. ეს იყო ალექსანდრე მენშიკოვის ბოლო წარმატება. უმაღლეს საიდუმლო საბჭოში მისი მოწინააღმდეგე ოპოზიცია ძლიერდებოდა. პეტრე II-ის უახლოესი მეგობარი იყო **ალექსი** დოლგორუკოვის ვაჟი ივანე. დოლგორუკოვებმა **ანდრეი ოსტერმანის** აქტიური დახმარებით შეძლეს იმპერატორის გადაბირება. პეტრე II-ისა და მარია მენშიკოვას ნიშნობა ძალადაკარგულად გამოცხადდა. ხმები გავრცელდა, რომ იმპერატორი ალექსი დოლგორუკოვის ქალიშვილზე, **ეკატერინეზე**

დაქორწინდებოდა. 1727 წელს ალექსანდრე **მენშიკოვი შეიპყრეს**, წოდება და ქონება ჩამოართვეს და ოჯახთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. მალე იგი ციმბირშივე გარდაიცვალა.

პეტრე II მთელ დროს ნადირობასა და გართობაში ატარებდა. მის ნაცვლად სახელმწიფო საქმეებს უმაღლესი საიდუმლო საბჭო უძღვებოდა. **ამჯერად** იმპერატორის ფავორიტი **ანდრეი ოსტერმანი** გახდა. 1729 წელს გამოცხადდა, რომ პეტრე II ჯვარს დაიწერდა **ეკატერინე დოლგორუკოვაზე**. მალე ნიშნობაც შედგა, მაგრამ 1730 წელს პეტრე II ყვავილით დაავადდა და გარდაიცვალა.

პეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ რომანოვების სამეფო საგვარეულოში მამაკაცი აღარ დარჩა. პეტრე II-ს შვილი არ დარჩენია, ხოლო ანდერძი ტახტის მემკვიდრის შესახებ კრ დაუტოვებია. რუსეთის ტახტზე რეალურ პრეტენდენტებად იქცნენ პეტრე დიდის ქალიშვილები მეორე ცოლისაგან — **ანა** და **ელისაბედი**, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა.

უმაღლესი საიდუმლო საბჭო ესწარფოდა იმპერატორის განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვას. ამის ყველაზე თავგამოდებული

ანა ივანეს ასული

მომხრე იყო ძირძველი არისტოკრატი თავადი **დიმიტრი გოლიცინი**. დიმიტრი გოლიცინის ინიციატივით, უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ გადაწყვიტა, რუსეთის ტახტზე აეყვანა პეტრე დიდის ნახევარძმის, ალექსი მიხეილის ძისა და მარია მილოსლავსკაიას ვაჟის ივანეს (მეფე ივანე V) ქალიშვილი **ანა**. ამასთან, უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ **ანა ივანეს ასულს** წაუყენა პირობები. ტახტზე ასვლის შემთხვევაში უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გარეშე მას არ შეეძლო: 1) ომის დაწყება; 2) ზაკის დადება; 3) გადასახადების დაწესება; 4) პოლკოვნიკზე მაღალი ჩინის მინიჭება; 5) თავადაზნაურობისათვის სასამართლოს გარეშე წოდებისა და მამულის ჩამორთმევა; 6) მამულებითა და სოფლებით დასაჩუქრება; 7) კარისკაცებისათვის წოდებების ბოძება; 8) სახელმწიფო შემოსავლის პირადი მიზნებისათვის გამოყენება. ამ პირობის მიხედვით შედგენილი დოკუმენტი, ე.წ. **კონდიციები**, ანა ივანეს ასულს ქალაქ **მიტავაში** გაუგზავნეს. ანა ივანეს ასულმა ეს პირობები მიიღო — კონდიციებს ხელი მოაწერა. ამრიგად, 1730 წელს რუსეთის იმპერატორი **ანა ივანეს ასული** გახდა. კურლანდიიდან ანა მოსკოვში ჩავიდა.

3. ანა ივანეს ასული (1730-1740). იმპერატორ ანა ივანეს ასულის მამა, როგორც აღვნიშნეთ, იყო ალექსი მიხეილის ძის ვაჟი პირველი მეუღლის, მარია მილოსლავსკაიასაგან — **ივანე**, რომელმაც პეტრე პირველთან ერთად იმეფა კიდეც ივანე V-ს სახელით (1682-1696).

ანას მამა, **ივანე ალექსის ძე**, ნახევრად ბრმა და გონებასუსტი იყო. მას ცოლად ჰყავდა თავადის ქალი **პრასკოვია სალტიკოვა**. ანას ნამდვილი მამა ივანე არ შეიძლება ყოფილიყო. თითქმის ეჭვი არაა, რომ ანას მამა იყო არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი **ვასილი იუშკოვი**. 1710 წელს პეტრე I-ის ნების თანახმად, ანა კურლანდიის ჰერცოგზე **ფრიდრიხ-ვილჰელმზე** დააქორწინეს. ქორწილის შემდეგ პეტერბურგში დიდხანს გაგრძელდა გართობა და ნადიმები. ფრიდრიხ-ვილჰელმი უსაშველოდ ლოთი აღმოჩნდა და უზომო დროსტარებას გადაჰყვა კიდეც. 1711 წელს იგი სამშობლოში მიმავალი გარდაიცვალა. დაქვრივებული ანა ივანეს ასული ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა კურლანდიაში (ქალაქ მიტავაში). საჰერცოგოს მართვა-გამგეობაში იგი არ მონაწილეობდა. ანას ნაცვლად საჰერცოგოს მართავდა მისი საყვარელი **ერნსტ-იოჰან ბიურენი**, რომელმაც მალე **ბირონის** თავადური გვარი

მიიღო და რუსეთის ისტორიაშიც ამ გვარით შევიდა. ერნსტ-იოჰან ბირონს კანონიერი მეუღლისაგან შეეძინა შვილები. თითქმის დადასტურებულია, რომ სინამდვილეში ყველა ბავშვი ანა ივანეს ასულისა იყო და არა ბირონის კანონიერი მეუღლისა.

ა) **საშინაო პოლიტიკა**. 1732 წელს იმპერატორი ანა ივანეს ასული მოსკოვიდან პეტერბურგში გადავიდა და შემდეგ მოსკოვში არასოდეს დაბრუნებულა. ანა ივანეს ასულის მეფობის პირველივე ხანებიდან თავადმა **ვასილი დოლგორუკოვმა** გადაწყვიტა, არ დაეშვა იმპერატორის მოქცევა ვინმეს გავლენის ქვეშ, რადგან ამ დროისათვის რუსეთის არისტოკრატია ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ორივე მხარე ცდილობდა იმპერატორის მიმხრობას. **არისტოკრატიის ერთი ნაწილი მომხრე იყო პეტრე დიდის დროინდელი თვითმპყრობელური ხელისუფლების შენარჩუნებისა, მეორე ნაწილი ანა ივანეს ასულის მიერ ხელმოწერილი კონდიციების საფუძველზე მმართველობის სისტემის გარდაქმნას უჭერდა მხარს**. ორივე დაჯგუფებას უპირისპირდებოდა უმაღლესი საიდუმლო საბჭო, რომელსაც არ სურდა ძალაუფლების დაკარგვა. 1730 წელს სენატის წევრებმა, გენერალიტეტისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა ანა ივანეს ასულს სთხოვეს, შუამავლის როლი შეესრულებინა უმაღლეს საიდუმლო საბჭოსა და სენატს შორის, რაოა შესაძლებელი გამხდარიყო მმართველობის ისეთი ფორმის შემოღება, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა. ასეთ კრიტიკულ მომენტში გვარდიულმა პოლკებმა იმპერატორის თვითმპყრობელური ხელისუფლების შენარჩუნებას დაუჭირეს მხარი. ანა ივანეს ასულმა თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვის მომხრე თავადი **ვასილი დოლგორუკოვი** გვარდიის სარდლობიდან გადააყენა და მის ნაცვლად **პეტრე სალტიკოვი** დანიშნა. მალე ასორმოცდაათმა კაცმა ანა ივანეს ასულს თხოვნა მიართვა. ისინი იმპერატორს სთხოვდნენ, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება შეენარჩუნებინა და ქვეყანა წინაპართა მსგავსად ემართა, ხოლო უმაღლესი საიდუმლო საბჭოს მიერ შემუშავებული და ანასათვის თავსმოხვეული კონდიციები დაეხია. ანა ივანეს ასულმა აღარ დააყოვნა და მის მიერ ხელმოწერილი კონდიციები საჯაროდ დახია. ივანე დოლგორუკოვი სიკვდილით დასაჯეს. 1731 წელს უმაღლესი საიდუმლო საბჭო **მინისტრთა კაბინეტმა** შეცვალა. მინისტრთა კაბინეტი სამი მინისტრისაგან შედგებოდა და მას **ანდრეი ოსტერმანი** თავმჯდომარეობდა. მინისტრთა კაბინეტს დიდი უფლებამოსილება ჰქონდა. 1735 წელს ანა ივანეს ასულმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც მინისტრთა კაბინეტის სამივე წევრის (მინისტრის) ერთობლივი ხელმოწერა იმპერატორის ხელმოწერას გაუთანაბრდა. იმპერატორის არავითარ კონტროლს არ უწევდა მინისტრთა კაბინეტის მუშაობას. მალე მინისტრთა კაბინეტმა განუსაზღვრელი ძალაუფლება მიიღო და თითქმის იმავე როლს თამაშობდა, რასაც უმაღლესი საიდუმლო საბჭო ასრულებდა წინათ.

რუსეთის იმპერიის ტახტზე რომ ავიდა, ანა ივანეს ასული 37 წლისა იყო. ამ პერიოდისათვის მისი ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ანა არ იყო ლამაზი ქალი, არც ჭკუით გამოირჩეოდა და არც განათლება ჰქონდა. იმპერატორი დიდ ინტერესს არ იჩენდა სახელმწიფო საქმეებისადმი და მთელ დროს გართობაში ატარებდა. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ანამ თავის ფავორიტს, **ერნსტ-იოჰან ბირონს** გადააბარა, რომელსაც 1737 წელს კურლანდიის ჰერცოგობაც უბოძა. შემთხვევითი არაა, რომ ანას მმართველობის პერიოდს „**ბირონოვშჩინა**“ უწოდეს. ხელისუფლებაში წამყვანი პოსტები გერმანელებმა მიიღეს. საგარეო საქმეს **ანდრეი ოსტერმანი** განაგებდა, არმიას — **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხი**, გვარდიას — **ფრიდრიხ-**

ერნსტ-იოჰან ბირონი

კარლ ლევენვოლდე. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდა **ი.დ. შუმახერი.** გერმანიიდან რუსეთში ჩამოვიდა მრავალი მედროვე, კარიერისტი და ხაზინის ქურდი.

გერმანელთა პარპაშისათვის ბოლოს მოღება სცადა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მინისტრთა კაბინეტის წევრმა **არტიომ ვოლინსკიმ,** მაგრამ იგი 1740 წელს შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ანა ივანეს ასულის მეფობის პერიოდში გაძლიერდა პოლიტიკური პოლიცია. 1730 წელს პრეობრაჟენსკის პრიკაზის (პოლიტიკურ საქმეთა სამმართველოს) ნაცვლად შეიქმნა **საიდუმლო კანცელარია,** რომლის დანიშნულებას შეადგენდა იმპერატორისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიება. საიდუმლო კანცელარიის უფროსად დაინიშნა **ა.ი. უშაკოვი.** ანა ივანეს ასულს მუდმივი შიში ჰქონდა შეთქმულებისა. შეთქმულების შიში ჰქონდა **ერნსტ-იოჰან ბირონსაც.** სწორედ ამიტომ საიდუმლო კანცელარია ყოველისშემძლე ორგანოდ იქცა. მისი აგენტები მთელ ქვეყანაში დაძრწოდნენ. ანა ივანეს ასულის მეფობის წლებში 20 ათასზე მეტი ადამიანი გადაასახლეს ციმბირში, რომელთაგანაც 5 ათასზე მეტს საერთოდ არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. სულ რეპრესიები შეეხო 30 ათასზე მეტ კაცს, რომელთაგან 1000 სიკვდილით დასაჯეს.

ანა ივანეს ასული ანგარიშს უწევდა თავადაზნაურობის სურვილს. 1731 წელს გაუქმდა პეტრე დიდის დროს მიღებული კანონი, რომლის ძალითაც მემამულეს არ შეეძლო მიწა შვილებს შორის დაენაწილებინა და მთელი მამული მხოლოდ ერთი შვილისათვის უნდა გადაეცა. ამიერიდან თავადაზნაურობას შეეძლო, როგორც სურდა, ისე დაენაწილებინა მამული.

ანა ივანეს ასულმა გაზარდა გვარდიის რაოდენობა. შეიქმნა ორი ახალი გვარდიული პოლკი — **იზმაილოვსკისა** და **ცხენოსანი გვარდიისა.** თავადაზნაურობამ უფლება მიიღო, შვილები მცირეწლოვნობიდანვე რომელიმე გვარდიულ პოლკში ჩაეწერათ. პოლკში ჩაწერილი ბავშვები განათლებას შინ იღებდნენ და სათანადო **პროგრამით** გამოცდების ჩაბარების შემდეგ გვარდიულ პოლკში ოფიცრად იწყებდნენ სამსახურს. 1732 წელს თავადაზნაურთა შვილებისათვის **გაიხსნა ქვეითი სამხედრო** სასწავლებელი — **კადეტთა კორპუსი.** ცოტა მოგვიანებით გაიხსნა **საზღვაო, საარტილერიო** და **პაჟთა** კორპუსები. 1735 წელს თავადაზნაურთათვის არმიაში სამსახურის ვადა 25 წლით განისაზღვრა. ანა ივანეს ასულის მეფობის წლებში დამძიმდა გლეხთა მდგომარეობა. 1731 წლიდან იმპერატორის ერთგულების ფიცს გლეხის სახელით მისი ბატონი დებდა. იმავე წელს გლეხობიდან **სულადობრივი გადასახადის** აკრეფა მემამულეებს დაევალათ. მემამულეს უფლება მიეცა, ყმა გლეხის გაქცევის შემთხვევაში თავად განესაზღვრა სასჯელის ზომა. 1736 წელს ქარხნებში მომუშავე გლეხები სამუდამოდ მიამაგრეს ქარხნებს და მათი გაყიდვა მანუფაქტურის (ქარხნის) გაყიდვის გარეშე აიკრძალა.

ბ) **საგარეო პოლიტიკა.** XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში რუსეთის საგარეო პოლიტიკა აღარ იყო ისეთი აქტიური, როგორც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ქვეყანა ისვენებდა ხანგრძლივი და მძიმე ომებისაგან. **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხმა** რუსეთის არმიის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანა დაიწყო, სამაგიეროდ, სამხედრო ფლოტი ნავსადგურებში ლპებოდა. ქვეყნის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში მიმდინარეობდა თავდაცვითი ხაზების მშენებლობა. არმიასა და ფლოტში უმნიშვნელოვანესი თანამდებობები უცხოელებს (ძირითადად გერმანელებს) ეკავათ.

ეჭ პოსპოლიტას მეფის **ავგუსტ II-ს** გარდაცვალებით (1733 წ.) ქვეყანაში დაიწყო უმეფობის ხანა. ტახტისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა რამდენიმე დაჯგუფება. საფრანგეთმა ეჭ პოსპოლიტას ტახტზე მხარი დაუჭირა **სტანისლავ ლეშჩინსკის,** რუსეთმა და ავსტრიამ — გარდაცვლილი მეფის ავგუსტ II-ს შვილს, **ავგუსტ III-ს** კანდიდატურას. სეიმმა ეჭ პოსპოლიტას მეფედ სტანისლავ ლეშჩინსკი აირჩია. ეს გახდა საბაბი რუსეთსა და ეჭ პოსპოლიტას შორის ომის დაწყებისა. ომი 1733-1735 წლებში მიმდინარეობდა. ფელდმარშალ **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხის** სარდლობით რუსთა ჯარმა 1733 წელს ქალაქი **გდანსკი** (დანცინგი) აიღო. **სტანისლავ ლეშჩინსკი** საფრანგეთში გაიქცა. ტახტი **ავგუსტ III-მ** დაიკავა. ყირიმის ხანის მიერ რუსეთის ტერიტორიის ხშირი დარბევები რუსეთ-თურქეთის 1735-1739 წლების ომის მიზეზი გახდა. ამ ომში რუსეთის მოკავშირედ **ავსტრია** გამოვიდა. 1736 წელს რუსთა ჯარმა ფელდმარშალ **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხის** სარდლობით ყირიმის სახანოს დედაქალაქი **ბახჩისარაი** და **აზოვი** დაიკავა, ხოლო 1737 წელს შავი ზღვის სანაპიროზე (მდინარე დნეპრის შესართავში) მდებარე ოჩა-

სუზდალი. ნიკოლსკის ეკლესია (1720-1739 წწ.)

კოვის სიმაგრე აიღო. 1739 წელს რუსებმა **სტავუჩანთან** (მდინარე დნესტრზე) თურქეთის სულთნისა და ყირიმის ხანის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. რუსეთის არმია მზად იყო მდინარე **დუნაი** გადაელახა, მაგრამ თურქეთის ჯარებთან დამარცხებული ავსტრია იძულებული გახდა სეპარატიული ზავი დაედო. რუსეთი უმოკავშირეოდ დარჩა. 1739 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ქალაქ **ბელგრადში** ზავი დაიდო. ბელგრადის ზავით რუსეთმა მიიღო **აზოვი**, ოღონდ საფორტიფიკაციო ნაგებობების (სიმაგრეების) გარეშე. რუსეთის ხელში გადავიდა ასევე ტერიტორია მდინარე **სევერსკი დონეცსა** (მდინარე დონის მარჯვენა შენაკადი) და მდინარე **სამხრეთ ბუგს** შორის. ზავი ზღვის სანაპირო ზოლი თურქეთის ხელში დარჩა.

ანა ივანეს ასულის მეფობის დროს გადაიდგა ნაბიჯები ყაზახეთის დასაპყრობად. XVIII საუკუნის დამდეგისათვის ყაზახეთის მოსახლეობა სამ **ჟუზად** (გვარად) იყოფოდა. ჟუზები ასე იწოდებოდა: **უმცროსი, შუათანა** (საშუალო) და **უფროსი**. უმცროსი და შუათანა ჟუზები რუსეთის იმპერიას ესაზღვრებოდნენ. 1731 წელს ანა ივანეს ასულმა ყაზახთა **უმცროსი ჟუზი** რუსეთის ნაწილად გამოაცხადა. უმცროსი ჟუზის სულთანმა **აბდულ-ჰაირმა** და ჟუზის დიდკაცობამ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი მიიღო. 1740-1743 რუსეთის შემადგენლობაში შევიდა **შუათანა ჟუზი**. 1742 წელს რუსებმა, სამხრეთში ფეხის მოკიდების მიზნით, დააარსეს **ორენბურგი** და მდინარე **იაიკზე** (**ურალზე**) ციხესიმაგრე ააგეს.

გ) ტახტის მემკვიდრის საკითხი. 1740 წელს იმპერატორი ანა ივანეს ასული გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრის საკითხი ადრევე იყო გადაწყვეტილი. ანა ივანეს ასულს კანონიერი შვილი არ ჰყავდა. ანას უმცროსი და, ეკატერინე ივანეს ასული გათხოვილი იყო **მაკლენბურგის ჰერცოგ ლეოპოლდზე**. ეკატერინესა და ლეოპოლდს ჰყავდათ ქალიშვილი **ანა**. 1731 წელს იმპერატორმა ანა ივანეს ასულმა რუსეთის ტახტის მემკვიდრედ თავისი დისშვილის, **ანა ლეოპოლდის ასულის**, მომავალი შვილი გამოაცხადა. 1731 წელს ანა ლეოპოლდის ასული 13 წლისა შესრულდა და ჯერ გათხოვილიც არ იყო. მოგვიანებით ანა ლეოპოლდის ასული ბრაუნშვაიგის ჰერცოგ **ანტონზე** გათხოვდა და 1740 წელს შვილიც შეეძინა. ანა ლეოპოლდის ასულის შვილი — **ივანე ანტონის ძე** — იმპერატორ ანა ივანეს ასულის გარდაცვალების დროს მხოლოდ სამი თვისა იყო.

4. ივანე VI ანტონის ძე (1740). ივანე ანტონის ძე იმპერატორ ანა ივანეს ასულის მძიმედ დაავადების პირველსავე დღეს, 1740 წლის 5 ოქტომბერს, ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდა. 17 ოქტომბერს ანა ივანეს ასული გარდა-

იცვალა. იმავე დღეს **ივანე ანტონის ძე** იმპერატორად გამოცხადდა. 18 ოქტომბერს სამი თვის ივანე VI ანტონის ძე ზამთრის სასახლეში გადაიყვანეს. ანა ივანეს ასულის მიერ ივანე VI-ს რეგენტად **ერნსტ-იოჰან ბირონი** იყო დანიშნული, მაგრამ ცნობილ მეფეროვეს აღარ დასცალდა. 1740 წლის 8 ნოემბერს გვარდიელებმა ფელდმარშალ **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხის** ხელმძღვანელობით **ერნსტ-იოჰან ბირონი** შეიპყრეს, ივანე **VI ანტონის ძის** რეგენტად კი დედამისი **ანა ლეოპოლდის ასული** გამოაცხადეს.

ანა ლეოპოლდის ასულს არ შეეძლო რეგენტის მოვალეობის შესრულება. თავდაპირველად მთელი ძალაუფლება **ბურჰარდ-კრისტოფ მინიხის** ხელში გადაეიდა, მალე მისი ადგილი **ანდრეი ოსტერმანმა** დიკავა. იმავე წელს რუსეთში ახალი გადატრიალება მოხდა.

1741 წლის 24 ნოემბერს პეტრე დიდის ქალიშვილმა **ელისაბედმა** პრეობრაჟენსკის გვარდიული პოლკის ძალებით ივანე VI ანტონის ძის გარშემო დაჯგუფებული გერმანელები **ანდრეი ოსტერმანის** მეთაურობით დაამარცხა. ელისაბედ პეტრეს ასულმა ივანე VI-ს, მისი დედ-მამის — ანასა და ანტონის — რუსეთიდან გაძევება გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. გერმანიაში მიმავალი გაძევებულები ქალაქ **რიგაში** დააკავეს და ციხეში ჩასვეს. შემდეგ მთელი ოჯახი საიდუმლოდ გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. ბოლოს დამხობილი იმპერატორი დედასა და მამასთან ერთად **ხოლმოგორში** გადაასახლეს. ანა და ანტონი იქვე გარდაიცვალნენ, ხოლო ივანე VI 1756 წელს **შლისელბურგის ციხეში** ჩასვეს, სადაც პატიმარს წლების მანძილზე ადამიანის სახე არ უხილავს.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1741 წლის 25 ნოემბერს რუსეთის იმპერიის ტახტზე ავიდა პეტრე დიდის ასული **ელისაბედი**.

5. ელისაბედ I პეტრეს ასული (1741-1761). ელისაბედ პეტრეს ასული მამის გარდაცვალების დროისათვის 15 წლისა იყო, ხოლო 17 წლისას დედაც გარდაეცვალა. მისი ნახევარძმის ალექსის ვაჟის, პეტრე II-ის რუსეთის იმპერიის ტახტზე ასვლის შემდეგ ელისაბედის იმპერატორობაზე, ალბათ, არავინ ფიქრობდა. თუმცა განგებამ სხვაგვარად ინება.

ა) ელისაბედის გზა ტახტისაკენ. ელისაბედ პეტრეს ასული იყო გასაოცარი სილამაზის ქალი. მართალია, მას საფუძვლიანი განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ფრანგული ენის კარგმა ცოდნამ ბევრი რამ მისცა მომავალ იმპერატორს. ელისაბედი ოჯახის წევრებსა და, საერთოდ, მაშინდელი რუსეთის უმაღლეს არისტოკრატიაში გამოირჩეოდა გონებამახვილობით, დახვეწილი მანერებით, მოდური ჩაცმულობითა და ელეგანტურობით.

პეტრე დიდსა და მის მეუღლეს ეკატერინეს სურდათ, ელისაბედი საფრანგეთში, **ბურბონთა** დინასტიის წარმომადგენელზე გაეთხოვებინათ. მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარის ყოველ თხოვნას ბურბონები თავაზიანი უარით პასუხობდნენ. ბურბონებთან დანათესავების წარუმატებელი ცდების შემდეგ, ასევე წარუმატებლად დამთავრდა ჟეჩ პოსპოლიტას მეფის, **აუგუსტ II-ის** ოჯახთან დანათესავების ცდაც. ელისაბედი ვერც **ჰოლშტაინის ჰერცოგის ძმაზე** დაქორწინდა (სასიძო ქორწილის წინ პეტერბურგში გარდაიცვალა). ამის შემდეგ **ანდრეი ოსტერმანმა** გადაწყვიტა ელისაბედი თავისი ნახევარძმის ალექსის ვაუზე, იმპერატორ **პეტრე II-ზე** დაექორწინებინა. როგორც აღვნიშნეთ, იმპერატორ პეტრე II-ზე თავისი ქალიშვილის დაქორწინება უნდოდა **ალექსანდრე მენშიკოვს**. ალექსანდრე მენშიკოვი ყოველსაირად ხელს უშლიდა ელისაბედისა და პეტრე II-ის ქორწინებას. ელისაბედი პეტრე II-ის მამიდა იყო, ამიტომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა. ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ანდრეი ოსტერმანმა მაინც მოახერხა და პეტრე II-ს მამიდა

ელისაბედ I

სერიოზულად შეაყვარა. პეტრე II და ელისაბედი მართლაც იქორწინებდნენ, რომ არა ერთი გარემოება. 17. წლის ელისაბედმა მალე დაკარგა ინტერესი 12 წლის პეტრესადმი. მალე ელისაბედის საყვარელი გახდა **ალექსანდრე ბუტურლინი**. პეტრე II-მ შური იძია და შეყვარებულები ერთმანეთს დააცილა — ალექსანდრე ბუტურლინი უკრაინაში გაგზავნა. ელისაბედის შემდეგი საყვარელი იყო **სიმონ ნარიშკინი**. მალე პეტრე II-მ კვლავ იძია შური და სიმონ ნარიშკინი საზღვარგარეთ გაგზავნა. როცა პრუსიის ელჩმა პეტრე II-ს **ბრანდენბურგის ჰერცოგზე** ელისაბედის გათხოვება ურჩია, პეტრე II-მ ელჩს უარი ისე უთხრა, რომ ელისაბედისათვის არც კი უკითხავს. სიცოცხლის ბოლომდე პეტრე II ცდილობდა ელისაბედის ახლოს მამაკაცი არ გაეჭაჭანებინა. თუმცა ამას ელისაბედისათვის ხელი არ შეუშლია მესამე საყვარელი გაეჩინა — ამჯერად გრენადერთა პოლკის ჯარისკაცი **შუბინი**.

ბ) **სასახლის გადატრიალება**. ანა ივანეს ასულის გამეფების შემდეგაც ელისაბედი მოსკოვის ახლოს მდებარე თავის მამულში, სოფელ **პოკროვსკოეში** ცხოვრობდა და საიმპერატორო კარის ინტრიგებთან არაფერი აკავშირებდა. იგი პეტერბურგში მხოლოდ ანა ივანეს ასულის მოთხოვნით გადასახლდა, სადაც მუდმივ მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. ამ დროისათვის ელისაბედი ულამაზეს ქალად ითვლებოდა. პეტერბურგში გადასვლის შემდეგ მისი საყვარელი იყო **ალექსი რაზუმოვსკი**. პეტერბურგში ელისაბედი ძალზე დაუახლოვდა გვარდიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. იგი მალე პოპულარული გახდა გვარდიული პოლკების ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის. ბევრი მათგანი ელისაბედთან ინტიმურ კავშირშიც იმყოფებოდა.

ანა ივანეს ასულის გარდაცვალების შემდეგ (1741 წ.) სასახლის კარზე გერმანელთა პარტიის აღკვეთის მიზნით, პეტერბურგში დიდი მოძრაობა დაიწყო., **ერნსტ-იოჰან ბირონი** ყველას სძულდა, არ უყვარდათ **ანდრეი ოსტერმანი, ბურჰარდ-კრისტოფ მინიხი** და ბრაუნშვაიგის ჰერცოგი **ანტონი**, ხოლო ანა **ლეოპოლდის ასულს** პატივს არავინ სცემდა. პატრიოტი რუსი სახელმწიფო მოღვაწეები იმედებს ელისაბედზე ამყარებდნენ. როგორც ირკვევა, შეთქმულება სერიოზულად არც მზადდებოდა, იყო მხოლოდ დიდი სურვილი, თავი დაეღწიათ გერმანელთა ბატონობისაგან. ყველაფერი მოულოდნელად და სწრაფად განხორციელდა. ანა ლეოპოლდის ასულმა ელისაბედს ბრალი დასდო შეთქმულების ორგანიზებაში. ლოდინი აღარ შეიძლებოდა. გერმანელები ელისაბედთან ანგარიშსწორებას აღარ დააყოვნებდნენ.

1741 წლის 25 ნოემბერს, შუაღამისას, ელისაბედი **პრეობრაჟენსკის პოლკის** ყაზარმებში გამოცხადდა. მას თან ახლდნენ: **მიხეილ ვორონცოვი**, ძმები **ალექსანდრე** და **პეტრე შუვალოვები**, **ალექსი რაზუმოვსკი** და **პეტრე სალტიკოვი**. 300 გვარდიელმა ჯარისკაცმა ელისაბედს ერთგულება შეჰფიცა. ზამთრის სასახლის დაცვაც ელისაბედის მხარეზე გადავიდა, რამაც ელისაბედს საშუალება მისცა, დაუბრკოლებლად შესულიყო სასახლეში. იმპერატორი **ივანე VI, ანა ლეოპოლდის ასული** და ბრაუნშვაიგის ჰერცოგი **ანტონი** დააპატიმრეს. დაპატიმრეს **ანდრეი ოსტერმანი, ბურჰარდ-კრისტოფ** მინიხი და სხვა გერმანელები.

1741 წლის 25 ნოემბერს ელისაბედ I პეტრეს ასული რუსეთის იმპერატორი გახდა. როგორც აღვნიშნეთ, ბრაუნშვაიგის საჰერცოგოს მხრიდან საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ელისაბედ I-მა ივანე VI, დედ-მამასთან ერთად ჯერ ციხეში გამოკეტა, ხოლო შემდეგ გადასახლებაში გაგზავნა. ელისაბედ I წინააღმდეგობას ელოდა **ჰოლშტაინის საჰერცოგოს** მხრიდანაც. ელისაბედს ოფიციალური ქმარი არ ჰყავდა (1742 წელს ელისაბედ I-მა მოსკოვის ახლოს მდებარე სოფელ პეროვოში ფარულად დაიწერა ჯვარი ალექსი რაზუმოვსკიზე. ამის შემდეგაც იმპერატორი თავს არ იზღუდავდა. მისი ფავორიტები იყვნენ: პეტრე შუვალოვი, რომან ვორონცოვი, ივანე შუვალოვი და სხვ.), არც ტახტის მემკვიდრე გაუჩენია. სწორედ ამიტომ მან 1742 წელს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა დის, პეტრე დიდის ქალიშვილის ანასა და ჰოლშტაინის ჰერცოგის **კარლ-ფრიდრიხის** ვაჟი **პეტრე**.. ამით ელისაბედ I-მა ტახტის მემკვიდრის საკითხიც გადაჭრა, და თანაც **ბრაუნშვაიგის ჰერცოგთა** (დამხობილი იმპერატორის ივანე VI-ს ნათესავთა) საგვარეულოს მხრიდან, პრეტენზიების შემთხვევაში, **ჰოლშტაინის ჰერცოგთა** საგვარეულოს მხარდაჭერაც წინასწარ მოიპოვა. სხვა მხრივ ელისაბედ I გერმანელთა მიმართ არავითარ დათმობას არ აპირებდა.

გ) საშინაო პოლიტიკა. ელისაბედ I-მა მიზნად დაისახა პეტრე დიდის დროინდელი სახელმწიფო მმართველობის აღდგენა. **სენატს** დაუბრუნა ძველი უფლებები, აღდგა **კოლეგიებისა** და **მთავარი მაგისტრატის** საქმიანობა. იმპერა-

ტორმა გააუქმა მინისტრთა კაბინეტი და მისი ადგილი დაიკავა საიმპერატორო კართან არსებულმა **კონფერენციამ**. აღიკვეთა **საიდუმლო კანცელარიის** პარპაში. ელისაბედ I-ის დროს, 1755 წელს გაიხსნა **მოსკოვის უნივერსიტეტი**. სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე დაინიშნენ რუსები: **ალექსი ბესტუჟევ-რიუმინი, ალექსი რაზუმოვსკი, ალექსანდრე შუვალოვი, პეტრე შუვალოვი, პეტრე სალტიკოვი, მიხეილ ვორონცოვი** და სხვები.

ელისაბედ I-ის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა თავადაზნაურობის უფლებები. 1746 წლის კანონის ძალით, მიწისა და გლეხების ფლობის უფლება მხოლოდ თავადაზნაურებს მიენიჭათ. გაიხსნა სათავადაზნაურო ბანკი. 1760 წელს მემამულეებმა გლეხების ციმბირში გადასახლების უფლება მიიღეს. საერთოდ, მემამულეს უფლება მიეცა, გლეხის მიმართ ის უფლებები გამოეყენებინა, რაც კანონით აქამდე პოლიციას ჰქონდა მინიჭებული. გლეხებს აეკრძალათ მემამულის ნებართვის გარეშე ფულადი ოპერაციების წარმოება.

დ) საგარეო პოლიტიკა. ელისაბედ I-ს მეფობის დასაწყისშივე მოუხდა ომის წარმოება შვეციასთან. შვეცია ვერ შეურიგდა ჩრდილოეთის ომში მარცხს და ხელსაყრელ დროს ელოდა რევანშის ასაღებად. 1741 წელს შვეციამ ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთ-შვეციის 1741-1743 წლების ომი ფინეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. რუსეთის სახმელეთო ჯარებმა და სამხედრო ფლოტმა დაამარცხა შვედები. ზავი ქალაქ **აბოში** დაიდო. აბოს ზავით შვეციამ დაადასტურა ნიშტადტის ზავის (1721 წ.) პირობები. გარდა ამისა, რუსეთმა დამატებით მიიღო ფინეთის ტერიტორია მდინარე კიუმენამდე.

XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ევროპაში ვითარება ძალზე დაიძაბა. კოლონიებისათვის ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ **ინგლისი** და **საფრანგეთი**. პრუსიის აგრესიული გეგმები სულ უფრო ცხადად ეჯახებოდა **საფრანგეთის, ავსტრიისა** და **რუსეთის** ინტერესებს. პრუსია მიზნად ისახავდა **პოლონეთისა** და **ბალტიისპირეთის** ხელში ჩაგდებას, რაც უდიდესი დარტყმა იქნებოდა რუსეთისათვის. ევროპის ქვეყნების დაპირისპირება ომში გადაიზარდა, რომელიც 1756-1763 წლებში მიმდინარეობდა და ისტორიაში **შვიდწლიანი ომის** -სახელითაა ცნობილი. შვიდწლიან ომში ევროპის სახელმწიფოები ორ ბანაკად გაიყვნენ. **პრუსიას, ინგლისსა** და **პორტუგალიას** ებრძოდნენ **ავსტრია, საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, საქსონია** და **შვეცია**. პრუსიის მეფე **ფრიდრიხ** II დიდს უძლიერესი არმია ჰყავდა, რომელმაც 1757 წელს **როსბახთან** და **ლეიტენთან** სასტიკად დაამარცხა მოკავშირეთა არმია. მდგომარეობა რუსეთის ომში ჩაბმამ იხსნა. 1757 წლის აგვისტოში რუსეთის არმია გენერალ-ფელდმარშალ **სტეფანე აპრაქსინის** სარდლობით პრუსიის ტერიტორიაზე შეიჭრა და ქალაქ **კენიგსბერგისაკენ** გაემართა. რუსეთის არმიას (55 ათასი კაცი და 79 ზარბაზანი) გზა გადაუღობა პრუსიის არმიამ, რომელიც 24 ათას კაცსა და 64 ზარბაზანს ითვლიდა. ბრძოლა სოფელ **გროს-ეგერსდორფთან** მოსდა. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, გენერალ-ფელდმარშალ **სტეფანე აპრაქსინის** არასწორი მოქმედების შედეგად, პრუსიელებმა ბრძოლის პირველ ეტაპზე უპირატესობა მოიპოვეს. კრიტიკულ ვითარებაში ქვეითი ბრიგადის მეთაურმა გენერალმა **პეტრე რუმიანცევმა** გონივრული მანევრი განახორციელა და მოულოდნელად ფლანგიდან დაარტყა მტერს. პრუსიელებმა უკან დაიხიეს, რასაც რუსების საერთო კონტრშეტევა მოჰყვა. ბრძოლაში რუსებმა 5400 კაცი დაკარგეს, პრუსიელებმა – 5000. 1758 წელს რუსებმა **კენიგსბერგი** აიღეს. ნაცვლად იმისა, რომ შეტევა გაეგრძელებინა, სტეფანე აპრაქსინმა რუსეთის არმია აღმოსავლეთ პრუსიიდან გამოიყვანა, რისთვისაც ელისაბედ I-მა იგი სარდლობიდან გადააყენა. 1758 წელს **ცორნდორფთან** რუსებმა პრუსიის არმია სასტიკად დაამარცხეს. 1759 წელს სოფელ **კუნერსდორფთან** (ქალაქ ოდერის ფრანკფურტთან ახლოს) პრუსიის არმია **ფრიდრიხ II დიდის** სარდლობით რუსეთის არმიას შეხვდა. სწორედ აქ გაიმართა შვიდწლიანი ომის ყველაზე დიდი ბრძოლა. რუსეთის არმიას გენერალ-ანშეფი **პეტრე სალტიკოვი** სარდლობდა. რუსეთის არმიას ავსტრიის არმიის ერთი კორპუსი უწევდა დახმარებას. ფრიდრიხ II-მ მთავარი ძალებით **გროსშპიცბერგის** სიმაღლეების ხელში ჩაგდება განიზრახა. ამ სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვან სიმაღლეს **პეტრე რუმიანცევის** დივიზია იცავდა. რუსებმა პრუსიელების რამდენიმე შეტევა მოიგერიეს. პრუსიის არმიამ რუსეთის არმიის შეტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. **კუნერსდორფთან** მარცხის შემდეგ ფრიდრიხ II-ს არმიამ, ფაქტობრივად, ბრძოლისუნარიანობა დაკარგა. 1760 წელს რუსები **ბერლინში** შეიჭრნენ, ხოლო 1761 წელს **პეტრე რუმიანცევის** კორპუსმა რუსეთის სამხედრო ფლოტის მხარ-

დაჭერით აიღო ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ძლიერი ციხესიმაგრე კოლბერგი. კუნერსდორფთან გამართულ ბრძოლაში, ასევე ბერლინისა და კოლბერგისათვის ბრძოლებში, მონაწილეობდა **ალექსანდრე სუვოროვი**, რომელიც შემდეგში დიდი მხედართმთავარი გახდა.

პრუსიის არმიის განადგურების შემდეგ მოკავშირეთა შორის უთანხმოება დაიწყო. ამას დაერთო 1761 წელს ელისაბედ I-ის გარდაცვალება და რუსეთის იმპერატორის ტახტზე ფრიდრიხ II-ის დიდი თაყვანისმცემლის **პეტრე III-ის** ასვლა. 1762 წელს პეტრე III ფრიდრიხ II-ს დაუზავდა. რუსეთის არმიის მიერ დაკავებული ტერიტორია პრუსიას დაუბრუნდა. 1763 წელს შვიდწლიანი ომიც დამთავრდა, რომლის უმთავრესი შედეგი ინგლისის მიერ საფრანგეთის დამარცხება იყო. შვიდწლიან ომს არც რუსეთისათვის ჩაუვლია უშედეგოდ. ომმა ძლიერ დაასუსტა პრუსია, რაც ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის.

ელისაბედ I-ის დროს რუსეთის იმპერია სერიოზულ აღმავლობას განიცდიდა. განმტკიცდა იმპერატორის ხელისუფლება, ქვეყანა დაუბრუნდა პეტრე დიდის მმართველობის დროინდელ ფორმებს, სერიოზული წარმატებები მოიპოვეს საგარეო პოლიტიკაში.

თავი XIII. რუსეთი XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგი უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო რუსეთის ისტორიაში. ამ დროისათვის კიდევ ერთხელ დადგა საკითხი, საით წავიდოდა რუსეთის სახელმწიფო — პეტრე დიდის მიერ დაწყებული რეფორმების გაღრმავების გზით, თუ ქვეყანაში ისევ დაიწყებოდა მედროვეთა პარპაში, დაუსრულებელი ინტრიგები საიმპერატორო კარზე და სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფებების პატივმოყვარე ლიდერთა ამბიციების დაკმაყოფილება.

1. **პეტრე III (1761-1762).** ელისაბედ I-მა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ტახტის მემკვიდრედ ჯერ კიდევ 1742 წელს თავისი დის, ანა პეტრეს ასულისა და ჰოლშტაინის ჰერცოგ კარლ-ფრიდრიხის ვაჟი **პეტრე (კარლ-ფრიდრიხ-ულრიხი)** გამოაცხადა.

ა) **პეტრეს გზა ტახტისაკენ.** პეტრეს დედა, ანა **პეტრეს ასული**, მაშინ გარდაიცვალა, როცა რუსეთის მომავალი იმპერატორი პეტრე III ორი თვისა იყო. პეტრეს მამა, ჰოლშტაინის ჰერცოგი **კარლ-ფრიდრიხი**, შვეციის მეფის კარლოს XII-ის ნათესავი იყო. კარლ-ფრიდრიხიც ადრე გარდაიცვალა და 11 წლის პეტრე სრულიად მარტო დარჩა. პეტრემ სუსტი ჯანმრთელობა, როგორც ჩანს, მშობლებისაგან მიიღო მემკვიდრეობით. სრულიად ახალგაზრდა დედამისი ჭლექით გარდაიცვალა, მამაც ასევე თანდაყოლილი ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა. პეტრეც ავადმყოფი და უსიამოვნო გარეგნობის ბავშვი იყო. ობლის მეურვეობა ბიძამისმა, ლიუბეკის ეპისკოპოსმა **ადოლფ-ფრიდრიხმა** იკისრა, რომელიც მალე შვეციის მეფე გახდა. პეტრეს უშუალო აღმზრდელი და მასწავლებელი უსეში, გაუნათლებელი და ლოთი აღმოჩნდა. იგი პეტრეს ისე ეპყრობოდა როგორც ცხოველს, ხშირად სცემდა კიდეც. სწორედ ამიტომ ფიზიკურად სუსტ პეტრეს ხასიათიც ჭირვეული ჩამოუყალიბდა. რუსეთის მომავალი იმპერატორი ბავშვობიდანვე ძალიან ნერვიული და თავშეუკავებელი, ამავე დროს, ცრუ და ორპირი იყო. ყოველივე ამასთან ერთად, პეტრეს ყმაწვილკაცობაშივე გაუჩნდა ლოთობისაკენ მისწრაფება.

პეტრეს თავდაპირველად შვეციის ტახტზე ასასვლელად ამზადებდნენ. ამ მიზნით მას აიძულებდნენ ესწავლა ლუთერანული კატეხიზისი და ლათინური გრამატიკა. მოვლენათა განვითარებამ, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ელისაბედ I აიძულა, პეტრე თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. პეტრე უნდა გამხდარიყო იმ ქვეყნის იმპერატორი, რომელიც მას არ უყვარდა, იგი არ იცნობდა რუსეთის სინამდვილეს, რუსების ზნე-ჩვეულებებს. ცხადია, რუსეთის იმპერატორის ტახტზე პეტრე ისე ვერ ავიდოდა, თუ მართლმადიდებელი არ გახდებოდა, ეს კი კათოლიკე უფლისწულს საშინლად აღიზიანებდა და დიდხანს ჯიუტად არ თმობდა თავის რჯულს. როცა ელისაბედ I-მა 1742 წელს ქალაქ კილიდან პეტერბურგში ჩამოყვანილი ავადმყოფური გარეგნობის, ნერვიული, ორპირი და ლოთი პეტრე გაიცნო, სასოწარკვეთა ვერ დამალა. ელისაბედ I მთელი მონდომებით შეუდგა მომავალი იმპერატორის აღზრდასა და განსწავლას. რუსული ენის, მათემატიკისა და ისტორიის შესწავლისას გაირკვა, რომ პეტრე გონებრივად ძალზე სუსტი იყო და ვერც ერთი საგნის დაუფლებას ვერ შეძლებდა. ერთადერთი, რაც მომავალ იმპერატორს თავდავიწყებით უყვარდა, იყო ჯარისკაცის ფიგურებით ომობანას თამაში.

პეტრე III

ეკატერინე II

ბ) **პეტრე და ეკატერინე.** 1745 წელს პეტრემ იქორწინა ჰოლშტაინელ (გერმანია) პრინცესაზე **სოფია-ავგუსტა-ფრედერიკაზე** (რუსეთის მომავალი იმპერატორი ეკატერინე II დიდი). ეკატერინეს მამა, **ქრისტიან-ავგუსტი**, პრუსიის მეფის სამსახურში იმყოფებოდა. მისი სამხედრო კარიერა თავდაპირველად არცთუ ისე იღბლიანი გამოდგა, მაგრამ ბოლოს, ელისაბედ I-ის პროტექციით, ფელდმარშლობას მიაღწია. ეკატერინე 1729 წელს დაიბადა. ასე რომ, გათხოვების დროისათვის იგი 16 წლისა იყო. პეტრე მასზე ერთი წლით უფროსი იყო. პეტრემ და ეკატერინემ 1745 წლის 21 აგვისტოს იქორწინეს, შვილი კი 1754 წლის 20 სექტემბერს, ე.ი. 9 წლის შემდეგ შეეძინათ.

პეტრესა და ეკატერინეს ცოლქმრული ცხოვრება თავიდანვე ვერ აეწყო. პეტრეს ეკატერინე არ უყვარდა, არც ეკატერინეს გააჩნდა რაიმე გრძნობა ქმრის მიმართ. მალე ცოლ-ქმრის სრული ურთიერთობა ერთმანეთისადმი ზიზღში გადაიზარდა. პეტრე არც მალავდა, რომ სხვა ქალს ეტრფოდა და მთელ დროს მასთან ატარებდა. ხშირად პეტრე და ეკატერინე ერთ სასახლეშიც კი არ ცხოვრობდნენ, ხოლო ერთ ჭერქვეშ ცხოვრებისას მათი აპარტამენტები სასახლის სხვადასხვა მხარეს იყო მოთავსებული. ქორწინების შემდეგ მალე გაირკვა, რომ პეტრე არასრულფასოვანი მამაკაცი იყო და არ შეეძლო შთამომავლობა დაეტოვებინა. ეკატერინესადმი დაუფარავი ზიზღის მიზეზი, ალბათ, ესეც იყო.

ეკატერინე გათხოვებისას არ ყოფილა განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული, მაგრამ, ფაქტობრივად, ქმრისაგან მიტოვებულს, მალე უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. ეკატერინეს პირველი საყვარელი თავადი **ზაქარია ჩერნიშევი** იყო. უფრო სერიოზული რომანი ეკატერინეს **სერგეი სალტიკოვთან** ჰქონდა. ეს ის პერიოდია, როცა ეკატერინეს უშვილობით იმპერატორი ელისაბედ I ძალზე შეშფოთებული იყო. პეტრესა და ეკატერინეს ქორწინებიდან შვიდი წელი იყო გასული. ეკატერინემ იგრძნო, რომ შეიძლებოდა პეტრესთან მისი განქორწინების საკითხი დამდგარიყო. აუცილებლად უნდა გაჩენილიყო ტახტის მემკვიდრე, რაც დაამშვიდებდა ეკატერინესადმი არაკეთილადგანწყობილ ელისაბედ I-ს. 1754 წლის 20 სექტემბერს ეკატერინეს შეეძინა ვაჟი პავლე. იმთავითვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბავშვის მამა **სერგეი სალტიკოვი** იყო.

ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ ელისაბედ I-თვის ეკატერინე ისეთ ადამიანად იქცა რომელმაც თავისი მოვალეობა შეასრულა და აღარავის სჭირდება. ეკატერინე შვილსაც კი მოაშორეს და იშვიათად აძლევდნენ მისი ნახვის უფლებას. მალე ეკატერინე სასიყვარულო ძაფებით უკავშირდება **სტანისლავ პონიატოვსკის**, რომლისგანაც 1758 წელს მას შეეძინა ქალიშვილი ანა. თუ პავლეს მამობაზე პოლიტიკური მოსაზრებით პეტრე უარს არ ამბობდა, ანას იგი თავის შვილად არ თვლიდა.

იმპერატორი სერიოზულად ავადმყოფობდა. ეკატერინემ იგრძნო, რომ როგორც კი ელისაბედი გარდაიცვლებოდა და პეტრე იმპერატორი გახდებოდა, მას შორეულ მონასტერში მონაზვნად აღკვეცა არ ასცდებოდა. ეკატერინე ფარულად დაუკავშირდა კანცლერ **ალექსი ბესტუჟევ-რიუმინს, სტანისლავ პონიატოვსკისა** და **პეტრე აპრაქსინს**. შეთქმულება გამჟღავნდა და 1758 წელს ალექსი ბესტუჟევ-რიუმინი დააპატიმრეს. ეს დიდი დარტყმა იყო ეკატერინესათვის. ალექსი ბესტუჟევ-რიუმინი პატიმრობაში იმყოფებოდა, სტანისლავ პონიატოვსკის პეტერბურგი დაატოვებინეს, კიდევ უფრო ადრე დაატოვებინეს პეტერბურგი სერგეი სალტიკოვს. ყოველივე ამას დაერთო ეკატერინეს ქალიშვილ ანასა და დედის გარდაცვალება. საბოლოოდ ეკატერინე გერმანიაში გამ-

გზავრებაზეც კი ფიქრობდა. მალე ეკატერინეს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა.

1759 წელს ეკატერინემ გაიცნო ახალგაზრდა ოფიცერი **გრიგორი ორლოვი**, რომელიც მალე მისი საყვარელი გახდა. ამავე დროს, ეკატერინე ძალზე დაუახლოვდა ეკატერინე ვორონცოვა-დაშკოვას. 1761 წელს ისინი უკვე სერიოზულად ემზადებოდნენ ელისაბედ I-ის გარდაცვალების შემდეგ ახალი იმპერატორის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გ) სასახლის გადატრიალება. 1761 წლის 25 დეკემბერს იმპერატორი ელისაბედ I გარდაიცვალა. იმავე დღეს რუსეთის იმპერიის ტახტზე **პეტრე III** ავიდა. ეკატერინეს მდგომარეობა ძალზე კრიტიკული გახდა. 1762 წლის აპრილში იმპერატორი ახალ ზამთრის სასახლეში გადავიდა. პეტრე III-სა და ეკატერინეს აპარტამენტები სასახლის სხვადასხვა მხარეს იყო განლაგებული. პეტრე III-მ იმპერატორის აპარტამენტებში ადგილი გამოუყო თავის სატრფოს ეკატერინე ვორონცოვას. ცხადია, ეს ავისმომასწავებელი და შეურაცხმყოფელი იყო ეკატერინესათვის. პეტრე III-ის მოქმედების პროგნოზირება არ შეიძლებოდა — ეკატერინე ყველაფრისათვის მზად იყო. დედოფლის მდგომარეობას ის ამძიმებდა, რომ იგი დღე-დღეზე ბავშვს ელოდა. ბავშვის მამა ამჯერად გრიგორი ორლოვი იყო. ეკატერინე თვეების მანძილზე მოხერხებულად მალავდა ფეხმძიმობას. ერთგული მსახურებისა და მეგობრების წყალობით, მან ისე იმშობიარა, პეტრე III-ს არაფერი გაუგია. ბავშვი სასწრაფოდ წაიყვანეს სასახლიდან. ეკატერინესა და გრიგორ ორლოვის ვაჟს **ბობრინსკის** გვარი მისცეს. ეკატერინემ მას თავადობა და დიდი მამულები უბოძა. ბობრინსკების გვარი შემდეგში რუსეთში ერთ-ერთ ცნობილ საგვარეულოს წარმოადგენდა.

ზამთრის სასახლეში მყოფი ეკატერინეს გარშემო ფარულად იყრიდნენ თავს პეტრე III-ის მოწინააღმდეგეები და იმპერატორის დასამხობად ემზადებოდნენ.

პეტრე III-მ რუსეთის იმპერიის ტახტზე ასვლის დღესვე, 1761 წლის 25 დეკემბერს, შიკრიკები დაგზავნა და პრუსიის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის არმიის ყველა კორპუსს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა უბრძანა. იმავდროულად პეტრე III-მ პრუსიის მეფეს წერილი გაუგზავნა და მეგობრობა და მოკავშირეობის აღდგენა შესთავაზა. რუსეთის ასეთმა პოზიციამ პრუსიასა და ინგლისს შვიდწლიანი ომის თავის სასარგებლოდ დამთავრების საშუალება მისცა. პრუსიასთან დაზავება პეტრე III-ს მიერ რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დაუფარავი ღალატის მაუწყებელი იყო.

პეტრე III-ს საშინაო პოლიტიკაც ასევე რუსეთის სახელმწიფოს დასუსტებისაკენ იყო მი-

პეტერგოფი

მართული. 1761 წელს გამოცემული მანიფესტის ძალით, თავადაზნაურობამ უფლება მიიღო ნებისმიერი სამსახურიდან (სამხედრო თუ სამოქალაქო) დაუბრკოლებლად გადამდგარიყო. ეს იყო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც ანგრევდა პეტრე I-ის დროიდან დამკვიდრებულ სისტემას.

საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა 1761 წელს **საიდუმლო კანცელარიის** გაუქმება, რასაც იმდროინდელი საზოგადოება მოწონებით შეხვდა. სამაგიეროდ, სამღვდელოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია 1761 წელს პეტრე III-ის მიერ **საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის** შესახებ კანონის გამოცემამ. მონასტრებს ჩამოერთვათ კუთვნილი მიწები, ხოლო შავ და თეთრ სამღვდელოებას, ასევე ბერებსა და მონაზვნებს ხაზინიდან დაენიშნათ ფიქსირებული ხელფასი. გვარდიის უმაღლესი ოფიცრობისა და, საერთოდ, რუსეთის სამხედრო ელიტის უკმაყოფილება გამოიწვია ელისაბედ I-ის დროს შექმნილმა **ლეიბ-გვარდიის** გაუქმებამ და მის ნაცვლად **ჰოლშტაინის გვარდიის** შექმნამ. გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ მალე გვარდიულ პოლკებს საერთოდ დაშლიდნენ. ჯერ კიდევ იმპერატორად გახდომამდე პეტრე III ცუდი თვალით უყურებდა გვარდიას და გვარდიელებს დაცინვით იანიჩარებს უწოდებდა.

პეტრე III-ს მოუფიქრებელმა და დაუსაბუთებელმა გარდაქმნებმა, რუსეთის სახელმწიფოსათვის საზიანო საშინაო და საგარეო პოლიტიკამ მალე საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ეს კარგად გამოიყენა ეკატერინემ. პეტრე III-მ და მის გარშემო შემოკრებილმა გერმანელებმა აშკარად იგრძნეს საფრთხე. კერძოდ, იმპერატორი მიხვდა, რომ ეკატერინე შეიძლებოდა ოპოზიციას ჩასდგომოდა სათავეში. 1761 წლის 9 ივნისს პეტრე III-მ ეკატერინეს დაპატიმრების ბრძანება გასცა. მართალია, იმპერატორის გარემოცვამ პეტრე III-ს ეს ბრძანება გააუქმებინა, მაგრამ ეკატერინემ კარგად იცოდა, რომ იგი ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ. ეკატერინემ და მისმა მომხრეებმა გადამწყვეტი ბრძოლისათვის დაიწყეს მზადება.

ეკატერინეს ყველაზე ერთგული და გაბედული მომხრეები იყვნენ გვარდიის ოფიცრები **გრიგორ ორლოვი** და მისი ძმები. როგორც კი ეკატერინეს თანხმობა მიიღეს, გრიგორ ორლოვმა და მისმა ძმებმა გვარდიის გადაბირება დაიწყეს. პეტრე III-ით უკმაყოფილო გვარდიის პოლკების გადაბირება ძნელი არ იყო. ძმებ ორლოვებთან ერთად, გვარდიის გადაბირებაში დიდი როლი ითამაშა ოფიცერმა **ხიტროვმა** და უნტერ-ოფიცერმა **გრიგორი პოტიომკინმა**. მალე ეკატერინეს მიემხრო გვარდიის ოფიცერთა საკმაო რაოდენობა (30-40 ოფიცერი) და 10 ათასამდე რიგითი გვარდიელი.

ეკატერინეს გეგმა ასეთი იყო: პეტრე III უნდა შეეპყროთ თავის აპარტამენტებში და შემდეგ გვარდიის ბადრაგით გადაეყვანათ ციხეში. 24 ივნისს იმპერატორი გვარდიულ პოლკებთან ერთად **პეტერბურგიდან ორანიენბაუმში** გადავიდა, ეკატერინე კი **პეტერგოფში** დარჩა. 1762 წლის 27 ივნისს მოულოდნელად ხმა გავრცელდა, თითქოს პეტერგოფში ეკატერინე დაპატიმრეს. პეტერბურგში მყოფ გვარდიულ პოლკებში მღელვარება დაიწყო. იმპერატორის ერთგულმა ოფიცრებმა ყოველივე სასწრაფოდ შეატყობინეს ორანიენბაუმში მყოფ პეტრე III-ს. დაპატიმრებულ იქნა ეკატერინეს მომხრე რამდენიმე ოფიცერი. გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი თავის თავზე აიღეს ძმებმა ორლოვებმა. **ალექსეი ორლოვი** პეტერგოფში გაემგზავრა ეკატერინეს ჩამოსაყვანად. **გრიგორი** და **თეოდორე ორლოვები** გვარდიას ამზადებდნენ ეკატერინეს შესახვედრად. ძმებმა ორლოვებმა თავიანთი გადაწყვეტილება აცნობეს **ალექსი რაზუმოვსკის, პეტრე პანინსა** და სხვა შეთქმულებს.

1762 წლის 28 ივნისს დილით **ალექსი ორლოვის** თანხლებით **ეკატერინე** პეტერგოფიდან პეტერბურგში გაემგზავრა. **გრიგორი ორლოვისა** და სხვა ოფიცრების ხელმძღვანელობით **სემიონოვსკისა** და **პრეობრაჟენსკის** გვარდიულმა პოლკებმა, ასევე **ცხენოსანმა გვარდიამ** ჯვარზე მთხვევით ეკატერინეს ერთგულება დაიფიცა. სემიონოვსკისა და პრეობრაჟენსკის პოლკების ყაზარმებიდან ეკატერინე ახალი ზამთრის სასახლეში მივიდა, სადაც უკვე შეკრებილი იყო **სენატი** და **სინოდი**. სასწრაფოდ შეადგინეს მანიფესტი პეტრე III-ს გადაყენებისა და ეკატერინეს ტახტზე ასვლის შესახებ. ასევე ახალი იმპერატორისადმი მისაცემი ფიცის ტექსტი. ამის შემდეგ ეკატერინემ ფეხით შემოიარა პეტერბურგში მყოფი გვარდიული პოლკებისა და სხვა სამხედრო ნაწილების ყაზარმები. იმ დღეს ეკატერინეს ერთგულებაზე დაიფიცა 14 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა.

არმიის დაფიცების შემდეგ ეკატერინე ძველ ზამთრის სასახლეში მივიდა. აქ გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ პეტრე III უნდა და-

ეპატიმრებინათ მანამ, სანამ ზოგიერთი სამხედრო ნაწილის მიმხრობას მოახერხებდა. გამორიცხული არ იყო, რომ იგი **პრუსიაში** გაიქცეოდა და **ფრიდრიხ II-ის** ჯარებით შეეცდებოდა ტახტის დაბრუნებას. დაყოვნება არ შეიძლებოდა. 1762 წლის 28 ივნისის საღამოს ეკატერინე გვარდიული პოლკებით **პეტერბურგიდან ორანიენბაუმისაკენ** დაიძრა, სადაც პეტრე III იმყოფებოდა გვარდიის მცირე ნაწილითა და თავის მომხრე გერმანელებთან ერთად. 29 ივნისს ორანიენბაუმისაკენ მიმავალ ეკატერინეს ვიცე-კანცლერმა **ალექსანდრე გოლიცინმა** პეტრე III-ის წერილი გადასცა. იმპერატორი ეკატერინეს ერთობლივად მეფობას სთავაზობდა. ეკატერინემ წერილი უპასუხოდ დატოვა და გზა განაგრძო. მალე პეტრე III-ის მიერ გამოგზავნილმა გენერალმა **იზმაილოვმა** ეკატერინეს აცნობა, რომ იმპერატორი მზად იყო ტახტიდან გადამდგარიყო. გადადგომის შესახებ მანიფესტის ტექსტი პეტრე III-თან ორანიენბაუმში **გრიგორი ორლოვმა** წაიღო. ამ დროისათვის ორანიენბაუმი უკვე ალყაშემორტყმული იყო გვარდიის მიერ, რომელსაც **ალექსეი ორლოვი** მეთაურობდა. ორანიენბაუმში მისულ ეკატერინეს გვარდია ზეიმით შეხვდა. 1761 წლის 29 ივნისს **პეტრე III-მ** ხელი მოაწერა მანიფესტს გადადგომის შესახებ. პეტრე III დააპატიმრეს და გვარდიელთა ბადრაგის თანხლებით ორანიენბაუმიდან მოშორებით **როპშაში** გადაიყვანეს. აქ პეტრე სასახლეში მოათავსეს და მისი დაცვა **ალექსეი ორლოვს** ჩაბარეს. 30 ივნისს ეკატერინე ზეიმით შევიდა პეტერბურგში.

ეკატერინე II

1762 წლის 28 ივნისის სასახლის გადატრიალების აქტიური მონაწილენი ეკატერინემ გულუხვად დაჯილდოვა. თანამდებობიდან გადაყენეს პეტრე III-ს მომხრეები. გერმანელების ნაწილმა რუსეთი დატოვა.

1762 წლის 7 ივლისს ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ყოფილი იმპერატორი პეტრე III მოულოდნელად გარდაიცვალა. სინამდვილეში, პეტრე **ალექსეი ორლოვმა** დაახრჩო. დადგენილი არ არის, ეკატერინემ გასცა თუ არა პეტრეს მოკვლის ბრძანება, თუ ალექსი ორლოვი თავისი ინიციატივით მოქმედებდა. ერთი რამ ცხადია: **პეტრეს სიკვდილმა განამტკიცა ეკატერინეს მდგომარეობა.**

2. **ეკატერინე II დიდი (1762-1796).** იმპერატორ ეკატერინე II-ს სახელს უკავშირდება რუსეთის სახელმწიფოს უდიდესი აღმავლობა.

ა) ეკატერინე II-ის მეფობის ზოგადი დახასიათება. ეკატერინე II-მ არ დაუშვა პეტრე დიდის დროს დაწყებული გარდაქმნების შეჩერება და თავიდან აიცილა რუსეთს იმ სამყაროში დაბრუნება, საიდანაც ქვეყანა რის ვაი-ვაგლახით, დიდი სისხლის ფასად გამოიყვანა პეტრე დიდმა. **ეკატერინემ, დედითა და მამით გერმანელმა, გერმანული სინამდვილის ნაყოფმა, იმაზე გაცილებით მეტი გააკეთა რუსეთის სახელმწიფოსათვის, ვიდრე პეტრე დიდის შემდგომმა ოთხმა იმპერატორმა ერთად აღებულმა.** ეკატერინე II რუსეთის იმპერატორი გახდა თითქმის უიმედო ვითარებაში. იგი სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი არ ყოფილა. რუსეთის იმპერიის მემკვიდრეზე გათხოვილ გერმანელ თავადის ქალიშვილს მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში დასაყრდენი არ გააჩნდა. ტახტის მემკვიდრეს, მის მეუღლე პეტრეს, იგი ეზიზღებოდა, ხოლო იმპერატორი ელისაბედ I დაუფარავი სიძულვილით უყურებდა. **ეკატერინე II-მ შეძლო პატრიოტულად განწყობილი რუსული არისტოკრატიის მიმხრობა და მათთან ერთად იხსნა რუსეთი იმ განსაცდელისაგან, რასაც ქვეყანას პეტრე III უმზადებდა.** ეკატერინე II ბოლომდე დარჩა რუსეთისა და რუსების იმპერატორად. მან უმნიშვნელოვანეს სახ-

ელმწიფო თანამდებობებზე დაწინაურა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიყვანა მრავალი რუსი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ჯერ კიდევ იმპერატორად გახდომამდე ეკატერინეს ბევრ მამაკაცთან ჰქონდა რომანი. კიდევ უფრო მეტი გულისსწორი ჰყავდა მას იმპერატორად გახდომის შემდეგ. იმპერატორის ფავორიტთა შორის მარტო ცნობილი საგვარეულოების წარმომადგენლები და მაღალი რანგის საბოქალაქო და სამხედრო მოხელეები არ ყოფილან. ეკატერინეს ინტიმური კავშირები ჰქონდა უბრალო ოფიცრებთან და რიგით ჯარისკაცებთანაც კი. მიუხედავად ამისა, **ეკატერინეს უნიჭო და უღირსი ადამიანები სახელმწიფო მმართველობის არც ერთ სფეროში არ გაუჭაჭანებია და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა საკუთარი ინტიმური გრძნობები არასდროს დაუყენებია.** ეკატერინე II-ის მიერ უმაღლეს საბოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე დანიშნულმა მისმა ფავორიტებმა პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. თუ იმპერატორის მიჯნური დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, იგი დაუყოვნებლივ ტოვებდა სამსახურს და შესაბამისი სასჯელიც დაედებოდა ხოლმე.

პეტრე დიდის დროს რუსეთს გარდაქმნების რთულ ეპოქაში უწევდა არსებობა, დიდი წინააღმდეგობებით ყალიბდებოდა ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. ეკატერინე II-მ დაწყებული გარდაქმნები ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა და სახელმწიფო სისტემასაც საბოლოო სახე მისცა. რუსეთი **ზესახელმწიფოდ** იქცა.

ბ) საშინაო პოლიტიკა XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან 70-იანი წლების დამდეგამდე. მიუხედავად იმისა, რომ დამხობილი იმპერატორი პეტრე III ცოცხალი აღარ იყო, ეკატერინე II-ს მდგომარეობა მეფობის პირველ წლებში მყარი არ ყოფილა. რუსეთის არისტოკრატიის ნაწილი თვლიდა, რომ პეტრე III-ს ტახტიდან გადაყენებისა და მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი ეკატერინეს კი არა, პეტრე III-ისა და ეკატერინეს ვაჟს პავლეს უნდა დაეკავებინა (პავლე იმხანად 8 წლისა იყო). არისტოკრატიის მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ იმპერატორი უნდა გამხდარიყო ელისაბედ I-ის მიერ ტახტიდან გადაყენებული და იმხანად შლისელბურგის ციხეში გამოკეტილი **ივანე VI.** ეკატერინეს ოპოზიცია პრაქტიკულადაც შეუდგა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. 1764 წელს შლისელბურგის ციხის დაცვის სამსახურის ოფიცერმა ვ. მიროვიჩმა, ცხადია, ვილაცის მითითებით, ივანე VI-ის ციხიდან გაქცევის ორგანიზება სცადა. ივანე VI-ს ციხეში გამუდმებით დარაჯობდა ორი მცველი. მათ მიღებული ჰქონდათ მკაცრი ბრძანება: გაქცევის მცდელობისთანავე პატიმარი მოეკლათ. მცველებმა ბრძანება შეასრულეს და ივანე VI მოკლეს. ვ. მიროვიჩი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ივანე VI-ს სიკვდილის შემდეგ ეკატერინე II-ს მდგომარეობა შედარებით უფრო მყარი გახდა.

გრიგორ ორლოვი

ეკატერინე II-მ კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა იმდროინდელ მსოფლიოში. ევროპაში სახელმწიფოს არსისა და მისი მმართველობის ფორმების შესახებ უკვე ბევრი გამოჩენილი მოაზროვნე წერდა. **ეკატერინეს ყურადღება ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებმა მიიპყრო, რომელთა დიდი ნაწილი მან საფუძვლიანად შეისწავლა.** 1763 წლიდან ეკატერინე II-მ რეგულარული მიმოწერა დაიწყო **მარი ფრანსუა ვოლტერთან.** დიდი ფრანგ მოაზროვნესთან მიმოწერაში რუსეთის იმპერატორი სახელმწიფო საქმეებს განიხილავდა. ერთ-ერთ წერილში ეკატერინე II წერდა, რომ **შარლ მონტესკიეს** წიგნი „კანონთა არსის შესახებ" პოლიტიკაში მისი გზამკვლევი გახდა.

ეკატერინე II რუსულ სინამდვილეს კარგად არ იცნობდა. ქვეყნის გაცნობის მიზნით, 1762 წლიდან იგი ბევრს მოგზაურობდა. კერძოდ, იმპერატორი იყო **იაროსლავლში, სუზდალის როსტოვში, ბალტიისპირეთში,** გემით იმოგზაურა მდინარე **ვოლგაზე.**

მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ეკატერინე II-მ განსაკუთრებული ყურადღება **კანონმდებლობის სრულყოფას** დაუთმო. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ეკატერინე II თვეში საშუალოდ 12 კანონს სცემდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მეფობის პირველი წლები, როდესაც ეკატერინე II თვეში საშუალოდ 22 საკანონმდებლო აქტს აწერდა ხელს. 1767 წელს ეკატერინე II-მ მოსკოვში მოიწვია სპეციალური **კომისია,** რომელსაც უნდა შეედგინა **რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული.** კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა გენერალი **ალექსანდრე ბიბიკოვი.** კანონთა კოდიფიკაცია რუსეთში ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდების (1649 წ.) შემდეგ აღარ განხორციელებულა. კანონთა კრებულის შემდგენელ კომისიაში 572 დეპუტატი იყო წარმოდგენილი. დეპუტატთა 45% თავადაზნაურობის წრიდან იყო არჩეული. დანარჩენი დეპუტატები სახელმწიფო დაწესებულებების, კაზაკებისა და გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ. კომისიაში თავი მოიყარა ადგილებიდან შემოსულმა 1600 წინადადებამ, რომელიც კანონმდებლობის თითქმის ყველა სფეროს ეხებოდა. 1767 წელს ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა ბრძანებას კანონთა კრებულის შემმუშავებელი კომისიისადმი, რომელიც 22 თავისაგან და 655 პარაგრაფისაგან (მუხლისაგან) შედგებოდა. ბრძანებაში განსაზღვრული იყო ის პრინციპები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კომისიას. **ბრძანება თვითმპყრობელური ხელისუფლებისა და საზოგადოების წოდებრივი დაყოფის აუცილებლობიდან ამოდიოდა და, ამავე დროს, იგი უხვად იყო გაჯერებული ცნობილი განმანათლებლების იდეებით.** 1768 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ეკატერინე II-მ კომისიის მუშაობა შეწყვიტა. მართალია, იმხანად რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის მიღება არ მოხერხდა, მაგრამ კომისიაში შესულ მასალებს ეკატერინე II მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იყენებდა.

ეკატერინე II-ს ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი რეფორმა იყო **სენატის** რეფორმა. სენატი გაიყო **ექვს დეპარტამენტად** და ყოველი დეპარტამენტის ფუნქცია მკვეთრად განისაზღვრა. ამასთანავე, სენატს ჩამოერთვა საკანონმდებლო ფუნქცია და იგი იმპერატორის პრეროგატივად იქცა.

ეკატერინე II მიიჩნევდა, რომ მთელი იმპერიის მართვა ერთი და იმავე პრინციპით უნდა განხორციელებულიყო. 1764 წელს გაუქმდა **უკრაინის ჰეტმანის** თანამდებობა და მისი ადგილი **გენერალ-გუბერნატორმა** დაიკავა. უკრაინის ავტონომიური მმართველობა ლიკვიდირებულ იქნა.

გ) ამბოხება ემელიანე პუგაჩოვის წინამძღოლობით (1773-1775). ეკატერინე II-ს დროს რუსეთში სერიოზულად დაიძაბა სოციალური საკითხი, დაძაბულობის კერები, როგორც XVII საუკუნეში, ამჯერადაც ქვეყნის განაპირა მხარეებში შეიქმნა. სოციალური საკითხის სიმწვავე იგრძნობოდა ცენტრალურ გუბერნიებშიც. 1771 წელს მოსკოვამდე მიაღწია რუსეთ-თურქეთის ომის დროს საბრძოლო მოქმედებების რაიონში გაჩენილმა შავმა ჭირმა და დაახლოებით 1000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქის ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა ეპიდემიასთან საბრძოლველად, რამაც მოსკოველთა უკმაყოფილება გამოიწვია. დაძაბულ ვითარებაში წინდაუხედავად მოიქცნენ მოსკოვის **არქიეპისკოპოსი** და მოსკოვის **გუბერნატორი.** მათ მოსკოვის ერთ-ერთი უბნის (კიტაი-გოროდის) ეკლესიიდან **ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის** სხვაგან გადატანა განიზრახეს. ეპიდემიის გავრცელებით სასოწარკვეთილი ხალ-



ემელიანე პუგაჩოვი

ხი სასწაულმოქმედ ხატს შესთხოვდა ხსნას. მორწმუნეთათვის ხატის მოსალოდნელი გადატანის შესახებ ცნობა თავზარდამცემი გამოდგა. ხალხი აღელდა. არქიეპისკოპოსი **ამბროსი** დონის მონასტერში ჩაქოლეს. მოსკოვში სამი დღე გრძელდებოდა შფოთი და ამბოხი. ეკატერინე II-მ ამბოხების ჩასახშობად პეტერბურგიდან მოსკოვში გვარდიული პოლკი გაგზავნა **გრიგორი ორლოვის** მეთაურობით. მოსკოვში ამბოხების ჩახშობისას ასზე მეტი კაცი მოკლეს, მრავალი ამბოხებული გაროზგეს.

XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო ყმა გლეხების გაქცევამ ქვეყნის სამხრეთში, განაპირა რაიონებისაკენ. გავრცელება დაიწყო ვითომდა იმპერატორის ხელმოწერილმა მანიფესტმა გლეხთა გათავისუფლების შესახებ. ემელიანე პუგაჩოვის წინამძღოლობით ამბოხების დაწყებამდე გამოჩნდნენ თვითმარქვია იმპერატორები. დადასტურებულია, რომ ექვსი თვითმარქვია თავის თავს იმპერატორ პეტრე III-ს უწოდებდა. ასეთ ვითარებაში 1773 წელს დაიწყო ამბოხება **ემელიანე პუგაჩოვის** წინამძღოლობით.

ემელიანე პუგაჩოვი ღარიბი დონელი კაზაკი იყო. ჩვიდმეტი წლის ასაკიდან იგი პრუსიისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში მონაწილეობდა. იყო მამაცი მეომარი, მიღებული ჰქონდა უმცროსი ოფიცრის წოდება. ემელიანე პუგაჩოვს მეამბოხის ხასიათი ახალგაზრდობაშივე გამოაჩნდა, რის გამოც რამდენჯერმე იყო დასჯილი. 1773 წელს 31 წლის ემელიანე პუგაჩოვი **ყაზანის** ციხიდან გაიქცა, მდინარე **იაიკზე (ურალზე)** მცხოვრებ კაზაკებთან გამოცხადდა და თავი სიკვდილს გადარჩენილ იმპერატორ **პეტრე III-დ** გამოაცხადა. მალე მან კაზაკთა 80-კაციანი რაზმით მდინარე იაიკის ნაპირებზე დაიწყო ხეტიალი. ორი კვირის შემდეგ მისი რაზმი გაიზარდა და უკვე 2,5 ათასზე მეტ მეომარს ითვლიდა. ეს იყო საკმაოდ სერიოზული სამხედრო ძალა, მით უფრო, რომ ამბოხებულებს 29 ზარბაზანიც ჰქონდათ.

ამბოხება ემელიანე პუგაჩოვის წინამძღოლობით ფართომასშტაბიან სოციალურ მოძრაობად იქცა. მდინარე **იაიკის** ნაპირებზე მდებარე პატარა სიმაგრეების ხელში ჩაგდების შემდეგ, ემელიანე პუგაჩოვმა 1773 წელს ალყა შემოარტყა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს ორენბურგს. ეკატერინე II-მ ორენბურგის გარნიზონის დასახმარებლად ჯარები გაგზავნა გენერალ **ვ.ა. კარის** სარდლობით,. მეამბოხეებმა ემელიანე პუგაჩოვის მეთაურობით **ვ.ა. კარის** ჯარები დაამარცხეს, ხოლო ამ ჯარების შემადგენლობაში მყოფი ბაშკირების ლაშქარი **სალავათ იულაევის** წინამძღოლობით მეამბოხეთა მხარეზე გადავიდა.

ორენბურგთან ბრძოლების პერიოდში ემელიანე პუგაჩოვი შეუდგა მეამბოხეთა არმიის ორგანიზებას, რომლის სარდლობას თვითონ ახორციელებდა, სამხედრო შტაბის ფუნქციას **სამხედრო კოლეგია** ასრულებდა. საკუთრივ მეამბოხეთა არმია კაზაკთა ჯარის პრინციპით იყო ორგანიზებული.

ემელიანე პუგაჩოვის ამბოხებულ კაზაკთა არმიას, გარდა **სალავათ იულაევის** ბაშკირებისა, შეუერთდნენ ურალის ქარხნების მუშები **ხლოპუშასა** და **ივანე ბელობოროდოვის** წინამძღოლობით, ასევე კაზაკთა რაზმი **ივანე ჩიკაზარუბინის** მეთაურობით. იმ რაიონებში, სადაც ამბოხება დაიწყო და განვითარდა, ხელისუფლებას, რუსეთ-თურქეთის ომის გამო, სერიოზული სამხედრო ძალა არ ჰყავდა. ამით ისარგებლეს ამბოხებულებმა და დაიკავეს **კუნგური, კრასნოუფიმსკი, სამარა,** ალყა შემოარტყეს **უფას, ეკატერინბურგსა** და **ჩელიაბინსკს**. ამბოხების გაძლიერებით შეშფოთებულმა ეკატერინე II-მ ემელიანე პუგაჩოვის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარებს სათავეში ჩაუყენა გენერალი **ალექსანდრე ბიბიკოვი**, რომელმაც თავი გამოიჩინა შვიდწლიან ომში, ხოლო შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, კანონთა შემდგენელ კომისიას ხელმძღვანელობდა.

1774 წელს მეფის არმიამ ალექსანდრე ბიბიკოვის სარდლობით **ტატიშჩევის** ციხესიმაგრესთან (ორენბურგის რაიონი) დაამარცხა ემელიანე პუგაჩოვის ამბოხებულთა არმია.

ტატიშჩევისთან დამარცხებულმა ემელიანე პუგაჩოვმა **ორენბურგის** მიდამოებიდან **ურალისპირეთში** დაიხია. დაიწყო ამბოხების **მეორე ეტაპი**. ურალისპირეთში ემელიანე პუგაჩოვის არმია შეივსო ურალის ქარხნებზე მიწერილი გლეხებითა და ქარხნის მუშებით. მალე ემელიანე პუგაჩოვი **ყაზანისაკენ** დაიძრა და 1774 წლის ივლისში ქალაქი აიღო. ყაზანთან ეკატერინე II-ს მიერ პოლკოვნიკ **ი.ი. მიხელსონის** სარდლობით გამოგზავნილმა ჯარებმა ამბოხებულთა არმია კვლავ დაამარცხა.

დამარცხებული ემელიანე პუგაჩოვი 500-კაციანი კაზაკთა რაზმით მდინარე **ვოლგის** მარჯვენა ნაპირზე გადავიდა. დაიწყო **ამბოხების მესამე ეტაპი**. ვოლგისპირეთის მოსახლეობა მასობრივად ჩაება ამბოხებაში. ამბოხებულთა წი-

გუბერნიების, მაზრებისა და ქალაქების მმართველობა (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)



ნაღმდეგ მებრძოლ მეფის ჯარებს გარდაცვლილი **ალექსანდრე ბიბიკოვის** ნაცვლად ეკატერინე II-მ **პეტრე პანინი** ჩაუყენა სათავეში. რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტიდან სასწრაფოდ გამოიძახეს **ალექსანდრე სუვოროვი**. ემელიანე პუგაჩოვი ცდილობდა, მდინარე ვოლგის ქვემოწელზე გაეღწია და შემდეგ მდინარე დონზე გადასულიყო. მას იმედი ჰქონდა, რომ დონელი კაზაკებისაგან მხარდაჭერას მიიღებდა. მდინარე ვოლგის გასწვრივ მიმავალმა ამბოხებულთა არმიამ დაიკავა **ალატირი, სარანსკი, პენზა** და **სარატოვი**. ქალაქ **ცარიცინის** აღების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1774 წელს, მეფის ჯარებმა მეამბოხეთა არმია სასტიკად დაამარცხა. ემელიანე პუგაჩოვი ვოლგისპირეთში აპირებდა მიმალვას, რათა ძალები მოეკრიბა და ბრძოლა გაეგრძელებინა. იმპერატორის რისხვის თავიდან აცილების მიზნით, კაზაკებმა ემელიანე პუგაჩოვი შეიპყრეს და ხელისუფლებას გადასცეს. 1775 წლის იანვარში ემელიანე პუგაჩოვი და მისი თანამებრძოლები მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს. სასტიკად გაუსწორდნენ ამბოხების უამრავ მონაწილეს.

დ) საშინაო პოლიტიკა XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში. ემელიანე პუგაჩოვის ამბოხების შემდეგ დაჩქარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განმტკიცება. 1775 წელს რუსეთის სახელმწიფოს კანონმდებლობის ისტორიაში პირველად გაჩნდა დოკუმენტი, რომელიც მმართველობის ადგილობრივ ორგანოებსა და ადგილობრივ სასამართლოს ეხებოდა. ეკატერინე II-ს მიერ შემოღებულმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე იარსება, ხოლო ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა ძალაში დარჩა 1917 წლამდე.

1775 წლის 7 ნოემბერს მიიღეს დებულება რუსეთის იმპერიის **გუბერნიების მმართველობის შესახებ**. დებულებით მთელი იმპერია უნდა დაყოფილიყო **გუბერნიებად**, თითოეულ გუბერნიაში 300-400 ათასი მამრობითი სქესის მცხოვრებით. ეკატერინე II-ს მეფობის ბოლო წელს (1796 წ.) რუსეთში 50 გუბერნია არსებობდა. გუბერნიის სათავეში იდგა **გუბერნატორი**, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა. მოსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებისა და კიდევ რამდენიმე გუბერნიის სათავეში **გენერალ-გუბერნატორები** იდგნენ. გუბერნატორთან იქმნებოდა **გუბერნიის მმართველობა**. გუბერნატორს ემორჩილებოდა **გუბერნიის პროკურორი**. გუბერნიის ფინანსებს განაგებდა **საბინო პალატა**, რომელსაც ვიცე-**გუბერნატორი** (გუბერნატორის მოადგილე) ედგა სათავეში. გუბერნიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობას წარმოადგენდა **მიწათმომწყობი**, რომელიც მიწების აზომვასა და გამიჯვნას აწარმოებდა. გუბერნიის სკოლებს, საავადმყოფოებსა და უპოვართა თავშესაფრებს განაგებდა **საზოგადოებრივი მზრუნველობის (ზედამხედველობის) პრიკაზი**. 1775 წლის 7 ნოემბერის დებულება იმით იყო ღირშესანიშნავი, რომ მის საფუძველზე შეიქმნა და მკაცრად განსაზღვრული სოციალური ფუნქცია მიენიჭა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

დებულების მიხედვით, **გუბერნიები** იყოფოდა **მაზრებად** 20-30 ათასი მამრობითი სქესის მცხოვრებლით. მაზრის ცენტრი **ქალაქი** უნდა ყოფილიყო, რამდენიმე ათეული ქალაქი კი ბევრ გუბერნიაში არ იყო. ამიტომ ეკატერინე II-მ ბევრი დიდი სოფელი ქალაქის თანრიგში გადაიყვანა და მაზრის ცენტრად აქცია. მაზრაში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა თავადაზნაურობიდან არჩეული **მაზრის მმართველობა კაპიტან-ისპრავნიკით** სათავეში. მაზრას ჰყავდა მაზრის ხაზინადარი და მაზრის **მიწათმომწყობი**.

ეკატერინე II-მ გამიჯნა აღმასრულებელი და **სასამართლო** ხელისუფლება. ყველა წოდებას (გარდა ყმა გლეხებისა) მონაწილეობა უნდა მიეღო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში. ყველა წოდებას ჰქონდა თავისი სასამართლო. თავადაზნაურობის წარმომადგენელს ასამართლებდა: გუბერნიაში — **გუბერნიის (ზედა) საერობო სასამართლო**, მაზრაში — **მაზრის (ქვედა) საერობო სასამართლო**; სახელმწიფო გლეხებს: გუბერნიაში — **გუბერნიის (ზედა) სამსჯავრო**, მაზრაში — **მაზრის (ქვედა) სამსჯავრო**; ქალაქის მცხოვრებლებს (მოქალაქეებს): გუბერნიაში — **გუბერნიის მაგისტრატი**, ქალაქში — **ქალაქის მაგისტრატი**. ყველა დონის სასამართლო არჩევითი იყო, გარდა მაზრის (ქვედა) სამსჯავროსი, რომელსაც გუბერნატორი ნიშნავდა, ყმა გლეხებს თავიანთი წოდებრივი სასამართლო არ გააჩნდათ და მათი გასამართლება მემამულეების უფლებას შეადგენდა. რუსეთის იმპერიაში უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა **სენატი**, გუბერნიებში — **სისხლის სამართლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატები**, რომელთა წევრებსაც იმპერატორი ნიშნავდა. რუსეთისათვის ახალ მოვლენას წარმოადგენდა **სინდისის სასამართლო**, რომელიც მოწოდებუ-

ლი იყო მოდავე მხარეები შეერიგებინა. სინდისის სასამართლო არაწოდებრივი იყო. მართალია, ეკატერინე II-მ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა განახორციელა, მაგრამ იგი აბსოლუტური არ იყო. გუბერნატორს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო სასამართლოს საქმეებში. ეს იმ ეპოქისათვის სავსებით არ იყო მოულოდნელი.

დებულების მიხედვით, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად იქნა გამოყოფილი ქალაქი. ქალაქს განაგებდა ფართო უფლებებით **აღჭურვილი გოროდნიჩი (ქალაქის უფროსი)**. ქალაქებში მკაცრი საპოლიციო კონტროლი დაწესდა. ქალაქის ტერიტორია დაიყო ნაწილებად (რაიონებად), რომელზეც კონტროლი პოლიციის მოხელეს — **პრისტავს** ევალებოდა. თავისთავად ქალაქის რაიონები **კვარტალებად** დაიყო, კვარტალს კონტროლს **კვატრლის ზედამხედველი** უწევდა.

გუბერნიის მმართველობის შესახებ დებულების ამოქმედების შემდეგ გაუქმდა ყველა **კოლეგია** და მათი ფუნქციები **გუბერნიების მმართველობებზე** გადანაწილდა. დარჩა მხოლოდ სამი კოლეგია: **საგარეო საქმეთა, სამხედრო** და **საადმირალო**. 1775 წელს მოხდა **ზაპოროჟიეს სეჩის** ლიკვიდაცია. ზაპოროჟიეს სეჩის ლიკვიდაცია ძალზე ვერაგულად განხორციელდა. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების (1774 წ.) შემდეგ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებიდან ცენტრალური რეგიონებისაკენ მომავალმა რუსეთის არმიამ მიიღო საიდუმლო ბრძანება, ზაპოროჟიეს სეჩი საფუძვლიანად დაენგრიათ. ბრძანება შესრულდა — სეჩი მთლიანად გადაწვეს და დაანგრიეს. ხოლო იქაური კაზაკების უმეტესობა ძალდატანებით გადაასახლეს **ყუბანში**. ემელიანე პუგაჩოვის ამბოხების შემდეგ მდინარე იაიკს **ურალი** უწოდეს, იაიკის კაზაკობას **ურალის** კაზაკობა.

1785 წელს ეკატერინე II-მ **წყალობის სიგელი** უბოძა **თავადაზნაურობასა** და **ქალაქებს**. მზადდებოდა წყალობის სიგელი **სახელმწიფო გლეხებისადმი**, მაგრამ ბოლო მომენტში ეკატერინე II-მ მასზე ხელის მოწერა გადაიფიქრა.

წყალობის სიგელით თავადაზნაურობა გათავისუფლდა სავალდებულო **სამხედრო და სამოქალაქო სამსახურიდან, გადასახადებიდან და ფიზიკური სასჯელისაგან. მამული გამოცხადდა თავადაზნაურობის მუდმივ და სრულ საკუთრებად.** ამასთან, თავადაზნაურობამ მიიღო **ქარხნებისა** და **ფაბრიკების** შეძენის უფლება. თავადაზნაურობის წარმომადგენელი შეიძლებოდა გაესამართლებინა მხოლოდ **წოდებითა** და **ღირსებით** მასთან თანასწორს, ხოლო წოდებისა და მამულის ჩამორთმევის უფლება ჰქონდა მხოლოდ **თავადაზნაურთა სასამართლოს**. თავადაზნაურობა გუბერნიასა და მაზრაში ირჩევდა თავის **წინამძღოლს**. გუბერნიისა და მაზრის **თავადაზნაურობის კრებას** შეეძლო ხელისუფლებისათვის ეთხოვა სხვადასხვა სახის დახმარება. წყალობის სიგელის ძალით რუსეთის თავადაზნაურობას მიენიჭა „**კეთილშობილის**" წოდება.

ქალაქებისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში განსაზღვრული იყო ქალაქის მოსახლეობის უფლებები და ქალაქების მმართველობის სისტემა. ყველა მოქალაქე უნდა ჩაწერილიყო **ობივატელთა (მკვიდრთა, მცხოვრებთა) საქალაქო წიგნში**. წიგნში შეტანილი მოქალაქეები შეადგენდნენ „**ქალაქის საზოგადოებას**". მოქალაქედ ითვლებოდა ის ობივატელი (მკვიდრი, მცხოვრები), რომელსაც ქალაქში ჰქონდა საკუთრება — სახლი, ნაგებობა ან მიწა. ქალაქის მოსახლეობა იყოფოდა ექვს თანრიგად. **პირველ თანრიგს** განეკუთვნებოდა თავადაზნაურობა და სამღვდელოება, **მეორეს** — ვაჭრები, რომლებიც თავისთავად სამ კატეგორიად (გილდიად) იყოფოდა, **მესამეს** — ხელოსნები, **მეოთხეს** — ქალაქში მუდმივად მცხოვრები უცხოელები, **მეხუთეს** — უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები და კაპიტალისტები, **მეექვსეს** — მუშები. ქალაქის მოსახლეობა სამ წელიწადში ერთხელ ირჩევდა ქალაქის თვითმმართველობას — **ქალაქის საერთო სათათბიროს, ქალაქის თავსა და მოსამართლეებს**. ქალაქის საერთო სათათბირო ირჩევდა ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს — **ექვსხმიან სათათბიროს**. ექვსხმიან სათათბიროში შედიოდა ქალაქის მოსახლეობის ექვსივე თანრიგიდან თითო წარმომადგენელი. ქალაქის საერთო სათათბირო განაგებდა ქალაქის კეთილმოწყობასა და განათლებას, მის მოვალეობას შეადგენდა ვაჭრობაში წესრიგის დაცვა. უმაღლეს მოხელეს ქალაქში წარმოადგენდა არა არჩეული **ქალაქის თავი**, არამედ იმპერატორის მიერ დანიშნული **გოროდნიჩი (ქალაქის უფროსი)**. ქალაქის მთელი ხელისუფლება (ქალაქის საერთო სათათბირო, ექვსხმიანი სათათბირო, ქალაქის თავი, გოროდნიჩი) **გუბერნატორის** კონტროლს ექვემდებარებოდა.

საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა განათლების რეფორმა. XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ეკატერინე II-მ სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტსა და ქვეითი კორპუსის დირექტორ **ი. ი. ბეცკის-**

თან ერთად, დაიწყო დახურული წოდებრივი სასწავლო დაწესებულებების შექმნა. სასწავლებლების შექმნას საფუძვლად ედო იდეა, რომლის მიხედვითაც აღზრდას, განათლებასთან შედარებით, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეკატერინე II იზიარებდა იმ აზრს, რომ ყოველგვარი ბოროტება და სიკეთე აღზრდიდან მომდინარეობს. იმპერატრიცასა და ი.ი. ბეცკის მიერ შემუშავებული გეგმით გაიხსნა სმოლნის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტი მეშჩანთა ქალიშვილებისათვის ცალკე განყოფილებით (პეტერბურგში), კომერციული სასწავლებელი (მოსკოვში). გარდაიქმნა **კადეტთა კორპუსები**.

ეკატერინე II შეეცადა, ჩამოეყალიბებინა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სისტემა. ამ შემთხვევაშიც იმპერატორს დიდ დახმარებას უწევდა ი. ი. ბეცკი. 1782-1786 წლებში რუსეთში გატარდა სასკოლო განათლების რეფორმა. სამაზრო ქალაქებში დაარსდა **ორწლიანი სახალხო სკოლები**, ხოლო საგუბერნიო ქალაქებში — **ოთხკლასიანი სახალხო სკოლები**. ორკლასიან და ოთხკლასიან სახალხო სკოლებს ჰქონდათ ერთიანი სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სახელმძღვანელოები. **ორკლასიანი და ოთხკლასიანი სკოლები ქვეითთა კორპუსებთან (სასწავლებლებთან), კეთილშობილთა პანსიონებთან და მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიასთან ერთად წარმოადგენდნენ რუსეთში საშუალო განათლების სისტემის საფუძველს.** XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთში არსებობდა 550 სასწავლო დაწესებულება, სადაც 60-70 ათასი მოწაფე ეუფლებოდა ცოდნას. ბავშვების უმრავლესობა ჯერ კიდევ ოჯახში იღებდა განათლებას.

ე) ოპოზიციური აზრი და ეკატერინე II. იმპერატორი ეკატერინე II **„განათლებული მონარქის“** ტიპური წარმომადგენელი იყო, ხოლო რუსეთი **„განათლებული აბსოლუტიზმის“** ეპოქაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ცნობილ რუს განმანათლებელს **ნიკოლოზ ნოვიკოვს** (1744-1818) ეკატერინემ არ აპატია თავადაზნაურული კლასის უფლებრივი მდგომარეობის უსამართლობაზე მინიშნებაც კი და იგი ოთხი წლით შლისელბურგის ციხეში გამოკეტა. უფრო რადიკალური შეხედულებების იყო **ალექსანდრე რადიშჩევი** (1749-1802), რომელიც ანტიბატონყმური იდეოლოგიისა და ბატონყმობის ძალადობით მოსპობის იდეოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. ეკატერინე II-მ ალექსანდრე რადიშჩევის წიგნი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ რომ წაიკითხა, ავტორს **„პუგაჩოვზე უარესი მეამბოხე“** უწოდა. ალექსანდრე რადიშჩევს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც შემდეგ ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს.

ვ) საეკლესიო პოლიტიკა. ეკატერინე II-ს მეფობის პერიოდში საეკლესიო პოლიტიკაში მოხდა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება: **პირველი** — საეკლესიო (სამონასტრო) მიწების სეკულარიზაცია; **მეორე** — ძალით გაქრისტიანების პოლიტიკის უარყოფა და რჯულთშეწყნარებლობის აღიარება.

ტახტზე ასვლისას ეკატერინე II-მ საჯაროდ განაცხადა, რომ არ განახორციელებდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას (საეკლესიო მიწების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლას). ეს განცხადება ეკატერინე II-მ იმ მიზნით გააკეთა, რომ დაემშვიდებინა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის შესახებ პეტრე III-ს ბრძანებით აღშფოთებული სამღვდელოება. მიუხედავად ამ განცხადებისა, ეკატერინე II-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, მოეხდინა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია. იმპერატორი იმედოვნებდა, რომ სინოდი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ამ საქმეს. ვითარება დაძაბა როსტოვის მიტროპოლიტის **არსენ მაცეევიჩის** პოზიციამ.

არსენ მაცეევიჩი შეუპოვარი და თავისი იდეების დაცვისათვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი ადამიანი იყო. ამავე დროს, მას არ შეეძლო გაეზრებინა, თუ სადამდე მიიყვანდა ეკლესიასა და ქვეყანას მისი ფანატიზმი. არსენ მაცეევიჩი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ რუსეთში უკვე აბსოლუტური მონარქია იყო ჩამოყალიბებული, ხოლო პატრიარქობის გაუქმებითა და სინოდის შემოღებით ეკლესიის პოზიციები შესუსტებული იყო. ტახტზე ასვლისას ეკატერინე II-ის მიერ გაკეთებული განცხადება საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის შესახებ არსენ მაცეევიჩმა სერიოზულად მიიღო. საეკლესიო მიწების მიმართ ეკატერინე II-ს ჭეშმარიტი პოლიტიკის გამჟღავნების შემდეგ, 1763 წელს, არსენ მაცეევიჩმა საჯაროდ გაილაშქრა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის წინააღმდეგ. იმავე წელს მან სპეციალური წერილით მიმართა სინოდს, სადაც დაგმო საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია და სინოდს შეახსენა იმპერატორ ეკატერინე II-ს მიერ ტახტზე ასვლისას მიცემული დაპირება. ეკატერინე II თავდაპირველად არ ავიწროებდა არსენ მაცეევიჩს, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, გადამჭრელი ზომები მიეღო. არსენ მაცეევიჩს წოდება ჩამოართვეს და რეველის ციხეში გამოკეტეს. რამდენიმე წლის შემდეგ მიტროპოლიტი გარდაიცვალა.

სასამართლო ორგანოები 1775 წლის რეფორმის მიხედვით



1764 წელს ეკატერინე II-მ ბოლოს და ბოლოს განახორციელა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია. 910866 სული მამრობითი სქესის საეკლესიო გლეხი სახელმწიფო გლეხების თანრიგში ჩარიცხეს, რითაც სახელმწიფო ხაზინამ 1366000 მანეთი ყოველწლიური შემოსავალი მიიღო. ამ შემოსავლიდან მხოლოდ მესამედი ხმარდებოდა ეკლესიის შენახვას. შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (250000 მანეთი) ჰოსპიტალებისა და უპოვართა და გლახაკთა სახლების შენახვასა და მშენებლობაზე იხარჯებოდა. 644000 მანეთი წმინდა მოგების სახით შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში.

ეკატერინე II-მ აკრძალა არაქრისტიანი ხალხის ძალით გაქრისტიანება და 1773 წელს **რჯულთშემწყნარებლობა** სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. ჯერ კიდევ პეტრე III-მ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიიდან გამოყოფილ **სტაროობრიადცებს** საჯარო ღვთისმსახურების ნება დართო. 1763 წელს ეკატერინე II-მ გააუქმა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიიდან გამოყოფილი **რასკოლნიკების** ორმაგი დაბეგვრა და რასკოლნიკებზე წვერის ტარებისათვის დაწესებული გადასახადი. 1764 წელს ორმაგი დაბეგვრისაგან გაათავისუფლეს **სტაროობრიადელები**.

ეკლესია სოფელ ლაზარევსკოეში (1667 წ.)

სტაროობრიადელების მიმართ რჯულთშემწყნარებლობის პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია სტაროობრიადული ცენტრების ეკონომიკური აღმავლობა. დიდი გასაქანი მიეცათ სტაროობრიადელ ვაჭრებს, განსაკუთრებით ეს მოსკოვში იგრძნობოდა.

რჯულთშემწყნარებლობის აღიარების შემდეგ აღარ ილახებოდა რუსეთის **მუსლიმი** მოსახლეობის უფლებები. გაუქმდა გაქრისტიანებული მუსლიმებისათვის დაწესებული შეღავათები. ეკატერინე II-მ მუსლიმებს ნება დართო, აეგოთ მეჩეთები და გაეხსნათ **მედრესეები** (სკოლები).

ზ) საგარეო პოლიტიკა. ეკატერინე II-ს საგარეო პოლიტიკის პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პრუსიის მეფესთან ფრიდრიხ II დიდთან რუსეთის იმპერატორის პეტრე III-ს მიერ დადებული ზავის (1762 წ.) ცალმხრივი დენონსაცია. ზავის გაუქმების მიუხედავად, ეკატერინე II-ს პრუსიასთან ომი არ დაუწყია, თუმცა თვით დენონსაციის ფაქტი უკვე მრავლისმეტყველი იყო.

ეკატერინე II-მ საფუძველი დაუდო ე.წ. **ჩრდილოეთის სისტემის** შექმნას. ჩრდილოეთის სისტემა ითვალისწინებდა **რუსეთის, პრუსიის, ინგლისის, შვეციის, დანიის, საქსონიისა** და **ჟეჩ პოსპოლიტას** გაერთიანებას **ავსტრიისა** და **საფრანგეთის** წინააღმდეგ. მისი შექმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და პრუსიის შეთანხმებას. ჩრდილოეთის კავშირის შექმნის პროცესში ადგილი ჰქონდა **რუსეთ-პრუსიის საიდუმლო შეთანხმებას** (1762 წ.), რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთსა და პრუსიას არ უნდა დაეშვათ ჟეჩ პოსპოლიტასა და შვეციის გაძლიერება. ეკატერინე II-ს საგარეო პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა პოზიციების განმტკიცება იმპერიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან. რაც გულისხმობდა **ყირიმის სახანოს** დაპყრობასა და **თურქეთის** შევიწროებას ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ეკატერინე II-მ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორივე უმნიშვნელოვანესი ამოცანა წარმატებით გადაჭრა. მოგვიანებით, 1789 წლიდან, ეკატერინე II-ს საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა მესამე მთავარი მიმართულება — **ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის** წინააღმდეგ. ამ რთული პრობლემის გადაჭრას ეკატერინე II დიდი მონდომებით შეუდგა, მა-

გრამ საქმის ბოლომდე მიყვანა სიკვდილმა არ დააცალა.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი. რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირება ახალი ომის მიზეზი გახდა. რუსეთი ყირიმის სახანოს არსებობას მხოლოდ დროებით ურიგდებოდა და ხელსაყრელ დროს ელოდა მის დასაპყრობად. ყირიმის სახანოს დაპყრობისათვის კი აუცილებელი იყო ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში თურქეთის პოზიციების შესუსტება. ყოველივე ამას კარგად გრძნობდა თურქეთი და რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების მიმხრობას ცდილობდა. შავიზღვისპირეთში რუსეთის დამკვიდრების მცდელობა ევროპის ქვეყნების შეშფოთებას იწვევდა, რადგან მომავალში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის შეჭრის საფრთხე იქმნებოდა.

1768 წლის შემოდგომაზე საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერით იმედმოცემულმა თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. აქტიური საბრძოლო მოქმედებები 1769 წელს დაიწყო **მოლდოვასა** და **ვალახეთის** ტერიტორიაზე, ასევე **აზოვის ზღვის** სანაპირო რაიონებში. 1770 წელს მდინარე **ლარგას** (მდინარე პრუტის შენაკადი) ნაპირას გენერალმა **პეტრე რუმიანცევმა** სასტიკად დაამარცხა თურქეთის არმია. იმავე წელს მდინარე **კაგულის** (მდინარე პრუტის შენაკადი) ნაპირას თურქებმა მეორე დიდი მარცხი იწვნიეს. ამ გამარჯვებების შემდეგ რუსეთის არმია მდინარე **დუნაის** მიადგა. 1770 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტი **ალექსეი ორლოვის**, ადმირალ **გრიგორი სპირიდოვისა** და ადმირალ **სამუელ გრეიგის** სარდლობით პეტერბურგიდან გავიდა და გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. აქ, მცირე აზიის სანაპიროსთან, **ჩესმენის ყურეში**, რუსეთის სამხედრო ფლოტმა მთლიანად გაანადგურა თურქეთის სამხედრო ესკადრა. ამ გამარჯვების შემდეგ რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე მყოფ თურქეთის სამხედრო ესკადრას ხმელთაშუა ზღვაში გასვლის საშუალება აღარ მისცა.

სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვება კარგად გამოიყენა რუსეთის სარდლობამ. 1771 წელს რუსეთის ჯარმა **ყირიმი** დაიკავა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ თურქეთმა ომი წააგო. მალე რუსეთსა და თურქეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. 1773 წელს რუსეთში ემელიანე პუგაჩოვის წინამძღოლობით დიდმა ამბოხებამ იფეთქა. რუსეთის შინაპრობლემების გამოყენება სცადეს საფრანგეთმა და ინგლისმა. მათი წაქეზებით, თურქეთმა დაწყებული საზავო მოლაპარაკება ჩაშალა. ამის საპასუხოდ, 1774 წელს, რუსეთის არმიამ გენერალ **ალექსანდრე სუვოროვის** სარდლობით მდინარე **დუნაი** გადალახა და სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარები. ამ გამარჯვების შემდეგ რუსეთის არმიის მთავარმა ძალებმა გენერალ-ფელდმარშალ **პეტრე რუმიანცევის** სარდლობით საფრთხე შეუქმნეს ქალაქ **სტამბოლს**. თურქეთი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა.

ზავი რუსეთსა და თურქეთს შორის 1774



ჩესმენის ბრძოლა

წელს ბულგარეთის ქალაქ **ქუჩუკ-კაინარჯში** დაიდო. ამ ზავით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი — **შავიზღვიპირეთის სტეპის ზონა (ნოვოროსია)**. რუსეთს შავ ზღვაზე **სამხედრო ფლოტის** ყოლის უფლება მიეცა. ამავე დროს რუსეთს შეეძლო გამოეყენებინა შავი ზღვიდან გამავალი **ბოსფორისა** და **დარდანელის** სრუტეები. თურქეთმა ცნო **აზოვისა** და **ქერჩის** გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ **ყაბარდო** რუსეთის ნაწილად იქნა აღიარებული. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ყირიმის სახანომ თურქეთისაგან დამოუკიდებლობა მიიღო. რუსეთმა მიაღწია თურქეთის იმპერიაში მცხოვრები **ქრისტიანი ხალხების** დამცველად აღიარებას. დამარცხებულ თურქეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა კონტრიბუცია 4 მილიონი მანეთის ოდენობით.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას დიდი იმედით შეხვდნენ საქართველოში. იმერეთის მეფე სოლომონ I თავისი ელჩის **მაქსიმე ქუთათელის** პირით რუსეთს დახმარებას სთხოვდა. რუსეთის საიმპერატორო კარი დაინტერესებული იყო იმერეთის მეფის ომში მონაწილეობით. **სოლომონ I** მზად იყო ომში ჩაბმულიყო, ოღონდ აუცილებელ პირობად საქართველოში რუსეთის ჯარის გამოგზავნას ითხოვდა. რუსეთი დათანხმდა ამ მოთხოვნას. 1769 წელს **სოლომონ I** და **ერეკლე** II ერთმანეთს შეხვდნენ. მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. როდესაც საქართველოში ჯარს აგზავნიდა, რუსეთის საიმპერატორო კარს არ აწუხებდა არც ქართლ-კახეთისა და არც იმერეთის ბედი. რუსეთისათვის მთავარი იყო, რომ თურქეთს სერიოზული სირთულეები შექმნოდა კავკასიაში და ამით შესუსტებულიყო თურქეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა მთავარ ფრონტზე — ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ეს კი რუსეთს ომს გაუადვილებდა. იმპერატორმა ეკატერინე II-მ საქართველოში გამოგზავნილი ჯარის სარდლად გენერალი **იოჰან ფონ გოტლიბ ტოტლებენი** დანიშნა.

პეტრე რუმიანცევი

რუსეთის სამსახურში მყოფი, წარმოშობით გერმანელი ტოტლებენი შვიდწლიანი ომის დროს რუსეთის სახელმწიფოს ღალატისათვის იყო დაპატიმრებული და სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. ეკატერინე II-მ შეიწყალა გენერალი და სიკვდილით დასჯა რუსეთიდან გაძევებით შეუცვალა. შემდგომში ტოტლებენი ისევ მიიღეს რუსეთის სამსახურში და საქართველოში გამოაგზავნეს. ტოტლებენის გამოგზავნა თავისთავად მიანიშნებს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ. ერეკლე და სოლომონი კი რუსეთის დახმარებით თურქეთის დამარცხებას იმედოვნებდნენ.

1769 წელს ერეკლე II შეხვდა ტოტლებენს და იგი იმერეთში გაიცილა. როდესაც გენერალი ქართლში დაბრუნდა, მეფემ მას **ახალციხეზე** ლაშქრობა შესთავაზა. ქართველებისა და რუსების გაერთიანებული ჯარი მართლაც დაიძრა ახალციხისაკენ, მაგრამ **აწყურის ციხესთან** ტოტლებენმა მიატოვა ერეკლე და ქართლში დაბრუნდა (თავად გენერალი შემდგომში ამ გადაწყვეტილებას სურსათის ნაკლებობით ხსნიდა). მართალია, ერეკლე II-მ 20 აპრილს **ასპინძასთან** სასტიკად დაამარცხა თურქებისა და დაღესტნელების გაერთიანებული ლაშქარი, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, თავადაც ქართლში დაბრუნებულიყო. ამის მიზეზი გენერლის საქმიანობა იყო. ტოტლებენი დაუკავშირდა ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებს, დაიწყო ციხეების დაკავება და ხალხის დაფიცება რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. როგორც ირკვევა, ტოტლებენის ზრახვები უფრო შორსაც მიდიოდა. ტოტლებენს ერეკლე II-ს ტახტიდან გადაყენებაც კი ჰქონდა ჩაფიქრებული. გარკვეული მიზეზების გამო, გენერალმა ამ განზრახვაზე ხელი აიღო. საეჭვოა, რომ ტოტლებენის მთელი ეს საქმიანობა მხოლოდ მისი პირადი ინიციატივა ყოფილიყო.

რუსეთის ჯარის ყოფნამ საქართველოში არავითარი სარგებელი არ მოუტანა ერეკლეს. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართველებმა უშუალოდ ნახეს რეგულარული ჯარი და შეიტყვეს, თუ რა უპირატესობა ჰქონდა მას.

გენერალ ტოტლებენს არც იმერეთში გამოუჩენია თავი. როგორც აღვნიშნეთ, 1769 წელს ტოტლებენი ქართლიდან იმერეთში გადავიდა. იმავე წელს ქართველებისა და რუსების ჯარმა **შორაპნის ციხე** აიღო. ამ დროს სოლომონს მოუვიდა ცნობა, რომ იმერეთში ოსმალები შეიჭრნენ და მათ დასახვედრად წავიდა. ტოტლებენი კი ქართლში დაბრუნდა. რუსები იმერეთში ხელახლა 1770 წლის ზაფხულში, ასპინძის ბრძოლის შემდეგ გადავიდნენ. ტოტლებენი იმერეთშიც მხოლოდ თავისი მოსაზრებით მოქმედებდა და სოლომონის რჩევებს არ ითვალისწინებდა. მალე ტოტლებენი გენერალმა **სუხოტინმა** შეცვალა. სუხოტინმაც არ გაითვალისწინა გაფრთხილება, რომ ზაფხულში **ფოთისთვის** ბრძოლების დაწყება არ შეიძლებოდა (კოლხეთის ჭაობში ჯარი ვერ იბრძოლებდა) და სამხედრო მოქმედებები მაინც დაიწყო. ამის შედეგად უამრავი ჯარისკაცი ციებ-ცხელებით დაავადდა. 1772 წელს რუსეთის ჯარმა დატოვა იმერეთი და, საერთოდ, საქართველოც.

1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული **ქუჩუკ-კაინარჯის** ზავის თანახმად, რუსეთმა ცნო დასავლეთ საქართველოზე თურქეთის უფლებები, ოღონდ თურქეთს იმერეთიდან ხარკის აღებაზე უარი უნდა ეთქვა.

ყირიმის დაპყრობა. თურქეთი ვერ ურიგდებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. არსებობდა საფრთხე, რომ თურქეთი შეეცდებოდა ომის გზით ყირიმის დაბრუნებას. ეკატერინე II-მ დასწრო და 1783 წელს რუსეთის არმიამ **გრიგორი პოტიომკინის** საერთო სარდლობით ყირიმის ნახევარკუნძული მთლიანად დაიკავა. ყირიმი რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდა. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზად იქცა ახლად დაარსებული ქალაქი **სევასტოპოლი**.

1787 წელს ეკატერინე II-მ **ეჭ პოსპოლიტას** მეფისა და ევროპის ქვეყნების ელჩების თანხლებით ყირიმში იმოგზაურა. ქალაქ **ხერსონში** მათ ავსტრიის იმპერატორიც შეუერთდათ. ეკატერინე II ენერგიულად შეუდგა ყირიმის ნახევარკუნძულისა და აზოვისპირეთის ათვისებას.

გიორგიევსკის ტრაქტატი. XVIII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთმა ფაქტობრივად გადაწყვიტა ყირიმის სახანოს შეერთების საკითხი და მთელი ძალები მობილიზებულ იქნა **შავი ზღვის აუზში** გაბატონებისათვის. აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები **კავკასიაშიც**. სამხრეთ კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ თურქეთსა და ირანს რუსეთიც შეემატა. ამ სამ სახელმწიფოს შორის რუსეთი აშკარად ყველაზე ძლიერი იყო. ცხადი ხდებოდა, რომ ვერც თურქეთი და ვერც ირანი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. **ერეკლე II** ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ხედავდა. იგი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რუსეთის სწრაფვა სამხრეთ კავკასიისაკენ. შექმნილ ვითარებაში აშკარა პრორუსული საგარეო პოლიტიკის გატარება გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთიცა და ირანიც საგრძნობლად დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევდათ იმის ძალა, რომ მძიმე და სერიოზული დარტყმა მიეყენებინათ საქართველოსათვის. მით უმეტეს, რომ თავად საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მთელი საქართველოს მოსახლეობა 700-800 ათას კაცს არ აღემატებოდა. ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ პირობებში ძლიერი მფარველის ძებნა სრულიად ბუნებრივი იყო. ირანისა და თურქეთის მფარველობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ქართველებს ამ ქვეყნებთან ურთიერთობის მწარე და ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდათ. შექმნილ ვითარებაში, როცა ევროპიდან დახმარების იმედი ამოიწურა, რჩებოდა მხოლოდ რუსეთი.

რუსეთი, თავის მხრივ, მოხარული იქნებოდა, თუ სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმს შეიქმნიდა და უბრძოლველად გადმოლახავდა კავკასიონის ქედს. ორმხრივი დაინტერესება აშკარა იყო, მაგრამ რუსეთს სურდა საქმე ისე წარმოვნინა, რომ ხელშეკრულების დადების ინიციატორი ერეკლე II ყოფილიყო. ამიტომ 1782 წლის 21 დეკემბერს, რუსების რჩევით, **ერეკლე II-მ ოფიციალური თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შესახებ**. შემუშავდა ხელშეკრულების (ტრაქტატის) პროექტი, რომლის ტექსტი ეკატერინე II-მ და ერეკლე II-მ მოიწონეს. 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ციხესიმაგრე **გეორგიევსკში** ტრაქტატს ხელი მოაწერეს: რუსეთის მხრიდან — **პავლე პოტიომკინმა**, ქართლ-კახეთის მხრიდან **იოანე მუხრანბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**. ტრაქტატი შედგებოდა 13 მუხლისაგან:

1. ქართლ-კახეთის მეფე აცხადებდა, რომ ის და მისი მემკვიდრეები არ ცნობენ არც ერთი

სხვა სახელმწიფოს უზენაესობასა და მფარველობას, რუსეთის გარდა;

2. რუსეთის იმპერატორი და მისი მემკვიდრეები ერეკლეს აღუთქვამდნენ სამუდამო მფარველობას;

3. ქართლ-კახეთის ტახტზე ასული ახალი მეფე დაუყოვნებლივ აცნობებდა ამის შესახებ რუსეთის იმპერატორს და მისგან მიიღებდა სამეფო ნიშნებს;

4. ერეკლესა და მის მემკვიდრეებს უცხო ქვეყნებთან მიმოწერა უნდა შეეთანხმებინათ რუსეთთან;

5. ერეკლეს ეყოლებოდა თავისი წარმომადგენელი რუსეთში, ისევე როგორც რუსეთს — ქართლ-კახეთში;

6. ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში რუსეთი არ ჩაერეოდა;

7. ერეკლე, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარებოდა რუსეთს ჯარით. ამა თუ იმ პირის დაწინაურებისას ერეკლეს უნდა გაეთვალისწინებინა მისი დამსახურებაც რუსეთის წინაშე;

8. კათოლიკოსი ხდებოდა რუსეთის სინოდის წევრი და რუსეთის ეპისკოპოსებს შორის მერვე ადგილს იჭერდა;

9. ქართველი თავადები და აზნაურები უთანაბრდებოდნენ რუსეთის თავადაზნაურობას;

10. ქართველებს უფლება ეძლეოდათ, გადასახლებულიყვნენ რუსეთში. გათავისუფლებული ქართველი ტყვეები თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება დარჩენილიყვნენ რუსეთში ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში;

11. ქართველი ვაჭრები რუსეთში ისარგებლებდნენ ისეთივე უფლებებით, როგორც რუსები და, პირიქით;

12. ხელშეკრულება იდებოდა სამუდამოდ;

13. ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო 6 თვეში.

ამასთან, გაფორმდა ოთხი სეპარატული (საიდუმლო) მუხლი:

1. ერეკლეს უნდა დაემყარებინა ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. მეფეებს ერთმანეთს შორის უთანხმოების შემთხვევაში უნდა მიემართათ რუსეთისათვის;

2. რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა ორი ბატალიონი და 4 ზარბაზანი;

3. ომის შემთხვევაში „კავკასიის ხაზის" სარდალს ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ დაეცვა ქართლ-კახეთი მტრისაგან;

4. რუსეთი ეცდებოდა მტრისაგან მიტაცებული ქართული მიწები დაებრუნებინა ქართლ-კახეთისათვის.

1784 წლის 24 ივნისს ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა ერეკლე II-მ. ეს ნიშნავდა ტრაქტატის **რატიფიკაციას**. რატიფიკაცია მოახდინა ეკატერინე II-მაც.

ერეკლე II იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით სამეფო ხელისუფლებას განამტკიცებდა, ლეკთა თარეშს აღკვეთდა, ირანისა და თურქეთისგან საიმედოდ იქნებოდა დაცული და ბოლოს და ბოლოს, საქართველოს გააერთიანებდა. მაგრამ ერეკლე ცდებოდა. **რუსეთს, ისევე როგორც საქართველოს დაპყრობის მსურველ ყველა ქვეყანას, არ სჭირდებოდა ერთიანი და ძლიერი საქართველო.** რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო სუსტი ქვეყანა, რომელსაც მის იქით გზა აღარ ექნებოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოები თავიდანვე შიშით შეხვდნენ. მალე ეს შიში აგრესიით შეიცვალა. ტრაქტატის დადებამ ყველას დაანახა, რომ ერეკლე რუსეთის მოკავშირე იყო. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ხელს არ აძლევდა არა მარტო თურქეთსა და ირანს, არამედ ევროპის დიდ სახელმწიფოებს — ინგლისსა და საფრანგეთს.

რუსეთს რომ პატიოსნად შეესრულებინა თავისი ვალდებულებები, შეიძლება საშიშროება ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ იგი ამას არ აპირებდა. **ივანე ჯავახიშვილი** წერდა: „1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი — აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებასა და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა".

ერეკლეს განუდგნენ ძველი მოკავშირეებიც კი (მაგალითად, შუშის ხანი). რუსეთის ორი ბატალიონი და 4 ზარბაზანი კი საკმარისი არ იყო იმ ძალების მოსაგერიებლად, რომლებიც საქართველოს დაემუქრა.

გიორგიევსკის ტრაქტატის დადება იყო უდიდესი დიპლომატიური მარცხი, მისი შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც.

რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომი. 1787 წელს თურქეთმა რუსეთს ყირიმის დაბრუნება მოსთხოვა და უარის შემდეგ ომი დაიწყო. 1787 წელს **კინბურნთან** (ოჩაკოვის მახლობლად) რუსეთის არმიამ **გენერალ-ფელდმარშალ ალექსანდრე სუვოროვის** სარდლობით

თურქეთის არმია გაანადგურა. თურქებმა ვერც მომდევნო ხანებში შეძლეს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. 1789 წელს **ფოქშანთან** (მდინარე რიმნიკზე) **ალექსანდრე სუვოროვმა** თურქები კიდევ უფრო სასტიკად დაამარცხა. 1788 წელს ხანგრძლივი ალყის შემდეგ **გრიგორი პოტიომკინმა** აიღო მდინარე დნეპრის შესართავში მდებარე **ოჩაკოვის** ძლიერი სიმაგრე.

ომის წარმატებით დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე **დუნაის** შესართავში მდებარე **იზმაილის ციხესიმაგრის** აღებას. შტურმის წინ ალექსანდრე სუვოროვმა იზმაილის გარნიზონის უფროსს, თურქ ფაშას 24 საათში უბრძოლველად დანებება შესთავაზა. ფაშასადმი გაგზავნილ წერილში ალექსანდრე სუვოროვი წერდა: „24 საათი — ეს თავისუფლებაა, პირველი გასროლა — ეს უკვე აღარ არის თავისუფლება, შტურმი — ეს უკვე სიკვდილია". ფაშამ დანებებაზე უარი განაცხადა და ალექსანდრე სუვოროვს შეუთვალა: „სანამ დუნაი არ შეწყვეტს დინებას და ზეცა დედამიწას არ დაენარცხება, მანამ იზმაილი არ დანებდება". ათასათიანი შტურმის შემდეგ რუსეთის არმიამ იზმაილი აიღო. იზმაილისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ალექსანდრე სუვოროვის მოწაფემ **მიხეილ კუტუზოვმა.**

ომში დიდი წარმატებით მოქმედებდა რუსეთის ფლოტი ადმირალ **თევდორე უშაკოვის** სარდლობით. რუსეთის ფლოტმა რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა **ქერჩის სრუტესა** და **ჰაჯიბეის** სიმაგრესთან (ყირიმში), რის შემდეგაც შავ ზღვაზე მთლიანად რუსეთის ფლოტი გაბატონდა. თურქეთის სამხედრო ფლოტის გადარჩენილი ნაწილი რუსებმა 1791 წელს გაანადგურეს ბულგარეთის სანაპიროსთან (ქალაქ ვარნასთან ახლოს). თურქეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა.

რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი 1791 წელს რუმნეთის ქალაქ **იასში** დაიდო. იასის ზავის თანახმად, თურქეთმა **ყირიმის ნახევარკუნძული** რუსეთის ტერიტორიად ცნო. რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა ტერიტორია მდინარე **სამხრეთ ბუგსა** და მდინარე **დნესტრს** შორის. რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვარი მდინარე დნესტრზე დაწესდა. თურქეთმა სცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი.

რუსეთ-თურქეთის ომებში გამარჯვების შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო დაპყრობილი ტერიტორიების ათვისება. აღმოცენდნენ ახალი ქალაქები **ეკატერინოსლავი** (1776 წ.), **ხერსონი** (1778 წ.), **ნიკოლაევი** (1789 წ.), **ეკატერინოდარი** (1793 წ.), **ოდესა** (1795 წ.) და სხვ.

რუსეთ-შვეციის 1788-1790 წლების ომი. შვეციამ გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ რუსეთის არმიის ძირითადი ძალები თურქეთთან ომით იყო დაკავებული და 1788 წელს ომი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ. შვეცია ჩრდილოეთის ომის დროს დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებას ისახავდა მიზნად. საბრძოლო მოქმედებები **პეტერბურგის** ახლოს მიმდინარეობდა. ხმელეთიდან პეტერბურგისაკენ გაჭრა შვედებმა ვერ შეძლეს, საზღვაო ბრძოლები კი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. მალე შვეციის არმიამ ომი შეწყვიტა და რუსეთის საზღვრები დატოვა. ამით ისარგებლა რუსეთის არმიამ და **ფინეთის** ტერიტორიაზე შეიჭრა. 1790 წელს რუსეთსა და ფინეთს შორის ზავი დაიდო, რომელმაც ძალაში დატოვა ომამდე არსებული საზღვრები.

ჟენ პოსპოლიტას დანაწილება. XVIII საუკუნის ბოლო მესამედში ევროპაში ძალზე მწვავედ დადგა **ჟენ პოსპოლიტას** (პოლონეთის სამეფოს) საკითხი. პოლონეთის სახელმწიფო ძალზე დასუსტდა და უმძიმეს კრიზისს განიცდიდა. ჟენ პოსპოლიტას ცენტრალური ხელისუფლება ძალზე სუსტი იყო. მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადადიოდა და ყოველ ახალ მეფეს **სეიმი** (პარლამენტი) ირჩევდა. სეიმი ერთმანეთთან შეურიგებელ დაჯგუფებებად იყო დაყოფილი, რის გამოც მეფის არჩევა ლამის სამოქალაქო ომში გადაიზრდებოდა ხოლმე. მწვავე დაპირისპირებაში გარე ძალებიც (რუსეთი, საფრანგეთი, შვეცია და ა.შ.) ერეოდნენ, რაც კიდევ უფრო ძაბავდა ვითარებას. ჟენ პოსპოლიტას სეიმის წევრს ჰქონდა **ვეტოს** გამოყენების უფლება და ნებისმიერი საკითხის მიღების შეფერხების შესაძლებლობა. ცენტრალური ხელისუფლების უუნარობას დაერთო ეკონომიკის დაქვეითება და სოციალური ურთიერთობების მოშლა.

ჟენ პოსპოლიტას დასუსტებით ისარგებლა **პრუსიამ, ავსტრიამ** და **რუსეთმა.** რუსეთი ჟენ პოსპოლიტას საქმეებში უკრაინელი და ბელორუსი მართლმადიდებელი მოსახლეობის დაცვის მომიზეზებით ჩაერია. ეკატერინე II-მ აიძულა ჟენ პოსპოლიტას მეფე, **კათოლიკე** და **მართლმადიდებელი** მოსახლეობის უფლებრივი გათანაბრება გამოეცხადებინა. პოლონეთის არისტოკრატიის ნაწილი რომის პაპის მხარდაჭერით წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას. ეკატერინე II-მ ჟენ პოსპოლიტას ტერიტორიაზე ჯარები შეიყვანა და თავს იდო მართლმადიდებელი მოსახლეობის უფლებების დაცვა. ჟენ პოსპოლი-

ტას ტერიტორიაზე შევიდნენ პრუსიისა და ავსტრიის ჯარებიც. პრუსიის მეფე **ფრიდრიხ** II ჟეჩ პოსპოლიტას ტერიტორიის დანაწილების ინიციატიკით გამოვიდა. ეკატერინე II ცდილობდა რუსეთის პროტექტორატით ჟეჩ პოსპოლიტას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

1772 წელს რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ პოლონეთი დაინაწილეს. **ავსტრიას ერგო დასავლეთ უკრაინა (გალიცია), პრუსიას — პომორიე (ბალტიის ზღვის სანაპირო), რუსეთს — ბელორუსიის აღმოსავლეთ ნაწილი ქალაქ მინსკამდე და ლატვიის ნაწილი.** დანარჩენ ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა ჟეჩ პოსპოლიტას სახელმწიფო.

პოლონეთის არისტოკრატიის ნაწილი შეეცადა ქვეყნის გადარჩენას. 1791 წელს მიღებული ჟეჩ პოსპოლიტას კონსტიტუციის ძალით გაუქმდა მეფის არჩევითობა, შეიკვეცა სეიმის წევრთა უფლებები, კერძოდ, ვეტოს გამოყენების უფლება, გაძლიერდა არმია და სხვ.

ჟეჩ პოსპოლიტას 1791 წლის კონსტიტუციის მიღებით ძველი პოლონური არისტოკრატია ძალაუფლებას კარგავდა. კონსტიტუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ურთიერთობა სულ უფრო მწვავდებოდა. მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომის დაწყება. ამასთან, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები ძალზე პოპულარული ხდებოდა პოლონეთში. ეკატერინე II-მ დაასწრო და ჟეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე ჯარები შეიყვანა. მალე იგივე მოიმოქმედა პრუსიის მეფემ. ჟეჩ პოსპოლიტას ძველი პოლიტიკური რეჟიმი აღდგა.

1793 წელს განხორციელდა ჟეჩ პოსპოლიტას **მეორე დანაწილება.** ამჯერად რუსეთმა მიიღო **ცენტრალური ბელორუსია ქალაქ მინსკთურთ და მარჯვენა ნაპირის უკრაინა. პრუსიის ხელში გადავიდა ქალაქი გდანსკი და ზოგიერთი ტერიტორია მდინარეების ვისლასა და ვარტას გასწვრივ.**

1794 წელს პოლონეთის პატრიოტულმა ძალებმა **ტადეუშ კოსტიუშკოს** წინამძღოლობით აჯანყება დაიწყეს. აჯანყების მიზანი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა იყო. ეკატერინე II-მ აჯანყებულთა წინააღმდეგ **ალექსანდრე სუვოროვის** სარდლობით დიდი ჯარი გაგზავნა. აჯანყება ჩაახშეს.

1795 წელს ჟეჩ პოსპოლიტა **მესამედ დანაწილეს.** ამჯერად პოლონეთის ტერიტორია ასე გაიყო: **პოლონეთის ცენტრალური ნაწილი ქალაქ ვარშავითურთ პრუსიას ერგო, სამხრეთ პოლონეთი ქალაქებით — კრაკოვითა და ლუბლინით — ავსტრიას, ლიტვა, კურლანდია, ეოლინი და დასავლეთ ბელორუსია — რუსეთს.** ჟეჩ პოსპოლიტას მეფე ტახტიდან გადადგა და რუსეთში გაემგზავრა. **ჟეჩ პოსპოლიტამ, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.**

რუსეთის ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ. 1789 წელს მომხდარმა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ეკატერინე II შეაშფოთა, ხოლო საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ რუსეთმა საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. ეკატერინე II ცდილობდა, ინგლისთან ერთად ეკონომიკური ბლოკადით ზეგავლენა მოეხდინა საფრანგეთზე. ამავე დროს ეკატერინე II-მ პოლიტიკური რეჟიმი გაამკაცრა, რათა ამ გზით წინ აღდგომოდა საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავრცელებას რუსეთში. ნიკოლოზ ნოვიკოვი და ალექსანდრე რადიშჩევიც სწორედ ამის გამო დასაჯეს მკაცრად. ეკატერინე II-ს სიკვდილმა აღარ აცალა, ჩვეული ენერგიით გაეგრძელებინა ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ.

თავი XIV. რუსეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. პავლე I (1796-1801)

1. პავლე I-ის დახასიათება. 1796 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II გარდაიცვალა. საიმპერატორო კარზე ავიდა ეკატერინე II-ს შვილი **პავლე** I. ტახტზე ასვლისას იგი 42 წლისა იყო.

პავლე I-ს რთული ბავშვობა ჰქონდა. იგი დაბადებისთანავე მოაცილეს დედას. ელისაბედ I ეკატერინეს შვილის ნახვის უფლებას იშვიათად აძლევდა, მამას კი მისთვის არ ეცალა. ელისაბედ I-მა 6 წლის პავლეს აღზრდა და სწავლა-განათლება **ნიკიტა პანინს** მიანდო. პავლეს უმუალო მასწავლებელი იყო პატიოსანი და განათლებული კაცი **სიმეონ პოროშინი**. პავლეს სხვადასხვა დისციპლინებს ასწავლიდნენ **ეპინუსი** და **ოსტერვალდი**. ღვთისმეტყველებაში ტახტის მემკვიდრეს ლექციებს უკითხავდა არქიმანდრიტი **პლატონი**. პავლე ნიჭიერი და მონდომებული მოწაფე გამოდგა. მაგრამ ასაკის მომატებასთან ერთად პავლეს დაეტყო აჩქარება, მოუთმენლობა, სულ მუდამ ფაცი-ფუცში იყო. ყმაწვილობაში ტახტის მემკვიდრე გამოირჩეოდა კეთილი ხასიათით, იყო ძალზე მხიარული და გულღია. პავლეს ხასიათში გარდატეხა მოხდა იმპერატორ პეტრე III-ს მკვლელობის შემდეგ. იგი გახდა ნერვიული და ეჭვიანი. რაც შეეხება განათლებას, იგი ყველას აკვირვებდა თავისი ნიჭითა და საფუძვლიანი ცოდნით, ჰქონდა დახვეწილი გემოვნება.

პავლემ ორჯერ იქორწინა. მისი პირველი მეუღლე იყო ჰესენ-დარმშტადტის ლანდგრაფის ქალიშვილი **ავგუსტა-ვილჰელმინა** (მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ ნატალია ალექსის ასული), ხოლო მეორე მეუღლე — ვიურტემბერგის ჰერცოგის ქალიშვილი **სოფია-დოროთეა-ავგუსტა-ლუიზა** (მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ მარია თეოდორეს ასული). პავლეს შვილები — **ალექსანდრე, კონსტანტინე** და **ნიკოლოზი** — მეორე ცოლისაგან ჰყავდა.

1783 წელს, ეკატერინე II-ს ნებით, ტახტის მემკვიდრე პავლე **გატჩინოს** სასახლეში გადასახლდა და დედასთან დაპირისპირებულს, აღარც უცდია მასთან ურთიერთობის მოგვარება. პავლეს შვილების აღზრდას ეკატერინე II პირადად ხელმძღვანელობდა და ამითაც აღიზიანებდა პავლეს. ეკატერინე II პავლეს არ თვლიდა ტახტის ღირსეულ მემკვიდრედ და სერიოზულად ფიქრობდა ტახტზე პავლეს უფროსი შვილი **ალექსანდრე** აეყვანა. ამას პავლეც გრძნობდა და კიდევ უფრო უძლიერდებოდა დედისადმი უარყოფითი განწყობა.

გატჩინოში ცხოვრების წლებში პავლეს საბოლოოდ გაუუარესდა ხასიათი. იგი გახდა ჩაკეტილი, ნერვიული, ეჭვიანი, კონფლიქტური. იგი ეჭვიანობდა დედაზე, შვილზე, თავის უახლოეს მეგობრებზე. ტახტის მემკვიდრე მუდამ იმპერატორობაზე ოცნებობდა, იგი მოუთმენლად ელოდა დედის გარდაცვალებას. პავლეს ლოდინი დიდხანს მოუხდა. ამ წლებმა დიდი დაღი დაასვა მის აუტანელ ხასიათს.

პავლეს ეჭვებს რეალური საფუძველი ჰქონდა. 1796 წელს ეკატერინე II-მ უფროს შვილიშვილს **ალექსანდრეს** წერილობითი თანხმობა მიაცემინა იმის თაობაზე, რომ ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ მამამისის ნაცვლად ტახტს თვითონ დაიკავებდა. ალექსანდრე გრძნობდა, თუ რა სახიფათო იყო მისთვის ასეთი თანხმობის მიცემა. ამიტომაც ბებიისაგან ფარულად მან ყველაფერი მამას შეატყობინა.

ეკატერინე II-მ ტახტის ალექსანდრესათვის გადაცემის შესახებ ანდერძისა და მანიფესტის შედგენა ვერ მოასწრო, თუმცა საიმპერატორო კარზე მისი სურვილის შესახებ ბევრმა იცოდა. მიუხედავად ამისა, პავლეს ტახტზე ასვლას

პავლე I

ალექსანდრე სუვოროვის გადასვლა ალპებზე

წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია.

2. **პავლე I-ის საშინაო პოლიტიკა.** პავლე I ქვეყნის მართვას გატჩინოს სასახლიდან შეუდგა. ფაქტობრივად, იმპერატორი მარტო უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს. სენატმა ძველი მნიშვნელობა დაკარგა.

1797 წელს პავლე I-მა შეცვალა პეტრე I-ის მიერ დაკანონებული ტახტის მემკვიდრეობის წესი. ახალი წესის მიხედვით, ტახტი გადადიოდა მამიდან უფროს ვაჟზე, ხოლო თუ იმპერატორს ვაჟი არ ჰყავდა — იმპერატორის მომდევნო ძმაზე.

პავლე I-მა შეზღუდა 1785 წელს ეკატერინე II-ს მიერ თავადაზნაურობისადმი ბოძებული წყალობის სიგელით მინიჭებული უფლებები.

1797 წელს პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი, რომლის ძალითაც მემამულეებს აეკრძალათ ყმა გლეხების კვირა დღით მინდვრებში სამუშაოდ გაყვანა. იმპერატორი მემამულეებს რეკომენდაციას აძლევდა, ყმა გლეხები საბეგრო სამუშაოზე მხოლოდ სამი დღე გაეყვანათ.

3. **პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა.** პავლე I აგრძელებდა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლას. 1798-1799 წლებში საფრანგეთმა დაიპყრო კუნძული მალტა, იონიის კუნძულები და ეგვიპტე. 1798 წლიდან რუსეთი ანტიფრანგულ კოალიციაში იმყოფებოდა და ინგლისთან ერთად იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა იტალიაში და ხმელთაშუა ზღვაზე.

1798 წელს რუსეთის სამხედრო ფლოტი ადმირალ თეოდორე უშაკოვის სარდლობით შავი ზღვიდან, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით, ჯერ ხმელთაშუა ზღვაში, შემდეგ კი ადრიატიკის ზღვაში შევიდა. ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა ინგლისის ფლოტიც. მალე ფრანგებს დაატოვებინეს იონიის კუნძულები. რუსეთის ფლოტმა შტურმით აიღო კორფუს სიმაგრე — ფრანგების მთავარი საყრდენი პუნქტი. 1799 წელს თეოდორე უშაკოვმა ფრანგები განდევნა ნეაპოლიდან და რომიდან. რუსეთის სახმელეთო არმია, რომელსაც ალექსანდრე სუვოროვი სარდლობდა, ჩრდილოეთ იტალიაში მოქმედებდა. რუსებთან ერთად ფრანგების წინააღმდეგ მოქმედებდა ავსტრიის არმია. ალექსანდრე სუვოროვმა ხუთ კვირაში მთელი ჩრდილოეთ იტალია გაწმინდა საფრანგეთის ჯარებისაგან. რუსებმა დაიკავეს მილანი და ტურინი.

ჩრდილოეთ იტალიაში რუსეთის არმიის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა შეაშფოთა ავსტრია, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ჩრდილოეთ იტალიაზე. მოკავშირეების ჩაგონებით პავლე I-მა ალექსანდრე სუვოროვს უბრძანა, არმია ჩრდილოეთ იტალიიდან შვეიცარიაში გადაეყვანა და შეერთებოდა იქ მყოფ რუსეთის არმიის კორპუსს, რომელსაც გენერალი ა. მ. რიმსკი-კორსაკოვი მეთაურობდა. რუსეთის არმიამ ალექსანდრე სუვოროვის სარდლობით არნახული გამძლეობა და გმირობა გამოიჩინა, სენ-გოტარდის უღელტეხილით ალპების ყინულოვანი მთები გადალახა და შვეიცარიაში გადავიდა. უძნელესი გადასვლისას ეშმაკის ხიდთან რუსებმა სასტიკად დაამარცხეს ფრანგები. რუსეთის არმიის ალპების მთებზე გადასვლისას განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ალექსანდრე სუვოროვის მოწაფემ გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა. ლეგენდარული გამარჯვებებისათვის გენერალ-ფელდმარშალ ალექსანდრე სუვოროვს გენერალსიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა.

მალე ანტიფრანგულ კოალიციაში (ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია) განხეთქილება მოხდა. მას შემდეგ, რაც ინგლისმა კუნძულ მალტას ოკუპაცია მოახდინა, პავლე I-მა ავსტრიასა და ინგლისთან ურთიერთობა გაწყვიტა და საფრანგეთთან კავშირში ინგლისის წინააღმდეგ სამარი მზადება დაიწყო. ნაპოლეონთან მოლაპარაკების შემდეგ, 1800 წელს პავლე I-მა დონელ კაზაკთა 40 პოლკი ინდოეთში გაგზავნა, რათა იქიდან ინგლისელები გაეძევებინათ. ამ ავანტურისტული წამოწყების ბოლომდე მიყვანა

პავლე I-ს აღარ დასცალდა. ინდოეთში სალაშქროდ გაგზავნილი ჯარები ქალაქ **ორენბურგამდეც** კი არ იყვნენ მისულნი, როდესაც პავლე I შეთქმულებმა მოკლეს. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კი ჯარები უკან დააბრუნა.

4. სასახლის გადატრიალება. პავლე I-ის საშინაო პოლიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის არისტოკრატიისათვის. თავადაზნაურობამ ელისაბედ I-ისა და ეკატერინე II-ის მეფობის წლებში დიდი პრივილეგიები მიიღო, რის შედეგადაც მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა. **პავლე I არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ეკატერინე II-ის მიერ გატარებული რეფორმების მიმართ.** ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თავადაზნაურობას. მიუღებელი და ქვეყნისათვის დამღუპველი აღმოჩნდა პავლე I-ის საგარეო პოლიტიკა. საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა, კერძოდ, ინგლისთან პოლიტიკური და სავაჭრო კავშირის გაწყვეტა, ეწინააღმდეგებოდა თავადაზნაურობისა და ვაჭართა ფენის ინტერესებს. ინგლისი იყო რუსეთის ნედლეულის ყველაზე დიდი მომხმარებელი. ინგლისთან ვაჭრობის შეწყვეტამ დიდი დარტყმა მიაყენა თავადაზნაურობის ეკონომიკურ მდგომარეობას.

1800 წლის ბოლოსათვის პავლე I-ის პოლიტიკით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია. იმპერატორი გრძნობდა ქვეშევრდომთა ოპოზიციურ განწყობას და ცდილობდა, მაქსიმალურად უზრუნველყო პირადი უსაფრთხოება. 1800 წლის ნოემბერში პავლე I გატჩინოდან პეტერბურგში ახლად აგებულ **მიხეილის სასახლეში** გადავიდა. ზამთრის სასახლე მას პირადი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით გაცილებით არასაიმედოდ ეჩვენებოდა. მიხეილის სასახლის გარშემო მოწყობილი იყო სადარაჯოები მრავალრიცხოვანი რაზმებით და მთელი ტერიტორია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. სასახლის ირგვლივ შემოვლებული თხრილი მუდამ წყლით იყო სავსე. თხრილზე გადებულ ასაკეც ხიდს დღეში მხოლოდ ორჯერ დაუშვებდნენ ხოლმე და ისიც ძლიერი დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ. სასახლეში არსებული მრავალი საიდუმლო კარები, კიბეები და გვირაბები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა საიმედო სამალავად გადაქცეულიყო.

1801 წლის თებერვალ-მარტში შეთქმულები აქტიურად ემზადებოდნენ. შეთქმულება ჯერ კიდევ 1800 წლის ბოლოს ჩაისახა. თავდაპირველად მას ვიცე-კანცლერი **ნ.პ. პანინი** ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი გადასახლების შემდეგ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი **პ.ა. პალენი.** 1800 წელს ნ.პ. პანინმა და პ.ა. პალენმა შეთქმულებაში **ალექსანდრეს** ჩათრევა სცადეს, მაგრამ უარი მიიღეს. ამ შემთხვევაში არ დასმულა საკითხი პავლე I-ის მოკვლის შესახებ. საქმე მხოლოდ იმპერატორის ტახტიდან გადაყენებას ეხებოდა. უარის მიუხედავად ალექსანდრეს შეთქმულები არ გაუცია და მათთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. მას შემდეგ რაც ნ.პ. პანინი გადაასახლეს და შეთქმულებას **პეტრე პალენი** ჩაუდგა სათავეში, ალექსანდრემ, ფაქტობრივად, შეთქმულებაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ალექსანდრე პეტრე პალენს ენდობოდა და იმედი ჰქონდა, რომ შეთქმულებაში მისი მონაწილეობა არ გამჟღავნდებოდა. პეტრე პალენი ალექსანდრესთან შეთქმულების ყველა დეტალს ათანხმებდა და წინააღმდეგობა არასდროს შეხვედრია. შეთქმულთა შორის მრავალი გვარდიელი იყო. კერძოდ, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: სემიონოვსკის პოლკის მეთაური **დეპრერადოვიჩი,** პრეობრაჟენსკის პოლკის მეთაური **ტალიზინი,** კავალერგარდის პოლკის მეთაური **უვაროვი.** შეთქმულების მზადების შესახებ ხმები მთელ პეტერბურგში გავრცელდა. პავლე I ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ აღარ შეეძლო ჭორებისა და სინამდვილის ერთმანეთისაგან გარჩევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პავლეს შეთქმულების შიში მთელი ცხოვრების მანძილზე არ შორდებოდა და ბოლოს გარკვეულწილად, შეეგუა კიდეც შეთქმულების შესახებ ხმების არსებობას. 1801 წლის 9 მარტს პავლე I-მა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორ **პეტრე პალენს** შეთქმულების შესახებ ჩამოუგდო საუბარი. იმპერატორი შეთქმულების შესახებ ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, რომ პეტრე პალენი თავდაპირველად დაიბნა კიდეც. ბოლოს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა იმპერატორს ასეთი რამ უთხრა: შეთქმულება იმპერატორის წინააღმდეგ, რომელშიც სხვებთან ერთად იმპერატორის მეუღლეცა და შვილებიც მონაწილეობდნენ, მართლაც მზადდებოდა, მაგრამ მალე ყველა შეთქმული დაპატიმრებული იქნებაო. პავლე I ასეთმა პასუხმა დაამშვიდა.

პეტრე პალენმა მიხეილის სასახლეში შეჭრის დროდ 1801 წლის 9-10 მარტის ღამე შეარჩია, მაგრამ ალექსანდრე არ დაეთანხმა. ალექსანდრეს აშინებდა ის გარემობა, რომ 9-10

მარტს ღამით სასახლეს **პრეობრაჟენსკის პოლკი** დაიცავდა, რომელიც პავლეს ერთგული იყო და შეთქმულებს სასახლეში არ შეუშვებდა. ალექსანდრემ მოითხოვა, რომ შეთქმულების სასახლეში შეჭრა 11-12 მარტის ღამისათვის გადადებულიყო, როცა სასახლეს მისი ერთგული **სემიონოვსკის პოლკი** დაიცავდა. პეტრე პალინი ალექსანდრეს დაეთანხმა.

1801 წლის 10 მარტს, კვირა დღეს, მიხეილის სასახლეში კონცერტი იყო. კონცერტის შემდეგ ვახშამი გაიმართა. პავლე I ეჭვიანი მზერით შესცქეროდა მეუღლე მარიას და შვილებს — ალექსანდრესა და კონსტანტინეს. შემდეგ იმპერატორმა რაღაც საიდუმლოდ უთხრა პეტრე პალენს. ვახშმის დამთავრების შემდეგ მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ მეუღლესა და შვილებს პავლე I-მა არც კი მოუსმინა, ისინი უხეშად მოიცილა და თავის აპარტამენტებში ჩაიკეტა.

11 მარტს იმპერატორი კარგ ხასიათზე იყო, იმდენად, რომ არავისთვის შენიშვნა არ მიუცია. იგი დიდხანს ეფერებოდა უმცროს ვაჟს — ნიკოლოზს. 11 მარტს პავლე I-მა უფროს და შუათანა ვაჟებს — ალექსანდრესა და კონსტანტინეს შინაპატიმრობა დაუწესა, თუმცა ვახშამზე ორივენი მიიწვია. ვახშამზე პავლე I ძალზე გამხიარულდა. ვახშმის დასასრულს კი იგი მოულოდნელად ძალზე ცუდ ხასიათზე დადგა და წასვლის წინ მოულოდნელად ჩაილაპარაკა: „რაც მოსახდენია იმას თავიდან ვერ აიცილებ“.

11 მარტს, ღამის 10 საათზე პავლე I-მა მოულოდნელად მიხეილის სასახლის დაცვა შეცვალა. ცხენოსანი გვარდიის ნაცვლად სასახლის დაცვა სემიონოვსკისა და პრეობრაჟენსკის პოლკებს დაევალათ. ორივე პოლკის მეთაური, როგორც აღვნიშნეთ, შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ.

11 მარტს, ღამის 11 საათამდე პავლე I თავისი ფავორიტის, თავადის ქალის გაგარინას აპარტამენტებში დარჩა. აქვე დაწერა მან უკანასკნელი ბრძანება: სამხედრო მინისტრი **ლიეენი** თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად თავისი საყვარლის მეუღლე თავადი **გაგარინი** დანიშნა.

11 მარტს, ღამის 11 საათზე პავლე I თავის საწოლ ოთახში შევიდა და ისე ღრმად ჩაეძინა, რომ მხოლოდ მის აპარტამენტებში გვიან ღამით შეჭრილი შეთქმულების ხმაურმა გამოაღვიძა. იმპერატორი საწოლიდან წამოხტა და ფარდის უკან დაიმალა. შეთქმულები შეშფოთდნენ, მათ ეგონათ, რომ პავლე I-მა მიმალვა მოაწრო. მოულოდნელად ერთ-ერთმა შეთქმულმა ფარდის უკან მდგომი იმპერატორის ფეხები დაინახა, რომელსაც ფარდა ვერ ფარავდა. იმავე წუთს **პლატონ ზუბოვმა** და **ბენიქსენმა** ხმლები იშიშვლეს, იმპერატორს მოუახლოვდნენ და განუცხადეს, რომ იგი დაპატიმრებული იყო. პლატონ ზუბოვმა პავლე I-ს გადასცა მანიფესტი მისი გადადგომისა და ტახტზე უფროსი ვაჟის ალექსანდრეს ასვლის შესახებ. პავლე I-მა მანიფესტს ხელი არ მოაწერა. გაჯიუტებულ იმპერატორს გარს შემოეხვივნენ შეთქმულები: **პლატონ** და **ნიკოლოზ ზუბოვები, ბენიქსენი, ვლადიმერ იაშვილი** და სხვები. ამ დროს პავლე I იატაკზე დაეცა. ერთი ვერსიით იმპერატორი უკან დახევისას რაღაცას წამოედო და დაცემისას თავი მაგიდის კუთხეს დაარტყა. მეორე ვერსიით ალექსი ზუბოვმა მას თავში ოქროს საფერფლე ჩაარტყა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეცა იგი იატაკზე. იატაკზე დაცემულ იმპერატორს შეთქმულებმა ცემა დაუწყეს, მაგრამ სასიკვდილო დარტყმა პავლესათვის არავის მიუყენებია. იმპერატორი არ ნებდებოდა და დაცვას უხმობდა. შექმნილ ზედახორაში **ვლადიმერ იაშვილმა** და **მანსუროვმა** პავლეს ყელზე რომელიღაც შეთქმულის კაშნე შემოახვიეს და დაახრჩეს. როგორც კი იმპერატორმა სუნთქვა შეწყვიტა, საწოლში პეტრე პალენი შემოვიდა, რომელმაც მალევე დატოვა მიხეილის სასახლე. იგი მომავალ იმპერატორ ალექსანდრესთან გაემართა მომხდარის მოსახსენებლად.

პეტრე პალენმა ალექსანდრეს მოახსენა მომხდარის შესახებ, რამაც იგი შეაძრწუნა. შეთქმულებს სურდათ, სანამ პავლე I-ის მკვლელობის დეტალები გამომჟღავნდებოდა, მანამდე გვარდიას ახალი იმპერატორის ალექსანდრე I-ის ერთგულებაზე დაეფიცა. ამიტომაც ზამთრის სასახლიდან **ალექსანდრე** I და **პეტრე პალენი** გვარდიული პოლკების ყაზარმებისაკენ გაემართნენ. **პრეობრაჟენსკის პოლკი** მტრულად შეხვდა ალექსანდრეს, რის გამოც დაფიცება არ შედგა. სამაგიეროდ, ახალი იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა **სემიონოვსკის პოლკმა**. დაფიცების დასრულების შემდეგ ალექსანდრე ზამთრის სასახლეში დაბრუნდა.

ასე დამთავრდა რომანოვების სამეფო დინასტიისა და რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში სასახლის ბოლო გადატრიალება.

თავი XV. რუსეთის კულტურა XVIII საუკუნეში

XVIII საუკუნის რუსული კულტურა უკვე მთლიანად საერო კულტურაა. მართალია, პატრიარქობის გაუქმების მიუხედავად, ეკლესია რუსეთის ცხოვრებაში კვლავ დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ კულტურის განვითარების საერთო ტენდენციაზე იგი გავლენას ველარ ახდენდა.

1. **საერო სკოლის ჩამოყალიბება.** რუსეთში საერო სკოლის ჩამოყალიბების დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ 1701 წელს მოსკოვში **მათემატიკური** და **სანავიგაციო** მეცნიერებათა სკოლის გახსნა. ამ სკოლის უფროსკლასელები 1715 წელს პეტერბურგში გადაიყვანეს, სადაც გაიხსნა **საზღვაო აკადემია.** მათემატიკური და სანავიგაციო მეცნიერებათა სკოლის შემდგომ გაიხსნა **საარტილერიო, საინჟინრო, სამედიცინო** სკოლები, ასევე **კანცელარიის მუშაკთა მოსამზადებელი სკოლა** და რამდენიმე **სამთო სკოლა.** 1714 წელს, პეტრე I-ის სპეციალური ბრძანების საფუძველზე, რუსეთის გუბერნიებში გაიხსნა 42 **საციფრო-სკოლა,** სადაც ყმა გლეხების გარდა, სხვა არათავადაზნაურული წოდების წარმომადგენლებსაც იღებდნენ.

ვასილი ტატიშჩევი

ნიკოლოზ კარამზინი

რუსეთის სახელმწიფოს დიდი და ძლიერი არმია სჭირდებოდა. არმიის ბრძოლისუნარიანობა ბევრად იყო დამოკიდებული **ოფიცერთა კორპუსზე.** 1731 წელს პეტერბურგში გაიხსნა სამხედრო სასწავლებელი — **თავადაზნაურთა (შლიახტის) კორპუსი,** რომელიც შემდგომში გაიყო **ქვეითთა, საზღვაო, საარტილერიო** და **საინჟინრო** კორპუსებად. რაც შეეხება სამოქალაქო სამსახურის კადრებს, იმპერატორის კარზე მათ ამზადებდა **პაჟთა კორპუსი.** 1764 წელს პეტერბურგში გაიხსნა **სმოლნის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტი.** მალე გაიხსნა კეთილშობილთა რამდენიმე **პანსიონი.** სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ **სასულიერო სასწავლებლებში, სემინარიებსა** და **აკადემიებში,** ხოლო ვაჭართა შვილები — **სამედიცინო, სამთო, კომერციულ** და სხვა სასწავლებლებში, ასევე **სამხატვრო აკადემიაში.** ჯარისკაცთა შვილები განათლებას იღებდნენ **გარნიზონებში არსებულ სპეციალურ სკოლებში,** სადაც უნტერ-ოფიცერთა (უმცროს ოფიცერთა) კადრებს ამზადებდნენ.

1786 წლიდან რუსეთში დაიწყო არაწოდებრივი სკოლების გახსნა. გუბერნიებში იხსნებოდა **ოთხკლასიანი,** ხოლო მაზრებში **ორკლასიანი** სახალხო სასწავლებლები.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის რუსეთის მოსახლეობის (გარდა ყმა გლეხებისა) ყოველი 1000 მცხოვრებიდან მხოლოდ ორი კაცი იღებდა განათლებას, ყმა გლეხებში კი ეს მაჩვენებელი თითქმის ნულის ტოლი იყო.

საერო სკოლების დამკვიდრების პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1755 წელს **მოსკოვის უნივერსიტეტის** გახსნას. უნივერსიტეტის გახსნის დიდი ღვაწლი დასდო **მიხეილ ლომონოსოვმა** და იმპერატორ ელისაბედ I-ის ფავორიტმა **ივანე შუვალოვმა**, რომელიც უნივერსიტეტის პირველი **კურატორი** იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნისათვის საჭირო თანხის დიდი ნაწილი გაიღო ვახტანგ VI-ს შვილმა, რუსეთის სამსახურში მყოფმა გენერალ-ანშეფმა **გიორგი ბაგრატიონმა**.

2. **მეცნიერება და ტექნიკა**. მეცნიერების განვითარებისათვის პეტრე I-ის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო 1725 წელს **რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის** გახსნა. ბრძანებას მეცნიერებათა აკადემიის გახსნის შესახებ პეტრე I-მა 1724 წელს მოაწერა ხელი, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, მისი განხორციელება გაჭიანურდა.

XVIII საუკუნეში დიდად განვითარდა **გეოგრაფია** და **გეოლოგია**. მოხდა რუსეთის დიდი ნაწილის **კარტოგრაფიული რუკების** შედგენა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესწავლის მიზნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია **ი. კ. კირილოვის, ს. ი. კრაშენინიკოვის, ს. ჩელიუსკინის, პ. ს. პალასის, ს. გ. გმელინის, ი. ი. ლეპეხინის** ღვაწლი.

3. **ტატიშჩევმა** და **მ. ვ. ლომონოსოვმა** საფუძველი ჩაუყარეს რუსულ **საისტორიო მეცნიერებას**. მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს **მ. მ. შჩერბატოვმა** და **ი. ნ. ბოლტინმა**.

ტექნიკური ცოდნის განვითარებასა და მის პრაქტიკულ დანერგვაში დიდი წვლილი შეიტანეს **ა. კ. ნარტოვმა, ი. ი. პოლზუნოვმა, ი. პ. კულიბინმა**.

XVIII საუკუნეში რუსეთში მოღვაწეებდნენ ცნობილი უცხოელი მეცნიერები: მათემატიკოსი **ლ. ეილერი**, ჰიდროდინამიკოსი **დ. ბერნული**, ბუნებისმცოდნე **კ. ვულფი**, ისტორიკოსი **ა. შლოცერი** და სხვები.

რუსული მეცნიერების რამდენიმე დარგის (ისტორიის, ფილოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვ.) განვითარება და შესაბამისი კადრების აღზრდა დაკავშირებულია დიდი რუსი მეცნიერის **მიხეილ ლომონოსოვის** (1711-1765) სახელთან.

3. **ლიტერატურა**. XVIII საუკუნეში შეიქმნა რუსული მწერლობის საყურადღებო ნიმუშები.



პაშკოვის სახლი

ამ ეპოქის მწერლებსა და პუბლიცისტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ: **ა. დ. კანტემირი, ვ. კ. ტრედიაკოვსკი, მ. ვ. ლომონოსოვი, ა. პ. სუმაროკოვი, ნ. ი. ნოვიკოვი, ა. ნ. რადიშჩევი, დ. ი. ფონვიზინი, გ. რ. დერჟავინი, ი. ა. კრილოვი, ნ. მ. კარამზინი** და სხვები.

დენის ფონვიზინს (1744-1792) ეკუთვნის კომედიები „ბრიგადირი" და „უმწიფარა". **გავრილ დერჟავინმა** (1743-1818) შექმნა საზეიმო ოდები „ფელიცა", „ჩანჩქერი" და სხვ. **ნიკოლოზ კარამზინი** (1766-1826) რუსული სენტიმენტალიზმის ფუძემდებელია. მის კალამს ეკუთვნის „რუსი მოგზაურის წერილები", „საბრალო ლიზა" და სხვ. **ივანე კრილოვი** (1769-1840) ცნობილი რუსი მეიგავე იყო. მან ორასზე მეტი იგავ-არაკი დაუტოვა შთამომავლობას.

4. **არქიტექტურა**. XVIII საუკუნეში შეიქმნა არქიტექტურის შედევრები. ამის დამადასტურებლად მარტო სანკტ-პეტრებურგის არქიტექტურა იკმარებდა.

იტალიელი არქიტექტორის **ბართოლომეო რასტრელის** (1700-1771) პროექტით აიგო ზამთრის სასახლე და სმოლნის მონასტერი პეტერბურგში, სასახლეები ცარსკოე სელოსა და პეტერგოფში და სხვ. არქიტექტორ **დიმიტრი უხტომსკის** (1719-1774) ეკუთვნის მოსკოვის წითელი კარიბჭე, სერგის სამების მონასტრის სამრეკლო, ხიდი მდინარე ნეგლინნაიაზე მოსკოვში და სხვ. არქიტექტორ **ივანე სტაროვის** (1745-1808) პროექტით აიგო თაურიდის სასახლე და სამების ტაძარი პეტერბურგში. არქიტექტორ **ვასილ ბაჟენოვის** (1737-1799) პროექტითაა აგებული არსენალი და კამენოოსტროვსკის სასახლე პეტერბურგში, ასევე პაშკოვის სახლი მოსკოვში. არქიტექტორმა **მატვეი კაზაკოვმა** (1738-1812) შექმნა მოსკოვის კრემლში აგებული სენატის შენობის პროექტი, ასევე მოსკოვის უნივერსიტეტისა და სათაადაზნაურო საკრებულოს სვეტებიანი დარბაზის პროექტები. არქიტექტორ **ანტონიო რინალდის** (1710-1794) პროექტით აიგო მარმარილოს სასახლე პეტერბურგში, ხოლო **იური ფელტენის** (1730-1801) პროექტით — მდინარე ნევის სანაპირო და საზაფხულო ბაღის გალავანი პეტერბურგში. არქიტექტორ **ჯაკომო კვარენგის** (1744-1817) ეკუთვნის პეტერბურგში აგებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შენობის პროექტი.

5. **ფერწერა**. XVIII საუკუნეში რუსეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები **ა.ტ. მატვეევი, ი.ნ. ნიკიტინი, ა.პ. ანტროპოვი, ა.ი. იზ-**



მოსკოვის უნივერსიტეტი

მაილოვი, ი.პ. არგუნოვი, ფ.ს. როკოტოვი, დ.გ. ლევიცკი, ვ.ლ. ბოროვიკოვსკი და სხვ.

ანდრეი მატვეევი (1701-1739), **ივანე ნიკიტინი** (1690-1722) და **ალექსი ანტროპოვი** (1716-1795) პორტრეტისტები იყვნენ. ივანე ნიკიტინს ეკუთვნის პეტრე დიდის პორტრეტი, ხოლო ალექსი ანტროპოვს – პეტრე III-ის პორტრეტი. პორტრეტის ჟანრში მოღვაწეობდა **ივანე არგუნოვიც** (1729-1802). XVIII საუკუნის დიდი პორტრეტისტი იყო **დიმიტრი ლევიცკი** (1735-1822). მისი ცნობილი ნამუშევრებია ნიკოლოზ ნოვიკოვისა და პავლე დემიდოვის პორტრეტები. **ვლადიმერ ბოროვიკოვსკი** (1757-1825) შემოქმედებაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ინტიმურ გრძნობებზე. მხატვარი აშკარად განიცდის სენტიმენტალიზმის გავლენას.

6. თეატრი. პირველი რუსული პროფესიული თეატრი **თეოდორე ვოლკოვის** (1729-1763) ინიციატივით 1750 წელს დაარსდა ქალაქ **იაროსლავლში**. ორი წლის შემდეგ თეატრი **პეტერბურგში** გადავიდა, ხოლო 1756 წელს ელისაბედ I-ის ბრძანებით თეოდორე ვოლკოვის დაარსებული თეატრი რუსულ თეატრად გადაკეთდა.

XVIII საუკუნეში რუსეთში საფუძველი ჩაეყარა **საბალეტო ხელოვნებას**. 1738 წელს პეტერბურგში გაიხსნა **პირველი საბალეტო სკოლა**. დაიდგა პირველი საბალეტო სპექტაკლები.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნის რუსულმა კულტურამ შესანიშნავად ასახა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე დიდი ძვრები.

ბიბლიოგრაფია

წყაროები და ლიტერატურა მთელი კურსისათვის

Акты Русского государства 1505-1526 гг. М., 1975.

Акты социально-экономической истории Северо-Восточной Руси конца XIV-начала XVI в. М.; Л., 1952-1954. Т. 1-3.

Акты феодального землевладения и хозяйства XIV-XVI веков. М., 1951-1961. Ч. 1-3.

Духовные и договорные грамоты великих и удельных князей XIV-XVI вв. М.; Л., 1950.

Законодательные акты Русского государства второй половины XVI-первой половины XVII века. Л., 1986.

Памятники русского права. М., 1953-1961. Вып. 1-8.

Полное собрание русских летописей. СПб.; М.; Л., 1841-1990. Т. 1-39.

Российское законодательство с древнейших времен до начала XX века. М., 1984-1988. Т. 1-6.

Памятники литературы Древней Руси. М., 1978-1994.

Александров Н.А. Сельская община в России (XVII начало XIX в.). М., 1976.

Бахрушин С.В. Научные труды. М., 1952-1959. Т. 1-4.

Греков Б.Д. Крестьяне на Руси с древнейших времен до XVII века. М., 1952-1954. Кн. 1-2.

Дробижев В.З; Ковальченко И.Д,., Муравьев А.В. Историческая география СССР. М., 1973.

Историография истории СССР с древнейших времен до Великой Октябрьской социалистической революции. 2-е изд. / Под ред. В.Е. Иллерицкого и И.А. Кудрявцева. М., 1971.

История русской литературы X-XVII веков / Под ред. Д.С. Лихачева. М., 1980.

История Сибири с древнейших времен до наших дней. В 5 т. Л., 1968-1969. Т. 1-2.

Сахаров А.М. Историография истории СССР. Досоветский период. М., 1978.

Шапиро А.Л. Историография с древнейших времен до 1917 года. СПб., 1993.

წყაროები და ლიტერატურა I თავისათვის

Геродот. История. В девяти книгах / Пер. и прим. Г.А. Стратановского. Л., 1972.

Иордан. О происхождении и деяниях готов. М., 1960.

Прокопий из Кесарии. Война с готами. М., 1950.

Ранов В.А. Древнейшие страницы истории человечества. М., 1988.

Формозов АА. Памятники первобытного искусства на территории СССР. М., 1966.

წყაროები და ლიტერატურა II-V თავისათვის

Воинские повести Древней Руси / Под ред. В.П. Адриановой-Перетц. М.; Л., 1949.

Повести Древней Руси. XI-XII века. Л., 1983.

Повести о Куликовской битве. М., 1959.

Тихомиров М.Н. Пособие для изучения Русской Правды. М., 1953.

Алексеев Ю.Г. Под знаменем Москвы. М., 1992.

Борисов Н.С. Русская церковь в политической борьбе XIV-XV вв. М., 1986.

Будовиц И.У. Общественно-политическая мысль Древней Руси: XI-XIV вв. М., 1960.

Греков Б.Д. Киевская Русь. М., 1953.

Греков И.Б., Якубовский А.Ю. Золотая Орда и ее падение. М.; Л., 1950.

Древнерусские княжества X-XIII вв. М., 1975.

Зимин А.А. Холопы на Руси с древнейших времен до конца XV века. М., 1973.

Зимин А.А. Витязь на распутье. М., 1991.

Как была крещена Русь. М., 1990.

Кучкин В.А. Формирование государственной территории Севере-Восточной Руси в X-

XIX вв. М., 1984.
Лихачев Д.С. «Слово о полку Игореве» и культура его времени. Л., 1985.
Лурье Я.С. Две истории Руси XV века. Ранние и поздние, независимые и официальные летописи об образовании Московского государства. СПб., 1994.
Насонов А.Н. Монголы и Русь. М.; Л., 1940.
Пашуто В.Т., Флоря Б.Н., Хорошкевич А.Л. Древнерусское наследие и исторические судьбы восточного славянства. М., 1982.
Рапов О.М. Русская церковь в IX - первой трети XII вв. Принятие христианства. М., 1977.
Рыбаков Б.А. Древняя Русь: Сказания. Былины. Летописи. М., 1963.
Рыбаков Б.Л. Киевская Русь и русские княжества XII-XIII вв. М., 1982.
Рыбаков Б.Л. Язычество древних славян. М., 1981.
Сахаров А.М. Города Северо-Восточной Руси XIV-XV вв. М., 1959.
Седов В.В. Восточные славяне в VI-XIII вв. М., 1982.
Тихомиров М.Н. Древнерусские города. М., 1956.
Тихомиров М.Н. Древняя Русь. М., 1972.
Тихомиров М.Н. Древняя Москва XII-XV вв. Средневековая Россия на международных путях XIV-XV вв. М., 1992.
Фроянов И.Я. Киевская Русь: очерки социально-экономической истории. Л., 1974.
Фронте И.Я. Киевская Русь: очерки социально-политической истории. Л., 1980.
Фроянов И.Я. Древняя Русь. Опыт исследования истории социальной и политической борьбы. М.; СПб., 1995.
Фроянов И.Я., Дворниченко А.Ю. Города-государства Древней Руси. Д., 1988.
Черепнин Д.В. Образование Русского централизованного государства в XIV-XV вв. М., 1960.
Шапиро А.Л. Проблемы социально-экономической истории Руси XIV-XV вв. Л., 1977.
Янин В.Л. Новгородские посадники. М., 1962.
Янин В.Л. Новгородская феодальная вотчина (историко-генеалогическое исследование). М., 1981.

წყაროები და ლიტერატურა VI-VIII თავებისათვის

Буссов К. Московская хроника 1584-1613. М.; Л., 1961.
Горсей Дж. Записки о России XVI - начала XVII в. М., 1990.
Временник Ивана Тимофеева. М.; Л., 1951.
Герберштеин Сигизмунд. Записки о Московии. М., 1988. Казанская история. М.; Л., 1954.
Маржерет Ж. Россия начала XVII в. Записки капитана Маржерета. М., 1982. 556
Масса И. Краткое известие о Московии в начале XVII века. М., 1937.
Переписка Ивана Грозного с Курбским. М., 1981.
Послания Ивана Грозного. М.; Л., 1951.
Сказание Авраамия Палицына. М.; Л., 1955.
Сочинения Ивана Пересветова. М.; Л., 1956.
Флетчер Д. О государстве Русском. СПб., 1906.
Штадеч Г. О Москве Ивана Грозного: Записки немца опричника. / Пер. и вступ. ст. И.И. Подосина. М., 1925.
Веселоваший С.Б. Исследования по истории опричнины. М., 1963.
Веселовский С.Б. Исследования по истории класса служилых землевладельцев. М., 1969.
Зимин А.А. Реформы Ивана Грозного. Очерки социально-экономической и политической истории России середины XVI в. М., 1960.
Зимин А.Л. Опричнина Ивана Грозного. М., 1964.
Зимин А.А. Россия на пороге нового времени. М., 1972
Зимин А.Л. Россия на рубеже XV-XVI столетий. Очерки социально-политической истории. М., 1982.
Зимин А.А. В канун грозных потрясений. М., 1986.

Зимин А.А. Формирование боярской аристократии в России во второй половине XV - первой трети XVI в. М., 1988.

Шина Л.И. Внутреннее освоение земель в России в XVI в. Л., 1985.

Каштанов С.М. Социально-политическая история России конца XV - первой половины XVI в. М., 1967.

Каштанов С.М. Финансы средневековой Руси. М., 1988.

Кобрин В.Б. Власть и собственность в средневековой России (XV-XVI вв.). М., 1985.

Кобрин В.Б. Иван Грозный. М., 1989.

Носов Н.Е. Становление сословно-представительных учреждений в России. М., 1969.

Павлов А.П. Государев двор и политическая борьба при Борисе Годунове. СПб., 1992.

Платонов С. Ф. Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. М., 1995.

Сахаров А.М. Образование и развитие Российского государства в XIV-XVII вв. М., 1969.

Скрынников Р.Г. Опричный террор. Л., 1969.

Скрынников Р.Г. Россия после опричнины. Л., 1975.

Скрынников Р.Г. Россия накануне «смутного времени». М., 1985.

Скрынников Р.Г. Социально-политическая борьба в Русском государстве в начале XVII века. Л., 1985.

Скрынников Р.Г. Царство террора. М., 1991.

Станиславский А.Л. Гражданская война в России в XVII веке. Казачество на переломе истории. М., 1990.

Тихомиров М.Н. Россия в XVI столетии. М., 1962.

Тихомиров М.Н. Российское государство XV-XVII веков. М., 1973.

Хорошкевич А.Л. Русское государство в системе международных отношений конца XV - начала XVI в. М., 1980.

Черепнин Л.В. Земские соборы Русского государства в XVI-XVII вв. М., 1978.

წყაროები და ლიტერატურა IX თავისათვის

Аввакум. Житие протопопа Аввакума, им самим написанное. М., 1991.

Котошихин Г. О России в царствование Алексея Михайловича. СПб., 1906. Крестьянская война под предводительством Степана Разина. Сб. документов /

Сост. Е.А., Швецова. М., 1954-1976. Т. 1-4. Соборное Уложение 1649 г. Л., 1987.

Александров В.А., Покровский Н.Н. Власть и общество. Сибирь в XVII в. Новосибирск, 1991.

Готье Ю. Замосковный край в XVII веке. М., 1937.

Маньков А.Г. Развитие крепостного права в России во второй половине XVII века. М.; Л., 1962.

Маньков А.Г. Уложение 1649 года - кодекс феодального права России. Л., 1980.

Новосельский А.А. Борьба русского государства с татарами в XVII веке. М.; Л., 1948.

Очерки русской литературы XVII века. М., 1979. Ч. 1-2.

Панченко А.М. Русская культура в канун петровских реформ. Л., 1984.

Смирнов П.П. Посадские люди и их классовая борьба до середины XVII в. М.; Л., 1947. Ч. 1-2.

წყაროები და ლიტერატურა XI-XIV თავებისათვის

Булавинское восстание (1707-1708). М., 1935.

Воскресенский Н.А. Законодательные акты Петра I. М.; Л., 1945.

Екатерина II. Записки. СПб., 1907.

Записки русских людей. События времен Петра Великого. СПб., 1841.

Каменский А.Б. Под сенью Екатерины. М., 1992.

Краснобаев Б.И. Очерки русской культуры XVIII в. М., 1987.

Кирилов И.К. Цветущее состояние Всероссийского государства. М., 1977.

Письма и бумаги имп. Петра Великого. СПб.; М., 1887-1979. Т. 1-13.
Посошков И.Т. Книга о скудности и богатстве. М., 1951.
Прокопович Ф. Сочинения. М.; Л., 1961.
Омельченко О.А. «Законная монархия» Екатерины II. М., 1993.
Татищев В.Н. Избранные произведения. Л., 1979. Абсолютизм в России (XVII-XVIII вв.). М., 1963.
Анисимов Е.В. Россия в середине XVIII века. М., 1986.
Анисимов Е.В. Россия без Петра. Л., 1994.
Водарский Я.Е. Население России в конце XVII - начале XVIII в. М., 1977.
Голикова Н.Б. Политические процессы при Петре I. М., 1957.
Павленко Н.И. Петр Великий. М., 1994.
Павленко Н.И. Вокруг трона. М., 1998.
Павленко Н.И. Екатерина Великая. М., 1999.
Россия в период реформ Петра I. М., 1973.
Троицкий С.М. Русский абсолютизм и дворянство в XVIII веке. формирование бюрократии. М., 1974.
Эйдельман Н.Я. Грань веков. М., 1986.

ლიტერატურა ქართულ ენაზე

ბორის სოხვაძე. რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში. თბ., 1996.
იასე ცინცაძე. მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები. თბ., 1960.
იასე ცინცაძე. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა. თბ., 1972.
იასე ცინცაძე. ძველი რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1953.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორებისგან 3
თავი I. ძველი სლავები და მათი მეზობლები 4
1. უძველესი მოსახლეობა რუსეთის ტერიტორიაზე 4
2. პირველი ცნობები სლავების შესახებ 4
3. აღმოსავლეთ სლავები VI-IX საუკუნეებში 5
თავი II. ძველი რუსეთის სახელმწიფო (კიევის რუსეთი)
(IX საუკუნის მეორე ნახევარი – XII საუკუნის დამდეგი) 6
1. ძველი რუსეთის სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) წარმოქმნა 6
2. კიევის რუსეთის პირველი დიდი მთავრები 9
ა) ოლეგი (882-912) 9
ბ) იგორი (912-945) 10
გ) სვიატოსლავი (945-972) 10
3. კიევის რუსეთის გაძლიერება 11
ა) ვლადიმირი (980-1015) 11
ბ) სვიატოპოლკ I იაროპოლკის ძე (1015-1016, 1018-1019) 13
გ) იაროსლავ ბრძენი (1016-1018, 1019-1054) 13
4. კიევის რუსეთის სოციალური და ეკონომიკური წყობა 14
5. კიევის რუსეთის დაშლა სამთავროებად 14
6. ვლადიმირ მონომახი (1113-1125) 15
თავი III. რუსული სამთავროები XII-XIII საუკუნეებში 16
1. კიევის რუსეთის დაშლის მიზეზები 16
2. ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო 17
ა) იური დოლგორუკი (1125-1157) 17
ბ) ანდრეი ბოგოლიუბსკი (1157-1174) 18
გ) ვსევოლოდ დიდბუდე (1176-1212) 19
3. გალიჩ-ვოლინის სამთავრო 20
ა) ოლეგ იაროსლავის ძე (1187-1188) 21
ბ) დანილა რომანის ძე (1221-1264) 21
4. დიდი ნოვგოროდი 21
5. კიევის სამთავრო 23
თავი IV. რუსული კულტურა (IX-XII საუკუნეები) 24
თავი V. რუსეთის დაპყრობა მონღოლების მიერ. ბრძოლა შვედებისა
და ჯვაროსანთა ორდენების წინააღმდეგ 27
1. მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა. მონღოლთა დაპყრობების დასაწყისი 27
2. ბრძოლა კალკაზე 27
3. რუსეთის დაპყრობა მონღოლთა მიერ 28
4. ბრძოლა შვედებისა და ჯვაროსანთა ორდენების წინააღმდეგ 29
5. ოქროს ურდო 31
6. ოქროს ურდო და რუსეთი 32
თავი VI. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა (XIII საუკუნის

მეორე ნახევარი — XVI საუკუნის დამდეგი) 34
1. რუსული სამთავროები მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ 34
2. ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 34
3. რუსული მიწების გაერთიანების დასაწყისი 35
ა) მოსკოვის დაწინაურება 35
ბ) მოსკოვისა და ტვერის ბრძოლა დიდი მთავრის ტიტულისათვის 36
გ) ივანე დანიელის ძე კალიტა-(1325-1340) 36
დ) დიმიტრი ივანეს ძე დონელი-(1359-1389) 38
ე) ვასილი I დიმიტრის ძე (1389-1425) 42
ვ) ვასილი II უსინათლო (1425-1462) 42
4. რუსეთის გაერთიანების დასასრული. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა 43
ა) ივანე III-(1462-1505) 43
ბ) ვასილი III-(1505-1533) 48
5. ხელისუფლების ცენტრალიზაცია 48
6. რუსეთის ეკლესია XV-XVI საუკუნეებში 49
თავი VII. რუსეთი XVI საუკუნეში 50
1. ტერიტორია. მოსახლეობა. ეკონომიკა 50
2. ივანე IV მრისხანე (1533-1584) 50
ა) ივანე მრისხანის მეფობის დასაწყისი 50
ბ) XVI საუკუნის 50-იანი წლების რეფორმები 52
გ) ახალი ტერიტორიების შემოერთება 54
დ) ოპრიჩნინა 54
ე) ლივონიის ომი 57
თავი VIII. რუსეთი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დამდეგს 59
1. ეკონომიკური კრიზისი 59
2. ბატონყმური სისტემის დაკანონება 59
3. თეოდორე ივანეს ძე (1584-1598) 59
4. ბორის გოდუნოვი (1598-1605) 61
5. დიმიტრი ივანეს ძე (1605-1606) 63
6. ვასილი IV შუისკი (1606 1610) 66
7. ბრძოლა პოლონელთა აგრესიის წინააღმდეგ 69
8. რომანოვების არჩევა მეფედ 70
თავი IX. რუსეთი XVII საუკუნეში 74
1. ტერიტორია. მოსახლეობა 74
2. ბატონყმური ურთიერთობის დაკანონება 74
3. ეკონომიკა. საერთო რუსული ბაზრის ჩამოყალიბება 74
4. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა 74
5. მიხეილ თეოდორეს ძე (1613-1645) 75
6. ალექსი მიხეილის ძე (1645-1676) 75
ა) ქალაქების აჯანყებები 76

ბ) 1649 წლის ძეგლისდება 76
გ) უკრაინის შეერთება რუსეთთან 77
დ) რუსეთ-პოლონეთის 1654-1667 წლებისა და რუსეთ-შვეციის 1656-1658 წლების ომები 79
ე) ამბოხება სტეფანე რაზინის წინამძღოლობით 80
ვ) განხეთქილება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში 82
თავი X. რუსეთის კულტურა XIII-XVII საუკუნეებში 86
1. რუსეთის კულტურა XIII-XV საუკუნეებში 86
2. რუსეთის კულტურა XVI საუკუნეში 87
3. რუსეთის კულტურა XVII საუკუნეში 89
თავი XI. რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში 91
1. თევდორე III ალექსის ძე 91
2. ბრძოლა ტახტისათვის 92
3. პეტრე I დიდი (1682-1725) 94
ა) მეფობის პირველი წლები 94
ბ) დიდი ელჩობა 95
გ) ოპოზიციის განადგურება 95
დ) ჩრდილოეთის ომი (1700-1721) 96
ე) ლაშქრობა კასპიისპირეთში (1722-1723) 102
ვ) XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რეფორმები 103
ზ) კულტურა და ცხოვრების ახალი წესი 107
თ) სოციალური მოძრაობა 110
ი) ტახტის მემკვიდრეობის საკითხი 111
თავი XII. რუსეთი XVIII საუკუნის მეორე მეოთხედსა და შუა ხანებში 112
1. ეკატერინე I (1725-1727) 112
2. პეტრე II ალექსის ძე (1727-1730) 113
3. ანა ივანეს ასული (1730-1740) 114
ა) საშინაო პოლიტიკა 115
ბ) საგარეო პოლიტიკა 116
გ) ტახტის მემკვიდრის საკითხი 117
4. ივანე VI ანტონის ძე (1740) 117
5. ელისაბედ I პეტრეს ასული (1741-1761) 118
ა) ელისაბედის გზა ტახტისაკენ 118
ბ) სასახლის გადატრიალება 119
გ) საშინაო პოლიტიკა 119
დ) საგარეო პოლიტიკა 120
თავი XIII. რუსეთი XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში 122
1. პეტრე III (1761-1762) 122
ა) პეტრეს გზა ტახტისაკენ 122
ბ) პეტრე და ეკატერინე 123
გ) სასახლის გადატრიალება 124

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი
ტექ. რედაქტორი თ. ფიცხელანი
კორექტორი ლ. თორდია
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ. მუსერიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 06. 03
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 25,5
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 14,99
შეკვეთა № 143 ტირაჟი 400

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური
0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1.